

გიორგი სოსიაშვილი

# ნათლის გვირაბი



გამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი 2017

წიგნის დაფინანსებისთვის ავტორი მადლობას უხ-  
დის ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ახალ-  
გაზრდობისა და კულტურის განვითარების ცენტრის  
დირექტორს, ბატონ **გიორგი ნადიბაიძეს**

რედაქტორი  
**თამარ გელიტაშვილი**

© **გ.სოსიაშვილი, 2017 წელი**

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2017

---

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com;

ISBN 978-9941-26-100-8

## ცოტა რამ „ნათლის გვირაბის“ შესახებ

ქართული ანდაზაა ასეთი: „მღვდელი ჭილოფშიც იცნობაო“. მღვდლისა არ ვიცი, მაგრამ მწერალი კი ნამდვილად იცნობა ოსტატურ სიტყვათქმაში. ვინც მხატვრული სიტყვის ძალას ვერ გრძნობს და მისი გამოსახვის უნარიც არ შესწევს, თავს იოლად იძვრენს და დღეს ჩვენს ლიტერატურაში გაბატონებულ სამწუხარო მოდას მისდევს – მწირსა და ღარიბ ლექსიკას უშვერ ლანძღვა-გინებასთან აზავებს და ზღვარგადასული უცენზურობის კორიანტელს აყენებს. არადა, მწერლობა, უპირველეს ყოვლისა, სადაგი სიტყვის მხატვრულ სიტყვად, სახეობრივ მეტყველებად გარდაქმნის ხელოვნებაა. სწორედ ამგვარი ნიჭით არის დაჯილდოებული გიორგი სოსიაშვილი.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ ჩვენს სიტყვაკაზმულ მწერლობაში ახალი თემა გაჩნდა – „მავთულხლართი“. ეს თემა გიორგი სოსიაშვილმა შემოიტანა და ამდენად, ეს პროზაიკოსი, სხვა მწერლურ ღირსებებთან ერთად, ამითაც არის გამორჩეული. გარდა ამისა, მის შემოქმედებით თვითმყოფადობას ისიც განაპირობებს, რომ მოქმედ პირთა მხატვრულ სახეებს მათი მეტყველებისა და სიტუაციური ხატვის მეშვეობით ქმნის.

გიორგი სოსიაშვილის პერსონაჟთა მეტყველება, ერთი შეხედვით, უცნაურობის განცდასაც კი ბადებს, რადგან ხშირად წაშლილია ზღვარი ავტორისა და პერ-

სონაჟის ხატოვან მეტყველებას შორის. მაგალითად, მოთხრობა „მამლის წელის“ მთავარი გმირი გუჯა, რომელსაც ისე ძალუმად ენატრება ოკუპაციის შედეგად დაკარგული მშობლიური კარ-მიდამო, რომ მოჩვენებებიც კი დაეწყო და სათამაშო მამალს ლიახვის ხეობაში ჩარჩენილ თავის ცოცხალ მამალთან აიგივებს, ასეთ სიტყვებს ამბობს: „ამოჩემებული ჰქონდა [მამალს] – სახლის წინ სიმონა მსხალი გვედგა, იქ ათენ-ალამებდა. წვიმა იყო თუ დარი, სიმონა მსხალზე მთვარიანად კენკავდა ცაზე ვარსკვლავებს დილა რო შემოეყვანა“.

ცალკე აღებული ასეთი ფრაზა ხელოვნურადაც კი მოეჩვენებოდა კაცს, მაგრამ გიორგი სოსიაშვილის ტექსტში ამგვარი მეტყველება, ამგვარი ხატოვანება პერსონაჟის პიროვნული ბუნების, ხასიათისა და სადაურობის განმსაზღვრელიცაა; აქ იხატება მისი სულიერი მდგომარეობაც, მშობლიური გარემოს გაუნელებელი სიყვარულიცა და მონატრებაც. ასეა მწერლის სხვა ნაწარმოებებშიც და ეს განსაკუთრებული შიშობა გამოარჩევს მას.

მდიდარ ლექსიკას, ხატოვან სიტყვათქმას, როგორც ითქვა, პერსონაჟთა პიროვნული ინდივიდუალობის წარმოჩენის საშუალებად იყენებს მწერალი. უპირველესი საფუძველი ამისა ის გახლავთ, რომ გიორგი სოსიაშვილის პერსონაჟები იმ კუთხის შვილები არიან, სადაც საგანგებოდ დაიარებოდა მიხეილ ჯავახიშვილი საკუთარი მწერლური ლექსიკა რომ გაემდიდრებინა. საოცარი ძარღვიანობა და სილალე ჩანს ლიახვისხეობელთა

მეტყველებაში. მათი ენა თითქოს მათივე გარემოს ნაწილია, მათივე ბუნება-ხასიათის თანაზიარია. სწორედ ეს ბუნებრიობა გადმოიტანა ქალაქზე გიორგი სოსიაშვილმა თანდაყოლილი ნიჭისა და წერის განსაკუთრებული უნარის წყალობით. მისი ნაწარმოებები, მაღალმხატვრულობის პარალელურად, იგავურიცაა, დიდაქტიკურიც და გროტესკულიც. ამ ყველაფერს კი ხშირად სევდანარევი იუმორი გასდევს. გიორგი სოსიაშვილის შემოქმედებითი ქარგა მშობლიური მიწის გაუნელებელ დარდსა და ტკივილზეა გამოჭრილი. მწერლის ბოლოდროინდელმა, მრავალფეროვანი თემატიკით დატვირთულმა თხზულებებმა, რომლებიც შესულია კრებულში „ნათლის გვირაბი“, კიდევ უფრო გაამდიდრა მისი შემოქმედება, უფრო საინტერესო და შინაარსიანი გახადა იგი.

ეს ნაწარმოებები, რომლებიც ესთეტიკური მომხიბვლელობით გამოირჩევა, პერსონაჟთა ფსიქოლოგიურსა თუ ყოფით პრობლემებზე მოგვითხრობს და ცხოვრებისეულ სირთულეებსა და მათი გადაჭრის გზებზე ჩაგვაფიქრებს. მათი წაკითხვის შემდეგ კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ „მართლის თქმის“ პრინციპს ჩვენში ყავლი არასდროს გასვლია. საქვეყნო სატკივარზე, ნაციონალურ მანკიერებაზე ფიქრი და განსჯა ბედისწერად ექცა ქართველ მწერალს. სიმართლის მალვა ქვეყანას არ წაადგება! – ამგვარია გიორგი სოსიაშვილის მიდგომა საკუთარი მხატვრული შემოქმედებისადმი. მისი მწერლური პოზიცია ზუსტად

ესატყვისება გურამიშვილისეულ ფორმულირებას: „მე კი ვფარავ, მაგრამ ჩემი სატკივარი არა ჰფარავს“.

მოთხრობაში „დანიელები“ მკაცრად, შეულამაზებლად არის დახატული ჩვენი ყოფითი რეალობა. ომის ქარცეცხლმა კი არ შეკრა და შეადუღა საოკუპაციო ხაზის პირას მცხოვრები ხალხი, პირიქით, ბოლმისა და შურის ტყვედ აქცია. ყველასა და ყველაფერს ეჭვის თვალით უმზერენ; მათთვის უცხო გამხდარა მოძმისთვის განეული სიკეთით დამაშვრელობა, ამიტომაც არ სჯერათ თანასოფლელი მათეს უანგარობისა, რომელმაც დიდი ძალისხმევისა და მცდელობის შემდეგ სოფელში, ჰუმანიტარული მისიით, დანიელები ჩამოიყვანა ერთი სატვირთო მანქანა ზეთითა და მაკარონით. ეჭვი არ ასვენებთ, ჰგონიათ, ამ ყმანვილმა კაცმა მათზე მეტი სარგებელი ნახა, მათზე მეტი მიითვისა და მიისაკუთრა.

ზეთსა და მაკარონს მისეული ხალხი უგუნურ ბრბოდ ქცეულა, რომელიც იმიტომ კი არ ეძალება ასე ხარბად ჰუმანიტარულ დახმარებას, რომ მშვიერი არ დარჩეს, არამედ იმიტომ, რომ სხვამ მასზე მეტი არ ნაილოს, სხვას მასზე მეტი არ შეხვდეს.

ზეთისა და მაკარონის დატაცების შემდეგ სოფელმა დიდებული სუფრა გაუშალა დანიელებს. რა არის ეს – სტუმართმოყვარეობის ქართულ-კავკასიური საუკუნოვანი ტრადიციის პატივისცემა თუ ამპარტავნობის გამოვლინება?! ეს კითხვა უთუოდ დაისმის „დანიელების“ წაკითხვისას და მოთხრობაც სამწუხარო დასკვნას ცხადყოფს: ეს უცხოთ თვალში ღირსეულად წარმოჩენის

სურვილია მხოლოდ, ეს კუდაბზიკობა-ამპარტავნობის გამოვლინებაა ღირსებადაკარგული ხალხის მიერ. როგორც ჩანს, ეს მანკიერება ვერა და ვერ დავძლიეთ, ვერ ამოვძირკვეთ ჩვენი ხასიათიდან, რომელსაც უცხოელი მწერალ-მოგზაურნიც მშვენივრად ამჩნევდნენ. ამას აღნიშნავენ შარდენიც, გამბაც, დიუმაც...

მართალია, მოთხრობაში ომის შემდგომი პერიოდი ასახული და, ბუნებრივია, ომმა თავისი დაღი დაასვა ადამიანთა ფსიქიკას, მაგრამ მარტო ომს ვერ დავაბრალებთ პერსონაჟთა გაუკუღმართებულ ფიქრსა და ქმედებას, მით უფრო, უზომო ამპარტავნობას.

გურამ ასათიანი ქართულ ეროვნულ თვისება-ხასიათზე მსჯელობისას ესეში „სათავეებთან“ წერს: „ჩვენ გამუდმებით სცენაზე ვდგავართ და სხვის დასანახავად ვთამაშობთ“. თუ ეს მანკიერება არ მოვიშალებთ, სულხან-საბას თქმისა არ იყოს: „რაისა ბოროტსა მოვიკვეთთ?“ აგერ XXI საუკუნემდე გამოგვყოლია კუდაბზიკობა – ეს ფსევდოფეოდალური, ფსევდორაინდული თვისება. მწერლობა მოვალეა, ერს საკუთარ ნაკლზე მიუთითოს და ამაზე დაგვაფიქროს. გიორგი სოსიამ-ვილის მოთხრობები სწორედ ამის დასტურია.



ლევან ბრეგაძე წიგნში „მარგინალიები“ ამბობს: „დედა!!! რა არის ეს?! – კოლოსალური ინფორმაცია პანია ფრაზაში!“

დედა! – რა პატარა სიტყვაა და როგორი ტე-

ვადი. დიდ სიყვარულს აუფასურებს უხვსიტყვაობა. ალბათ, ამიტომაც ეტევა ოთხ ასო-ბგერაში დედაშვილობის დიადი გრძნობა, არა, ორშიც თავისუფლად თავსდება – დე!

ქართულ მეტყველებაში მხოლოდ ეს ერთი მარცვალია, რომელიც ზუსტად გამოხატავს ჩვენს დამოკიდებულებას უძვირფასესი არსების მიმართ. ამ აზრობრივი შინაარსის შემცველია გიორგი სოსიაშვილის ნოველა „წრფელობითი“. ამ პატარა თხზულებაში უზარმაზარი სიყვარული დაიტია, ზუსტად ისეთი, როგორითაც ბავშვებს უყვართ დედა. პატარები ხომ წრფელი გულითა და, რაც ყველაზე მთავარია, მთელი არსებით ეთაყვანებიან საკუთარ ღმერთქალს. ამიტომაც ცდილობს ნოველის მთავარი პერსონაჟი თორმეტი წლის ბიჭუნად გარდასახვას, უფრო წრფელი, უფრო ბუნებრივი სახე რომ მისცეს მშობლის ალერსს. მერეც, მონიფულობაშიც, დედა ყველაზე დიდი საყრდენი და ის ადამიანია, ვისი სახელდებაც – „დედა, დედა-მ, დედა-ს, დედ-ის დედავ... ყველა ბრუნვაში მაგარია, მაგარი!“ თუმცა, ძველად, ძველ ქართულში უკეთესი იყო. ახლა წრფელობითი ბრუნვა აკლია, იმ შვიდ ბრუნვაზე კიდევ უფრო მომცრო, მაგრამ ყველაზე დიდი ინფორმაციისა და აზრის შემცველი: **„დე, აი, ეს ორი ასო-ბგერაა მთელი სამყაროს ფილოსოფია“**, – ამბობს მწერალი.

უდიდესი ადამიანური სიტბოს დამტევ ამ პატარა ნოველაში თითოეული სიტყვა გასაოცარი სისათუ-

თით არის გაჯერებული და ერთგვარი ნუგეშითაც გვავსებს, რომ „სიკვდილი დედას ვერ კლავს, დედა ბავშვობაში დარხეული ბგერების მსგავსად ტრიალებს უსასრულობაში“.



ცხოვრებას პარადოქსები უყვარს. ეს არაერთხელ ასახულა ჩვენს ლიტერატურაშიც. შემთხვევითობის წყალობით აღზევებული და გადიდკაცებული მდაბიოს დაუვინყარი სახეები შექმნეს მიხეილ ჯავახიშვილმა („დამპატიჟე“, „ჯაყოს ხიზნები“) და პოლიკარპე კაკაბაძემ („ყვარყვარე თუთაბერი“). გიორგი სოსიაშვილის მოთხრობა „კოჭლი ცხვარი“ ამ თემატიკის გაგრძელებაა.

ნათქვამია: „ფარა რომ შემობრუნდება, კოჭლი ცხვარი სათავეში მოექცევაო“. ასე მოექცა სათავეში სალოცავს შეთქმული, შესანიშნავად გამზადებული კოჭლი ცხვარი. ავდრის დროს, ელვასა და ჭექა-ქუხილში გაბნეული ფარის წინამძღოლი დაიბნა, ორიენტაცია დაკარგა და შებრუნებული ფარის ბოლოში აღმოჩნდა, დასაკლავად განწირულმა კოჭლმა ცხვარმა კი ამით ისარგებლა და მისი ადგილი დაიკავა.

გიორგი სოსიაშვილმა კოჭლი ცხვრის იგავი მხატვრულად შეურწყა მოთხრობის მთავარ სიუჟეტურ ხაზს და თავისი სათქმელი ასე მიიტანა მკითხველამდე.

ელვა და ჭექა-ქუხილი ალეგორიული სახეა რევოლუ-

ციისა, რომლის წყალობითაც აღზევებულმა მედროვე მდაბიობმა: სამხედრო კომისარმა, ნადეზერტირალმა კალემ და მენახირე დურუმ (დურმიშხანმა), რომელსაც მეტსახელად „კოჭლი ცხვარი“ შეარქვეს, მართვის სა-დავეები იგდეს ხელთ, წურბელებივით მოასხდნენ ხალხს კისერზე და ერთიანად სწოვენ სისხლს – ჭამენ და ნთქამენ სხვისი ოფლით ნაშოვენ ქონებას. ვინც ნებით არ დათმობს, ძალით ართმევენ.

რევოლუციის „მონაპოვარიც“ სწორედ ეგ არის – ოდესღაც შიშველ-ტიტველ, მშიერ-მწყურვალ ტეტიას რომ პირველ კაცად აქცევს და ეს სამადლოდ გამოზრდილ-შემოსილი მდაბიოც გამხეცებული ცდილობს ხალხის „მომწყემსვას“. ზნეობა მათ არ აწუხებთ და მორალი, მაშ, რამ უნდა შეაჩეროს, რამ უნდა შეაბრკოლოს მათი აღვირახსნილი ქმედება?!

„მართალია, სწავლა-განათლება არა მაქვს ან სად უნდა მესწავლა, როდის უნდა მესწავლა, წვლებ-წვლებით ძლივს მოვალწიე აქამდე, მაგრამ ამათ მართვას ბევრი წიგნების კითხვა სულაც არ სჭირდება... ჩემზე ნასწავლები არიან, მაგრამ ამოდენა რამეს ვერ აღწევენ, რასაც მე მივალწიე. რევოლუციას არ უყვარს ნასწავლი ადამიანები. ნასწავლი ადამიანის გაკეთებული საქმე ვის უნახავს ნეტავი...“ – ფიქრობს კოჭლი ცხვარი – ყოფილი მენახირე და ან უკვე მაღალი თანამდებობის პირი, გადიდკაცებული გაიძვერა, რომლის მიმართაც სარკაზმს არ იშურებს მწერალი: „რა იცოდნენ ძროხებმა, როგორი რევოლუციონერი დაჰყვებოდათ... რევოლუ-

ციათ ერთი კარგი მენახირე წაგვართვა“.

კოჭლი ცხვარი რევოლუციის ისეთივე მუნი, ტკიპა და წურბელაა, როგორიც ჯაყო, ყვარყვარე და დამპატიჟე, თანაც საგულისხმო ის არის, რომ შემთხვევითობის წყალობით აღზევებულმა ამ სამივე მედროვემ ყველაზე მეტი ზიანი იმ ადამიანს მიაყენა, ვინც ჩააცვა და დაახურა, ვინც აჭამა და ასვა. ასე მოიქცა დამპატიჟეც, ჯაყოც, ყვარყვარეც, კოჭლი ცხვარიც. ლოპრე ტარიელას ბიჭმა დურომ, როგორც მას კუთხურობისთვის დამახასიათებელი სახელით მოიხსენიებს მწერალი, ის კაციც კი არ დაინდო, რომლის მენახირედაც იდგა და რომლის დახმარებითაც ედგა სული. როგორც ჩანს, მხოლოდ ეპოქა იცვლება, ეს პრობლემა კი მარადიულად რჩება ჩვენში.

მოთხრობაში განსაკუთრებულად თვალშისაცემია ერთი დეტალი. ყოფილი მენახირისგან შეურაცხყოფილ-დაზარალებული ავთო, ერთ უვნებელ, მაგრამ მეტყველ შურისძიებას მიმართავს – თხილის სახრეს გამოჭრის და თავის ყოფილ მენახირეს, ამჟამად კი ბატონ დურმიშხანს, კედელზე მიუყუდებს, თანაც მის ხელქვეითებს დაუბარებს:

„ეგ ჯოხი უფროსს აუტანეთ და ეგრე გადაეცით, რომ შენი სოფლელი ავთო იყო ჩამოსული. ესე გვითხრა, რომ სულ ამ კაბინეტში არ იჯდები. კოჭლი ცხვრები მალე ამთავრებენ ფარის სათავეში ყოფნასა და აეს ჯოხი შეინახე, კარგა შეინახე, ნახირი გელოდება, უბნის ნახირი-თქო“.

კედელზე მიყუდებული სახრე მკითხველს იმ მარტივ ჭეშმარიტებას შეახსენებს, რომ ამქვეყნად მარადიული არაფერია, მითუმეტეს დაუმსახურებლად, შემთხვევით მიღებული თანამდებობა და ასე შემთხვევით აღზევებულსა და გაზულუქებულ მედროვე მდაბიოს, ოქროს თევზისა და მეზადურის ზღაპრისა არ იყოს, ბოლოს მაინც იმ ადგილას დაბრუნება მოუწევს, საიდანაც ამოვიდა. გარდა ამისა, სახრე, ერთგვარი მეტაფორაც არის მწერლობისა. მწერალი სახრემომარჯვებული კაცია, რომელიც მკაცრად უნდა ამათრახებდეს ერის სულში ჩაბუდებულ მანკიერებებს. აი, ასეთ სამსახურში დგას გიორგი სოსიაშვილი, რომლის მოთხრობებიდანაც გამუდმებით გაისმის მწვავე, მამხილებელი სიტყვა. მის ამგვარ თხზულებებს ერთი მიზანი აქვს მხოლოდ – ის, რაც ილია ჭავჭავაძემ შესანიშნავად გამოხატა „კაცია-ადამიანის?!“ შესავალში: სარკეში ჩაგვახედოს და ჩვენი უარყოფითი თვისებების გამოაშკარავებით გამოსწორების გზაზე დაგვაყენოს.



თუ „დანიელების“ პერსონაჟთა საქციელი მაინც შეგვიძლია, ომის შედეგად დაღდასმულ ყოფას დავაბრალოთ, მოთხრობა „მუხას“ მოქმედ პირებს არაფერი აქვთ საერთო არც ომის ქარცეცხლთან, არც ოკუპაციის მარწუხებთან. ამ ნაწარმოებში მწერალმა ზნეობრიობის მოშლის, სულიერი დაცემა-დამდაბლების საკმაოდ მძიმე სურათი და სამწუხარო რეალობა წარმოგვიდგინა.

აქ უკვე უცხოს – მომხდურსა და მოძალადეს – ვერაფერს დავაბრალებთ, მიზეზი ჩვენშია, ჩვენი ზნეობაა მოშლილი და მორღვეული. ამიტომაც საკმაოდ მწვავედ გაისმის მწერლის გაუნელებელი ნუხილი და მამხილებელი ხმა – „თქვენ ცუდად ცხოვრობთ, ბატონებო!“

მოთხრობა „მუხა“, როგორც აღვნიშნე, ქართულ სინამდვილეს ეხმიანება და მასში გროტესკულად არის ასახული ჩვენს ლიტერატურულ წრეებში, მეტიც, ჩვენს საზოგადოებაში გაბატონებული შური, ბოღმა, ურთიერთქიშპი და ერთმანეთის გაუტანლობა.

მიკროავტობუსი, რომელშიაც მწერლები და პოეტები იყრიან თავს, რომელიღაც გაურკვეველ ფესტივალზე გასამგზავრებლად, ჩვენი საზოგადოების მიკრომოდელია (შეგნებულად ვთქვი სიტყვა „გაურკვეველი“, თუ რატომ, ამაზე ცოტა ქვემოთ...). ავტობუსში თავმოყრილი ადამიანები ხანდაზმული მწერლები არიან, რომელთაც პირველობის ამბიცია ჰკლავთ, საკუთარი ნაწარმოები შედევერი ჰგონიათ და სხვისი შემოქმედება განქიქების ობიექტად გადაუქცევიათ. ეს ის ხალხია, თავიანთ თავს ქვეყნის უპირველეს შემოქმედად რომ მიიჩნევენ და ნაირნაირი ლიტერატურული პრემიებისა თუ ჩინ-მედლების ფრიალით, ძალასა და ენერგიას არ იშურებენ, რომ როგორმე მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონშიც დაჯავშნონ ადგილი. ასეთია ადამიანის ბუნება – სიცოცხლეში პრემიების მოპოვებაზე ხოცავენ ერთმანეთს და ახლა სიკვდილზეც ხომ უნდა იბრუნონ.

მოთხრობა „მუხა“ გროტესკული რეალიზმის ნიმუშია, სადაც, მკაცრად არის გამათრახებული ჩვენი შურითა და ბოლმით აღსავსე საზოგადოება, დაგმობილი და გაბითურებულია ლიტერატურული ფესტივალები და პრემიები. მიუხედავად იმისა, რომ მიკროავტობუსის მგზავრებმა იციან, სულ ტყუილად მიემგზავრებიან ფესტივალზე, რადგან ჩვენთან ასეთ ღონისძიებებში მონაწილეობა ფორმალურია და პრიზები და ჯილდოები მხოლოდ ნაცნობ-მეგობრებისთვის რიგდება, მაინც მიდიან. მიდიან მხოლოდ იმიტომ, რომ ერთმანეთის ლანძღვით გული იჯერონ, შემდეგ კი გაუთავებელი საჩივრები და ანონიმური წერილები აგზავნონ, სადაც ჯერ არს. ასეთი ფესტივალები სიყალბეა, ფარსია, მოჩვენებითია. ამიტომაც ქრება მოთხრობის ბოლოს მიკროავტობუსის მძღოლიც, რომელსაც არარსებულ ფესტივალზე დასასწრებად მიჰყავს ხალხი (ამიტომაც ვახსენე თავში „გაურკვეველი ფესტივალი“) და ქრებიან მგზავრებიც. ამ ადამიანთა ყოფა, მათი გამუდმებული ბრძოლა პრემიებისა და ჯილდოების მოსაპოვებლად – ილუზიურია და მირაჟით ქრება, ნისლივით იფანტება, რადგან მკითხველი საზოგადოება ხელოვანს მისი შემოქმედებით, მის მიერ შექმნილი მხატვრული პროდუქციით აფასებს და არა რეგალიებით.

მგზავრებგამქრალ მიკროავტობუსში მხოლოდ ორი ადამიანი რჩება. ერთი ხანდაზმული და მეორე – ახალგაზრდა. ხანდაზმულის პროტოტიპი, გავბედავ და

ვიტყვი, ჩემი ვარაუდით, ახლახან გარდაცვლილი გორელი პოეტი გიორგი მახარობლიძეა, რომლის სახითაც მწერალმა თავმდაბლობა, ზნეობრიობა და სიყვარული დაუპირისპირა დემორალიზებულ საზოგადოებას: „არა მგონია, რო შენხელა სიყვარულის კაცი კიდეც დაიბადოს. რა ვიცი, რა დავარქვა, მოხვედი, გაგვათბე, იშვიათი სიყვარული დაგვიტოვე და მერე წახვედი... არც ერთი პრემია რო არა გქონდა, მაგრამ ამ დროს ყველაზე დიდი პრემია კი მოგენიჭა – სიყვარულის პრემია“. თუ ჩემ მიერ გამოთქმული ვარაუდი სწორია, მაშინ იმის თამამად განცხადებაც შეიძლება, რომ დიდებული ადამიანები უძეგლოდ არ იკარგებიან.

ნაწარმოების დასასრულ ხანდაზმული კაცი ახალგაზრდას, ანუ მომავალ თაობას, მუხის ნერგს გადასცემს და მის დარგვას ურჩევს. მუხა, მერქნის სიმტკიცის გამო, უკვდავების სიმბოლოდ ითვლება. მწერალსაც სწორედ ამის თქმა სურს: ხელოვანმა თავისი შემოქმედებით სიყვარული უნდა მოიპოვოს საზოგადოებაში, მხოლოდ ამ გზით შეძლებს უკვდავყოს საკუთარი სახელი, რომელიც მუხასავით ფესვმაგარი იქნება და დროს გაუძლებს, ხოლო მათი სახელები, ვინც მხოლოდ ჯილდოს მოპოვებაზეა ორიენტირებული და დაუმსახურებელ დიდებას ეძიებს, ისევე გაქრება ხალხის მეხსიერებიდან, როგორც მოთხრობის ბოლოს ავტოზუსის გამქრალ-გაუჩინარებული მგზავრები. სწორედ ეს არის გიორგი სოსიაშვილის მთავარი სათქმელიცა და მისი მოთხრობის სიღრმისეული ქვეტექსტიც.

წინამდებარე კრებული, როგორც ითქვა, მრავალფეროვანი თემატიკით არის დატვირთული, საიდანაც საცნაურდება ავტორის წუხილი ჩვენი გაუკუღმართებული ყოფისა თუ გაუცხოებული ადამიანური ურთიერთობების გამო, მაგრამ მის საერთო სახელწოდებად მაინც იმედითა და ოპტიმიზმით სავსე სათაურია გამოტანილი – „ნათლის გვირაბი“. წამოჭრილ პრობლემათა სირთულის მიუხედავად, კალმოსანი მაინც ოპტიმისტურად უყურებს მომავალს, რადგან შესანიშნავად იცის, რომ მწერლობა თანაგრძნობა და თანალმობაა, დაჩაგრულის გამოქომაგებაა. ასეთია გიორგი სოსიაშვილის მწერლური მრწამსიცა და შემოქმედებითი პათოსიც.

კიდევ ბევრი დარჩა სათქმელი გიორგი სოსიაშვილის მოთხრობებსა და ნოველებზე, მაგრამ, ბუნებრივია, ამ ყველაფერს შესავალი წერილი ვერ დაიტევდა. ამასთან, ნიკო ლორთქიფანიძის თქმისა არ იყოს, მკითხველს უნდა დავუტოვოთ ადგილი სააზროვნოდ. იმედი მაქვს, მოაზროვნე მკითხველი ბევრ საგულისხმოს იპოვის „ნათლის გვირაბში“.

**თამარ გელიტაშვილი**

## უთქმელი სადღეგრძელო

– ამის... – თან უნდა რო შეიგინოს, თან თითქო ვერ ბედავს, იტყვი, რო ბაგეს ვერ იმორჩილებს.

– ყველანი...

– რა ყველანი? – ბადრი გაკვირვებით მიაჩერდა.

ქაქანებს, გეგონება მოსდევდნენ და ეს-ეს არის თავი აქ შემოაფარა, მაგრამ სულს მაინც ვერ ითქვამს. ყელზე ხტის დედაძარღვი, ხტის და ბრონეულივით ალაპლაპებულ ლაბაბს უთამაშებს. ცდილობს, რო დაიკავოს ნერვები, ამას თავის თავისთვის ცდილობს, თან ეფიქრება: „გულმა არ დაგიბათქუნოს შე ჩემის გადანგრეულო, ცოტა დაიოკე თავი, დააჭი... მაგრამ გვერდით მდგომების დასანახად უნდა, რო თავისი გავეშება გამოაჩინოს.

– ამ ხეობაში... – სალოკი თითი დააჭყლიტა ნაქელ-ეხარ-ნაქორწილარ-ნაძეობარ-ნაორმოცალ-ნადღეობარ მაგიდას, ქონისა და ხორცის სუნი ბოლომდე რო ჰქონდა გამჟღადარი.

– რა ხეობაში? – ისევ ჩეძია ბადრი.

– რა ხეობაში და აემ ხეობაში, ჯერ მე ვიყავი და მერე სხვები. ეხლა რო უბერავენ, ეხლა ყველანი რო გმირები გახდნენ, ესენი არიან გმირები?

– ვინ ესენი? – ბადრი თვალუბაციმციმებული მის-

ჩერებოდა მალოს და ფიქრობდა, რა დაემართა ამ კაცს, რამ მოუარაო.

– ვინ ესენი და... – ხელი გაიშვირა სუფრიონისკენ.

– მალო არ ვიყო მე თუ...

– დალიე ერთი-ორი ჭიქა, ხასიათზე მოდი, ქორნილია კაცო, რა თავ-პირი ჩამოგტირის, – ქებაანთ ნიკომ ჭიქა მიაწოდა მალოს.

მალომ ირიბად მოხედა.

– ოქროც არ მინდა ამათი.

ნიკომ მხრები აიჩეჩა და თეთრი ღვინით გაპილთუმებული ჭიქა ისევ მაგიდაზე დადგა, თან გულში გაიფიქრა: „ამ ჩემს კოსტას, თუ არ გინდა, დადექი და ეხვეწე ეხლა... მალო, მალო, მალო, მალო, სულ პირველობა გინდოდა, სულ პატივისცემა გინდოდა, სულ ტაშისკვრა გინდოდა, სულ თავკაცობა გინდოდა, ქელეხსა თუ ქორნილში, ნათლობასა თუ სამღვთოებში, სულა... მალო, მალო, მალო, მალო, მოსწყინდი ხალხს და რა ქნას.“ ბადრის თვალი ჩაუკრა ნიკომ.

ბადრი თითქო უთქმელად მიხვდა ქებაანთ ბიჭის ნაფიქრს, უღვაშებში ჩაელიმა.

მალო იდგა და თამადას მოკლედ დაბმული მოზვერივით უბღვერდა.

– აემნაირების დრო რო მოვიდა, აემნაირებისა. აემ ხეობაში, ჩიტი ვერ გაიფრენდა ჩემ გარეშე, გახსომთ?

– თან სუფრას გადახედა.

– გვახსოვს, გვახსოვს, – არსენამ თავი დაუქნია.  
არსენა მალოზე ორი-სამი წლით უმცროსი იყო.

– დაჯე კაცო, დაჯე, – არსენამ თეფში გასწია.

– მოილხინე, ძლივს ქორწილი გვეღირსა, სულ ქელ-  
ეხი, სულ გასვენებები, სულ სიკვდილი... აგვიკლო  
სიკვდილმა, აგვიკლო... – სახე მოელუშა არსენას.

თამადას მიკროფონი ეპყრა, სუფრას გასცქეროდა  
და ენაწყლიანობდა.

მალო იდგა და რა გაეკეთებინა, არ იცოდა. თითქო  
წასვლა უნდოდა, მაგრამ, იტყოდი, ბრძოლის ველიდან  
გაქცევას ერიდებო.

– ვიფიქრე, კაცო!

– რა იფიქრე, – ისევ მიაჩერდა ბადრი, რომელსაც  
ბახუსის ვარსკვლავებით ასციალებოდა თვალები.

– რა ვიფიქრე და ან ეხლა დამლოცავს, ან ეხლა  
დამლოცავს, ან ეხლა გავახსენდება, ან ეხლა მეთქი,  
ველოდებოდი. იმდენი დამსახურება არ მქონდა, რო  
ერთი სადღეგრძელო მაინც დაეღია ჩემი?

– რა დამსახურება, – მიამიტურად ჰკითხა ბადრიმ.  
მალომ თვალები დაუბრიალა.

– შენა მარლენი გაგიგია?

– ვინ არი მარლენი, – თვალები მოწკურა ბადრიმ.

– მე ვარ მარლენი, – ასასივით წამოადგა თავზე.

- მერე იყავი...
- ყველა ერთნაირები როგორ გახდით, ყველა ერთმანეთს როგორ დაემსგავსეთ, რა ვიცი, იტყვი, ერთი კაცის შვილები არიანო. გეგონათ, რო ჩემი დრო ნავიდა? ეგრე მარტივად არ არის საქმე.
- მარქსი და ლენინი... – ჩაილაპარაკა არსენამ და ჩაეცინა უღვაშებში.
- სმენა იყოს, სმენა... ჩემო ძვირფასებო, ჩემო კეთილო ადამიანებო... კაცო, ხო გთხოვეთ სმენა იყოს მეთქი, – ხმა შეეცვალა თამადას.
- კაი მკაცრია ისე! – თქვა ნიკომ.
- თამადა მკაცრი უნდა იყოს, თორემ... – კაკოც აჰყვა, ქებაანთ ბიჭის მეზობელი. ქორწილის დანყების წინ, სანამ მახარობელი შემოვარდებოდა ჭყვიტინ-ჭყვიტინითა და წითელი სამკლაურით, გეგონება ფეხბურთის გუნდის კაპიტანი იყო, კაკოს „სეკაში“ გაეფცქვნა მექორწილენი და თან თამადას უსმენდა, თან მოგებულ ფულს უკვე ათჯერ ითვლიდა გონებაში.
- აბა ის არის თამადა? – ბადრიმ. – ვალოს ბიჭის ქორწილში აბიდუბი რო ჰქონდა, გუზოზე ვამბობ.
- დაბერდა, გამოშტერდა, სიბერემ არც თამადა იცის და არც ტოლიბაში, ბადრიჯან, – ჩაელიმა არსენას. – იცი რა არის სიბერე? რო დაბერდები, მერე მიხვდები. რა მოსაგონი იყო, რა მოსაგონი.

– დაჯე, ბიჯო, დაჯე, – ისევ მალოს მიუბრუნდა არსენა, თან ჩაიბუტბუტა: – მალო, მალო, მალო, მარქსი და ლენინი, მარლენი... რამ დაარქმევინათ, კაცო, მარტო იმიტომ გაანათლოს მამაჩემის სული ღმერთმა, მარქს-ლენინა რო არ დამარქვა. როგორ გინდა, მთელი ცხოვრება მარქს-ლენინი გერქვას. ეხლა კი მალო გახდა, მაგრამ მაინც რო მარქს-ლენინია. სად არსენა, სარ მარლენა... – ქირქილებს.

– ეხლა ხო იცი, – კაკოს ჩასჩურჩულა არსენამ. – თამადას უნდა დაელოცა, ელოდებოდა, ერთი სული ჰქონდა როდის გამოაცხადებდნენ ამ კვახივით გასახეთქს, ამას. თავის სადღეგრძელო ყველა ოჯახს დაანესებინა, იტყვი რო პრისტავი იყო, თუმცა... აღარ არის ის დრო და ველარ ეგუება, ველარ ელევა. მალო, მალო, მალო, მალო. აბა, ვინმეს სუფრა გაეშალა და არ დაეძახა, მარტო დაძახება? სუფრის თავში არ გამოეჭიმა და თამადად არ დაენიშნა, უუ, მერე გენახათ. აბა, ვინმეს სოფლის საქმე გადაენწყვიტა მალოს გარეშე, აბა ვინმეს მიჯნა-სამანზე ნადავებულ-ნაკინკლავებული მეზობლები მალოს გარეშე დაეშოშმინებინა. ნასწავლი კაცია და ყველგან უძახდნენ. პარტორგი იყო, არაფორმალების უფროსიც იყო, ყველაფერი იყო მალო, ყველაფერი, – ჩურჩულებს არსენა.

შეეჩვია და რა ქნას. შეჩვევა იცის ყველაფერმა.

მარქსი და ლენინიც ხომ შეეჩვივნენ მალოს. ერთად დაბინავდნენ მის სახელში. კიდევ კარგი, რო საწყალ მამარქემს ვინმე არ შეუჩნდა, თორე მეც ხო მალოსავით ვიქნებოდი, შეიძლება ლესტალი დაერქმია და მალოსავით ლესტო შემრჩენოდა, – ცრემლებით ჩაკუჭკუჭდა არსენა.

– თანამედროვე ქორნილი კი კარგია, მაგრამ მთლად ნუ დავივინყებთ ტრადიციებს, ძალიან ხმაურია ხალხო, ერთმანეთს მოვუსმინოთ.

თამადის სიტყვებს მიკროფონის ზმუილი მოჰყვა.

– გაასწორე ბიჯო, – დამკვრელებთან მოკალათებულ შავტუხა ბიჭს გასძახა. შავტუხა ბიჭიც უცბად მივარდა ერთმანეთზე დალაგებულ შავ ყუთებს, დახლართულ სადენებში შეყო თითები და მიკროფონმაც შეწყვიტა ზმუილი.

თამადამ დამკვრელებს თვალით ანიშნა – ჯერ არაფერი დაუკრათო, მიკროფონს სალოკი თითი ნაზად წაუთათუნა, ისევ აზმუვლდა მიკროფონი. ისევ წამოხტა შავტუხა ბიჭი და ისეთი თვალეები ჰქონდა, რო თამადის შეგინებას ელოდა. ისევ აფათურა ხელი შავ სადენებში და მიკროფონის ზმუილიც შეწყდა.

თამადამ ის იყო სადღეგრძელოს თქმა დააპირა, ნეფე-დედოფლის ხელისმომკიდე-მეჯვარეები უნდა დაელოცა, რო მაგიდასთან მალე მიიჭრა.

– ხო არა მლოცავ!

თამადა ჯერ თვალეზანაკვერცხლებულ, შუახანს გადაცილებულ უცნობ კაცს მიაშტერდა, მერე გვერდით მჯდომ თანამესუფრეებს გადახედა.

– ვინ არის ეს კაცი?

– მე ვინა ვარ? – კითხვა შეუტრიალა მალომ. – ველარ მცნობთ არა? ხო ველარა მცნობთ.

– რა გინდა კაცო, შარზე ხო არა ხარ, – თამადამ მიკროფონი გვერდით დადო და ბასრი მზერით შეხედა.

– შარზე კი არა, მე ვიცი, შენ რაც გინდა.

თამადამ ისევ გვერდით მჯდომებს გადახედა, მერე დამკვრელებისკენ გაექცა მზერა, მერე ნეფე-პატარძლის სუფრისკენ.

– რა უნდა ამ კაცს, ვინ არის?

– ვინც ვარ გაჩვენებ. ხეობაში იკითხე და გეტყვიან მალო ვინ არი!

– იცნობთ ამ კაცს? – ხმამაღლა, თითქო ვილაცის გასაგონად იკითხა თამადამ, უმიკროფონოდ.

არავის ხმა არ ამოუღია. თითქო მალო პირველად დაენახოთ და თავიანთი თანასოფლელი არ ყოფილიყოს.

– არავინ გიცნობს, – მიაჩერდა დამცინავი თვალეზით თამადა. – რომ არავინ გიცნობს, ე.ი. არ არსებობ

და რო არ არსებობ, როგორ დაგლოცო. შენ კი მეძალავები – დამლოცე, დამლოცეო. არ ვიცი, – მხრები აიჩეჩა თამადამ. – რა ვთქვა, კაცი ასე ძალადობდეს საკუთარ სადღეგრძელოზე.

– შეჩვეულია, შეჩვეული, – საიდანლაც არსენას ხმა გაისმა.

– მიჩვეულს ნუ გადააჩვევო, ხო იცი, – მგონი კაკოს ხმა იყო.

– დალოცე ერთი შენი ქირიმე. დალოცე მალო, – ეს ვინლა იყო, მგონი ბადრის ხმას წააგავდა.

– დალოცე მალო, დალოცე... – კიდევ ვილაცამ დაიძახა და ამ ხმას ხარხარი მოჰყვა. ეს ხარხარი თამადასაც გადაედო.

– მალო, მალო... – ბუტბუტებს თამადა და ლამის არის, ჩაბჟირდეს.

ირყევა მაგიდა ნაქორნილარ-ნაქელეხარ-ნადლეობარ-ნაძეობარი...

**28 ღვინობისთვისა,  
2016 წელი, დიცი**

## რას გაუგებ ანგელოზებს?

ბ.რ.-ს

– მე არაფერი ცოდვა არ ჩამიდენია, ხო გაიგე, თავი დამანებე ერთხელ და სამუდამოდ, შემეშვი, მომწყდი... – ხელ-ფეხი უთრთის, თითქო უკანასკნელი ნამებოდა ღარჩენოდეს, ენა კბილებში ებლანდება, კისრის ღარში წურწურით ჩასდის ოფლი.

– რას მიყურებ?

ის დგას და ხმას არ იღებს. უჩუმრად აკვირდება, იტყვი, ამ უბედურ დღეზე გაჩენილი კაცის ცოდვით იწვოდეს. უნდა ახლოს მივიდეს, ხელით შეეხოს, ანუგეშოს, მაგრამ არ შეუძლია, არადა, როგორ უნდა... გამხმარ, დაბეხრეკებულ, ხეთა საიქიოს ბინადარი მუხის ყლორტივით შესცქერის შთამომავალს. მოფერება უნდა, სიყვარული უნდა, ჩახუტება უნდა, ჩახუტება... არ გამოსდის. არადა, ერთი მაგრად ჩაეხვეოდა, ჩაჰკოცნიდა და ეტყოდა, შენ იცი ვინა ხარ? ის დაელმებული, თან წყრომით დაღრუბლული თვალებით შეაშტერდებოდა, აი, ისეთი თვალებით, ვილაც უცხო კაცი რო გეჯიგრება და მოშორება რო გინდა. იცი ვინა ხარ? ჩემი... ჩემი შთამომავალი ხარ, გაიგე? მიყურე ეხლა ეგრე, ხო, ხოო, დიდი ხნის დამიწებული რო გგონივართ და შენდობის ჭიქასაც აღარ იმეტებთ, ეგრე სად არის? გგონიათ

სულ ეგრე იქნებით, ბებიათქვენისამ, მეც მიდულდა ერთ დროს სისხლი და თან როგორ იცი? ქოლესტერინიანი კი არა, ეგ რალაცეებიც ვიცი, მაღლიდან ყველაფერს ვაკვირდები. ისეთი სისხლი მქონდა, დულდა მზეჩამდგარი მაჭარივით, ხმაურობდა. მკლავიც მერჩოდა. აბა, ამას დახედე, თუმცა რალას დაინახავ, სხეული აღარ მაქვს და ისე, ვიცი, რო არ დამიჯერებ. აჰა, გიყურებ, გხედავ და არ მიჯერებ. მოკლედ, ჩემი შთამომავალი ხარ, გინდა, თუ არ გინდა, მოგწონს თუ არ მოგწონს, ეგრეა. მე რო არ ვყოფილიყავ, შენი სახსენებელიც არ იქნებოდა. შენდობის ჭიქა, შენდობის ჭიქა როგორ უნდა დაგენანოს. აილე დალოცვილო, მომიგონე, წამიქციე ერთი წინწკალი. არადა, ერთ დროს შენც ეგრე მოგიწევს. ღამით, სიზმარში გამოეცხადები შენს შთამომავალს და იმის მტკიცებას დაუწყებ, რო მისი წინაპარი ხარ.

რა არის წინაპრობაში ცუდი.

ვხედავ და ვტკებები, არ გავმქრალვარ, მარტოსული არ ვარ. ვამჩნევ, ჩემი სხეული ისევ დადის მიწაზე და ეს შენ ხარ.

მიუახლოვდა ბიჭი, თუმცა რალა ბიჭი ეთქმოდა, ოცდაათი წლის თმებშეფერფლილ კაცს, უფრო უარესად შეკრთა, ხელი გაიქნ-გამოიქნია, მერე ისევ უკან-უკან წავიდა.

– ეშმაკი ხარ?! – დაიღრიალა და უმწეო თვალებ-

ბით გასაქცევს ეძებდა.

– ვინ არის, ბიჭო, ეშმაკი, შე მამამიფსმულო, შენა, სულ გადაირიე? ამას უყურე ერთი. მფარველმა ანგელოზმა სიკვდილის მერე სამჯერ გამომიცხადა პატიოსანი ცხოვრებისთვის მადლობა. ეს რა მაკადრა ამ მაიმუნმა. ღმერთო, შენ მიშველე! – უხორცო ხელით გადაიწერა პირფვარი.

– იცი, სადაც არის ჩემი საფლავი?

ბიჭი თუ კაცი ისევ დამფრთხალი თვალებით შესცქეროდა თეთრსამოსიან წვერიან ლანდს, სახე რო არ უჩანდა, თითქო განგებ მალავდა.

ლანდმა თავი გააქნია.

– ამას წინათ ის შენი მეგობრები რო მოგადგნენ და სასაფლაოზე ტყემლებთან წაგიყვანეს, კლასელის დედის სახელზე რო ბატკანი წამოაქციეთ, ხო გახსოვს?

ბიჭი თუ კაცი გაშტერებული უმზერდა.

– იმ ტყემლების ძირში ასაფლავია შენი წინაპარი, სადაც იქეიფეთ, ჩემი საფლავის ძველისძველ ქვაზე ხავსმა და ბალახმა რო ამოკენკა წარწერები. საცოდავმა ჩემმა ცოლმა დამადგა ის ქვა. ღმერთმა გაანათლოს, დავკარგე გარდაცვალების შემდეგ, სად წავიდა, აღარ მენახვება. ბევრი ვეხვეწე ანგელოზებს – მაჩვენეთ, მთელი მიწიერი ცხოვრება ერთად გავატარეთ-მეთქი, მაგრამ არ მაჩვენეს, რას გაუგებ ან-

გელოზებს. ჩემი სახელი და გვარიც აღარ ეტყობა. დრომ ხავსსა და ბალახს შეაჭმევინა.

„მომიხსენე უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა“.

ზედ იდგა ჩემი საფლავის ქვაზე ღვინით გაპილთუ-მებული ბოცა, მე კი შენდობის ჭიქა მენატრებოდა. იქვე იჯექი, იქვე, სულ ორიოდ ნაბიჯის იქით, ხითხითებდი გულიანად, მე კი გული მემდულრებოდა. დამინებულს აბა, სადღა ჯანდაბაში მაქვს გული, მიწას გამოეხრა, შეესანსლა და ის გული ერთ დროს რო ბაგა-ბუგი გაუდიოდა, ეხლა საფლავის მიწად იყო ქცეული, თურმე გულს კი არა, ერთ მუჭა მიწას დავატარებთ ადამიანები, საფლავის სალუკმეს. მიწამდეც არ ვაცლით მისვლას, ვუჭამთ და ვუხრავთ ერთმანეთს. რა გული გამომაჭამაო, გული გამიხეთქაო, გული გამიწვრილაო... ყველაფერი გულია თითქო და ის ყველაფერი ერთი მუჭა მიწაა.

ისე გეშინია ჩემი, ისე, თითქო სულთამხუთავი გადგეს თავზე. შეგეშინდება, სული ვარ და სულის დანახვა არავის უნდა, გეშინია, მაგრამ, რა შემიძლია, უხორცო არსებამ სულ რო გულმოსული ვიყო, რა უნდა დაგიშავო ჩემს შთამომავალს. ვიცი, ვერ მცნობ ან საიდან უნდა მცნობდე?! რამდენი წელი გავიდა, რაც აქედან წავედი, ვინ მოსთვლის. მე თვითონ აღარ მახსოვს ხეირიანად, როდის ვიყავი ცოცხალი. ჩაეცინა... მართლა კი არ დაი-

ჯერო, ყველაფერი მახსოვს. ყველაფერი, ჩემი მიწიერი ცხოვრების ერთი წამიც კი არ დამვიწყებია, დავატარებ ეგრე მიწაზე გატარებულ დღეებს, საათებსა და წუთებს... ცოდვილ ადამიანს სულ თან დასდევს თავისი ცოდვები. გგონია რო წახვალ და ამით მთავრდება? რამდენი წელია, რაც მიწის შვილი აღარ ვარ, მაგრამ მაინც თან დამდევს. მაინც თვალწინ მიტრიალებს საუკუნეზე მეტი ხნის წინ ჩადენილი რაღაცები. ცოდვა სულში რჩება, მიწა არა ჭამს სხეულთან ერთად.

რისთვისაც გამოგეცხადე, ის არ დამავიწყდეს. ან-გელოზებს დავეთხოვე, რო შენთან მოვსულიყავი.

– რა უყავით იმ ვენახს?

ბიჭს თუ კაცს უარესად გაუფართოვდა თვალები.

– ვხედავდი როგორ გაჩეხეს, როგორ ამოძირკვეს, მერე გადახნეს, საძირკველი გაჭრეს. საფლავში ვირყეოდი. ძვლებს ჩხარა-ჩხური გაუდიოდა. იტყოდი, რო არასოდეს დამთავრდებოდა მიწის ბორცვა.

– მე არაფერი გამიჩეხია. რა ვენახი, რაღაც შეგეშალა, სხვა ვიღაც გგონივარ, ალბათ.

ჩაეცინა.

– მე მიწიერი არსება აღარა ვარ, ეგრე მარტივად რო მეშლებოდეს ყველაფერი. მანდ დიდი ვენახი იყო, ჩემი გაშენებული ვენახი. მიწიერი ცხოვრება რა მოსანატრებელია, მაგრამ ვაზის მოფერება მენატრება.

ცაშიც არის ვაზი, მაგრამ ცის ვაზი სხვანაირია.

გაყურდა. თითქო ბოლო სიტყვები ესლა იყო და ამით დაასრულა შთამომავალთან საუბარი, რომელიც შეშინებული, დამფრთხალი მისჩერებოდა. რამდენიმე წამი გაგრძელდა დუმილი, სულის დუმილი.

– ეხლა იმ ყლორტების შეხება ვიგრძენი, ულვაშა-პრეხილი, საბედოსავით რო დაეძებს სარს. ვიგრძენი მისი შეხება და ის წამები მომენატრა. ვაზს ვესაუბრებოდი ხოლმე, ჩამოვუჯდებოდი და ვესაუბრებოდი. უთქმელად მაგებინებდა სათქმელს. ასე მეგონა, სამყაროს გაჩენისას დედამიწაში მზე ჩაელვარა გამჩენს და ის ჩალვრილი მზე ვაზად გადაქცეული ამოდის. ვაზი მზეა. გინახავს სარზე ულვაშმოხვეული ვაზი? ვნებიანად რო შემოეჭდობა, აი, ყმანვილ გოგოს რო მოეხვევა ვნებადარეული ბიჭი, ვაზიც ეგრე ჩაიცხრობს ხოლმე ვნებებს, გადაეჭდობა თავის ნაპოვნ საბედოს.

სარზე შემოხვეული ვაზის ულვაში თუ ჟრუანტელს არ დაგიტარებს, აბა რა ვთქვა...

– იმ ადგილზე, სადაც ჩემი ვენახი გაჩეხეს, – ისევ ამოიოხრა. – ცვარიც კი დათვლილი მქონდა ხოლმე. ჩემს ვენახს ვარსკვლავების ცრემლი დასდიოდა, თითქო დაკარგულ უბინოებას დასტიროდნენ დალოცვილი ვარსკვლავები, ღრუბელგაფლეთილი ციდან რო დედამიწილები გამოიჭყიტებოდნენ... გაჩეხეს

და სახლები ააშენეს... იქ არის შენი სახლი. ჩემს ნაგენახარზეა შენი სახლი. არ გახსოვს, ვიცი.

ბიჭმა თუ კაცმა, უარის ნიშნად, თავი გააქნია.

– ხო არ გჯერა ჩემი. მითხარი, რო არ გჯერა. მალე შემეხები ხელით, იგრძნობ, რო ვარსებობ და შენ გვერდით ვარ... მალე, მალე... ეგრე მარტივად არა მთავრდება ადამიანი. იმ სახლის ძირში ვარ ჩარჩენილი, ქვეშა ვარ, – ჩაიცინა, მერე ხელი დაუქნია და გაუჩინარდა.

\* \* \*

– მე არ მახსოვს, მაგრამ ჩემი მამამთილი იტყოდა ხოლმე...

– რას ამბობდა?

– რასა და აქ სახლი არ უნდა აგვეშენებინაო. ნანობდა, მაგრამ რაღას იზამდა, ნიკომ გამაბრიყვაო.

– ნიკო ვინ იყო? – დედას შეაცქერდა თვალებში არჩილი.

– პაპაშენის ბიძაშვილი იყო ნიკო. მე რო მომიყვანეს აქა, – დარომ დატკეპნილ ჭაღარა თმებზე თავშალი შეისწორა. – შაფათას ალიზის სახლი რო იდგა, გახსომს?

არჩილი ჩაფიქრდა.

– ჩახრიალასთან რო ალიზის სახლი იდგა. ბენოს ბიჭმა რო იყიდა, ჰა!

– ჰოო, – არჩილმა თავი დაუქნია.

– იქა ცხოვრობდა ნიკო. უშვილძირო იყო, მე ჩამეონდა ხოლმე კერძები, მარტოდმარტო ცხოვრობდა. თავზე ენგრეოდა ალიზის ქოხი, კრიშა სამადლოთ დაუფარეს, წვიმა დასდიოდა უბედურს. იტყოდა ხოლმე არაფერი მწამდა და ღმერთმა დამსაჯაო. მართლა არაფერი სწამდა. უღმერთო კაცი იყო, – აცრემლებული, მწვანე თვალები თავშლის ბოლოთი ამოიმშრალა. – აეგრე დამსაჯაო. შვილის ღირსი მე არ გამხადა და ძირის ღირსიო. ახალი პატარძალი ვიყა, ჩამეონდა ცხელი საჭმელები. თავის თავს ელაპარაკებოდა ხოლმე... რალაცებს ბუტბუტებდა, აბდაუბდა ლაპარაკობდა, ხელებს აფათურებდა, თითქოს მოჩვენებებს იგერიებდა.

ლექსა წუხდა ხოლმე, აექაო, ამ ადგილზეო, პაპაჩემის ჩაყრილი ვაზი იყოო, დიდი ვენახი ყოფილა. აი, ჩვენი სახლის ირგვლივა, მე არ მახსოვს, ის ვაზი ამოუყრიათ და სახლი ჩაუდგამთ. მოსვენება ჰქონდა დაკარგული სიბერეში – ეს რამ გამაკეთებინაო. ადგა და სხვა ვენახი გააშენა, თითქოს ამით უნდოდა გამოესყიდა დანაშაული...

ნიკო შემომიჩნდაო. აემაგაზე კაი სასახლკარე ადგილი სად უნდა ნახო. გზა აქ არი, კვალი აქ არიო. ბალების ბოლოში ჩამადგმევინა სახლი. რა ეშმაკი შემიჩნდაო. სანყალი ჩემი მამამთილი, რაც ჯანი და ღონე ჰქონდა

უკლებლივ შეახარჯა და შეაღია ამ არემარეს. შენ უნდა გამრავლდე და გაიხარო შვილო! იმის დანატოვრები უნდა გამრავლდეთ.

\* \* \*

- სიბნელეა...
- ცოტა ნათელი ხო ჩანს?
- იქ გათენებას ველოდებოდით ხოლმე.
- მახსოვს.
- მზის ამოსვლა ჩამრჩა, სულ მზის ამოსვლის მოლოდინში ვარ.
- აქ სხვანაირ მზეს ვნახავთო.
- მზეთამზეს ნახავთო.
- სულ იმ გათენების მოლოდინში ვარ ნიკო. ასე მგონია, ამოშუქდება და ნამიანი ბალ-ვენახი მელოდება. ნიკოს ხმა არ ამოუღია.
- რას გაუჩუმდი?
- რა ვიცი, რა ვთქვა, – მძიმე-მძიმედ თქვა ნიკომ და ამოიოხრა. – იქაც ლოდინი, აქაც ლოდინი.
- მე უღმერთო ვიყა, შენ ღმერთიანი, მაგრამ მაინც ერთად მოვხვდით, – ჩაეცინა, უცნაური ბგერები აღმოხდა.
- ანგელოზებმა ერთად დაგვაბინავეს.
- რას გაუგებ ანგელოზებს ნიკო, – ჩაილაპარაკა

ლექსამ.

– ჩვენ რა შეგვიძლია...

ლექსა ჩაფიქრდა.

– მაინც იქაურობას მისტირიხარ, იქაურობა გენატრება.

ლექსა ხმას არ იღებს.

– ხო გენატრება?

– რას ჩამაცვივდი, კაცო!

– ვიცი და იმიტო.

– მინას მისტირი. მინამ შეჭამა შენი ჯანი. მინამ გამოგხრა. დაყამირდა შენი ხორცი... ისევ მინას მისტირი?

– ღმერთმა დამსაჯა ნიკო, ღმერთმა დამსაჯა.

ვილაცის ჩურჩული მოესმათ.

– გათენდებაო.

– სულ ასე სიბნელე არ იქნებაო. თითქო რიჟრაჟია, მაგრამ არც რიჟრაჟს არ ჰგავს.

– ანგელოზები რას ამბობენ.

ლექსა და ნიკო ერთ წერტილს მიშტერებიან.

– თითქოს სინათლე მატულობს, – ბუტბუტებს ლექსა.

\* \* \*

– მეც წამიყვანე პაპა!

თავჩალუნული დგას და ანგელოზს ელოდება.

– წამიყვანე რა! ხომ წამიყვან.

ისევ მდუმარე დგას, თითქო არც ესმოდეს მისი ხმა.

– ლექსა ვარ, პაპა!

ამოხედა და ისე შეაცქერდა, იტყოდი, თვალი არასოდეს მოეკრა ამ არსებისათვის.

– ლექსა ვარ პაპა! – შეხება სცადა, მაგრამ ვერ მისწვდა.

– ლექსა ვარ! – ხმა აუთრთოლდა...

– მეც წამიყვანე, გემუდარები, მეც წამიყვანე. ვიცი სადაც მიდიხარ, ჩემი შვილიშვილი... ჩემ ეზო-კარს დავხედავ. ჰო, არ უნდა გამეჩეხა ის ვაზი, ვიცი დამნაშავე ვარ. შენი ჩაყრილი ვაზი იყო, შენი ნაამაგარი. ზედაშე ჩამოგინურია იმ ვაზიდან და გერის სალოცავისთვის შეგინირავს. ფეხით ასულხარ გერში, ეგეც ვიცი. თითქო თვალი უბნელდება ისედაც ბნელში მყოფ ლექსას.

მცირე ხანში მოხუცი აღარსად ჩანდა.

ნიაფი უბერავდა და ბნელ სივრცეში ირნეოდნენ ღრუბლები.

\* \* \*

აღარ ეშინია არჩილს, უკვე შეეჩვია. უკვე იცოდა, ვინც არის. კარგად ვერ ხედავს ნამძინარევი თვალეზით, მაგრამ ხვდება, რო ის არის.

დგას და შესცქერის ზეციდან ჩამოსულ არსებას.

– რო გგონიათ, ვაზი უკვე სიკვდილის პირას არის,

ხმელი რო გგონიათ უკვე, სიცოცხლის ნიშან-წყალი რო არ ეტყობა... იტყვი, რო მიწის წვენი ველარასდროს გამოიწურება იმისგანა. ღვინო ხო მიწის წვენია. მიწის წვენით ვლოცავთ ერთმანეთს, მიწის წვენით ვიგონებთ, ვაზი იმიტომაც არი დალოცვილი, რო მიწამ ვაზი არჩია, ვაზთან შეუღლდა და ერთადერთი, რაც მიწის წვენს გვაძლევს, ვაზია. იმიტომაც ეფერებოდნენ ჩვენი წინაპრები. ღვინის სიყვარული აქ არაფერ შუაში იყო, ლოთები კი არ იყვნენ. მიწის გულიდან გამოსულ წვენს მიირთმევდნენ და უფრო სიყვარულიანები ხდებოდნენ, უფრო თამამები, უფრო ალალები. სიამაყე, სიყვარული და სიალალე რო უყვარდათ, იმიტომაც შეიყვარეს ვაზი. იმ ხმობაში წასული, ვითომ სიკვდილს მინებებულები ვაზივით ვარ მეცა, – ჩაელმა.

კიმელა რო კიმელაა, იმის მოსხმის იმედი რო აღარავის აქვს, იმ ვაზივითა ვარ. წავედი დავიწყებაში, ჩავიძირე მოუსავლეთში. ღმერთმა კი შემიფარა, იქაც მომცა პატარა ვენახი, აბა, შენ ამას როგორ დაიჯერებ მზე პირდაპირ ჩემს ვენახში ამოდის ხოლმე. თქვენ რო ახლად ამობრდღვიალებულ მზეს ხედავთ, ის მზე უკვე ჩემს ვენახშია მოღლილი. ჩემი ვაზის მოფერებით არის მოღლილი. უფალს დავპირდი, ზედაშე უნდა შემოგნო-ნო-მეთქი, როგორც ადრე შევნირე. აიმ ვენახიდან, რო გადახანით და სახლ-კარი წამოჭიმეთ. შენ რა

შუაში ხარ. პაპაშენი... მეხვეწებოდა, წამიყვანეო, აქეთ მოიწვედა. ვითომ ვერც ვიცანი.

პაპა, პაპაო, დამძახოდა. მოვიყრუე ყური. როგორც იმან მოიყრუა ჩემს გაშენებულ ვაზს რო მიადგა. მეც ეგრე მოვიყრუე. ყველა ვაზის წინა ვხვდებოდი და ვკენესოდი. არ ესმოდა, თითქო დაყრუებულიყო.

გამხმარი ვაზივით ვარ-მეთქი. რო გგონიათ დედა ეტირა, პატრონს ჩაბარდა. მაშინ წამოიღებს ხოლმე, მინა თითქოს სიკვდილის საშუალებას არ აძლევს. მენც ეგრე ხარ ჩემთვის, ეგრე ამოხვედი მიწიდან.

– წამომყე ერთი ცოტა ხანს!

არჩილთან უფრო ახლოს მივიდა ლანდი. არჩილს არ შეუმჩნევია, მაგრამ თანდათან სიცივე შეეპარა ტანში, შიშმა აუარ-ჩაუარა.

– ნუ გეშინია! – თითქო დამშვიდება სცადა.

– არ მეშინია, რისი უნდა მეშინოდეს.

– გეშინია, ადამიანი ხარ და გეშინია, მეც რო ვიყა ადამიანი, მეც მეშინოდა.

– ჩაიცვი და წამომყე ცოტა ხანს!

\* \* \*

– მოიცა!

– მომყე, მომყე! ნუ გეშინია.

– მოიცა-მეთქი. – ისევ დაუძახა.

შედგა და სიბნელეში აქეთ-იქით გაეცა მზერა. თანდათან ძალას კარგავდა ღამე. ბჟუტავდნენ ვარსკვლავები. ხრინწიანი ხმით შეუტია ღამენათევ მთვარეს სოფლის განაპირა სახლის წინ მსხლის კენწეროზე მოფხიზლებულმა მამალმა.

ახლალა იგრძნო შიშველი ფეხები. დაიხედა და მაინც ვერ მიხვდა – ცხადი იყო თუ სიზმარი.

– სადა ხარ?

– აქა ვარ.

ვერ დაინახა, მაგრამ ლანდის სიახლოვე იგრძნო. თითქო უცნაური სიტბო მოდიოდა მისგან.

– თენდება! სულ მცირე ხანი დამრჩა. გამომყე, იმ ადგილს გაჩვენებ და მერე დაბრუნდი.

– რა ადგილს?

– სადაც შენდობის ჭიქის წასაქცევად მოხვალ ხოლმე...

მაინც ვერაფერს მიხვდა. ცოტა ხანში უფრო გაფერმკრთალდა ღამე და კიდევ უფრო მოიკუნტა მამლის ნისკარტით დაკენკილ ცაზე დაკიდული ძალადაკარგული მთვარე.

– მზე ამოვა მალე ჩემს ვენახში.

ლანდის სიცილი ჩაესმა და ტყემლის გამხმარი ტოტი მოხვდა სახეში. ეგონა, რო თვალი გამოეთხარა. წაბარბაცდა, იქცეოდა, მაგრამ ლანდმა შეაშვე-

ლა ხელი. თანდათან დაეწმინდა გონება, თვალისჩინი დაუბრუნდა. სახეზე ხელი მოისვა, სისხლი მოსდიოდა. სასაფლაოზე დაიბადა აპრილის დილა. შიშველი ფეხებით იდგა ნამიან ბალახზე და ძველისძველ, ქარაგოზიან ქვას დასცქეროდა.

„მომიხსენე უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა, მონა შენი არჩილი“.

ლანდს დაუნყო დაკანრული თვალეებით ძებნა. ლანდი აღარ ჩანდა... ახლალა შეამჩნია, რო სალოცავთან ახლოს იდგა... სამი თითი მიიტანა შუბლთან. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რო უხილავმა არსებამ მის მაგივრად გადაიწერა პირფვარი...

\* \* \*

ვიცოდი, რო სადღაც მაინც ამოყოფდა თავს. ვიცოდი... დღეს თუ ხვალ მაინც ასე იქნებოდა. ხო გეუბნებოდი, ზოგჯერ ჰგონიათ, რო გახმა, დაამთავრა თავისი წილი წუთისოფელი. არა... ქალ-სიძესავით არიან მინა და ვაზი, ქალ-სიძესავით. ვაზის გარეშე მინას რა ფასი აქვს.

მზეჩამდგარ მტევანზე დიდი სასწაული რა უნდა ნახო. ყველაფერი აქ არი. მზეც აქ არი, მინაც არ არი, სიყვარულიც აქ არი, უფლის თვალეებიც აქ არი. პირველი ჩამონაწერი სულ პატარა ბიჭი ვიყა, გერის წმინდა

გიორგის კარზე რო ავიტანე. ასე მეგონა, მზე მყავდა ქვევრში დამწყვდეული, ზედაშეს რო ვინახავდი. ფეხით წავედი, დილაღამიან გაფუყევი ამ დალოცვილის გზა-სავალს. სალოცავის ფერდობზე ამაცილა მზემ. იქ მომისწრო. ავედი, ავიტანე ეს ჩემი პირველი ჩამონაწერი და ღვთის კარზე დავილოცე. ბარაქა არ გამომღევია მას მერე, მიწის წვენიტ და შემოდგომის მზით ივსებოდა ჩემი მარანი. ამბარი მზის მარცვლიტ მქონდა სავსე. ღალიანი ძროხები მიბლაოდნენ ბოსელში, თონე არ ნელდებოდა და სტუმარი არ ილეოდა. მერცხლები ერთმანეთს ეცილებოდნენ ჩემს აივანზე და ანგელოზები დასტრიალებდნენ ჩემს არემარეს...

ვიცოდი... ვიცოდი, რო მაინც ამოვიდოდა, გული მიგებდა. ღმერთმა ცაშიც კი მომცა ვენახი... მზე ჩემს თვალწინ ამოდის...

სახლის კედლის ძირში ამოსულ ვაზს დასცქერის არჩილი და ღაპა-ღუპიტ ჩამოსდის ცრემლი.

მიწის ნამცეცი არსად ჩანს და აქ საიდან ამოხეთქა ამ დალოცვილმა?!

12 გიორგობისთვისა, 2016 წელი  
დიცი

## უიღბლო

– უკაცრავად, ხო აწერია...

დაბნეული იყურება, ისეთი თვალები აქვს, თითქო სადმე შეძრომას აპირებდეს. ხან ერთი კუთხისკენ გაექცევა მზერა, ხან მეორისკენ, ხან სარკმლისკენ, სქელი ჟალუზით რო დაუფარავთ. იტყვი, რო მოსდევდნენ და უცბად შემოასწრო, აქ შემოაფარა თავი, მაგრამ აქაც რო მოაგნონ, აქაც რო მისწვდნენ, მერე რა ქნას, მერე სადღა წავიდეს.

– მიღების დღეები აწერია ბატონო, გუშინ თქვენ არ იყავით?

ისევ დაბნეული იყურება, ახლადგალვიძებულივით უაზროდ აცეცებს თვალებს.

– თქვენ გეუბნებით ბატონო... – ქალმა ხმას აუწია. ჟურნალი, მგონი მოდების, დახურა, გვერდით მისწია, წყლით სავსე, წითელგულმიხატული ფინჯანიც გვერდით მიახოხა, იტყოდი, რო მისაღებ ოთახში შემოსულ აბუზულ კაცს პირისპირ უნდა შეებასო. ის კიდევ უარესად დაიბნა: – გუშინ ხომ იყავით- მეთქი.

ქალს თითქო ვერც ხედავდეს. ჩაგმანულ სარკმელს მიმტერებია. ცაც არ ჩანს აქედან, თითქო თვალები აუხვიეს ამ საოცარ შენობას.

– ვიყავი, ვიყავი, – ძლივს ამოღერღა. – შეიძლება, წყალი რო დაველიო?

ქალმა ამრეზით შეხედა, მერე წითელგულმოხატულ ფინჯანს დახედა.

– აღარ არის წყალი, გათავდა. ეზომია ონკანი. „დაცვა ამათ და ჯანდაბა. საშვი, საშვი ვინ მისცა ნეტავ, ისევ ის გამომტერებული აცლაყუდა მორიგე, როგორ არიგებს ამ საშვებს. ეს თუ არ გავაგდებინო...“

– მე თქვენ მახსოვხართ, – თქვა მობუზულმა და ეცადა, ცოტა გაშინაურებოდა ტანამოლტილ, ტყავის ქვედაბოლოშემოტკეცილ მდივანს, რომელსაც მეშვიდე უფროსი ჰყავდა გამოცვლილი.

– არ არის მიღება, გუშინაც გითხარით, გუშინწინაც, იმის წინაც.

– აა, – თავი დააქნია აბუზულმა. – გუშინწინაც ვიყავი, მართალია, გუშინწინაც და იმის წინაც. სულ დავდივარ მოკლედ... სულ პატარა მახსოვხართ, არა მთლად პატარა არა, მაგრამ წამოზრდილი, დედათქვენი ხომ მახსოვს და მახსოვს.

– არ არის ბატონო მიღება! უცხოელებს ელოდება! – სამი ტელეფონი ღუმდა მდივნის მაგიდაზე და აქედან ნაცრისფერი ამღერდა. მდივანს ელვის უსწრაფესად ტელეფონისკენ გაექცა ორივე თვალი, მაგრამ ნაცრისფერი ტელეფონის ბგერებს დიდად არ აუფორიაქებია. ყურმილს დასწვდა და რამდენიმე წამი დახარჯა, რომელიღაც შიდა სამსახურის წარმომადგენლისათვის პასუხი რო გაეცა.

– არა, არა დღეს არა, ხვალ თორმეტზე.

მობუზული ვერაფერს მიხვდა ან დღეს რა არა, ან ხვალ თორმეტზე რას შეჰპირდა.

– დედათქვენი-მეთქი... – ყურმილის დადებისთანავე გააგრძელა.

– რა დედაჩემი, – თვალები წამოენთო.

„დედის ხსენებაზეც კი ბრაზდებიან“, – გაიფიქრა მობუზულმა.

– გუშინდელივით მახსოვს, გუშინდელივით. რედაქციაში მუშაობდა ბუღალტრად, შენც იქიდან მახსოვხარ. რალაცაზე ემზადებოდი, რედაქციაში შემოცქერიალდებოდი ხოლმე.

– დედაჩემი ბუღალტრად არ მუშაობდა და... უკვე მეათედ ნუ მამეორებინებთ, გადით ოთახიდან! დავიღალე უკვე.

– რამ დაგღალათ? – შენაოჭებულ უბეებში საიდანაც გაჩნდა ღიმილი, რომელიც კარგა ხანია, მის სახეზე არ გამოჩენილა.

– ეგ თქვენი საქმე არ არის. მიბრძანდით!..

– კარგი ქალი იყო ქალბატონი მარინა, ჩემი მოთხრობები ძალიან მოსწონდა. მოთხრობებს ვწერდი, ძალიან მოსწონდა ხოლმე, ყველა მოთხრობას კითხულობდა. ძალიან მაგარი ადამიანი იყო. მისი ჰონორარით სულს ვითქვამდი, მაშინაც სულს ვითქვამდი... სად არის ეხლა ქალბატონი მარინა?

– ვინ მარინა? დედაჩემს მარინა არ ჰქვია, – ქალი ფინჯანს დასწვდა, წყალი მოსვა.

„დედამისი რა გულკეთილი ქალი იყო და ამას ერთი ყლუპი წყალი დაენანა“, – გაიფიქრა მობუზულმა და თვალი ისევ აქეთ-იქით გაექცა, თითო უკვალოდ გამქრალ ღიმილს დაეძებდა.

– მარინა, მარინა, მარინა, – ჩაილაპარაკა. – „ერთ დროს მოთხრობებს ვწერდი და მოსწონდა ქალბატონ მარინას. მაინც რატომ უარყოფს საკუთარ წარსულს მარინას შვილი. ჩემ გამო უარყოფს. უკან აღარ იხეცს. თითქოს გახსენება არ უნდა, უფრო სწორად ძალით ვერ იხსენებს. „დეე, წავედი დეე“, – ასე იცოდა ხოლმე. „დეე, წავედი დეე...“ – ფიქრი ენას ამოჰყვა.

– რა დეე, – თვალებში კვესი გაუკრთა მდივანს.

– არაფერი, არაფერი.

„არ უნდათ წარსული, არ უნდათ მოგონებები, არ უნდათ ძველი ამბების გახსენება და ამის ათასი მიზეზი არსებობს. რას გაუგებ ამ უბედურ დღეზე გაჩენილ ადამიანებს. რას ვიფიქრებდი, რო ის ბავშვი, რედაქციაში რო შემოცქრილდებოდა ხოლმე, თავის წარსულს უარყოფდა ჩემ გამო, მერე რო არ გამომელაპარაკოს და არ მითხრას, უიი, ვერ გიცანით ნამდვილად, დაბრძანდით რაა, ნამდვილად ვერ გიცანით, როგორ შეცვლილხართ, როგორი სხვანაირი მახსოვხართ. კი, მეც წამიკითხავს თქვენი მოთხრობები. არ უნდა, რო

სახეზე სინითლემ გადაჰკრას ჩემს გამო. არ არის ის და მორჩა. ხომ შეიძლება იმ მივიწყებული ამბის გახსენება-გამოცნაურებაში უფროსიც გამოვიდეს და საყვედური მიიღოს. რის გამო მერე, ვილაც ბომჟივით სახეგამურულ ნალოთავებ კაცს რო ელაპარაკება და რაღაცებს იხსენებს. გამოვა ის უფროსი – ჩემი ბავშვობის ძმაკაცი და თვალების ბრიალით გადახედავს მდივანს, ამ უცხო მათხოვარს კი, პირდაღრენილი ტუფლები რო აცვია და სხვადასხვა ფერის წინდები, ზიზლით შეხედავს, თვალებით მიუგდებს საყვედურს მდივანს, შიშით რო შარდის რამდენიმე წვეთი გაუვიდა და ვერც გრძნობს.

მოკლედ... რალა დროს რედაქციაა, რალა დროს ბუღალტერი მარინა და შენი ნაცოდვილარი მოთხრობები. ბავშვობის ძმაკაცი კი არა, იხვის ტოლმა. დაკარგე ადგილი და მორჩა. დადიხარ ეგრე ჩაბნელებულ დარბაზში, გადაჭედილ დარბაზში, ვეება სცენას მიშტერებია პრემიერაზე მოსული ხალხი, შენ კი ადგილს დაეძებ. სად არის შენი ადგილი, კიბეზეც არ ჩამოგსვამენ. მოვა ერთი სიფრიფანა გოგო და ჩურჩულით გეტყვის, გადით გარეთ ბატონო, აღარ არის ადგილი.

– კიბეზე...

– კიბეზე არ შეიძლება.

წერილი რო დავტოვო შეიძლება? – მუდარით სავსე თვალებით შეხედა მდივანს.

– რა წერილი?

როგორ გაქრა ასე ადამიანში სიბრალული.

ძალით კიდეც როგორ გინდა შეაცოდო თავი.

– არაფერი, წერილი, წერილი არ იცით, რა არის? ჩემი ბავშვობის ძმაცაცია, მინდოდა მენახა, მომეკითხა, გგონია რამის სათხოვნელად ვარ მოსული? – სალოკი თითი გაისვა ყელზე. – აესე მაქვს ყველაფერი.

მდივანმა თავი ველარ შეიკავა და გადაიხარხარა, მაგრამ მიხვდა, რო ხმამაღლა მოუვიდა და ენა ქათათა კბილებში მოაქცია.

– ერთად გავიზარდეთ. ხო არ გჯერა, მართლა, მართლა. აეს წერილი დავწერე და თუ გადასცემ...

– არა, მე ვერაფერს გადავცემ...

„რა ვუყოთ, ცხოვრებამ ჩვენ-ჩვენი გზა მოგვცა, ჩვენი წილი აღმართი. ჩემი აღმართი თითქოს დაუსრულებელი აღმოჩნდა. მივუყვები და არ მთავრდება და სადღაც შუაგულში გამითავდა დრო. ვერ ვასწრებ ამ აღმართის ავლას. ვერაფრით ვერ გნახე, ერთი-ორჯერ ტელევიზორში მოგისწარი. ცა გამეხსნა, ვიჯექი და ბავშვივით ვსლუკუნებდი, შენმა წარმატებამ და წინსვლამ ამიჩუყა გული. ვიფიქრე, მივალ, ვნახავ, მოვიკითხავ-მეთქი. თან გული მეთანაღრებოდა. იქნებ აღარც ღირდეს მის ცხოვრებაში დაბეჩავებული, ნაადრევად გატეხილ-დაბერებული, გალოთებული კაცი გამოჩნდეს და ბავშვობის ძმაცაცობის გახსენება დაიწყოს-მეთქი.

იქნებ არც გცალია ამისთვის. ვაითუ შერცხვეს, ვაითუ უხერხულობაში ჩავაგდო ეს ამხელა თანამდებობის კაცი-მეთქი. არ მინდოდა, რო ნაძალადევად გაგელიმა ჩემთვის და მოვალეობის მოხდის მიზნით გადაგეკოცნე ან მხარზე დაფარული ზიზლით მოგეთათუნებინა ხელი. სად დაიკარგე, სადა ხარ, ეგრე უნდა და, ა.შ. ბევრი ვიფიქრე, მაგრამ უთვისტომო კაცის დედა ვატირე. რალაცნაირად თითქოს შენ შემომრჩი და გული მაინც შენკენ მომიწევდა. მერე ვიფიქრე, არ ეგონოს რამის სათხოვნელად ვიყო მისული და არც ის მინდოდა გეფიქრა, ამას რო ეხლა ფული ვაჩუქო, აქედან ველარ მოვიშორებო. არც ის მინდოდა გეფიქრა, რალა მაინც-დამაინც ეხლა გავახსენდი ამ ჩემისას, ტელევიზორში რო მნახაო. დიდ კაცებს ეჭვები უმძაფრდებათ. დიდ კაცებს დიდი თვალები აქვთ და ყველაფერი სხვანაირად ეჩვენებათ. მაინც გამომიწია გულმა. შენ ხო იცი, მე აქ არავინ არა მყავს. ფესვებით სხვა მიწას ვეკუთვნი, მაგრამ, აბა, სადღა ვარ წამსვლელი და დამბრუნებული. რაც იყო, ეგ იყო. ალბათ, ასე უნდა გამეტარებინა ცხოვრება, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ვილაცის სასჯელს მე ვიხდი, არ ვიცი, ვისი სასჯელია, დედის, მამის, პაპისა თუ ბებუის, მაგრამ მე ვიხდი. დედაჩემის სიკვდილის წინ აღმოვაჩინე, რო მე არ ვარ ის, ვინც ვარ. კი ვხვდებოდი ეჭვებით, მაგრამ... არც მიცდია იმ სულგანათლებული ქალისთვის სასტიკი კითხვები

დამესვა და გული მომეკლა. წამომიყვანა, გამზარდა, რას ვერჩოდი. სადღაც შორეულ N ქვეყანაში ავარიამი დამხოცვია მშობლები და მე გადავრჩენილვარ. სახელსაც და გვარსაც გეტყოდი ჩემსას, ნამდვილს, მაგრამ...

მოკლედ... ვერ მოვალწიე შენამდე, ერთი-ორჯერ მოვედი, მაგრამ მდივანმა არაფრით შემომიშვა. წერილის დატოვებას ვაპირებდი, არც წერილი დაიტოვა. უბრალოდ მინდოდა მომეკითხე, მეტი არაფერი. არ შეგანუხებ... მართლა, რატო უნდა შეგარცხვინო. შენ ეგეთი ცხოვრება აირჩიე – მე ასეთი, თუმცა მე ავირჩიე თუ ძალით ამარჩევინეს, არ ვიცი. ისე, არ განწყენდა თავისუფლება. ეხლა, იცი სად ვარ? ვზივარ დედაჩემის საფლავთან, სასაფლაოზე შემოპარულ შემოდგომას ვაკვირდები. ცოტა არაყი დამრჩა და შენდობას ვეტყვი იმ ცხონებულს. ისე, მაგრად მინდოდა შენი ნახვა.

უიღბლო კაცის ყოფა ვატირე.

**5 გიორგობისთვის, 2016 წელი,  
დიცი**

## ქართველი ილო

– ხო ამბობდნენ, რო დაჩქარდაო, არ ვიჯერებდი. დაჩქარდა კი არა, გადაჩქარდა-მეთქი. საათს დახედავ, ისევ ისე მუშაობს, ისევ ისე წიკნიკებს. აჩქარებისა თითქოს არაფერი ეტყობა. ისევ ისე მოძრაობენ ისრები. თანდათან მეც გამიჩნდა ეჭვი. გადაიხარა ეს ოხერი დედამინაო, – თავისთვის ჩაიქირქილა ილომ. – ღერძი გადაეხარაო, რა სიკვდილმა გადაულუნა ღერძი. ჩემი ილბალი რო ვიცი, მაგასაც მე დამაბრალებენ, შენ რო ამძიმებ დედამინას, მაგიტომ გადაელუნა ღერძიო. დროის აჩქარებასაც მე დამაბრალებენ, მალე რო დაბერდებიან, იტყვიან, სულ ილოს ბრალია ყველაფერი, ილო გვაბერებს მალეო, – ისევ ჩაიქირქილა და გრძელი, აქა-იქ ამოხშირული ყვითელი კბილები გამოაჩინა. თმაზე დავრწმუნდი კაცო!

– პარიკმახერმა ზურამ, ცისფერზენარმოსხმულ, სავარძელზე მიყურებულ შუახნის ქერა კლიენტს წამიერად მიაჩნდა თავი და აზუზუნებული საკრეჭი მანქანით ხელში ილოს მიაჩერდა.

– თმა რა შუაშია?

– რა შუაშია? – გაიკვირვა ილომ.

– შუაში კი არა, თავშია. თვეში ერთხელ ძლივს მიხედებოდა გასაკრეჭი, მართლა, მართლა! თვეში ერთხელ, ისიც ან ხო, ან არა. ეხლა კიდე ყოველ კვირა აქა

ვზივარ. ამოდის და ამოდის, ამოდის და ამოდის. ესეც დაჩქარდა. „ზნაჩიტი“ მართლა დაერხა დედამიწას, ლერძი გადალუნულია, კიდეც... რალაც ხო უნდა დაეჯახოს რამდენიმე ასი წლის შემდეგ, თუმცა... ილოს სახსენებელიც აღარ იქნება და მოს... პატრონი. მაგაზეც მე ვიდარდო?! ისედაც გასკდა გული ამდენი დარდით.

– რა გაქვს ამდენი სადარდებელი, – მეორე პარიკმახერმა წვერგაპარსულ, თვალებმინაბულ კლიენტს სველი საფენი მიუტყაპუნა გაპრიალებულ ლოყებზე და ილოს მოხედა. – ჩვენ რო ვთქვათ, კიდე ხო...

– ეე, – თავი გააქნია ილომ. – ის ანეგდოტი გამახსენდა, მიხოს რო უთხრეს, ხო იცი, ლენინზე კაცო, არ გინდა მკვდარი იყვე და ლენინი იყვეო? დედიტქვენისამაო მიხომ, ახლა ლენინსა ჰკითხეთ, არ უნდა ცოცხალი იყვეს და მიხო იყვესო? – თქვა და გადაიხარხარა. პარიკმახერსაც გაეღიმა. წვერგაპარსულმა, ლოყებგაპრიალებულმა კაცმა თვალი გამოახილა და სარკიდან გამოხედა ილოს, კიდეებგადაცვეთილ დივანზე რო იჯდა და როხროხებდა.

მაინც ვერ მიხვდა პარიკმახერი, რატომ დაუკავშირა ილომ მის საუბარს მიხო და ლენინი.

– მე ვნატრობ, რო თქვენი ხელობა მქონდეს, წყნარად ვიცხოვრო, ყოველდღე ჩემი ნაწვალ-ნადაგი ნავილო სახლში და ტკბილი პური ვაჭამო ჩემს ცოლ-შვილს, მარა...

– შენი გაქანების კაცს პარიკმახერად რა გაგაჩერებდა, – ჩაელიმა ზურას.

– დედა მიტირეს, დედა... – გააგრძელა ილომ. – გული ხელით დამაქ, გეფიცები, – თან გულზე დაიდო ხელი. – ბარე სამჯერ გაატარეს რალაც ჯანდაბა ამ ოხერში, – დაიჯლანა, წელანდელი ღიმილი უცბათ გაუქრა. – დავდივარ და ვაი იმ სიარულს – ან ეხლა გაჩერდება, ან ეხლა. ვდგავარ და ვეხვეწები არ გაჩერდე მეთქი. აი, ასე გამალაჩრა გულმა, როდემდე მომისმენს. ღვინოს რო ვერ დალევ და ვერ იქეიფებ შენ გემოზე, ეგეთ ცხოვრებას გაკკარი. როგორ ვიყა, როგორ ვიყა. რამხელა ქარხანა... მოდიოდა, როგორ დავმალო, მაგრა მოდიოდა, თან ვხარჯავდი კიდეცა. განა მუთაქებში ვინახავდი. მიდიოდა ღვინო, მოდიოდა ფული... ეეჰ, სიზმარი მგონია ხოლმე ხანა, სიზმარი. ძველი დროის ნიშნად შემორჩენილი პოლტივით მწვანე „ორიენტზე“ დაიხედა. ნეტა არ მენახა. ვნახე და მერე ძნელი ყოფილა თხლეზე დასმა. ქართველები ხო იცი... – ისევ დაუბრუნდა ღიმილი.

პარიკმახერები თავის საქმეს აგრძელებენ. ლოყებაპრიალებული კლიენტი წამოდგა და სხვამ დაიკავა მისი ადგილი.

– ფრანგი ჩამოიყვანეს ერთხელა ფრანგი. ვერ იგებდნენ, როგორა ვხსნიდი პლომბებსა, – თან თავისთვის ჩააპაჭუნა თვალი. – აბა, ეხლა იმ ფრანგის რამე-

რუმეები მინდოდა? მაღლა რა მეთქვა, ფრანგმა ახალი პლომბები დაადო-მეთქი? წითელი პლომბები ჩამოიტანა იმ შობელძაღლმა, დაადო და წავიდა. იმას ეგონა, ვერაფერს მოვუხერხებდით. დედა ვუტირე, ავხსენი და მერე ისევ ისეთი ფერისები დავადე. პომადა იყო ზუსტად იმფერი, – ისევ აუვარდა სიცილი. – რა თქვა, იცი, ფრანგმა?! – არაფერი თქვენგან არ გამოვაო, – ხელი ჩაიქნია და წავიდა. კაი ღრო იყო, რა გვაკლდა, ყველა ჭამდა, ყველა გულაობდა, აგრა ამათი დამოუკიდებლობა. ხო მოიმკეს... დაამშის ხალხი, მონები ვიყათო. ვისი მონა იყა. მოსკოვში რესტორნებს ვკეტავდი. მონა ვიყა? მერე როგორც იქნა, ისევ მოვითქვი სული. ნელ-ნელა წამოვიჩიე. „შპს“ მექონდა, ვჩუჩუნებდი ჩემთვის და... არ ჩამოვიდეს იქიდან ცოცხალი, – ყოფილი ხელისუფალის მისამართით დაიწყევლა. – ვინ გააჩინა, ვინ გაზარდა... ჩემი „შპს“-ს დანერება მოინდომეს. შემომიცვივდნენ ერთ ღამესა და ამინიოკეს ოჯახი. პირქვე დამაწვინეს, რომელი ტერორისტი მე ვიყავი. აეგრე დამაგდეს პირქვე. ნიხლებს მირტყამდა ერთი ნილბიანი. ჩემი შვილის ტოლი ხარ, ამხელა კაცს ფეხს როგორ მირტყამ-მეთქი. უარესად ამომკრა... რო არ გავჩუმებულიყა, მომკლავდნენ. ამოვყა თავი ვირის აბანოში. აბა, ამას წარმოვიდგენდი? სიბერეში რო ციხესა ვხეხამდი. ეხლაც ყურში მაქვს იმ პატრონსაქელებზე რკინის კარის ჯახუნი, – თვალები დახ-

უჭა და ისევ გაახილა. – გეფიცები, ისევ ყურებში მაქვს. იტყვი, რო ტვინში ჩარჩა, მაგათი... მივისესხ-მოვისესხე, ერთი ბინაც გავყიდე, მომანერინეს რაღაც საბუთზე ხელი. ხელის მონერას ვჩიოდი? ისე ჩქარა მოვანერე არ გადაიფიქრონ-მეთქი... მიყურებდნენ და ეცინებოდათ. იოლად გადიხარ ძია, იოლათაო. თფუი!

აესე დავჯექი ნულზე. აბა, ამათ შეხედე, – ტელეფონის ეკრანზე დაყენებული შვილიშვილების სურათი დაანახვა პარიკმახერებს და იქ მყოფ კლიენტებს. – ხო ბავშვები არიან, თუ არაფერი მივეცი, ხელს არ მადებინებენ, ისე არიან გაჩათლახებულები, – ჩაიქირქილა. – ოხ... ესეთებიც უნდა იყვნენ პრინციპში. პატიოსანი კაცი გერქვას და იყა, დაჯე მერე და სიღარიბე კერე. ცხოვრებას სხვა რამე სჭირდება, ეშმაკობა ჭირდება, ტყუილიც სჭირდება, რას იზამ, ჩვენი მოგონილი ხო არ არი. ეგრე იყო და ეგრე იქნება. ვიცი, როგორც უნდა გავზარდო ეგ მაიმუნები. სხვანაირად გაუჭირდებათ, ქართულად უნდა გავზარდო, ჯიგრიანად უნდა გავზარდო. ჩემი შვილიშვილები ჩემნაირ ქართველებად უნდა გავზარდო, ეგრეა!

რას არ გაიგებ საპარიკმახეროში.

**5 გიორგობისთვისა, 2016 წელი,**

**დიცი**

## საიდი

– წაღეკეს, წაღეკეს... აღარ მინდა, აქე ამოვიდა, – ყელზე სალოკი თითის წვერი ისე გაისვა, თითქო მართლა თავის მოკვლას აპირებდა. – მეზობლები... სადარბაზო გაივსო, ქართული საუბარი მენატრება ბოი... ვიყო. აქეთ ჩინელებზე გააქირავეს, იქით ინდოელებზე, მარტო მე დავრჩი, დაიჯერებ? ერთი გამოსირებული მეზობელი მყავდა, რა ვიცი, მისდღემში რო ჭიქა არ აუწევია ჩემთან, თავივით ცხოვრობდა სულ ეგრე ჩაკეტილი თავისთვის, ძმაკაცი იმან არ იცოდა, მიმსვლელი და მომსვლელი. ისლა გამიტკბა, იმასთან თუ ჩამოვჯდები სადამოობით და ვერთობი, გულს ვაყოლებ. გაიოზას მაგრა ჰკიდია ერთ ადგილზე ჩემი სადარდებელი, ვატყობ, რო ჰკიდია. სულ გაივსო, ჩინელები, ინდოელები, პაკისტანელები... ქართველები სად წავიდნენ, სად გაიხვეტნენ... თითქო დავიძინე, გავიღვიძე და სხვაგან აღმოვჩნდი. სად აღმოვჩნდი? ჯანდაბაში. თანამედროვეობაო, ევროპაო, ესაო, ისაო, რა ვიცი... – მხრები აიჩეჩა ტატომ და ტელეფონი მარჯვენა ხელიდან მარცხენაში გადაიტანა, გაოფლილი მარჯვენა ხელისგული მუხლზე ჩამოინმინდა.

– ნევროზი, ნევროზი... ირაკლი... გეფიცები... მე მგონი, სადღაც ჩავრჩი, სადღაც გავიჭედე. შეიძლება, არც არის ისე ყველაფერი, როგორც მე მგონია. ნევროზიანი კაცის აკვიატება ხო არ არის-მეთქი, ჩემს თავზეც მითქვამს. რა ვიცი, გირეკავ, გულს ვიოხებ

ხოლმე. სუფრა დაგვიძველდა, პურ-მარილი დაგვიძველდა, ერთი გემრიელად მოვილხინოთ, ჩამო, სად გაიქცევა ეგ სოფელი.

– ქალაქი სადღა გაიქცევა, შენ ჩამო, აქა ჯობია... – ირაკლის ხმა წრიპინად ისმის მობილურიდან. არადა მთასავით კაცია ირაკლი, მოზვერივით თვალები აქვს და კუალდასავით მუშტი, მაგრამ სოფლიდან წამოსული ბგერები წრიპინად ისმის მობილურში.

– რო იცოდე, რა ამინდები წავიდა... ოქროში ლივ-ლივებს ყველაფერი, მზემ სხივები დაგვიტოვა, ჩამო, ჩამო, დაღვინდა უკვე, ჩაყურდა. წალამი გადავინახე. ხო იცი, წალამზე როგორ მწვადს ვწვამ, შენი ხელით უნდა მოგახდევინო. შენ კიდე ნევროზიო, რა დროს ნევროზია. ჩამო, შემოდგომა გავაცილოთ. გიორგობისთვე ხო ვიცი, მაგრა გიყვარს.

ტატო ჩაყურდა. უსმენდა ბავშვობის მეგობარს და თითქო ოქროდაღვრილ ფოთლებზე მიაბიჯებდა. ხმელი ფოთლის ტკაცუნი ჩაესმოდა ყურში. გალოპრილ ხეებში გახლართულიყო შემოდგომის მზე და ვერ ახერხებდა თავის დაძვრენას. ბოლავდა ტყის პირზე ჩანაკვერცხლებული წალამი და მწვადის სუნი მოსდებოდა იქაურობას.

– უუჰ! – სიამოვნებისგან თვალი დახუჭა ტატომ და ამ დროს მიუჯდა გვერდით „ბლანჟეიანი უცხოელი“.

ტატომ თვალი გამოახილა და შავთმიან, სათვალ-იან, ჰალსტუხიან ახალგაზრდა კაცს შებღვირა.

– ინდოელი... – ჩაილაპარაკა.

- ვინ ინდოელი, – იკითხა ირაკლიმ.
- ტატომ ისევ მარჯვენა ხელში გადაიტანა ტელეფონი.
- მერა ჯუტა ეჯაპანი.
- ეე, მართლა ნევროზი გაქვს, მგონი.
- რა რარი რა, რი რა რა რი... მაგარი ტიპია.
- ვიზე ამბობ.
- გვერდით რო მიზის, – ჩაიქირქილა ტატომ. – გახსოვს „შურისძიება და კანონი“? ხო გადიოდა ხოლმე ჩვენს ბავშვობაში?
- მახსოვს, – ჩაეცინა ირაკლის და ვერ მიხვდა, მწვადსა და ქეიფზე ესაუბრებოდა მარშუტკაში მჯდომ ქალაქელ მეგობარს, რომელიც ყველაზე და ყველაფერზე იყო გაბრაზებული და რა შუაში იყო „შურისძიება და კანონი“.
- გაბარსინი ხო გახსოვს?
- საიდან მოგაგონდა, – გადაიხარხარა ირაკლიმ.
- ბოლოს რო გოზდებიანი ტუფლებით სცემს უხელებო კაცი.
- მახსოვს, მახსოვს.
- აის მიზის გვერდით. გგონია რო გეკაიფები?
- „უცხოელმა“ სათვალე მოიხსნა და შავი, ბრიალა თვალეებით შეხედა ტატოს.
- რას მიყურებ შე ჩემისა... – ჩაილაპარაკა ტატომ და ისევ გააგრძელა. – თუ ერთ საღამოსაც მივედი და ესეც ჩემს სადარბაზოში ვნახე. მოკლედ... – ბლანჟე-იანი შეიმშუშნა და სავარძელში გასწორდა.

საცობში მოყოლილი მიკროავტობუსის მძღოლს მოთმინების ბოლო ძაფი გაუწყდა და ჩამწკრივებული ავტომანქანების მისამართით გულიანად შეიგინა.

– რა არის ეხლა ეს. ნერვები არ გინდა? თან ყოველდღე, თფუ თქვენი...

– ირაკლი! – ტატო ისევ აგრძელებდა საუბარს, – გაბარსინმა მოგიკითხა. – ტატომ „უცხოელს“ შეხედა და ჩაეცინა, – ზუსტად ისეთია, ალი-კვალი. ვიცი რო ესეც იქ მოდის, ჩემს მეზობლად დასახლდება. ხო ეგრეა, მისტერ გაბარსინ? – „უცხოელს“ მიუბრუნდა, – ცოტა გვერდით მიინი და ნუ მავინროვებ. მე შენი ჰალსტუხი და შარვალ-კოსტუმი არ მაინტერესებს, ხო გაიგე?! ხო მოგწონს ჩვენი ქვეყანა. კანეშნა მოგეწონება. ჯორჯიან ვაინ, ჯორჯიან ფუუდ, ხაჭაპური ენდ მწვადი. ბიუტიფულ მოუნტანს. ჯორჯიან ფიფელ...

ასე ძალდაუტანებლად ვისწავლე ინგლისური. მეზობლებმა მასწავლეს.

– დაგიმხეცებია ისე, – ირაკლი ხარხარებს.

– აბა რა! შეიძლება გამარჯობაც აღარ გითხრა ერთ დღეს და ასე დავიწყო, ჰაი, ირაკლი!

საცობში მომწყვდეული მანქანები დაიძრნენ. მიკროავტობუსმა მცირე ხანი იარა და ვიდრე გზაჯვარედინთან მიატანდა, „უცხოელი“ წამოდგა, სათვალე მოირგო და ირაკლის მხარზე ხელი დაადო.

– ჯიგარო! არა მგონია, შენ ჩემზე უფრო ქართული იერი გქონდეს. ჰა, რას იტყვი?

ტატოს თვალები შუბლზე მოექცა. დაიბნა, სახეზეც ფერმა გადაჰკრა.

– მიყურე ეხლა ეგრე.

ტატოს თვალები აქეთ-იქით გაექცა.

– მაშ ინდოელი გეგონე? – შავთმიანმა „უცხოელმა“ თავი გააქნია.

– მე, საიდი ვარ... ფერეიდანი გაგიგია?

ტატო ისევ დაბნეული იყურებოდა.

მძლოლმა მიკროავტობუსი გააჩერა. საიდმა თითქო ჩასვლა გადაიფიქრა.

– გაბარსინი, გაბარსინი... მაინც ვინ იყო ის კაცი ასე რომ მიმამსგავსე. მე ოთხასი წლის წინ გადამასახლეს და ეხლა დავბრუნდი. მართლა, მართლა. ოთხასი წლის ვარ. ორიოდე დღის წინ შემისრულდა...

– ჩადიხარ? – სარკიდან გამოხედა მძლოლმა, რომელიც სულ იჯლანებოდა.

– ავდექი და... – ნიკაპზე მოისვა ხელი. – იქნებ მართლა არაქართული იერი მექონდა. რა ვიცი... იმ კაცმა გადამაწყვეტინა, – ელიმება საიდს. – არ მოეწონა ჩემი ბლანჟე... რალა იმ კაცს ვანყენინო...

**13 გიორგობისთვისა, 2016 წელი**  
**დიცი**

## თავისუფალი თემა

– გაუზრდელი! – ნაკვერჩხლები გადმოყარა თვალებიდან, ჟურნალი დახურა. ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ცხვირზე ნერვიულად გაისვ-გამოისვა, – ეს თუ თაობაა, ესენი თუ ახალგაზრდები არიან.

– ჩვენი თაობა თქვენს თაობას კი ჯობია, – სარკმელთან მჯდომმა ბიჭმა თავისთვის ჩაილაპარაკა, მაგრამ მასწავლებლის ყურს მაინც მისწვდა მისი სიტყვები.

– ამას უყურე, უარესად გავეშდა მასწავლებელი, – შე გაუნათლებლო, ამას გასწავლიან სახლში?

– გაუნათლებელი ვინც არის, კი ხედავენ ბავშვები...

– ერთი ამას დამიხედე, შე თავზედო! გადი გარეთ ახლავე, გადი-მეთქი ახლავე, – აყვირდა კლარა და უარესად გაისუსა კლასი. – ძალად ხუთოსანი... გადი-მეთქი, ახლავე, თორემ დირექტორს დავუძახებ!

– დირექტორი... – ჩაიქირქილა ბიჭმა და ენაგადაყლაპულ კლასელებს გადახედა. – ვის ეშინია დირექტორის. აბა, ხელი ასწიეთ. დირექტორი... გავარდება ეხლა კლარა მასწავლებელი, კაბინეტში თავზე დაადგება დირექტორს, რომელიც მასწავლებელს შემოჰყვება კლასში. დამიძახებს და არც არაფერს შემეკითხება, ისე ამიყენებს თქაფათქუფს. აი, ეგ არის თქვენი სკოლა.

კლარას მიცვალებულის სახე ჰქონდა – გაყინული

და გაფითრებული.

– და რატომ ხართ ასეთი აგრესიული კლარა მას.? არ მომწონს ეს თქვენი გაკვეთილები და ძალაა? მართლა არ მომწონს. წარმოდგენა არა გაქვთ, რაზე გვესაუბრებით. მართლა, მართლა... – კლასელებს გადახედა ლუკამ. – თქვენ ხო რას ამბობთ რა, გიჟდებით, რას შემომცქერით. მიყურეთ ეხლა ეგრე, – თავი გააქნია. დინჯად წამოდგა, ერთადერთი წიგნი, ქართული ლიტერატურის XI კლასის სახელმძღვანელო ილლიაში ამოიჩარა და კლასიდან გავიდა. გასვლის წინ შეყოვნდა, მასწავლებელს მიუბრუნდა და თითქო სხვისი ხმით უთხრა: – არა ვარ უზრდელი და არც უნიჭო. ხო არ გჯერათ, დაგიმტკიცებთ კლარა მას.

– თავიდან მომწყდი! – კლარას წივილი დერეფანში გამოედევნა.

– ეჰ, კლარა, კლარა! – ჩაელიმა ლუკას.

\* \* \*

– განა რა დააშავა ისეთი... განა რა დააშავა, ეგ მომიკვდეს ეგა. თითქოს ჭიას არ გააღვიძებს, ხმა ვერ ამოაღებინეს, პირიქით, ბიჭების დარიგებას უნდება, არ გჯერათ? თენგიზას ბიჭი გზას იყო აცდენილი, საციხე-საციხეს დასძახოდნენ. შინ ვინ გააჩერებდა, აღმა-დაღმა დაწონიალებდა. ამ ჩემმა ბიჭმა რა უთხრა

ისეთი, რა ელაპარაკა, დედამისი ამოვიდა და ლამის გალოკა. მაღბაზას მოტრიალებას აქეთ ვინ დაიჯერებდა, სახლიდან გარეთ ფეხს არ დგამს. მამამისს ხელებში ვარდებო. რა ვიცი, რამდენი მაგნაირი.

– გასაგებია, მაგრამ, – სალოკი თითით გაისწორა ცხვირზე სათვალე დირექტორმა. – მე სხვა არჩევანი არა მაქვს. მასწავლებელს სკოლიდან ვერ გავუშვებ, თანაც ასეთ დამსახურებულ მასწავლებელს.

დამლაგებელმა თამრომ შემოიჭყიტა დირექტორის ოთახში. იატაკის მოპრიალებას აპირებდა, მაგრამ დირექტორმა ისე შეხედა, რო თავის ნავთში გაჟღენთილი ტილოიანად გაქრა.

– ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... მაინც რას გადაეკიდა ამ მასწავლებელს, მაგის მოსაწონი პედაგოგები აღარ გვყავს. ის კი არა, ქებამ აწყინა, ერთი-ორჯერ შევაქე და...

დირექტორის კაბინეტის კარმა გაიჭრიალა და კლარამ შემოიხედა.

– მოდი, – ფეხზე წამოდგა დირექტორი. კლარას ისეთი სინითლე დაჰკრავდა სახეზე, ეტყობოდა მაღალი წნევა ჰქონდა. თითქო ლუკას მშობელთან ჩხუბს აპირებდა, მაგრამ დირექტორის მზერამ გადააფიქრებინა.

– მოკლედ... გადაიყვანენ ამ სკოლიდან, – თქვა დირექტორმა. – მე გასაგებად ავუხსენი ყველაფერი

და მგონი უკვე ყველაფერი ნათელია...

კლარამ ჯერ ლუკას მშობელს შეხედა, შემდეგ დირექტორს, შემდეგ ისევ ლუკას მშობელს, რომელიც დაფერფლილი იდგა და ნერვიულობით ბაგეს იკვნეტდა.

– „გყავდეს ეხლა სანაქებო შვილი, როგორ უნდა ლანძღვა და თათხვა გაჩვენებთ“.

ქალს აღარაფერი უთქვამს, კლარას შედარებით დაუნყნარდა სახე, სინითლემ გაუარა და დირექტორის ოთახიდან მიმავალ ქალს დამცინავი მზერა გააყოლა.

– „თავიდან უნდა გეფიქრათ ამაზე, ეხლა გვიანია ყველაფერი“.

\* \* \*

– აი, ხომ შეიძლება მე და შენ სამყარო შევცვალოთ?

– როგორ უნდა შევცვალოთ?

– მე ვიცი ეგ საიდუმლო, – დაიხარა და ლანჯზე აკოცა სოფოს.

მტკვრის პირიდან ამობიბინებული თელხი გაეთამაშათ. სოფოს თმა აუწუნა.

– გინდა გასწავლო როგორ შევცვალოთ სამყარო?

– სოფოს ხმა არ ამოუღია, თმა გაისწორა, აქეთ-იქით გაეპარა მზერა. – სხვა სამყაროში ვიცხოვროთ.

– სად? – ჩაიჩურჩულა სოფომ.

– ცაში ვიცხოვროთ.

– ცაში როგორ უნდა ვიცხოვროთ, – ღიმილი მოელამუნა თვალ-ღანვზე.

– არ გჯერა? — დაიხარა და აკოცა.

– მოიცა, – ლუკას ხელებიდან გათავისუფლება სცადა.

– ეეე, – ვიღაცის ხმა მოესმათ ქალიდან.

სოფო კვრინჩხის ბუჩქებს ამოეფარა.

– თემოა, ნუ გეშინია.

– ვინ თემოა?

– ყაზარა თემოა.

ცოტა ხანში ქალიდან მათი სოფლელი, უშვილ-ძირო თემო გამოვიდა. ბეგზე შედგა, შეიქაქანა.

– მამკლა ამ ოხერმა. არ გავატანე ვაჭრებს, გავფ-შიკე ფეხები, ახირებულ კაცს რა ვუთხარი, ეეჰ, ვერ მოვიშორე, ვერა...

თითქო ცოტა სული მოითქვა. მტკვრის პირს თვა-ლი მოავლო. ზამთარი წამოპარვოდა ქალას, მოგონე-ბეებივით მიფრინავდნენ უკანასკნელი ფოთლები.

– ლუკა ხარ? – მიაშტერდა თემო.

ლუკამ ხელი აუწია.

– ველარ გიცანი, შე მამაძაღლო!

– ისევ დავკარგე ის უპატრონო ისა, ჩემს ქირად გავზარდე. მარტოხელა კაცი ამ სამგლეს დავდე.

– ხარს ეძებ? – ჰკითხა ლუკამ და ეშმაკურად

აუციმციმდა თვალები.

– ხარს ვეძებ მაგ ჩემს საქელებეს. გული ამომვარდა, – ისევ ამოიქოშინა.

– აიქა ვნახე, – ბებერი ვერხვებისკენ გაიშვირა ხელი ლუკამ.

– როდისა ნახე?

– ხო წითელია, – მეტი დამაჯერებლობისათვის იკითხა ბიჭმა.

– წითელია, ეგ სატიალე!

– წელან დავინახე, ვერხვებთან იყო.

– შენ გაიხარე, – მოხალისდა თემო. – როგორი თოკითლა დავაბა, აღარ ვიცი, ბალის ბოლოში მყავდა, აუწყვეტია. – თქვა და ქალის პირს დაუყვავა.

– გამო, გამო, – სოფოს დაუძახა.

– როგორ მოატყუე ამხელა კაცი, რატომ უთხარი?

– როდის მოვატყუე. – მაინც არ გატყდა. – ხარს დაეძებდა და ქვეით დავინახე.

– ქვეით არა, – ცერად შეხედა სოფომ.

– აი, ნახავ, თუ არ იპოვოს.

ისევ დაიხარა და აკოცა.

– ხომ წამოხვალ ჩემთან ერთად? – თვალებში ჩახედა, თითქოს გოგოს მზერაში ეტეოდა დაუსაბამო და უსასრულო ცა.

– ერთად წავიდეთ, ერთად გავფრინდეთ. ცაში

მინდა ცხოვრება, შენთან ერთად მინდა. სხვა არავინ და არაფერი მაინტერესებს. რალაცნაირად შემოხვედი ჩემში და ჩასახლდი. აი, აქ ხარ, მკერდზე მიიდო ხელი, – თითქოს შენი სუნთქვა მესმის, შენი გულის ძგერა. ჩიტივით ფრთხილებს შენი გული, ღობისჩიტივით დახტის. უამრავ ვარსკვლავს გაჩუქებ. ყვავილებივით მოგიწყვეტ და გვირგვინს გაგიკეთებ, ვარსკვლავების გვირგვინი ხომ გინდა სოფო. გინდა ლექსი წაგიკითხო?

– რა ლექსი?

– შენზე დაწერილი ლექსი.

– ლექსი... – ჩაიბუტბუტა. – ნუ მაცინებ. როდის აქეთაა ლექსების წერა დაიწყე.

– მე სულ ვწერდი ლექსებს. შენზე ვწერდი და გულში ვინახავდი. ჩემს გულში ერთი პატარა თაროა და იქ ალაგია ჩემი ლექსები. აი, თუ არ მოგეწონება ნახავ:

ბედი ჩვენს ტრფობას ყოველთვის სცდიდა,

სიყვარულს ჰქონდა ელფერი სევდის,

გაყრიდი ფიფქებს გართობდი ციდან

იდექი თოვლში და კისკისებდი.

მომნატრებიხარ როგორც არასდროს,

ვხედავ შენს თმებში შემოძვრა მთვარე

საფლავზე მოსვლა რომ არ დაგასწროს

გთხოვ, რომ შენს გულში დამასამარე,

ვერ ვამჯობინებ მე ზღაპრულ „მითრას,

თინათინებს და ტურფა ყამარებს,  
 ახლოს მოიწი რომ ყურში გითხრა  
 შენს თავს ვერავინ გადამაყვარებს.

გოგოს ცრემლები ჩამოლევნოდა შემოდგომის მზით  
 დაფერილ ღანვებზე.

– მივდივართ, – თქვა ლუკამ. – მივფრინავთ, ხომ  
 მივფრინავთ?

სოფოს ხმა არ ამოუღია. ტალღებჩამცხრალ მტ-  
 კვარს მიშტერებოდა.

– მივფრინავთ, მივფრინავთ! – ყვიროდა ლუკა.

თემო წითელ ხარს მოუძლოდა.

– ჩემს სატიალედ დაგტოვე, შე პატრონმკვდარო  
 შენა. ჩემს სატიალეთ... დამენანე, არ გაგყიდე და  
 ბოლო მომიღე, ბოლო. შენ გაგახაროს ღმერთმა ტა-  
 ტოს ბიჭო! კიდეც კარგი მითხარი, თორე ამის პოვნაში  
 სულიც გამძვრებოდა.

\* \* \*

– ასე დავამთავრებ, – მოკლედ, უნდა ვანკმუტუნო  
 კლარა. დაფუმტკიცებ, როგორი მოსწავლეც ვარ, მერე  
 ნახავს, ნახავს... სოფო გამიბრაზდება, ვიცი მაგისი ამ-  
 ბები, დამინყებს ბუზლუნს, ასე არ უნდა გეტყვინა გული  
 კლარა მასწავლებლისთვისო, მაინც ამდენი წლის ამაგი  
 ჰქონდა შენზეო. გული არ უნდა ატკინო! თვითონაც ხო

მატკინა გული. სკოლა დამატოვებინა. ადვილი არ იყო ჩემთვის ამ მერხს მოვცილებოდი, იტყოდი, რო ჩემზე იყო მიხორცებული, თითქოს მერხიანად მივდიოდი, ბიჭების თვალები მახსოვს, გოგონების თვალებიც, რა დამავინწყებს, რა დამავინწყებს. გახურებული მქონდა ბეჭები რო წამოვედი, კლასელების თვალები ჭიანჭველებივით მესეოდნენ ბეჭებზე. ერთი კი მივუტრიალდი ცოდონი ხართ-მეთქი. რა ვიცი, გაიგეს? შეიძლება, ვერც გაიგეს, ბავშვობაჩამწარებული ბავშვები არიან, ყელსახვევებისა და ძეგლებზე საუბრის მეტი რა ახსოვთ, დილით პიონერთა რაზმის მონყობა, საყვირების ჟღარუნი, დაფდაფები, პიონერხელმძღვანელი, ქების სიგელები, გაჭიმული დირექტორი და გასუსული მასწავლებლები.

რა გინდათ, ხალხო! ვეკითხებოდი ჩემთვის გონებაში და მიყურებდნენ გაკვირვებული ამოცარიელებული მზერით, თვითონაც არ იცოდნენ, რა უნდოდათ. რაზმი მოირწეოდა სკოლის ეზოში. წინ მიუძღოდა რაზმეულის მეთაური, შუბლზე ცერად მიებჯინა ხელის მტევანი.

მერე ლექსი. რა თქმა უნდა ლელა. კლარას რჩეული მოსწავლე, რომელიც პედაგოგების წინ დადგებოდა. ღრმად ჩაისუნთქავდა, იტყოდი, რო მთელი ცა ჩაიგუბა ფილტვებში, თავის ღრუბლებიან-ყველაფრიანად, თვალებს დახუჭავდა. კლარა ცქმუტავდა, უკვე მომარჯვებული ჰქონდა სიტყვები. თუ ლელას რაიმე

შეეშლებოდა, უცბად შეაშველებდა. ლელა ნელ-ნელა გაახელდა თვალს და დაიწყებდა ცასთან საუბარს...

ლექსი? ძირითადად ეს ლექსი იყო ბარდნალა. კარგი ლექსია ბარდნალა, მიყვარს, მაგრამ რალაც-ნაირად სხვანაირი იყო ის ბარდნალა, ლადოს ბარდნალა არ იყო, უფრო იმ დირექტორისა იყო, ტაშს რო რალაცნაირად თავდაჭერილად უკრავდა და თავს მონონების ნიშნად დინჯად აქნევდა. კლარა სადღაც ცის შუაგულიდან დასცქეროდა ამ ყველაფერს. ოხერი იყო კლარა, აფრენაც შეეძლო.

მოკლედ, მენანება ის ჩემი სკოლა, ბევრი რო არ გავახურო. ის კლასი მენანება, ჩემი კლასი, იატაკში ამოღრუტული სიგარეტების სამალულა, მე კი არ ვეწეოდი, მაგრამ ბიჭებს ვუნახავდი ხოლმე. ჩემი მერხი სულ თვალწინ მიდგას და, ასე მგონია, ამ მერხით დავდივარ. ბიჯო! რა გამიკეთა ამ კლარა ცეტკინმა. ალბათ, ის კლარა ცეტკინიც ასეთი იყო, კლარასნაირი ბოროტი, იქნებ არც იყო, მაგრამ რალაცნაირად არ მიყვარს არც ის კლარა ცეტკინი და არც მისი რვა მარტი. ერთხელ სოფოს ვუთხარი და ისე ეწეინა, ცრემლის ბრილიანტები გადმოსცვივდა, ვიდექი და ბაგეებით ვცენცავდი იმ ბრილიანტებს.

რვა მარტი. რალა მაინცდამაინც რვა. ყოფილიყო შვიდი, ან ხუთი. რახან კლარამ ასე მოინდომა,

მთელ საქალეთს უხარია რვა მარტი. იები მივართვი ხუთ მარტს სოფოს და მივულოცე. გადარეული ხარო. ვიცი-მეთქი. არაფერი უთქვამს. სად იპოვე ის იები, თვალი არსად მომიკრავს, ჩვენი ბეგები იების სამშობლოა, მოვიარე იქაურობა და ერთს ვერსად წავაწყდიო.

ეს იები სიზმარში შევუკვეთე და მეორე დღეს ღობის ძირში დამხვდა-მეთქი. ჩაიკისკისა და ათასი იადონის ხმით გამეცხო სული.

– აი, ასე ხუთი მარტი.

კლარა არა ისა ეხლა. მე დავანესებ დღეიდან ხუთ მარტს.

– კისკისებს, კისკისებს. თუ ასეთი გადარეული იყავი, თუ ასე აჟუილებდი, ნამდვილად არ ვიცოდი.

– მაინც ვერ გადამიყვარებ და რა აზრი აქვს-მეთქი.

თავი გააქნია, ტუჩები მოპრუნა.

– შენ ეგრე გეგონოს. რატო ხარ ასე თავდაჯერებული?

– სიზმარში, ფეხაკრეფით გავიპარე ერთ კაცთან.

– ვინ კაცთან?

– ვეება ტახტზე იჯდა წვერიანი ბერიკაცი, მიწამდე ჰქონდა თმა-წვერი, თეთრი სამოსი ეცვა, უზარმაზარი წიგნი ჰქონდა გადაშლილი. ფეხაკრეფით კი მივიპარე, მაგრამ მაინც შემამჩნია, თავი ასწია, შემომხედა. ჩემი

სითავხედუ ხო იცი, ეგრე ვკითხე: „ბედისმწერელი ხარ-მეთქი?“

ჯერ გაუკვირდა, მერე გაეცინა, უცნაურად შეერხა წარბები, ვეება წვერზე წამოუგორდა ღიმილი.

თავხედურად შევცქეროდი.

თვალი თვალში გამიყარა.

– ხო ბედისმწერალი ხარ-მეთქი.

– შენ საიდან იცი რო ბედისმწერალი ვარ?!

გამეცინა და მასაც გაეცინა.

თვალი წავაპარე ვეება წიგნს.

– აბა, აბა, ახლოს არ მოეკაროო, – ხელი მოაფარა.

– ბატიფრთიანი კალამი თავისთვის იდო გადაშლილი წიგნის შუაგულში და ვინ უწყის, ვისი ცხოვრების დღეები როგორ ჩაენწერა საოცარ კალამს ამ უცნაური ბერიკაცის კარნახით, რომელსაც ბევრი ტკბილ-მწარე წუთები ეჩუქებინა ადამიანისთვის.

ერთი სიტყვით, ბედისმწერალს, დიდი ხვენწა-მუდართით, ორმოცდამეორე გვერდზე გადავაშლევინე წიგნი და გვერდიგვერდ იყო ჩვენი ცხოვრების ფურცლები... ასე, რომ მე ბევრი რამ ვიცი...

– საიდან რას მოიგონებ, საიდან რას შეთხზავ, – იცინის და თავს აქნევს სოფო.

ჩემ გარდა, ბედისმწერალს ვინ გადაეყრებოდა, აბა, დაფიქრდი. ჩემ გარდა, ბედისმწერალს ვინ გააცინებ-

და. აი, ის არის ნამდვილი მწერალი, ამდენი ადამიანის ცხოვრებას, ამდენ ბედნიერებასა და მწუხარებას მოფიქრება არ უნდა? მივხვდი, რო ბედისმწერალი ჩვენზე უბედურია. ჩვენ მარტო ჩვენი ცხოვრება გვაბარია, ჩვენი ტკივილები, ჩვენი ოცნებები... მივდივართ და მივმწყემსავთ ამ ჩვენს წუთისოფელს.

აი, ის კიდეც, ყველას ცხოვრება მისი მოსაფიქრებელია, ყველას ბედნიერება, ყველას მწუხარება. ლამის ვუთხარი, მეტი ფურცელი შეავსე ბედნიერებით, შენს ხელში არ არის-მეთქი, მაგრამ თქმა ვერ შეუძელი, თითქოს დავმუნჯდი. იქნებ იმას ჩვენზე მეტად უნდა ამის გაკეთება და არ შეუძლია. ერთი სიტყვით, ასეთი იყო ჩემი თავისუფალი თემა, რომლითაც შური ვიძიე იმ ჩემს ამშენებელ კლარა თეიმურაზოვნაზე, ასე მიმართავდნენ ხოლმე მშობლები.

„...კვდებოდა კლარა მასწავლებელი, რო ეგონა, შორს იყო სიკვდილი და არასოდეს დასრულდებოდა მისი ცხოვრების გზა-სავალი, იქვე ახლოს აღმოჩნდა. და როგორი იყო სიკვდილი, სულ რო აინტერესებდა, სულ რო სტანჯავდა ეს კითხვა, გარდაცვალება რო ვერასოდეს წარმოედგინა. ძალიან მარტივად იგრძნო, აღარაფრის სუნი სცემდა, ველარაფერს ხედავდა, მზე ისე გაშავებულიყო, თითქო დიდი ხნის დამარხული მნათობი სამარიდან ამოეღოთ. ტირილი უნდოდა, მა-

გრამ ველარც ტიროდა. გრძნობდა, როგორ აწყდებოდა ასაფრენად გამზადებული სული ბებერ სხეულს.

ისხდნენ ანგელოზები და ელოდნენ.

დათვლილი იყო მისი წუთები.

უნდოდა უკანასკნელად ვინმეს დალაპარაკებოდა, მაგრამ მარტოდმარტო დარჩენილიყო სიკვდილთან, თითქო არც არავინ ჰყოლოდა, ასე ეცხოვრა, სულ მარტოობაში გაეტარებინა წუთისოფელი და ახლაც მარტო იყო. კვდებოდა კლარა მასწავლებელი, კვდებოდა უბრალოდ, ჩვეულებრივად, როგორც კვდებოდნენ სხვა ადამიანები, სიკვდილის ბეჭედდასმული ადამიანები. ახლა იგრძნო სიკვდილის ბეჭედი, შუბლი აეწვა, ღონეგამოცლილი მკლავის აწვეის თავიც აღარ ჰქონდა, რო ხელით შეხებოდა სიკვდილის ბეჭედს. ასე ეწერა, ასეთი აღსასრული ელოდა. მთელი ცხოვრება აჟრიამულებულ სკოლაში გაატარა, მთელი ცხოვრება ბავშვები ეხვია და ბოლოს სულ მარტო დარჩა. ერთი, ერთი დამტირებელიც არა ჰყავდა, ამ უბედურ ვარსკვლავზე გაჩენილს. დაიხავლა, თითქო რალაცის თქმა დააპირა, ბგერები ენიდან ისე ქრებოდა, სიტყვებად გადაქცევას ვერ ასწრებდა.

კვდებოდა კლარა მასწავლებელი, მთავრდებოდა კლარა მასწავლებელი, სულ მთავრდებოდა, სამუდამოდ შეწყდებოდა მისი ფიქრი და აზრი, მისი სუნთქვა. გავიდოდა სულ ცოტა ხანი, ალბათ, წლისთავიც არ იქნებოდა

გასული და სამუდამოდ დაივიწყებდნენ, ვითომც არ მოსულიყოს ამქვეყნად. ბალახი მოერეოდა მის საფლავს. შენდობის ქიქის წამქცევი ეყოლებოდა? ან ეყოლებოდა და ან არა, ერთი ჟანგიანი ბოქლომი დაგმანავდა მის სახლს, სადაც ნესტი, სიბნელე და მოჩვენებები დაისადგურებდნენ. ღამ-ღამობით გამვლელებს იდუმალი ხმები მოეჩვენებოდათ კლარას სახლთან.

სულის სხეულთან გაყრის ტკივილს გრძნობს კლარა მასწავლებელი. მშობიარობის ტკივილი არაფერია თითქო ამ ტკივილთან. შვილი არ გაუჩენია, ის ტკივილი არ განუცდია, მაგრამ გრძნობს, რო მშობიარობის ტკივილი ვერ შეედრება ამ ტკივილს, თუმცა რაღაცით ტკივილებიც ჰგვანან ერთმანეთს, სიხარულებიც ჰგვანან, ტკივილებიც ჰგვანან – მშობიარობის ტკივილი და სულის სხეულთან გაყრის ტკივილი. ახალი რაღაც იბადება – იქ ჩვილი, აქ სული – ზეცის ჩვილი...

მთავრდებოდა კლარა მასწავლებელი და მაინც ვერ ამოეხსნა, რისთვის მოვიდა, რისთვის იცხოვრა ან რისთვის კვდებოდა, ან მოსვლა რა იყო, ან წასვლა. ცხოვრებანათრევი სხეული ჩამქრალიყო. გორგოლაჭებიან მორყეულ რკინის საწოლში, თითქო სიკვდილს უკვე შეეჭამა კლარას სხეული და ნარჩენებილა ჩანდა საწოლში.

ერთი სიტყვაც ვერ შეენებებინა, სიკვდილის წინ

რო ეთქვა, ბგერები ფიფქებივით, უკვალოდ ქრებოდა ენაზე. „ღმერთო“, როგორ უნდოდა ამ სიტყვის თქმა, მაგრამ ვერაფრით ახერხებდა, მხოლოდ ცრემლი, ცრემლი ჩამოსდიოდა უსიცოცხლო სისხლგამშრალ ღანვებზე.

თითქო ეზოში ხმა გაიგო, ნაავდრალ, ალაგაზებულ მინაზე, ტყაპატყუპით შემოდოდა ვიღაცა. მიუყურა, უფრო უახლოვდებოდა ხმა. კარი ჭრიალით გაიღო. კლარამ თვალი ოდნავ გაახილა და არ მოსჩვენებია, თავისი ერთ-ერთი ნამონაფარის ლანდი დაინახა, უფრო სწორად ლანდად დაინახა თავისი ყოფილი მოსწავლე.

უნდოდა ეთქვა: – შენა ხარ? მაგრამ იცოდა, რო ვერ შეძლებდა, მხოლოდ უღონოდ გახელილი თვალები მიაპყრო, თითქო მოუბოდიშა, პატიების ნიშნად ცრემლი ჩამოუგორდა, მერე კი ტკივილი გაძლიერდა, ზეციური ჩვილის დაბადების ტკივილი.

– ლუკა ვარ, ლუკა ვარ! კლარა მას, კლარა მას, შემომხედეთ, – ღონიერად შეანჯღრია. რკინის საწოლმა საშინლად გაიხრჭიალა, ლუკას თითქო საწოლის ხმით შეღრინა სიკვდილმა.

– ლუკა ვარ, ლუკა ვარ.

კლარა მსუბუქად ირწეოდა და მაღლიდან დასცქეროდა ატირებულ, ტალახში ამოგანგლულ ბიჭს და საკუთარ სხეულს, ძველი, ჭუჭყიანი სამოსივით რო დატოვა მამისეულ რკინის საწოლზე.

\* \* \*

– მოიცა!

თითქო ვერ გაიგო.

– მოიცა-მეთქი, – ქოშინით მოსდევს. ბიჭმა უფრო აუჩქარა ნაბიჯს.

– გაჩერდი, გევედრები, გაჩერდი!

გუბეში გამწვანდა, თითქო ვერ იგრძნო, უკან მოხედვა არ უნდა.

სირბილით გაეკიდა ქალი, გული ყელში მოებჯინა, სუნთქვა უჭირდა. ცივმა ოფლმა დაასხა.

– გევედრები, გაჩერდი!

– არ გავჩერდები, – მკვახედ მოაძახა და გაიქცა.

ქალმა სირბილი ველარ შეძლო, მუხლები მოეკვეთა და მოწყვეტილი დაეცა, წვიმით გადარეცხილ ათხრილ ასფალტზე მუხლი გადაეყვლიფა, თუმცა ტკივილს ვეღარც გრძნობდა.

ბიჭი მიხვდა, რო აღარავინ მისდევდა. შედგა და კუშტი მზერით მიაშტერდა ქალს, რომელიც უმწეოდ ეგდო ნანვიმარ გზაზე.

ბოლოს ველარ მოითმინა, ქალისკენ მძიმე ნაბიჯებით დაიძრა.

ქალს თვალები დაეხუჭა, მაგრამ ბიჭის მოახლოება იგრძნო.

ბიჭი დაიხარა, ქალს ხელები ღონივრად ჩაავლო

და წამოაყენა.

ქალი ცრემლიანი თვალებით მიაშტერდა, მერე კი ჩაეხუტა და ხმამაღლა აქვითინდა.

– ეს რა ქენი, ეს რა ქენი. თან მასახელე, თან მომკალი, თან მასახელე, თან მომკალი. – ბიჭს ქალის ცრემლიანი ლულული ჩაესმოდა, მაგრამ ვერაფერს ხვდებოდა.

– მადლობის წერილი მივიღეთ შვილო! ნიჭიერი იყავი, ვიცოდი, ვიცოდი, მაგრამ რა ვიცი, რა ვიცი, მაპატიე, ადამიანებში პატიება თუ არ არის... მაგრამ ეს რა დაგინერია, ორი ღამეა თვალი არ მომიხუჭავს, ვწევარ და სიკვდილზე ვფიქრობ, თითქოს უკანასკნელ წუთებში ვარ და სულის ამოსვლას ველოდები.

– ოხ, ლუკა! – ქალი ცოტა დამშვიდდა, ფეხი კოჭლობით გადადგა, წონასწორობა შეინარჩუნა. აყვლეფილი მუხლი თითქო არც ახსოვდა. – რაღა მაინც-დამაინც ეგ აირჩიე, თავისუფალი თემა და კლარა, – ცრემლიან თვალებში ღიმილი გაუკრთა. – როგორ მომკალი, დამაფიქრე კია სიკვდილზე, – ამოიოხრა და თითქო გული აღარ დარჩა მკერდში.

ლუკას ეშმაკურად ჩაელიმა.

– მე არ დამინერია მას!

9 აპნისი, 2017 წელი,  
დუისი-დ

## ალალა

– პირველი სამი ხო... – ხელი ჩაიქნია ოპრიამ. – ჩიტები, ჩიტები, აესე ჰყამ, აი, – თამბაქოთი გაყვითლებული თითი გაისვა წვერჩამოზრდილ ყელზე. – ის ცხონებული რო წამოახედა, ის საცოდავი ილა, მეორედ გადაბრუნდებოდა და მოკვდებოდა. ჯერ არემარეს გახედე, აბა, ეგრე ჰქონდა? ღარიბულათა ცხოვრობდა, მაგრამ დამასმასებული ჰქონდა, დამასმასებული, ბოსელი გინდა, საბძელი, ეზო თუ კარი. უიღბლო კაცი რო დაიბადება თორე... აიყვანა, იშვილა, საიდან ჩამოუყვანეს, რა ფესვმოდგმისა გამოდგა ეს შობელძალლი, თავიდან კარგი ბიჭი ჩანდა, თითქოსა, ილას ეხმარებოდა, ხელ-ფეხში უვარდებოდა, ხელ-ფეხში, ილა იტყოდა ხოლმე, ბედი მქონია კაცო, ბედიო. ღვიძლი შვილი რო მყოლოდა, შეიძლება ის არ გამომდგომოდა ეგრეო. ჯანგულას რო ბიჭი ჰყამდა არ გახსომს? საკუთარი ხელით მოკლა ღვიძლი შვილი, ჭორები კი დაუყარეს, ვითომ ღვიძლი არ იყო, აყვანილი ჰყამდაო, მაგრამ სიკვდილის წინ უთქვამს, მერე ჯანგულასა, ცხონებულსა, ჩემი იყო. თავისი იყო და საკუთარი ხელით მოკლა, ისე გაამწარა, ისე ამოუყვანა ყელში, აიღო თოფი, დაახალა და მარანში დამარხა კაცო. ამაზე დიდი სიმწარე რა გინდა, ამაზე მეტი ცოდვა, – ნერწყვი მძიმედ გადაყლაპა ილას მეზობელმა ოპრიამ. – რამდენი წელიწადი ჰყამდა დამარხული ეგრე მარანში.

ხალხში ხმა დაყარეს, რო არა სჩანდა ის ცხოვნებული გიჟმაჟა, რუსეთში წავიდა სამუშაოთო. გაქრა, გაუჩინარდა, სოფელსაც ეგრე ეგონა. სოფლის დაჯერებას რა უნდა, კახპა ქალს პატიოსნად და უმნიკლოდ აქცემს, პატიოსანს კი უცბათ გააბოზებს. რამდენიმე წელი ითუხთუხა ჯანგულას გულში ამ დარდმა. როგორია, აბა, დაფიქრდი კაცო! მაჟრიალებს სულა, მაჟრიალებს. ღმერთო შენ დაგვიფარე! – პირჯვარი გადაიწერა ოპრიამ. – რა ცოდო აღარ არსებობს. ბოლოს ველარ გაუძლო, მეზობლის ბიჭი იხმო თურმე ჯანგულამ, წადი, მილიციაში განაცხადე, რო ჩემი შვილი მე მოვკალი და მარანში მარხიაო. ჩემი ღვიძლი შვილი იყო, მაგრამ სიცოცხლე გამიმწარა მე და ჩემს ცოლსა, გვანამებდა, სულსა გვხდიდა ცემა-ტყეპაშიო, ვიცი, ხალხი ფურთხებას დამინყებს, იქნებ საფლავშიც არ დამაყენონ, მაგრამ რაც გავაკეთე, აეგ არიო. სანამ ანზორას რიჟა კოტე სოფელში გავიდა და ხმა გაიტანა, ჯანგულამ მარანში შეიტანა თოფი და შვილის საფლავთან მიიხალა. მივიდნენ და ტვინგასხმული ეგდო ეს საცოდავ ვარსკვლავზე დაბადებული კაცი. ისე როგორ გაამწარა, ისე როგორ გამოიყვანა წყობილებიდანა, ჰა?! მიფიქრია, წასულიყო, გარიდებოდა, გადაკარგულიყო სადმეს-მეთქი, რა ვიცი, – ისევ გადაიწერა პირჯვარი ოპრიამ. – ეს დალოცვილი გამჩენი ცოდვის გარეშე რო გვაცხოვრებდეს, ხომ შეიძლება. ილა სულ მაგას ამბობდა ხოლმე და შეჰხაროდა ამ ცალტვინასა. აყვანილი უძახეთო და

როგორი ბიჭი მეზრდებო. უნდა ვასწავლო, დიდი კაცი უნდა გამოვიყვანო, მაგრამ გაიზარდა და გავირდა ეს შობელძალდი. რა დღეში აგდებდა ბოლოსა, რო გამახსენდება, ძვლებზე ცეცხლი მეკიდება ხოლმე. ილა ამის ღირსი არ იყო, მაგრამ, ხო იცი ბედი მამე და სანახევზე გადამაგდეო. წავიდა ეგრე გულჯავრიანი ის ცხონებული, წავიდა და აქ დარჩა იმისი ფიქრი და დარდი. ჯერ სულ რა ებადა და ისიც რა დღეში ჩააგდო, აბა, იმ ხეივანს გახედე, ისეთი ვაზი ჰქონდა, მზე ილას ხეივანზე იჯდა ხოლმე, წასვლა არსად უნდოდა. ნახე რა დღეშია, სამი წელია არ გაუსხლამს. აბა, ახლა ბოსტანს გახედე, სადლა აქვს. ბოსტანს ლარში სთესამდა ის ცხონებული, რო გახედავდი, – თავი გააქნია ოპრიამ. – საცქერლად ღირდა მარტო, რა საქონელი ჰყამდა. ილას ძროხები რო გაეჩინათ და მოემრავლებინათ, რიგში იდგნენ ხოლმე ჩვენებურები, ოცლიტრიანები სულა, წითელ-წითელი ძროხები, უშობელი დეკეულები, მოზვრები და ღორები? ილას ღორები გახსომს კაცო, ერთხელ ვერ დასძრეს ვაჭრებმა. იმოდენა ღორი გაზარდა, საღორეში ველარ ეტეოდა, საიდან ჩამოიყვანა აღარ მახსოვს, გრძელფეხება ღორები ჰყამდა, რამოდენები, არ ვიცი, ძმაო, ეგეთი ბარაქიანი ხელი ჰქონდა და მაინც ღარიბულად ცხოვრობდა. ალბათ, აგროვებდა, აგროვებდა და აბა ვისთვისა, ეჭამა და ესვა, ჩაეცვა და დაეხურა, ვინ რა დაუნახა. წავიდა ეგრე და ქვაც არ დაადგეს. ის ქვა რა გახდა, მაგრამ ამ

ჩიტირეკიას გინდა უთხარი, გინდ არა.

– მეოთხე გააჩენინა კაცო, – ხელი-ხელს შემოჰკრა, თავისი გაკვირვება რო სხვებსაც გადასდებოდათ. – გეგონება სამ შვილს რჩენა არ უნდოდა. ცოლი... ცემა-ტყეპა, ცემა-ტყეპა, მაინც აჩენდა, არიან ეგრეთებიცა, ალბათ. ახლა მეოთხე... ერთხელ ჩემმა ცოლმა უთხრა, მერე კი გემოზე ვაგინე სახლში, რა გინდა შე კეთილ.... ვინ გეკითხება, ყველამ თავისი საქმე იცის, გინდა მეოთხე გააჩინონ, გინდა მეხუთე და გინდა მეასე-მეთქი. კაცო, მეზობლები არიან, გული შემტკივდება, ე, ბავშვებს რო ვუყურებ მშიერ-ტიტვლებს, ქვა ხო არ მიდევს ამ დასანველ გულის მაგივრათო. მერე რო უთხარი რა გაიგო, აი ნახავ, თუ მეხუთესაც არ მიაყოლებენ-მეთქი. მერე მეც ველარ მომითმინა გულმა და ვუთხარი:

– კაცო მეოთხეზე რო გაგიბერია ეს შენი ცოლი, მართო გაჩენა ხო არ არი, დარჩენაც ხო უნდა იმ ბავშვსაო.

– აისაო, – თითი ცისკენ აუშვერია. – როგორც გააჩენს, ისე დაარჩენს ის დალოცვილი, ყველას თავისი საჭმელ-სასმელი, სიხარული და მწუხარება თან მოსდევსო.

ნათესავები... მისხის მისხი, მისხის მისხი, არავინ დარჩება, ჭერი თავზე ენგრევა, წყალი დასდით და ერთ ნათესავს არ დატოვებს, რო არ მოიკითხოს. ჯერ თვითონ რა აკოლია და მიდის და მოდის „ზანგიზუნგითა“ ნათესავებთან.

ერთი პატარა ღორი გაზარდეს, ნვალეზ-ნვალეზით, ნახევარი ამბარი სიმინდი ძლივს მოუვიდათ. მთელი სანათესაო დაპატიჟა. შესცქეროდნენ მაგის ბავშვები და ქორწილის ხალხი მორეკა. გამოვიყვანე და ვუთხარი: შე შობელძაღლო, ე, ამდენი ხალხი რო დაპატიჟე, ოთხფუთიან ღორზე, ცარიელი სალა რო დაგრჩება, შენს შვილებს, მთელი ზამთარი რა უნდა აჭამო-მეთქი.

რა მითხრა არ იცი? გაგიჟდები, კაცო! დამცინა, მართლა დამცინა. მე რო მაგის დასაციინი გავხდები, ჩემი წილი ქვაცა მაქ და კაკალიც, ჩემი ქონებაც და კარ-მიდამოც მოიკითხე და მაგათიც.

– არ გინდა, რო შენც ჩემნაირი იყვეო?! ნათესავი თუ არ გეყვარება, მეზობელი, ძმაკაცი და უბნელი, რისთვის ხარ ამქვეყანაზეო. მე რაცა მაქ, მყოფნის და არავის ერთი ადგილის საქმე არ არის, ვის დავპატიჟებ და ვის რა პატივსა ვცემო. კიდე გამიმეორა მერე, არ გინდა, რო შენც ჩემნაირი იყვეო?! მაგრამაო, დააყოლა, ვერასოდეს ვერ იქნები და როგორც შენ გეცოდები ეხლა, ისე მე მეცოდები, თუმცა შენ შეიძლება გულწრფელად არ გეცოდებოდე, მაგრამ მე მართლა მეცოდები, ჩემს შვილებს ვფიცავარო.

– რატო-მეთქი, გული ყელში მომეზვინა.

– ალალ კაცად ყველას კი არ აჩენს ის დალოცვილიო,  
– თითი ცისკენ აიშვირა.

10 აპნისი, 2017 წელი,

## დანიელები

– რო მოვყვე, ვიცი მაინც მივა ეგ ამბავი იმათ ყურამდე, აიჯაგრებიან, სიმთვრალეში გამიხსენებენ და უეჭველი შარში გავეხვევი, – იცინის კახუჩელა. – მაგათი ამბავი... ხუმრობას ველარ იტანენ, სიცილი დაავინყდათ ამ შობელძაღლებს, სიცილი, ადრე რო დადგებოდნენ ბირჟაზე და ბჟირდებოდნენ, ათას რამესა ჰყვებოდნენ, ეხლა ეგრე მოვალეებივით იბღვირებიან, მაგათ სახეს ღიმილი აღარ ეკარება, დაჟანგდნენ ფიქრით, დაჟანგდნენ, ფიქრმა, იცი, როგორი დაჟანგება იცის? სიცილი მაგისტვის მოიგონა გამჩენმა, რო არ დაჟანგდე, ხანდახან ხელი უნდა წაჰკრა ღრუბელსა სულში. ეეჰ, ეგრე მოქუფრულები დაგვტოვა ომმა, ზოგს სახლი დაუნვეს, ზოგს მიწები დარჩა იქით, ზოგმა საქონელი დაკარგა და არიან ეგრე თავიანთ სადარდებელში გამომწყვდეულები, გამოკეტილები, დარდის გალიაც არსებობს.

ერთი სიტყვით, დამთავრდა ის წყეული ომი, წლები არა ყოფილა, წლები არ გაგრძელებულა, მაგრამ დაუსრულებელი კი გახდა ის რამდენიმე დღე, ჯოჯოხეთად გვექცა ცხელი დღეები.

დამთავრდა და მოვიდნენ ჩვენებურები. ზოგი არც წასულიყო, სოფლიდან ფეხი არ გაედგა, კარ-მიდა-

მო არ მიატოვა. მერე კი ჩუმჩუმად წამოაძახებდნენ ხოლმე, ერთმანეთსა სიმთვრალეში, რო წახვედით და აიბარგეთ აქედან, რო გამოკეტეთ სახლ-კარი, მაშინ უნდა გაგხსენებოდათ საქართველოს სადღეგრძელო, ეხლა რო ჭიქებს იგორავებთ გულზეო. სად დავრჩენილიყავთ, რომელი შეიარაღებულები ჩვენ ვიყავთ, რო რუსებს გადავდგომოდით, თქვენ თუ დარჩით, ხო სულ თავი შეაკალით, ბალებში იმალებოდით და გარეთ ცხვირს არა ყოფდითო. მოკლედ...

მეტირებოდა აჟრიამულებულ სოფელს რო ვხედავდი. ისეთი შეგრძნება მქონდა, რო სასაფლაოდან სახლში დავბრუნდი, მკვდრების სამყოფელს თავი დავაღწიეთ. სოფლის სუნთქვას ვგრძნობდი. სოფლის სისხლის ხმაურსა ვგრძნობდი. ენკენისთვე მოგვეგება სოფელში. დალოცვილი... შენი სახლი შენთვის სამოთხეზე მეტია. სახლში რო ხარ კაცი, ცხონებასავით არი. ვუყურებდი და მეტირებოდა. რა გვიყვებს ესა, როგორ დაგვაბუზარავეს, როგორ გაგვრეკეს, როგორ გაგვადედღეს. ერთი კი კარგი ის იყო, რო სიმთვრალეში ჩვენს გაუთავებელ ტრაბახს ბოლო მოეღო. ყველას ვაჟკაცობა და ქართველობა გამოჩნდა. ჩემიც გამოჩნდა. ის არა ვყოფილვარ, როგორიც მეგონა ჩემი თავი, ორ ჭიქას რო გადავკრავდი, ქვეყანა ჩემი მეგონა და ასეთი წარმოდგენა მქონდა ჩემს თავზე, ჩემი ქვეყნის მტერს თავს შევაკლავდი. ტრაბახში

ვართ გაკეთებულები. დავიტიშე და წავედი. საცა სოფელი იქ მეც-მეთქი... ერთი ჩემი მეგობრის ანდაზისა არ იყოს, ანდაზები იცის, ანდაზები, დიდ სკივრში ვერ ჩაეტევა, „საცა სოფლის ნახირო, იქ დედაბრის ხბოცაო“. აეგრე დედაბრის ხბოსავით გავყე სოფლის ნახირს, ბოჩოლასავით გავყე. არადა, რო გეკითხა, მტერს კუდით ქვას ვასროლინებდი. დევნილობაში ისე შემზიზლდა თავი, ლამის ჩემი ხელით გამოვუყვანე წირვა. ჩემს ბიჭს ვუყურებდი და ვფიქრობდი, ეგრე გაბეცებული თვალებით რო შემომცქეროდა, მე რო დამემსგავსოს, ჩემნაირი რო გაიზარდოს და ამანაც უარესად აქციოს მომავალში მტერს ზურგი-მეთქი. ჩემნაირი ღმერთმა არ გაგზარდოს, შვილო-მეთქი – გულში ვფიქრობდი. იმასაც რო იგივე გაეკეთებინა, სუფრებზე ეყელყელავა, გულზე ხელი ებრაგუნებინა და საქმე საქმეზე რო მიდგებოდა, სოფლიდან დატიშულიყო. ღმერთო დამიფარე! აესე დაგვანახა ომმა თავი!

ეხლა დანიელებზე რო დაგვირდით.

მათემ მოიყვანა დანიელები, რიჟანვერიანი კაცები იყვნენ სუ ყველანი, რიჟები, გოდეს ბიჭი ხო იცი, რიჟა კაკო, იმაზე რიჟები იყვნენ.

მათე, გალუსტაანთი, დანიელების რომელიღაც ორგანიზაციაში ყოფილა, დატანჯულ ხალხს ეხმარებოდნენ, დევნილებსაც აპურებდნენ, ღმერთმა გაახაროთ. მოი-

ყვანა მათემ, ე, ჩვენებურები... ოი, გული მოსდის კახ-  
უჩელას, – რა გინდა, შვილოსა, კაცი გეხმარება, მშიერი  
ხარ, ტიტველი ხარ, კუჭი ამოგხახვია... მოიყვანა მათემ,  
ჩვენს სოფლელებს დავეხმარებიო, ერთი ტრაილერი  
მაკარონი და ზეთი მოაყენა სოფლის შუაგულში. წი-  
ნასწარვე იცოდნენ, ამათი გაუგებარი რა დარჩებოდა,  
მოგროვდნენ დამშრალ წყაროსთან, წყარომაც მიწას  
შეაფარა თავი ომის დროს, ამოშრა, ეგრე, არადა რა  
წყალი გვქონდა, დალოცვილი... წყალიც გაუჩინარდა.  
თან უხაროდათ ჩვენებურებსა, თან მათეზე ბუტბ-  
უტებდნენ. ეგაო, ცარიელ ჯამში ხელს არ ჩაყოფდაო,  
კაი გაცვეთილია ეს ჩვენი მათებიჭი, რო მოაყენა ეს  
უცხოელები, თვითონაც კარგა იხეირებსო. იმდენს უხ-  
დიან, იმდენსაო... რა გინდა, დაყენდი შენს ქერქში,  
გეხმარება კაცი, გულმა გამოუწია თავის სოფლისკენ,  
გააკეთებ ვაია, არ გააკეთებ უია. ხალს თვალი სადა  
აქვს, დაწებებული აქვს თვალი, დაწებებული, ხანდახან  
გამოახელს და რასაც უნდა, მხოლოდ იმას ხედავს.

მათემ უცხოელები დაიყენა გვერდით, ეს ხალხი,  
დანიელები არიანო – ჩვენებურებს უთხრა. – ჩვენს  
დასახმარებლად არიან ჩამოსულებიო. ესა ქრისტეფორეა,  
ეს – ლუდვიგიო, მესამეს სახელი აღარ დამამახსოვრდა.  
– კეფა მოიქექა კახუჩელამ, ვთხოვე, რომ ჩემს სოფელს  
დახმარებოდნენო. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო

თქვენი სახელით დანიელ ხალხსაო, თან იმათკენაც გაიხედავდა ხოლმე, ჩაუინგლისურებდა. როგორ კარგა უსწავლია ამ შობელძალდსაო, – ბურტყუნებდნენ...

მერე დანიელი სტუმრებიც გამოვიდნენ სიტყვით. უფრო ასაკიანი ქრისტეფორე იყო, სამოც წლამდე იქნებოდა, ჭალარა წვერი მარტო ნიკაპზე ჰქონდა ამოსული, თავი სულ გადაეპარსა, უბზინავდა მზეზე, იტყოდი, რო ერბო ესვა.

მათე გვითარგმნიდა.

– ჩვენ ძალიან განვიცადეთ თქვენი ამბავი, მთელი დანია ფეხზე დგას, მცირე ნობათი ჩამოგიტანეთ, ნაომარი ხალხი ხართ, უბედურებაგამოვლილი, მიიღეთ ეს ჩვენი მცირე საჩუქარი და სულ ცოტა ხანში კიდევ გენვევით, სხვა საჩუქრებსაც ჩამოგიტანთო. ტრაილერისკენ გაურბოდათ თვალები ჩვენებურებს, წუწკი ძაღლებივით მიშტერებოდნენ.

ეხლა მხოლოდ მაკარონი და ზეთი ჩამოვიტანეთ, მეორე ჩამოსვლაზე სხვა რაღაცებსაც ჩამოვიტანთო, – გაოფლილი შუბლი გადაიწმინდა დაჭმუჭნული ხელსახოცით კახუჩელამ.

– არსად გამოსაჩენები არ არიან, არსადა, გახსნეს თუ არა ტრაილერის კარი, ველარ იჭერდა ჩვენებურებს მათე. გაგიჟდა ბიჭი, რას აკეთებთ ხალხო, სირცხვილია, რას იფიქრებენ დანიელებიო, სახე ტიტებისფრად

ულაპლიპებდა. ქრისტეფორე და მისი ამხანაგები თვალბდაკარკლულები შესცქეროდნენ. დაესივნენ მაკარონსა და ზეთსა, – თავს იქნევს კახუჩელა. – მგონი რუსებზე არ იყვნენ ისე გულმოსულები, როგორც ერთმანეთზე. ცოლებიც ხო იქა ჰყავდათ, ყვირილი, წყევდა, გინება. მათე ხო მოისროლეს გვერდზე, მერე ლამის დანიელებიც გალანძღეს, თუ მოგქონდათ, ცოტა მეტი წამოგელოთ, ნახევარ სოფელსაც ვერა ყოფნისო.

მთელ სოფელსაც ეყოფოდა და ყელშიც ამოუვიდოდა იმდენი იყო, მაგრამ მიჰქონდათ და მიჰქონდათ, სამ-სამჯერ მოდიოდნენ.

ნერგის ქვეშ იდგა ელიოზა, საბჭოს თავმჯდომარედ რო მუშაობდა ხოლმე, ეხლა კარგა მაგრა მოტეხილიყო, სიარული უჭირდა, ორი ჯოხით დადიოდა.

თვალეზანყლიანებული იდგა და სიმწრისგან ნიკაპი უკანკალებდა, გალეული ნიკაპი, ბოლოს ვეღარ მოითმინა, ერთი მიაფურთხა, სამსართულიანი გადაუკურთხა, ბოლოს მიაწყევლა, ამ გაგაძლოთ მამაჩემის სალოცავებმაო და ჩლახუნით გასცილდა იქაურობას.

იდგა გამტკნარებული მათე, ხან მოყაყანე თანასოფლელებს მიაჩერდებოდა, ხან გაბეცებულ დანიელებს, ხან გამოცარიელებულ ტრაილერს.

შეხედავდი თუ არა, მიხვდებოდი, რო ნანობდა, ეს რა დედიჩემისა ვჭამე, რამდენი ჯაფა დამჭირდა,

ლამის იყო ფეხები დავუკოცნე აქეთ რო წამომეყვანა და რა გამიკეთესო. სადღა გამოვყო თავი, თვალებში ველარ უყურებდა დანიელ მეგობრებს. ბოლოს იმ ლოპიტა ქრისტეფორემ გამოიყვანა მდგომარეობიდან. მათეს მხარზე მოუთათუნა ხელი.

– ომის ბრალია, მე ვიცი თქვენი ხალხი როგორია, როგორი გულუხვი, დიუმას კავკასია ფრანგულად მაქვს წაკითხული. იქ ასეთი ფრაზა ამოვიკითხე: „ქართველებს ისე უყვართ საჩუქრის გაღება, როგორც სხვებს საჩუქრის მიღებაო“. რას იზამ, ომმა თავისი დალი დაასვა ყველას, ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება. ამ ხალხს გადაეცით, ვისაც მაკარონი და ზეთი არ შეხვდა, მათთვისაც აუცილებლად ჩამოვიტანთო.

რას იზამდა მათე, იდგა და იღიმებოდა, მაგრამ ვაი ამ ღიმის!

\* \* \*

ლონგეს ბიჭთან წაიყვანეს დანიელები. მათე უარობდა ერთი ხანობა – მე მივხედავ ამ ხალხს, ჩემთან წაიყვან, მე ვუმასპინძლებო. ლონგეს ბიჭმა გადაბღვირა თანასოფლელებს, რას მიყურებთ თქვე გამოქლიავებულებო თქვენა, კაცმა ამდენი პატივი გცათ, პადვლები გაავსეთ მაკარონებითა და სუფრის გაშლაც აღარ გინდათო.

აქეთ ლონგეს ბიჭი, იქით – მათე.

ერთი სული ჰქონდა მათეს, იქაურობას გასცლოდა, მაგრამ ლონგეს ბიჭმა თავისი გაიტანა.

ბოლოს, როგორც იქნა, დაჰყაბულდა მათე. დანიელ მეგობრებს უთხრა, ამათი ამბავი რო ვიცი, არ მოგვეშვებიან და ბარემ აქვე წავისადილოთო. დანიელუბიც ილიმებოდნენ, სულ ილიმებოდნენ, ვერ გაიგებდი, დაგვცინოდნენ თუ მართლა ილიმებოდნენ.

სუფრა... უიმე! აბა, მათე ვინც შეარცხვინოს მე იმის ასე და ისეო, – ლონგეს ბიჭმა. წამოაქცია ბურვაკი, შარშანდელი სამოციანი ჰქონდა მოსახდელი, გორულნარევი ჩინური და მოშვლიპა თავი, გიორგობას უნდა მომეხადა, მაგრამ ვენაცვალე იმის მადლსა, არ მიწყენსო. ჩამოასხა, ისეთი სურნელი გამოვარდა მარნიდან, ეზოშივე დაარეტიანებდა კაცსა.

გუგეს ბიჭმა ზერომ წალამი ააგიზგიზა. ბურვაკის სამწვადე „სეტკაზე“ დაყარა. მოეფინა მწვადის სუნი იქაურობას.

– მაგათ ეგონათ, რო მშვიდები დავიხოცებოდითო, – ხარხარებდა ლონგეს ბიჭი. აი, მაგათ სამი თითის კომბინაციო – რუსებს გულისხმობდა.

გივის ცოლმა ხაჭაპურები დააცხო, სანამ სუფრას გაშლიდნენ, ეზოშივე გაუჭრეს დანიელებს.

დანიელები ხაჭაპურს მადიანად შეექცეოდნენ.

მათე იცმუცნებოდა, ჭამდა, მაგრამ სიბრაზე მაინც არ განელეებოდა.

ბოლო მწვადები წამოცენცა გუგეს ბიჭმა ცრემლიანი თვალებით და სუფრასაც მიუსხდნენ.

რა ომი, რის ომი... შემწვარ-მოხრაკულები არ აკლდა სუფრას. ჭერეხივით ეყარა მწვადი და დედლები. დედლები კაკოს შეანერეს, მურა გივის ბიჭსა...

შეუბერა ლონგეს ბიჭმა და თარგმნას ველარ ასწრებდა მათე. მოჰყვა და მოჰყვა მამაპაპურებს. დანიელები წრუპავდნენ ლონგეს ბიჭის ღვინოს და კმაყოფილებისგან წამდაუნუმ რალაცას გადაულაპარაკებდნენ ხოლმე ერთმანეთს.

ეგრე არ გამოვაო, ლონგეს ბიჭმა, გიორგობის ღვინო მოვხადე და ამის ესე დალევა როგორ შეიძლებაო. გადაეცი ჩვენს სტუმრებს, რო წმინდა გიორგი გაგვინყრებაო. გადაუთარგმნა მათემ, დანიელებმა ერთმანეთს გადახედეს.

მოკლედ... სამჯერ გაუხდათ ცუდათ ქრისტიფორე, წასძლია სულმა, აჰყვა ლონგეს ბიჭსა და კინალამ ჩაბარდა პატრონს. გაუბრაზდა მათე ლონგეს ბიჭსა, მაგრამ რას შესამენდა.

– შენა, იცი რას გეტყვი, ამ სუფრაზე მე ვარ ბატონი და, როგორც მინდა, ისე დავილოცები და დავლევო.

\* \* \*

ვისაც მაკარონი არ შეხვდა, ეზო-კარი აუტალახა მათეს. სად არიან დანიელებიო, ხო დაგვპირდნენო. თან ბუზლუნებდნენ, ჩვენი წილი მაკარონი და ზეთი ვინ წაიღო, ვინ მიითვისაო.

– ეს რა შარში გავეხვიე, კაცო. რა გავაკეთო, აღარ ვიცი, მაკარონი მაგათ და ჯანდაბაო, – სიმწრისაგან თითებს იჭამდა მათე. – მათე მიითვისებდა ჩვენს წილსა, თორე დანიელები ხო დაგვპირდნენო. ეცი კაცს პატივი. აბა, რა ვთქვა, კაცოო.

ქრისტეფორეს უთქვამს მათესთვის – ვის რად უნდა ეს ჩვენი მაკარონი და ზეთი, შემწვარ-მოხრაკული არ აკლიათ შენს თანასოფლელებსაო. ძან მეექვება ბურვაკის მწვადის მერე მაგათ მაკარონს პირი დააკარონო.

მართლა საოცარი ხალხი ხართ, საოცარიო.

– აეგეთი ამბები იყო ომის მერე, – ქირქილებს კახუჩელა. – მაკარონი, მაკარონი... ე, მათე კი გააგიჟეს სანყალი.

17 აპნისი, 2017 წელი,  
დიცი

## მამლის წელი

– ე, ჩემს ძმასა, ხო უყურებ, ესეთი ქვისნატეხი კაცია, – ხელი ჩაიქნია გუჯამ. – ვერაფერი გავაგებინე, ვერაფერი შევასმინე.

– არც შენა ხარ ნაკლები ქვის ნამტვრევი, – მწყრალი თვალებით მოხედა უმცროს ვაჟს ზალიკომ. – ესა ნაკლები არ გეგონოს, – მომაჩერდა სამოცდაათს მიტანებული დევნილი ხეობელი. – ბავშვის ნატრული ვარ, პატარის ნატრული ვარ, პირი მიწისკენა მაქ და ერთი ამათი... – ხელი ჩაიქნია.

– სკოლას დავამთავრებ თუ არა ცოლი უნდა მოვიყვანო, ქორწილს ხო გადამიხდიო, ემანა, ემანა, – გუჯასკენ გაიშვირა მარილებისგან მოგრეხილი სალოკი თითი. – სკოლა კი არა, გადაკრუხებისკენ წავიდნენ ორივენი. აი დღესა, აი ხვალა, აი დღესა, აი ხვალა. ე, საწყალ ქალსაც აღარ შეუძლია, დღე კი დაფუხფუხებს, მაგრამ ღამე ამის კვნესა არ მაძინებს, აღარ შეუძლია. დაემვა „პაკრეშკები“, მაინც არ ვეშვებით.

ერთმანეთს შესცქერიან, ჯერ შენი ჯერია, ბიჯო, არა შენი ჯერიაო, არა შენია, არა შენიო. რა ვიცი, – პაპიროსი გაირჭო ზალიკომ. – რანაირი ახალგაზრდები არიან, თუმცა რალა ახალგაზრდები, ორმოცს გადასცდნენ და ამათ ჰგონიათ, ბანტიანები დაელალები-

ან. მასხარა გამხადეს, მასხარა. მეთქი შვილიშვილებს ჩემს გემოზე გავზრდი-მეთქი. ამ ომმა გამაპარტახა და რაც ომმა დამაკლო, ესენი მისრულებენ.

– კარგი, კარგი, კარგი, – დაუცაცხანა მერაბომ. – გაუხალასტოვე ხოლმე, გაუხალასტოვე, რო ჩააგდებს პირველში, დამთავრდა.

– მოიყვანე და ხმის ამომღების დედაც... – დაიჯლანა ზალიკო. – პატარები ხო არა გგონიათ თქვენი თავი. სიბერე უკან მოგდევთ. ჯერ არ გესმით მისი ნაბიჯები, მაგრამ ეგეც მალე იქნება. სიბერის ნაბიჯების ხმა რო მოგწვდებათ ყურში, მერე მიხვდებით...

– კარგი-მეთქი, კაცო!

ზალიკოს ხმა არ ამოუღია. ზალიკოს მეუღლე გამოვიდა, ცხელ-ცხელი ხაჭაპური გაგვიჭრა.

– დაბერდაო, ვინ დაბერდა?! – ჩაელიმა მერაბოს. – აბა დახე, რა ხაჭაპურები დააცხო.

მელანომ თავი გააქნია, გაელიმა. მერე ზალიკოსკენ გაექცა თვალი და სამზარეულოში შებრუნდა.

– „ხაჭაპურები კი არა... მე ვიცი რაც უნდა გამოუცხო ამათა“, – ფიქრობდა ქარმაგი ხეობელი.

– აილე, მისწვდი... – სკამი მიაჩოჩა გუჯამ. – ნალდი ოსურია, – ჩაეცინა გუჯას. – არ გაგეცინება კაცო, ოსებმა სახლი დაუნვეს და გამოაქციეს ოსი, დგას ეხლა და დევნილობაში ოსურ ხაჭაპურებს აცხობს.

გული მიგებდა, რალაცა უცნაური წინათგრძნობა მქონდა, გეფიცები, ვინ დავიფიცო. არაფერზე მიწევდა გული, მერაბო კიდე, სახლს მოვაშენეთ, მოვუმატეთ, მერე ავეჯი... გავძეძგეთ სახლი, თავი კუდს ვერ მოიქნევდა.

წინა წელს გაგვიმართლა, მოსავალი იყო ველ-არა ვტევდით. მეზობლის ბიჭსა ვთხოვეთ პადვლები, რო ვაშლი დაგვეწყო, ნოლი ვაშლი გვენყო, ნოლი. მაგრა გაგვიმართლა, ერთი სეტყვა არ ჩამოვარდნილა იმ წელიწადს, ახალგამართული ბალი დაზორტილი იყო. გოლდენი, სარის სინაფი, სევას ვაშლი... ფასიც მაგარი ჰქონდა, მოდიოდნენ და მოდიოდნენ ოსი ვაჭრები, კაბარდინელებიც მოდიოდნენ, ავუნიეთ და ავუნიეთ ფასსა, იძლეოდნენ.

მერაბო იატაკს ჩაშტერებია, თან თავს აქნევს სინანულით. ცეცხლი უტრიალებს მერაბოს, გული ჩამწვარი აქვს, მაგრამ გამოხატვა არ შეუძლია. ეგრე იტრიალებს ბოლმასა და ვარამს.

– ერთი პარკი ფული ვიშოვეთ, მათ, – გუჯამაც თავი გააქნია სინანულის ნიშნად. – გული მიგებდამეთქი, ხო გითხარი, სახლი სახლს დავამგვანეთ. გული და სული ჩავდეთ. მოგვექონდა და მოგვექონდა ავეჯი, ე, ჩვენი მეზობლები, ხო იცი ხალხის თვალი, რა იშოვეს ამისთანაო, დააჭყიტეს თვალები და მართლა

დაგვთარსეს. ჯერ მერაბოს ჯერი იყო, მერაბო უნდა დაქორწინებულიყო, მაგრამ... თითქოს ქალაქისკენ მომინევდა გული, ამდენი ფულის ხარჯვასა, ერთი სახლი ქალაქშიც ვიყიდოთ-მეთქი, ვერ გავაგებინე, ხო გითხარი ქვის ნატეხია-მეთქი.

რა ჯანდაბა მინდა ქალაქშიო, რა ხორველა მინდაო, სოფელს დავბეროთ ტკბილი სული, ის გვირჩევნიაო. მიტრანთ ნაკვეთზე ეჭირა თვალი, გააპარტახა მიტრას ლოთბაზარა შვილიშვილმა იმისთანა ედემბალი, აეს რო შევიერთოთ, პლანტაჟს გაუფუკეთებ და კაი ბალი გაშენდებო. შენ კიდე აგიხირებია ქალაქი, ქალაქიო. რა მომაფიქრებდა, რო რამდენიმე თვის შემდეგ სხვის კარზე მოგვინევდა ნოწიალი, ხან ერთ ნათესავს მივეხიზნეთ, ხან მეორეს, საბავშვო ბაღშიც ვათენ-ვალამებდით და ბოლოს აემ კოტეჯში აღმოვჩნდით, – დახედა თვალეზამდვრეულმა გუჯამ იატაკს და ფეხი დაარტყა. – სულ წყალია, წყალში ტივტივებს.

ზაქროს სტუმრები პანტაპუნტით ჩაცვივდნენ ჩანტვრეულ პოლში, ტკბილ მოგონებებზე იყო თამადა მისული, ჩავარდა პოლი და თამადიანად ჩაიტანა სუფრა, ძლივს ამოიყვანეს ზაქროს სტუმრები, ჩახვლენილი ჰქონდათ თავ-კისერი.

– ერთი ჩემი მეზობლის გოგო, ოსი იყო დვანელ ბიჭს გაჰყოლოდა. ეტყობა გვეძებდა, გვეძებდა, ჩვენს

ხელში გაზრდილი, ჩვენს კალთაში... გვიპოვა, ინტერნეტით გვიპოვა, სახლისთვის სურათები გადაელო და გამოგვიგზავნა.

– სახლი ეხლა... – ნაიზმუკუნა მერაბომ. – სადღაა სახლი.

– ველარ ვიცანი იქაურობა, ჯერ ხო გადაბუგეს, მერე ბულდოზერი მიაყენეს და დაანგრიეს თურმე, ეზოთი ვიცანი. თავიდან ცოტა დავიბენი, ჩვენია, – ჩვენი არ არის. – ვფიქრობდი. ჩემს ცხოვრებაში ცრემლი არ გადმომვარდნია თვალიდან, გული ეგრე იოლად არ მიჩუყდება, მაგრამ ბავშვებივით ვტიროდით, იტყოდი, რო საკუთარი ცხედრები გველაგა და ჩვენს თავს ჩვენვე ვუწევდით ჭირისუფლობას.

ერთი ეგ იყო, რო სიზმრები და მოგონებები ვერ წაგვართვეს. ის ჩვენი ეზო-კარიც არსებობს ჩვენს სიზმრებსა და მოგონებებში, – თვალეები აუწყლიანდა გუჯას. სად დაემალა ცრემლი, აღარ იცოდა. მერე გაელიმა და ამ გზით ჩაგმანა ცხრაკლიტულში. – ესენი მასხრად მიგდებენ, კაცო, ერთი ხანობა ეგონათ, რო დავაშხუილე ცოტა. ან რა გასაკვირია, ყველაფერდაკარგული, ყველაფერწართმეული კაცი რო გაგიჟდეს. ღვთიშობელში მამალა უნდა შემენირა. დედაჩემი ვერ იყო ერთი ხანობა კარგად, ისეთი სახადი შეეყარა, ლამის ხელიდან გამოგვეცალა. მაშინ შევუთქვი, მამალი უნდა გამეშვა

ღვთიშობელში. ჩვენებურები დაიჭერდნენ, ლეკი სანდროს ბიჭები ერთავად მშიერ-ტიტვლები დადიოდნენ, თუ ვინმე რამეს შესწირავდა იმ დალოცვილს, კარგი დღე უთენდებოდათ. აღდგომა იმათთვის იყო, თუ იყო. რო მოედებოდნენ სასაფლაოს. პასკიტა და შეღებილი კვერცხებით ავსებდნენ შობელძაღვლები აბგებს. რო დავინახავდი, გული მიძლებოდა ხოლმე, მიხაროდა, მშვიდები რო არ იყვნენ. ვფიქრობდი, ლეკის ბიჭები დაიჭერენ, მაღლი მოგვივა-მეთქი. დედაჩემი რო მოკეთდა, პირი აქეთ იბრუნა, მამალი ისე გავასუქე, ველარ დადიოდა. სიმინდზე ვაგულავებდი. სახლის წინ სიმონა მსხალი გვედგა, ამორჩეული ჰქონდა ეს ხე და იქ ათენ-ალამებდა. წვიმა იყო თუ დარი, მსხალზე იჯდა და დილას უცდიდა, იტყოდი, რო მთვარიანად აკენკავდა ცაზე ვარსკვლავებს, ოღონდ დილა მოეყვანა.

ვერ მოვაბი თავი. აი, დღესა, აი, ხვალა, მაპატიოს იმ დალოცვილმა, სულ სიზმრებში ვხედავ ჩვენს ღვთიშობელსა, ხან ფეხშველა მივდივარ, ხან მამლით მივდივარ... – პირჯვარი გადაინერა გუჯამ. – ისე არ მომკლას ღმერთმა, ისე არ წამიყვანოს, რო ღვთიშობელში ვერ მივიდე, – ისევ აუნწყლიანდა თვალები და ისევ დამალა ცრემლი.

მელანომაც ველარ შეიკავა თავი, ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ცხელი კურცხალი.

– კარგი ეხლა, – დაუცაცხანა ზალიკომ. – შენი ცრემლი აკლია ჩემს ბოლმასა.

– ის მამალიც იქ დარჩა, სხვა ყველაფერთან ერთად დარჩა, მსხალზე დარჩა. რუსები დაკლავდნენ, ალბათ...

მივდივარ ამასწინათ ბაზარში. სათამაშო მამლებსა ჰყიდის ერთი კაცი, გავჩერდი, ვაკვირდები, მამლის წელი მოდის და მამალს მიაქ ბაზარი, სათამაშო მამლაყინნები გამოუფენიათ. ვდგავარ და ვაკვირდები, იტყოდი, რო პატარები მიღნაოდა სახლში და მათთვის უნდა ამერჩია.

პლასმასისა კი არ გეგონოსო, გამყიდველი მეუბნება, ნამდვილი ბუმბულით არის გაკეთებულიო, ისიც ჩემნაირი დევნილი გამოდგა, დიდი ლიახვის ხეობელი, ძარწემელი, იდგა და მამლებით ვაჭრობდა ეს ცხოვრებადანგრეული, გაპარტახებული კაცი, სახეზე საშინელი ტანჯვა რო ეხატა. ხურვალეთის კოტეჯებში ყოფილა. ერთმანეთს შევტირეთ ჩვენი უბედურება. საოცარი ამბავი ის იყო, რო ერთ მამალს დავადგი თვალი. აი, ჩემს კაცობას ვფიცავ, თუ რამე ტყუილი გავურიო, ჩემი მამალი იყო ზედგამოჭრილი, საღვთისმშობლო. გაოცებული ვუყურებდი, ხელით შევეხე და ყვირილი დაიწყო. შევკრთი, ძარწემელს სიცილი აუფარდა.

– ე, რა არის კაცო-მეთქი.

– რა არი და ეგეთი გამოგონება არიო, ხელით რო შეეხები, ყივილს ინყებსო, – უფრო მოუმატა სიცილს ხეობელმა.

– ღმერთო, დიდებულო, რა საოცრებას არ გადაეყრები კაცი ცხოვრებაში. სათამაშო მამლის ყივილს კი არ ვგულისხმობ, მსგავსებას ვგულისხმობ. არ ვიცი, არ ვიცი... – ჩაილაპარაკა გუჯამ. – ზუსტად ისეთი, აჰა, ჰკითხე, თუ გინდა.

მერაბომ თავი დამიქნია.

– ზუსტად ისეთი იყო, ზუსტად.

– სათამაშო მამალსლა ვაყივლებდით ხოლმე, – ჩაეცინა ზალიკოს. – აბა, ეს ცხოვრებაა, ხეობელი კაცი რო სათამაშო მამალს დააყივლებს...

– ესენი სხვას რას მიჯერებენ, ეგ რო დაეჯერებინათ, – გააგრძელა გუჯამ. – დაიკარგა მამალი ერთ დღესაც, ჩაიყლაპა. ვეძებეთ, ვეძებეთ, ვერაფერი. ამათ დაასკვნეს მეზობლის ბიჭმა მოიპარაო. შავი გუროს ბიჭი შემოდოდა ხოლმე – ვანიკო, ცუდლუტი ბავშვი კია, მაგრამ, რაც არ გაუკეთებია, როგორ უნდა დააბრало? აესენი ვერ დავაჯერე.

გავედი ერთ დილითაც, კაცო, გავედი, ბალჩისკენ გავიარე, ხეივანი გავმართე ბაღჩაში. დევნილობაში უფრო სწრაფად გარბის დრო. ატმები ჩავყარეთ,

გარგლები, ბლები, ერთი-ორი ქლიავიც გავურიეთ. მაგის გული თითქოს არავის გვექონდა, მაგრამ უქმად ყოფნას, რალაცა ხომ უნდა გვეკეთებინა. უცბათ გაიზარდნენ, უცბათ დაიჯოშნენ. ბაღა შეივსო, დაიჩრდილა, გვერდით რომელიღაც არასამთავრობო ორგანიზაციამ გვაჩუქა მიწები და ხეივანი გავმართე. ხეივანი იქა გვექონდა, თუ გვექონდა, ტონაოთხასი ინურებოდა სუფთა წვენი. წყალს ვინ მიაკარებდა? აქაც გავმართეთ – ჩინური და თავკვერი გავუშვი. ვაზის გაზრდას კიდევ ხო იცი, რა უნდა, ღვთის თვალი და პატრონის სურვილი. წამოვიდა და წამოვიდა, უცბათ გადავიდა, გადაფარა, პატივში ჩავსვი, მეზობლისგან ვზიდე, გაგიჟდა ვაზი, აი, რქა, – ცერა თითი მაჩვენა გუჯამ. – ეხლა გაგასინჯებ ჩემი ხეივნის ღვინოს.

– მოკლედ, გავედი და რასა ვხედავ, ჩემი სათამაშო მამალი ხეივანზე ზის. არ ვიცი, ჯერ მეგონა, რო მეჩვენებოდა. ხელი ავუქნიე, აქმა-მეთქი. ჯერ ყური არ შეიბერტყა, მერე გოროხი ვესროლე, ფრთაში მოხვდა, დაიკურკურა და გვერდით გადახტა.

დიდება შენდა ღმერთო!

მამლის გაცოცხლება?!

თვალები მოვიფშენიტე, ლოყაზე ხელი მივიტყაპუნე, დაგერხა გუჯა-მეთქი, მაგრამ ბოლოს მივხვდი, რო მოჩვენება არ იყო, თუმცა მაინც ვერ ავხსენი ეს

ყველაფერი. სათამაშო მამალი როგორ უნდა გაცოცხლებულიყო, მაგრამ რო ვხედავდი?! შემოვვარდი შიგნითა, მერაბო შინ არ იყო, ზალიკო და მელანო გავიყვანე ბაღჩაში. დაინახეს, მაგრამ მაინც არ დაიჯერეს.

– გაჭირვება და უბედურება კაცს ისეთ რამეს მოაჩვენებს, – ჩაილაპარაკა ზალიკომ.

– ხო დაგანახე, – გაუწყრა გუჯა.

– დანახვით არ დამინახავს. თვალებს ნუ აბრიალებ გლახათა, ხმა გავიგე, ხეივნიდან გადაფრინდა და მეზობლის სახლის კუთხეში გაძვრა, მაგრამ რაც არ დამინახავს.

ეხლა მელანოს მიუბრუნდა გუჯა.

– შენ ხო დაინახე?

– დავინახე, დავინახე, – ჩაილიმა მელანომ და ერთადერთი კბილი გამოაჩინა.

– არ იჯერებენ, ესენი რო არ იჯერებენ, სხვები დამიჯერებენ? – ხელი ჩაიქნია გუჯამ.

არ დამიჯერებენ და ნუ დამიჯერებენ. მე ხო მჯერა!

**21 აპნისი. 2017 წელი,  
დიცი**

## ბატონი ესტატე

– იმის შვილიშვილი გამოდგა. ღმერთმა აცხონოს ის კაცი, სანამ პირში სული მიდგას, როგორ დამავიწყდება. ისეთი კაცი, შეიძლება, მეორე აღარც დაიბადოს. არ უნდა კვდებოდნენ ეგრეთები, არა! ზოგიერთები რო დადიან უქმად, მიწას ამძიმებენ. ყველა თავის სამარეს ამოავსებსო, კი, გასაგებია, ყველას თავისი პირდაღრენილი საფლავი უცდის, ვითომც არაფერი, მაგრამ, როგორი ავია მიწა, როგორ იღრინება, გვაჭმევს, გვასმევს და მერე თვითონა გვჭამს, დგანან და მიწებზე, აი, აი, აი, – თავს აქნევს ვახუტია. – ერთმანეთს როგორ ჭამენ, აემ ჩემი მეზობლებისა არ იყოს, ქიტუანთ ნოშროსა და აბესა ვგულისხმობ. ძმა რო ვაზებს დაუჭრის ძმასა... ერთიც მოკვდა და მეორეცა, ჩაიგმინა მაგათი ალაყაფის ჭიშკარი, ჩაიკეტა. აბა, მაგათი შვილები აქეთ ჩამომსვლელები არ არიან... გაყიდვიან, მაშ რა ჯანდაბას იზამენ, მომვლელი ვინ არი. ჩაკეტილ, ჩაგმანულ კარზე სამინელი დასანახი რა არი. სიცოცხლის ადგილი რო სიკვდილს უკავია, მღუმარება ქეიფობს სახლში. მოჩვენებები ჰყავს თანამეინახეებად, აი, დედასა, არადა როგორ სჭამდნენ ერთმანეთს, სანტიმეტრებით უზომავდნენ მიწასა, სამანის ადგილზე დაჭამეს ერთმანეთი. ანდერძი დაუტოვა აბემა, ნოშრეს სიახლოვეს არ დამმარხოთ, სადმე, მეიღნის ბოლოში გამიჭერით საფლავიო (ახალი

შემოერთებული როა). გაიზარდა სასაფლაო, გაივსო და ახალი მიწა მიუერთეს, ბუჩქები გაასუფთავეს და იქ დამარხეს აბე, სანყალი. ღმერთმა გაანათლოს ცხონებული ესტატე. მშიერ-ტიტველი ვიყა, ჩემი ცოლი რო წავიყვანე, სიმამრი მოსაკლავად დამდეგდა, სიგრძე-სიგანეში შევცქეროდი ამ ჩემს მაგდანასა და ეს რა გამიკეთო, ვის გაჰყევი, როგორ გამოითხარე თვალებიო. არადა, გვიყვარდა ერთმანეთი, სიყვარულმა ეგრეთი რაღაცები არ იცის, ძმაო. სიყვარულმა მდიდარი და უპოვარი არ იცის. შეგვიყვარდა ერთმანეთი, ვდნებოდით ერთმანეთის დანახვაზე, გული მიგვდიოდა, კაცო. რა ვქნა, ეგრეა. ვიცოდი, როგორი ბრაზიანი კაცი იყო, როგორ მიღრენდა, მის დანახვაზე, ცივი ოფლი მასხამდა ხოლმე, ერთი ხანობა ვიფიქრე კიდეც – ემის გადაკიდებას, მილირს-მეთეი? მაგრამა ჩემმა ძმამ ჩამჩურჩულა, შე ლაჩარო შენა, სიმამრის შიშით ფსელი გაგდის, ხალხმა სიყვარულის გულისთვინ თავი განირა, შენ კიდე გიორგას დანახვაზე ქვეშჩასვრილი დადიხარო.

ლამის კალიასავით გამგლიჯა გიორგამა, მაგრამ რაღას იზამდა, შეეგუა თანდათან. ხანდახან კი წამოუვლიდა ხოლმე, არაყს რო გადაჰკრავდა, აეფოფრებოდნენ ხოლმე, ერთი-ორჯერ სახლიდანაც გამომაგდო, ეგ როგორ გაბედე შე მურიანო, ეგ როგორ მაკადრეო. მერე ისევ მოუღლებოდა გული. არ იყო ბოროტი კაცი, თავისებური ხუმტურები ხო ყველას გვაქ, ისიც ეგრე იყო,

წამოჰკრავდა ხოლმე, ხან სულში ჩამისვამდა, ღარიბი კი ხარ, მაგრამ შენს თავს არავის დავაჩაგვრინებო – ხან ჭრიდა, ხან კერავდა.

საწყალს მოურჩენელი სატიკვარი შეეყარა, ყელში გაუჩნდა და იმ სატიკვარმა მოუღო ბოლო. საწყობის გამგემ დამიბარა, ერთხელ, ცხონებულმა ესტატემ. პატარა ბიჭი კი ვიყა, მაგრამ მკვირცხლი გონება მქონდა, წამებში ვანგარიშობდი ხოლმე, საბუღალტროც დავამთავრე, მერე უმაღლესშიც ვაბარებდი, მაგრამ ერთმა ჩვენებურმა ჩათლახმა მიჩივლა. საქმე წამიხდინა, გამომადგეს გამოცდებიდან, ბოლოს ავდექი და ტექნიკუმს მივადექი. მთელი ცხოვრება სანაწებლად დამრჩა, უმაღლესი რო ვერ დავამთავრე. ესტატე კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო.

– საწყობში გახვალო?

დავიბენი, სად საწყობში უნდა გამიშვას ან რაზე უნდა გამიშვას-მეთქი. ბრინჯივით დაბნეული ვიყავი, თვალებს აქეთ-იქით ვაცეცებდი.

– რა დაგემართა კაცო, რო გეკითხები, პასუხი არ უნდა გამცეო? – პაპიროსს დასწვდა. – საწყობის გამგედ რო დაგაყენო, გახვალო?

ყურებს არ ვუჯერებდი.

– გავალ-მეთქი, – ძლივს ამოვიღულულუდე.

– მიქეს შენი თავი, ჭკვიანი, პატიოსანი ბიჭიაო. საწყობის გამგე ვასო ფერმაში უნდა გადავიყვანო,

თორემ იმ ცანცარა გურამამ დედა უტირა ფერმას, ის თუ არ მოვაშორე იქიდან, საყვედური არ ამცდება რაიკომიდანაო.

ჩემს სიმამრს რო ვუთხარი, არ მიჯერებდა ცხონებული. რა საწყობი, რის საწყობი, სიცხე რომ არა გაქო. ვინ დაგაყენებს საწყობის გამგედ, მაგ ადგილს საშენოდ ვინ გახდისო. რალაც მოგეჩვენებოდაო. ვერაფრით დავაჯერე. საწყობში რო მოვიდა და გამგის ოთახში დამინახა გამოჭიმული, ეს ურწმუნო კაცი, მთელი ცხოვრება რო ღმერთი არ გახსენებია, პირჯვარს ინერდა.

წამოვედი და წამოვედი წვიმა-წყალივით, სული მოვითქვი, როგორც იქნა. ქირითა ვცხოვრობდი მიტრას სახლში. ჩემს სიმამრთან ერთი ღამეც არ გამითენებია. ქირით მერჩივნა, მაინც სიმამრი იყო. ზედსიძეობას გავკარი, კაცო. სხვებისა მეჯავრება. სუფრა არ გაშლილა, რო ცხონებული ესტატესთვის შენდობა არ მეთქვას. პურ-ღვინოს დავაყვედრიდი? სული იმ კაცმა მომათქმევინა, ფეხზე დავაყენე ოჯახი. მაღლიერების გრძნობა თუ დაკარგე კაცმა, აქვე ჯოჯოხეთში ხარ. მიწების განაწილება რო დაიწყო, ტურებივით დაესივნენ, ვინ რას დაგაცდიდა. ეტაკნენ, დაისათითაოეს. ესტატემ მითხრა, რო დგახარ და შესცქერი ეგრე, სულ საწყობის გამგე კი არ იქნები, წინ გაიხედე, ე, შენი შვილი რო გაიზრდება, დავაჟუკაცდება, ბალები არ უნდაო?..

აიღო და ორმოცდაათი მეასედი მომიზომა. თვა-

ლები ლამის გადმოსცვივდათ. შურით რო აქვს დაობებული გული კაცსა, აბა, რა უნდა უთხრა. ერთი ამბავი ჰქონდათ, ემაგას რო ორმოცდაათი მესადი მიუზომე, ჩვენა ათ-ათიც აღარა გვხვდებაო. რო დაუბრიალა ესტატემ თვალები, გულები მუცელში ჩაუცვივდათ. რაც მოგეცათ, მაგასაც უკან წაგართმევთო. ერთხელ რო გაბრაზდებოდა, მთელი წელი ჰყოფნიდათ ხოლმე. სიბრაზესაც ფასი უნდა ჰქონდეს და სიცილისაც. უფასო არაფერი ვარგა. წყალი ზედა ჰქონდა ჩემს ნაკვეთსა, ვანკას თავზე სამეხები იყო და მერე პლიტებით გადმოდიოდა ჩემკენ. იმ წელს დავაპლანტაჟე, გოდე ამოვიყვანე, პეპესოროკი რო ჰყავდა, ცხონებული იმ ტრაქტორმა შეინირა, არხში გადავარდა ნასვამი და კინწი მოსწყდა საცოდავს. ისეთი გულიანი კაცი იყო... ცალფრთიანით ამოვატრიალე, თეთრი მიწა ამოჰყვა, მაგრამ ხილისთვის მაინც კაი ადგილი იყო. იმ წელსვე გავტეხე... მერე თოვლმაც ჩამოყარა, დამზრავლდა, კაცი იფლობოდა, დამზრავლებული მიწა ნამყენისთვის იცი რა არის? როგორც დედის რძე უხდება ბაღლსა, აეგრეა. წავედი გაზაფხულზე სათემოში, ამოვიტანე ნამყენი. ჩვენ გიოს დავარკოლინე, ბიჭები მომეხმარნენ და ბაღი გამოვიდა, ოო, აჲ თვალს არ დაენახებოდა. ვინც ამ ბაღში ცუდი თვალით გადმოიხედოს, იმის ასე ისეო, – გადაიკურთხა გიომ, ჩაყრას რო მოვრჩით. ერთი სიტყვით, ცხონებული ესტატეს მოზომილ

მინაზე, კაი მაგარი ბალი გავმართე. უცბად გაიზარდა, მერვე წელს სხმა დაიწყო. ვაშლიც წამეშველა და სახლის აშენებაც დავიწყე. ჩემი სახლის ადგილზე, ჩემი სიმამარის ძმის ვენახი იყო ხოლმე, მერე კოლექტივმა ჩამოართვა. მამაჩემს მისცეს და აქ დავიწყე სახლის შენება. რაც აქ წვალემა და დაგვა ჩავდეთ.

ომის მერე წავიდა ჩემი საქმე.

როგორია, მთელი ცხოვრება რო აკონინებ, ლუკმას იკლებ, რალაცა გააკეთო, შვილებს დაუტოვო და ბოლოს პანჩურს ამოგიჭერენ და გაგაგდებენ ძალლივით.

მე კი დავბრუნდი ჩემს ჭერქვეშ, მაგრამ ის ხალხი, ის ხალხი რა დღეშია. ან ჩემ დაბრუნებას რა ფასი აქვს. გათენდება, გაიხედავ სარკმლიდან და რუსების გზა გხვდება ეგრევე თვალში, შამბირეთზე რამოდენა გზა გაიყვანეს, აქედან რამხელა ჩანს და ახლოს რამხელა იქნება, მეორე ფანჯრიდან გახედავ და ეკლიანი მავთულები... გავკარი ესეთ ცხოვრებას. ავიკრიფეთ გუდა-ნაბადი ომის დროს... ძალით ჩამტენეს მანქანაში. გეგონებოდა ჩემი სიკვდილით ქვეყანა დაიქცეოდა.

აქეთ მე და იქით ისინი — ჩემები. ნაიჭამეს თავ-პირი. თროკიალით მიმიყვანეს მანქანასთან, ვაგინე, ვლანძღე, მივდიოდით და მომელრიცა კისერი სახლის ცქერით, ბოლოს ველარ შევიკავე თავი და წამკსდა ცრემლები. რა გატირებს, კაცოო, ჩემი ბიჭი მომიბრუნდა, ვითომ ჩემი დამშვიდება სცადა, სახლიც იქნება და კარიცა,

მთავარია, რო ჩვენ ვიყოთ ცოცხლებიო.

აი, სახლს რო ააშენებ, წვალებითა და დაგვით რო ცხოვრებას ააწყობ, მერე თქვი ეგ სიტყვები-მეთქი, შევბღვირე ცრემლიანი თვალებით.

საბავშვო ბაღში მიგვიყვანეს და დაგვაბინავეს... გაგიჟებას ვიყა. მართლა რო ველარ დავბრუნდეთ, მართლა რო დავკარგოთ ყველაფერი-მეთქი. თავს არ ვიცოცხლებდი, საკუთარ ცხედარს როგორ უნდა უყურო. მკვდარივით ვიყა. უმწეო, დამარცხებული კაცი გინდა იყავ, გინდა არა.

ჩემმა ბედოვლათმა, დათუნიკამ, რომელიღაც ბანკთან დაიჭირა საქმე. მე მაგეებისა არაფერი გამეგება, მაგრამ ერთი კი ვუთხარი, არავინ არაფერს გახეირებს, ჭკუით მოიქეცი, თორემ მერე გვიან იქნება -მეთქი. ვატყობდი, რო არავინ არაფრად მაგდებდა. თუ არაფერი შეგაქვს სახლში, თუ მშოვნელი არა ხარ, ყველას ფეხებზე ჰკიდებარ. როცა ფული გიჭყავის ჯიბეში, ცოლსაც მაშინ უნდებარ და შვილსაც. ე, გამოფხეკილი, დარდით სავსე კაცი ვის რაში ვჭირდებოდით.

გამოიტანა რაღაც ფული, ვითომ საქმე წამოიწყო. ერთ აფერისტ კაცს გადაეყარა, ატყუა, ატყუა, მერე აითესა და ამ ჩემი გამოშტერებულის ფულიც თან წაიღო.

აითესება-მეთქი, ცხრაჯერ გავაფრთხილე. გაგიგია? კიდევ კარგი რო ქალად არ გაჩნდა, თორე მთელი რაიონი მაგაზე დავაუკაცდებოდა.

ალალიაო! – დედამისმა.

ალალი კი არა დებილია.

სიალალესა და სიდებილეს შორის დიდი სხვაობაა, ვერან! ენდე მიდი... ვის ენდობი, რას ენდობი...

იდგა და იშენდა თავში...

კაი დროსია. თავში ნაშენა ადვილია, მაგრამ რას უშველი.

იქნებ გამოჩნდესო.

ისე გამოჩნდეს შენი მტერი და დამანყევარი. აფერისტები ანკესებითა სხედან და ჩემი შვილისნაირებს უცდიან. ერთი სიტყვით, კარგა მაგარი ვალი ამოგვედო.

მერე ვილაცა თავისნაირს უთქვამს, ბანკები ვალებს ანერენ მოვალეებს, ომი რო იყო, შელავათებს უკეთებენო.

ვინ რა შელავათს გაგიკეთებს. დაიჯერა, შტერი, შტერი. დაიჯერა და აგრა მოგვადგნენ კიდეცა. ესტატეს მოზომილ ნაკვეთში გამართულ ბაღს მიყიდიან.

მოიყვანეს ვილაცა, მაღალ-მაღალი, გრძელცხვირა ახალგაზრდა კაცი, სათვალეები ეკეთა.

ბალი ჩემს ბიჭზე ეწერა და ეტაკნენ.

არ გინდა გულმა გაგიძლოს?

ლამის სული გამძვრა. ორჯერ მომაბრუნეს.

წავიდნენ, სურათები გადუღეს ჩემს ბაღს.

რა ვქნა, ძია, მეცოდები, მაგრამ კანონი კანონიაო, – მაღალ-მაღალმა, გრძელცხვირიანმა, წამდაუნუმ რო

სათვალეს ისწორებდა სალოკი თითით. – მე აღმასრულებელი ვარ და სხვა გზა არა მაქვსო (ბალის გაყიდვას გულისხმობდა).

კი არავის ვემუქრები, მაგრამ ჩემს ბალში რო ვინმე შევიდეს, მამის სულს გეფიცებით, ნაჯახით დავჩეხავ-მეთქი. გამოსკდომასა მქონდა ყელზე ძარღვები. რა ვქნაო, მხრები აიჩეჩა აღმასრულებელმა. ხან მესურათეს მიაჩერდა, ხან ბანკის წარმომადგენელს, პატარა, გამწვლიკულ გოგოს.

უბედურება კიდეც წინ მელოდა.

– ბატონო ესტატეო! – ბანკის გოგომ მიმართა მაღალ-მაღალ აღმასრულებელს.

მეთქი მომეჩვენა, მომეყურადა-მეთქი.

– ესტატე გქვია?

– კიო, – თავი დამიქნია.

– შენი მოსახელე თავმჯდომარე გვყავდა ამ სოფელში ოციოდე წლის წინა, აიმ ცხონებული კაცის მოზომილია ეს ადგილი, იმ სულკურთხეულმა მაქცია კაცად-მეთქი.

წარმოგიდგენია, კაცო? ესტატეს შვილიშვილი გამოდგა.

ცრემლები წამომივიდა. ჩავეხუტე, ჩავეკარი.

– რა პაპა გყამდა, შვილო, რო იცოდე, ეგეთი მადლიანი და სუფთა სულის კაცი, შეიძლება მეორე არ დადიოდეს დედამიწაზე-მეთქი.

ვუყურებდი მაღალ-მაღალს და მეტირებოდა. იმ კაცმა წამომწია, იმ კაცმა გამმართა წელში. ღმერთო იმის სული გაანათლე.

შევეცოდე ბატონ ესტატეს, მარა რა გამოვიდა.

– დიდმა ესტატემ მომიზომა მინა და პატარა ესტატე მიყიდის-მეთქი, – შევტირე მოგროვილ მეზობლებს.

– რა ვქნა პაპა, რა გავაკეთო, კანონი რასაც მავალებს იმის იქით ვერ წავალო, – თავს იმართლებდა ბატონი ესტატე.

– გაიყიდება კია? ვინ წამოვა ამ ბალის საყიდლად, ორ მეტროში „საზღვარიო“.

– მოვლენ და კარგ მელასაც დაიჭერენ. ვილაცამ ეს ბალი წამართვას და ჩემი კაცობა შერცხვეს, თუ წელი არ ავართრევი-მეთქი, – ისევ დავიმუქრე, მაგრამ ყურადღება არ მოუქცევიათ.

– აეგ მიყო ჩემმა ბიჭმა.

**29 აპნისი, 2017 წელი, დიცი**

## ნათლის გვირაბი

– ღმერთო! – ჭერს მიაპყრო ჩასისხლიანებული თვალები და ჩაჟანგებული იოგებით ამოიხავლა.

წვიმით ჩამობერილ, გაყვითლებულ ბიაზზე ბებერობობას ყაისნალით გაება მსხვერპლის შესაპყრობი ძაფები, რომელსაც შავად მიწებებოდა ოთახის მტვერი. ღია სარკმლიდან შემოჭრილ თელზე ირხეოდა ობობას ნაქსოვი. სახურავიდან ჩამოპარულ წვიმას უქმად არ უწკაპუნია, მისი ფუნჯის ნაკვალევს შეამჩნევდი, თუმცა, რას გაუგებდი, როგორი ნახატის დატოვება სურდა ვერძელის ჭერზე.

უცნაური რაღაცები კი გამოესახა, ზოგი დედაბრის სახეს მოგაგონებდა, ზოგს გავეშებული ხარის თავის ფორმა ჰქონდა. იცოდი, აპოკალიფსის სცენა იყო გამოსახული. მხოლოდ ცეცხლისმფრქვეველი გველეშაპის კუდი დარჩენოდა დასამთავრებელი და თითქო ვარდობისთვის დადგომას ელოდა, რო ბოლო ნახატიც დაესრულებინა. წვიმა მხოლოდ ვერძელის სახლში ხატავდა ამ უცნაურ ფიგურებს და ზესკნელის ენით ესაუბრებოდა სახლის მიტოვებულ ბინადარს, რომელმაც იცოდა, რო დღეები ჰქონდა დათვლილი და ისიც იცოდა, რო ერთ დილას მის გაბერილ ცხედარს, ხრწნა რო შეეპარებოდა, მეზობელი ვანო აღმოაჩენდა, ხანდახან რო შემოუვლიდა ხოლმე.

ვანო დომინოს სათამაშოდ შემოდიოდა. გულს აყოლებდნენ. დომინოს ქვებს ჩხაკაჩხუკი გაუდიოდა და ორივე მაინც თავის ფიქრში იყო გაბლანდული, ორივეს ნაძალადევად ეჭირა მუჭში ჩაბლუჯული, შავად დაწინკლული კოჭები.

ორივეს თავისი სადარდებელი სჭამდა. ბედმა მაინცადამაინც ვანოს ეზოში მოიყვანა. საცა არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენით. ვანოსაც თავზე ჩამონგრეოდა ცხოვრება, იტყოდი, რო ნანგრევებიდან თავის დაღწევა არ უნდოდა, იყო ეგრე მოყოლილი აბორიაცებული ცხოვრების ქვეშ.

შვილის ნატრული კაცი იყო. ცოლი მოიყვანა, მაგრამ... შვილის სიყვარული თითქო ცოლზე გადაჰქონდა.

ზედმეტი სიკეთით ბოროტ ანგელოზს ვეხმარებით ადამიანი. ბევრი სიკეთე, ბევრი კარგი საქმე თვალისჩინს უკარგავს ადამიანსო, თავის თავსლა ესაუბრებოდა ვანო. ვისთვის შეეჩივლა, ვისთან მოეკლა დარდი?! ერთი ხანობა ირაკლისთან აპირებდა გულის გადაშლას, ბოლმას ველარ უძლებდა, მაგრამ ახალი მეზობელი ისეთი გულჩათხრობილი ჩანდა, დარდისგან უარესად გატეხილი და დასეტყვილი, თქმა ვერ გაებედა.

ისევ იდგა და თავის თავს ეჩურჩულებოდა ხოლმე, საკუთარ თავთანლა იკლავდა გულში ჩაკირულ-ჩაქვავებულ ვარამს.

თავის მოკვლაც სცადა. ტაბურეტზე ფრთხილად

შედგებოდა, სარდაფს მოათვალმზერებდა, ეს იყო მისი ბოლო გამოხედვა. მაინც მოსწყდებოდა თვალზე კურცხალი. ღვინით სავსე ბოცები მწყობრად ჩამწკრივებულიყვნენ ხის დახლზე და ღუმილით უცდიდნენ პატრონის სიკვდილს. ყულფში თავის გაყოფა და გულის აჩუყება ერთი იყო.

– ვარდო, შენს კისერზე იყოს ჩემი ცოდვა, რამე დაგაკელი? როგორ გემსახურებოდი, ამდენი წლის ცოლ-ქმარი ვიყავით და ერთხელ არ დამიყვედრებია შენთვის შეილი არ გიჩნდება-მეთქი. მითხარი, როდისმე დამიყვედრებია? ხელის გულზე დაგატარებდი... მითხარი, რამე დაგაკელი? – ბურტყუნებდა თვალცრემლიანი და ყულფში თავგაყოფილი მოსთქვამდა ბნელ სარდაფში.

– შენს კისერზე იყოს ჩემი ცოდვა. ეს რა გამიკეთე, როგორ მომჭერი თავი. ვაი, დედა... რისთვის გავჩნდი, რისთვის მოვედი.

ვარდო ამ დროს ვიღაც თურქი მეზღვაურის ლოგინში ნებივრობდა.

– რა ვენა, ასე მეწერა, ალბათ, ღვთის ნებას ვერსად გავექცევით ადამიანები. გული მიგებდა, არ ვუშვებდი თურქეთში. აქეთ – მე, იქით – ისა, მაინც თავისი გაიტანა. ქალმა, თუ გაინია ცხრა უღელი ხარკამეჩიც ვერ დაიჭერსო. გაინია და ვერც დავიჭირე.

სახლი თავზე გვენგრევაო. ორ კაპიკს შევაგროვებ

და ადამიანურად ვიცხოვრებთო. რა მომაფიქრებდა, კაცო! – გაყვითლებულ თითებზე მიეწვა ლამის უფილტრო სიგარეტი. წამოაქრიტინა, თვალები წამოუწითლდა, წყალი მოყლუბა. ოთახში ბატიბუტივით მოღავებულიყო უფილტრო პაპიროსის ნამწვავები. თურქეთი, თურქეთი... ეს რა დამემართა. მეზობლის ქალებს რას უყურებ, ყველას ჩვენ-ჩვენი ცხოვრება გვაქვს. ორი ადამიანი ვართ, გავალ ვიტაქსავენ, მანქანებს იჯარით იღებენ, აგერ დომენტის ბიჭმაც გამოიყვანა. ჩვენს სამყოფ პურის ფულს ვერ ვიშოვი-მეთქი? დამბლადაცემულივით ჩამოუვარდა მუხლიდან მარჯვენა ხელი.

ვინც იქ მიდის, ყველა არანესიერი კი არ არისო...

ჩემი ცოდვა არ მოგასვენებს. ამას რა მომაფიქრებდა, რო მიღალატებდი. სხვა ქალისკენ არ გამიხედია, ახია ჩემზე. გულს არ გტკენდი. შემოგციცინებდი, თურმე სხვანაირი უნდა ვყოფილიყავი. ფეხებზემკიდია, ქალების ამყოლი. უფრო დამაფასებდი, უფრო.

ეს რამ მოაფიქრა, ვილაც თურქზე როგორ გამცვალა.

ცეცხლი საოჯახო ალბომის ბოლო ლუკმას იტვლიავენდა, ბოლო ღიმილი ინთქმებოდა ეზოში აბურბურებულ ცეცხლში. თითქო უკანასკნელად ჩაესმა ვარდოს კისკისი და მერე ისეთი საშინელი მღუმარება ჩამონვა, გამაძლარი ცეცხლიც ჩანავლდა. თითქო ამით იყარა ჯავრი თავის პირველსა და უკანასკნელ სიყვარულზე.

ვანო, ჩემო ვანო, ცხოვრება ისეთ რამეს დაგახვედრებს ხანდახან, საკუთარ თვალებს არ დაუჯერებ. როცა ცხოვრებას იწყებ, ყველაფრისთვის მზად უნდა იყო, ყველანაირი წიხლი უნდა აიტანო.

\* \* \*

ფორთხვით მივიდა კარადასთან, თითქო ვილაცის სხეულს მიათრევდა. ძალით ექაჩებოდა და არ მოსდევდა. კანკალებდა, იტყოდი, რო უკანასკნელ წუთებს ითვლიდა. სხეული თავისთვის ხტოდა, ვერ იმორჩილებდა.

– ღმერთო! – ძალა მოიკრიბა, ღრმად ჩაისუნთქა, თვალწინ ჩამოხეულა. ისევ გაათრია სხეული, იცოდა, რო ბოთლში დარჩენილი იყო ლოთი ძმაკაცების ჩუმი გადანახული არაყი, ოღონდ იქამდე მიეღწია. თითქო უკვდავების წყალი უცდიდა.

მკვდარი ძალღვივით გაითრია სხეული კიდევ ერთხელ. ცივი ოფლის წვეთები სცვიოდა, მაგრამ სისველეს ვერ გრძნობდა, სხეულის ყველა წერტილში ტკივილი უვლიდა და დამტვრეული ძვლების ხრჭიალი ჩაესმოდა ყურში, ხმაური...

მისთვის მდუმარება არ არსებობდა, მის ირგვლივ სულ ხმაური იყო, ყოყინა, გინება, დილის ბრაზაბრუხი, ლენვა-მტვრევა, ყველაფერი ინგრეოდა, ყველაფერი ირყეოდა, ზანზარებდა სახლი. სისხლის ჩხრიალის ხმა

ისმოდა, მის დაბერილ, ბროწეულისფრად დაბერილ ძარღვებში ჩხრიალებდა სისხლი და ამ ხმაურით მთელი სახლი ივსებოდა.

რა დავაშავე ღმერთო!

მაინც ღმერთი. მაინც ღმერთს ენდურები? ვილაცამ გადაიხარხარა. რა შუაშია ღმერთი. ადამიანი თვითონ არის თავისთავის ღმერთიცა და ეშმაკიც. ღმერთიც შენშია და ისიც. ეხლა მოფორთხავ და ეშმაკს მოათრევ.

ეს ხმა თუ ჩურჩული რაღაც საშინელ ხმაურს ერწყმოდა. ზრიალებდა სახლი.

„ბოლო წუთები მაქვს. აქ მთავრდება ყველაფერი. აქ მთავრდება ჩემი არეულ-დარეული ცხოვრება, აქ მთავრდება ჩემი არისტოკრატიული წარმომავლობა, აქ მთავრდება და მიხარია. მეც მომბეზრდა ჩემი თავი.

თქვენ არ იცით, ლოთ ადამიანს, ცხოვრებადაკარგულ ადამიანს როგორ სძულს საკუთარი თავი, თქვენც რო არ აგრძნობინოთ, ისედაც სძულს და თქვენი ზიზღი საჭირო აღარ არის.

გესმით? ვიცი, რო არ გესმით. რო არ გესმოდათ, ამიტომაც წავიქეცი... წავიქეცი, მომერია ცხოვრება, უფრო სწორად თქვენ მომერიეთ.

ერთ დროს რო რიგში იდექით ჩემს დაპატიჟებაზე, ერთ დროს რო ერთმანეთს ჩემს მეგობრობას ეცილებოდით, პატარა პეტრეებივით უარმყავით, რამ-

დენჯერ ჩაგიარეთ და თვალი ამარიდეთ, სახლკარდა-კარგული, გალოთებული, მიუსაფარი ძმაკაცი აღარ გჭირდებოდათ. დროს წაერეცხა ჩვენი ურთიერთობა და მოგონებები, თითქო არც არსებულებოდა. უძმაკაცოდ როგორ დამტოვა ცხოვრებამ.

სადა ხართ, კაცო, სად დამალეთ“, – ამოაზიდა, თვალელები უარესად წამოეგუდა, ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რო იატაკზე გაგორდა ფოსოებიდან ამოცვენილი, ნალოთავები სისხლიანი თვალელები.

„ღმერთო! რად უშვებ ჩემნაირი ადამიანების არსებობას.“

ისევ წამოაზიდა, მწვანე ლორწო გადმოუვიდა დასიებული ბაგეებიდან. უღონოდ დაეცა და იატაკს დაეწება. ერთი იმას ნატრობდა, რო ვანო არ შემოსულიყო და ასეთ მდგომარეობაში არ დაენახა. ვანო, მისი მეზობელი ვანო, რომლის შესახებაც ყველაფერი იცოდა, საიდან იცოდა?

ამ უცნაურ მუსიკოსს რას გაუგებდი. ვანოც მასავით ცხოვრებისგან დანიხლული კაცი იყო. უყვარდა ვანო, უყვარდა და ენანებოდა, რადგან ცხოვრების ბოლო წლებში გაიცნო ეს წესიერი კაცი და ისე მიდიოდა ამქვეყნიდან, ხეირიანი ურთიერთობაც ვერ მოასწრო.

კარადის კარმა გაიჭრიალა. არ მოსჩვენებია, გაიჭრიალა. თვალი გამოახილა. მიხვდა, რო ისევ ცოცხალი იყო.

გაუხარდა და თან არც გაუხარდა.

უკანასკნელად მოიკრიბა ძალ-ლონე, კითხვა არც გასჩენია, როგორ გაიღო ცარიელ სახლში კარადის კარი. უფრო ყოჩაღად აითრია სხეული და მიხობდა. აკანკალე-ბული ხელი აფათურა, ბოთლი მოხვდა. „რო აღარაფერი იდგეს“, – გაიფიქრა. ველარ გაიხსენა დატოვა თუ არა. „რო აღარ იყოს“. – ჭერს ააპყრო თვალი, ღმერთო!

– ღირს ერთი ყლუპი არაყისთვის ღმერთის შეწუხება? – ისევ ვილაცის ხმა ჩაესმა

ვინც კარადის კარი გამოაღო, ის არსება დაე-ლაპარაკა.

– ღირს, ღირს. ეს არაყი არ არის. ეს სხვა რამეა, ახლა ჩემთვის, არაყი შეიძლება შენთვის იყოს მხოლოდ, მხოლოდ არაყი...

– ჩემთვის სხვა რამეა, სხვა რამეააა!

ჩახლეჩილი ხმით დაიწყო ღრიალი, მერე ხმა უარესად ჩაუწყდა და ისეთ ხრიალში გადაუვიდა, იტყოდი, სული ამოსდისო. მესამედზე უფრო ნაკლები დარჩენილიყო „ძმაცაცების“ ჩუმად გადამალულ ბოთლში. ჩასისხლიანებულ თვალებში შუქი ჩაუდგა. ჯერ არ დაელია და უკვე სითბო იგრძნო სხეულში...

თანდათან დაწყნარდა. აღარ ამტვრევდა. ტკივილებიც მიუყუჩდა. გულიც დაუმშვიდდა. სხეული იგრძნო, ძალა დაუბრუნდა. წამოიწია, სკამს ჩამოეყრდნო და წამოდგა.

\* \* \*

მომშეულ ფილტვებში ღრმად ჩაუშვა თამბაქოს კვამლი. ტახტზე ჩამოჯდა, განითლებული ცხვირი მოისრისა. სარკმლიდან ღრუბლიანი დღე მისჩერებოდა. თითქო ვილაციის ლანდი გაკრთა ფანჯარასთან.

– რომელი ხარ? – ველარავინ დაინახა. – ვანო იყო, ალბათ, – ჩაილაპარაკა და ისევ ჩაისუნთქა თამბაქოს კვამლი.

– ვანო!

არავინ დაპასუხებია.

– „ის ხო არ არის, – გაიფიქრა. – იქნებ შევეცოდე და მოვიდა. იქნებ შევეცოდე. ნამდვილად ის იქნება. ფანჯრიდან მითვალთვალებდა და როგორც კი შევამჩნიე, გაუჩინარდა“.

ნალოთავებ განითლებულ სახეზე ღიმილი გაეთამაშა.

– ასეც ვიცოდი, ეგრე ნამდვილად ვერ შემეღეოდა. ვიცოდი, ვიცოდი, ჯერ ოდნავ ხმამაღლა, მერე კი ყვირილში გადაუვიდა.

– ვიცოდი... ვიცოდი, – ზანზარებდა ქერი.

ყვირილზე კუთხეში მოზუზულმა კატამ, ლესიმ, კნავილი დაიწყო და ჩაკეტილ კარს მიახტა, მაგრამ უშედეგოდ.

– ხომ გიყვარვარ? ვიცი, რომ გიყვარვარ. ვიცი, ვიცი, მე შენში დიდი სიყვარული ვიპოვე. ის პირველი...

არ ვიცი, გატაცება იყო, სულ სამი წელი, ისიც ვაი-უშველებელი გვექონდა. ხო, ვანტვრევდი, ვანგრევდი ყველაფერს, ჩემი ბაქარი პატარა იყო და ვერ ხვდებოდა. ვიცოდი, რო ამ ომსა და უბედურებაში უნდა გაზრდილიყო. ვიცოდი, ამიტომაც გავცილდი. სულ სხვა იყო. ჩემი არ ესმოდა, არც ჩემი გიტარის ესმოდა. თავიდან თითქოს მოსწონდა მუსიკა. ბნელ ოთახში ვისხედით ხოლმე და ვისოცკის კომპოზიციებს თვალეზმინაბული უსმენდა. მეგონა, რო ჩემს სამყაროში შემოდის და ბგერების კორიანტელი მოსწონდა, ბგერების ქარბუქი. თურმე ვცდებოდი, ნავიდა...

გული მაინც გამებზარა. სამი წელიც რაღაცაა ცხოვრებაში, შევეჩვიე, კატა რო კატაა, იმასთან გიჭირს ხან განშორება და ბოლოს და ბოლოს ცოლი იყო. ჩემ გვერდით იწვა. ბავშვი გამიჩნდა, თავს იმითლა ვინუგეშებდი, რომ ორივემ ავიცილეთ თავიდან მომავალი ტანჯვა, მომავალი წამება. ჯოჯოხეთის კუპრის ორთქლივით არის, როდესაც ადამიანს ადამიანი არ უყვარს და მის სუნთქვას ისმენ, მისი ამონასუნთქის შესხებას გრძნობ.

მაინც ეგრე დარეტიანებული ვიყავი. მქონდა ცოტაოდენი სინანული. ან საკუთარ თავში ჩაყურყუმელავებული თავს ვიმართლებდი — ვერ გამიგო და მორჩა! ასე ჯობდა, ერთხელ გადადგა ნაბიჯი და დაამთავრო ის ჯობია, ვიდრე სამუდამოდ განამდე.

მერე, თავის მართლების პარალელურად ვფიქრობდი, იქნებ, ჩემი ბრალი იყო, იქნებ მე უნდა გამეგო და არა იმას, რატომ უნდა მეყვედრებინა მუდმივად, რომ მე იმისგან განსხვავებული ვიყავი, რა იყო ეს განსხვავებულობა – ჩემი არისტოკრატიული წარმომავლობა? პაპაჩემის მიერ დანატოვარი, მისი ნაქონი ორიოდე ნივთი? ფოტოსურათები? სადაც ჩვენი ოჯახის ვითომ დიდება იყო აღბეჭდილი, თუ ქალაქის ფულზე გამოსახული პაპა... ან კიდევ ჩემი მუსიკალური გემოვნება, გიტარების კოლექცია და ჩახლეჩილ-ჩაყვლეფილი იოგებით შესრულებული სიმღერაკომპოზიციები. იქნებ ერთ მშვენიერ დღეს ამ ქალში, ცხოვრების რომელიღაც ეტაპზე აღმომეჩინა ისეთი განსხვავებული რამ, რაც ამ ჩემს ნაბჟუტურეც „განსხვავებულობებს“ დაჩრდილავდა ან რას დავეძებდი...

ბოლოს მიხვდი, რო უფალი ყველა ადამიანში განსხვავებული სახით არის წარმოჩენილი, ყველაში... ნიჭს ვეძახით ჩვენ ამას. არადა, უფალია, უნიჭო ადამიანი არ არსებობსო, ხომ არის ნათქვამი? – ვეთანხმები, იმიტომ რო ღმერთი ყველა ადამიანშია ჩასახლებული და ღვთიური გამოვლინება ყველა მათგანშია. ჩემი სხეულიდან თუ ბგერებად იღვრება, სხვისი სხეულიდან ვარსკვლავებს აკვირდება, კიდევ სხვისი ტვინიდან თეორიებს თხზავს. რა ვიცი...

წავიდა. ბაქარი გაიზარდა. ჩანყდა მამამშვილუ-

რი ძაფი. ვითომ ვნახულობდი, ვითომ ვეფერებოდი, ზრუნვას ვიჩენდი. ტყუილია. ეს ძაფი ოჯახის დანგრევისთანავე წყდება. სხვა ნაპირზე დარჩა ბაქარი. მე უბრალოდ ხელს ვუქნევდი და მზად ვიყავი, გადამეცურა ტალღები, თუკი გაუჭირდებოდა.

ვიდექი და ვუმზერდი შვილს სხვა ნაპირზე. შვილს – ჩვენი სამწლიანი აყალმაყალის ნაყოფს და მეტირებოდა. არ ტყუოდა ჩემთან ბაქარი. არც მომავალში ემტყუნებოდა.

მამას ბევრი მოთმინება მართებს. მე ვერ შევძელი. წარმომიდგენია, ერთ მშვენიერ დღეს, შეიძლება, მოვიდეს და კითხვა დამისვას: რატომ გადავდგი ასეთი ნაბიჯი და რატომ დავაკელი მამის სიტბო, მამის მზრუნველობა. შეიძლება, არც მოვიდეს, აღარც გამოჩნდეს ჩემს ცხოვრებაში და რა გავაკეთე იმის ფასი, ბაქარი რომ დავკარგე? სულს მიფერფლავს ეს კითხვა...

ყველას თავისი ცხოვრება აქვს.

მეც ხო ცოდო ვიყავი. აი, ხომ ხედავ, ისევ თავის მართლებაზე გადავედი.

თავის მართლებაში შემომალამდა. სულ თავს ვიმართლებ: ხან შენთან, ხან შვილთან, ხან საკუთარ თავთან, ხან პირველ ცოლთან, რომელიც საზღვარგარეთ ცხოვრობს, მატერიალურად კარგად არის და დანამდვილებით ვიცი, რომ ჩემ შესახებ ბევრ ინფორმაციას ფლობს, იმიტომ კი არა, რო ვუყვარვარ და

ვებრალეები, თუმცა, შეიძლება სადღაც, გულის სიღრმეში ერთი მისხალი სიბრალულიც ჰქონდეს შერჩენილი. უკვალოდ არაფერი არ ქრება და, ვიცი, არც ის სამნლიანი თანაცხოვრება გაქრებოდა ეგრე უკვალოდ. უფრო იმის ეჭვი მაქვს, ჩემ შესახებ ინფორმაცია იმისათვის სჭირდება, რომ გამარჯვების ყიჟინა დასცეს. ზის იტალიურ ჯაკუზში და ქირქილებს, ეგეც შენი არისტოკრატიული წრე და წარმომავლობა, ეგეც შენი კომპოზიციები. არარაობად გადაიქცევი და საკუთარი თავის ცოცხლად გახრწნას გაყურებინებს ღმერთი. საკუთარი სხეულის აყროლების სუნი გულს გირევს, თუმცა სადღა გრძნობ ან სუნს, ან გემოს. ხომ არ გინდოდა ჩემთან ყოფნა?

მე ერთი პასუხი მაქვს და აქედან ასე ვუგზავნი, ჩურჩულით – შეიძლებოდა, მეც შენთან ერთად მენებივრა იტალიურ ჯაკუზში, მაგრამ, რა ვქნა, არ მიყვარდი. ადამიანი ხომ ერთხელ მოდის, სულ ერთხელ და ცოდვაა სიყალბეში აცხოვრო, ცოდვაა საკუთარ ოჯახში ნილბით ამყოფო, ეს ჯოჯოხეთური წამებაა. ნილბით ვერ ვიქნებოდი შენთან. ასე მერჩია, ბომჟივით ცხოვრება მერჩია, ასე, ლოთობაში, სიბინძურეში, მაგრამ უნილბოდ.

აი, ნამდვილი სიყვარული შენში ვიპოვე, ვგრძნობდი, რომ, თუ თავის გადარჩენა მინდოდა, შენში უნდა შემოვსულიყავი. როგორც ნავი მიცურდება ნაპირთან,

მეც ისე გაგჩერდი. წასასვლელი აღარსად მქონდა შენს იქით. სიყვარული ბევრჯერ აგისხენი, შენთვის ვუკრავდი, თავდავინყებას ვეძლეოდი... ვერასოდეს ვერ გაგცემს ადამიანი კითხვაზე პასუხს, ვინ არის სინამდვილეში. არაფერი ვიცი საკუთარი თავის შესახებ, ერთადერთი რამ, რაც გაგრძნობინებს, რო ამქვეყნად მოსვლა და სიკვდილის მიერ შენს გასაპამპულებლად რამდენიმე ათეული წელი ყოფნა ღირდა – სიყვარულია. მხოლოდ ეს ანეიტრალებს სიკვდილისა და დავინყების საშინელ შეგრძნებას, მხოლოდ ეს ფანტავს და არღვევს სასაფლაოს მდუმარებას, როგორც ნაზამთრალი შაშვის ჭახჭახი, მიძინებულ სოფელს, სიხარულის ბგერებად რო დასცხებს, როგორც კი იგრძნობს, რო ზამთრით დაღლილ ბუნებას, გალოპრილ ხეებსა და თოვლშერჩენილ ორლობებს გაზაფხულმა წაუღიჩინა.

არ მეგონა, თუ ასე შემიყვარდებოდი, მართლა არ მეგონა...

შენც ხო შეგიყვარდი, კი, შეგიყვარდი... ეხლაც მახსოვს შენი თაფლისფერი თვალების ჟუჟუნი. ის კონცერტიც მახსოვს, რა დამავინყებს. კონცერტს ერქვა „ნადირობა მგლებზე“, იმ ცხონებული მუსიკოსის საპატივსაცემოდ მთელი ცხოვრება რო შევწირე. სხვა კონცერტებისგან იმით იყო განსხვავებული, რო დარბაზიდან უცნაური სიტბო მოდიოდა ჩემსკენ და გუ-

მანით მივხვდი, ვილაც ტიროდა, მისი ცრემლები კი მე მეკუთვნოდა. ცრემლის გემოც კი ვიგრძენი, დაიჯერებ? მე ხო გრძნეულივით ვარ, ჰა, ჰა, ჰა.

სინათლე აინთო, გიტარა სკამზე მივაყუდე, სცენაზე ოდნავ წინ გამოვედი და მაყურებელს, რომელმაც ტაშით კინალამ ჩამოაქცია საკონცერტო დარბაზის სარეაბილიტაციო ქერი, თავს ვუკრავდი თავმდაბლად.

შენ სადღაც შუაგულში იყავი, არც ჩანდი, მაგრამ ცრემლი გიბრწყინავდა სინათლის ჩქერალში და უცბათ მოგძებნე, თითქოს ატომურ აფეთქებასავით იყო. როგორ შეასკდა ჩვენი მზერა ერთმანეთს და ისედაც აგრიალებული, ისედაც მოზანზარე დარბაზი ლამის ამოატრიალა, მიწისძვრის ბიძგი ვიგრძენი. ყანყალებდა სცენა ფეხქვეშ. ტაშს დიდხანს უკრავდნენ, ბოლოს მაყურებლის თხოვნით ერთი სიმღერა კიდევ შევასრულე, რომელიც შენს ცრემლებს მივუძღვენი, მხოლოდ შენ გიმზერდი და შენზე ვფიქრობდი, თითოეული ბგერა თითქოს შენს უბეში გროვდებოდა, მერე ისევ ტაში... ბოლოს მე და შენ დავრჩით, დარბაზი თანდათან დაიცალა. მხოლოდ შენ იჯექი შუა რიგში და კვლავ ტიროდი. შენც ჩემნაირი გზა გქონდა გავლილი, შენც ჩემსავით თავი დაგელწია სიყალბისთვის, მთელი ცხოვრება გულისრევის შეგრძნებას ხომ ჯობია, რომ მაპატიეთ და... ერთხელ ამოანთხიო, მოისვენებ ადამიანი.

ზუსტად ისეთი ბზარები გაგჩენოდა სულში, როგორც მე, ოღონდ შენ ქალური ბზარები გქონდა. მაინც განიცდიდი მეუღლესთან განშორებას, შენი ორი შვილის გამო განიცდიდი, არადა უყვარდი, უყვარდი, როგორც გავიგე, გიჟდებოდა, შენზე ის კაცი, რომელსაც შენი ერთი ამოსუნთქვა დედამინას ერჩია, მაგრამ ვერ შეეწყე, გულს გირევდა ყოველდღიური ცხოვრება, მასთან დანოლა, მისი გახშირებული სუნთქვა ჯოჯოხეთი იყო შენთვის. მაინც ვერ გაიგო რისთვის უარყავი, რისთვის დატოვე... იდგა ეგრე დარეტიანებული და ვერაფერს ხვდებოდა, „იქნებ ვინმე გაიჩინა, იქნებ ვინმე იდგა ჩვენს შორის და მან აუბნია თავგზა“, –სულს უკანრავდა ფიქრი. ისე გენდობოდა, ისე თავისი თვალითაც რომ დაენახა, მაინც ვერ დაიჯერებდა შენს ლალატს.

ვერ ხვდებოდა ან რას უნდა მიმხვდარიყო. ოჯახი მხოლოდ ორი საპირისპირო სქესის შერწყმა არ არის, ოჯახი მხოლოდ ცოლ-ქმრის კოტრიალი არ არის, ოჯახი მხოლოდ სამშობიაროდან გამოყვანილი ბალები ჯღავილი არ არის. სხვა რალაცა უნდა ამ ყველაფერს, სხვა... ის სხვა რალაც არ გქონდა ჩემსავით. ამას შენი მეორე ნახევარი ვერ გაიგებდა, იმიტომ რომ ის სხვა რალაც მას ჰქონდა და შენი თვალებით უნდა შეეხედა ამ ყველაფრისთვის, ხვდები? აბა, რა უნდა გაეგო ამ კაცს. ფიქრობდა თქვენი შეუღლების პირველ დღეებზე, პირველ წელზე, თითქოს ყველაფერი ნორმალუ-

რად იყო, ყველაფერი. ეგონა, რომ შესანიშნავი ოჯახი შექმნა, მაგრამ აი, თურმე. ხანდახან კოცნას რომ კოცნით არ პასუხობდი, ხანდახან ვნებააშლილს, მამრის ჟინით გახელებულს ზურგს რომ შეაქცევდი და თავს ძილს მისცემდი (თუმცა არც მას ეძინა და არც შენ) ახლალა ამოხსნა ეგ რალაც გამოცანები.

ბებია ჰყავდა გრძნეულზე გრძნეული ქალი. წელიწადში ერთხელ ამოიღებდა ხმას, თუმცა მის სიტყვას განსაკუთრებული ფასი ჰქონდა.

– დაანებე, შვილო, მაგ ქალს თავი. მე, როგორც ვატყობ, არ უყვარხარ მაგ გოგოს და ტყუილა დაიტანჯავთ თავს. ვიცი, რომ ძლიან გიყვარს, მზად ხარ, ყველაფერი დათმო, მუხლებზე დაუდგე და უდანაშაულომ პატიება სთხოვო, მაგრამ აბა, შენ წარმოიდგინე თავი. მაგ ქალის ადგილას. არის შემთხვევები, როდესაც თანდათან უყვარდებათ ქმრები, როცა ძალით ათხოვებენ. ვერ გეტყვი ეს სიყვარული როგორია, მე არ განმიცდია, იმ დიდ სიყვარულს ვერ შეედრება, რა თქმა უნდა, თავისით რომ მოდის, მაგრამ მაინც მოდის სიყვარული, ეს უკვე ქმრის პატივისცემიდან წამოსული სიყვარულია, ოჯახის ერთგულებიდან წამოსული სიყვარულია. რომ ჩაუკვირდნენ, ჩაჰყვნენ, აღმოაჩნენ, რომ ესეც სიყალბეა, მაგრამ ან არა აქვთ ამ მხრივ ფიქრის ნიჭი, ან აქვთ და არ უნდათ, რომ იფიქრონ.

მოკლედ ბებიას ნახევრად უსმენდა შენი ქმარი,

რომელიც ფიქრით შენთან იყო იმ წამს.

დარდობდი, გიფიქრია – იქნებ ჯობდა ჩემი შვილებისთვის მამა შემენარჩუნებინა და ჩემი გრძნობები სანაგვეზე გადამეყარაო, მაგრამ თავს იმით ინუგეშებდი, რომ ამას ვერ შეძლებდი. ოჯახის ხმაურიან დანგრევას მშვიდი გაცლა ამჯობინე.

შეგვიყვარდა ერთმანეთი და შევუღლდით.

ხშირად ვფიქრობდი ჩვენს პირველ მეუღლეებზე, მიუხედავად იმისა, რო თითქმის დავინწყების ბურუსში ჩაძირულიყვნენ, მაინც ამოყოფდნენ ხოლმე მეხსიერებიდან თავს მათი ლანდები და ისევ თავის მართლებას ვინწყებდით საკუთარ თავთან.

სულ შენი სუნი და თვალები დამყვება თან და, ზუსტად ვიცი, რომ ვერ შეგელევი. მე ვიცი შენი სულიერი მდგომარეობა. მე ვიცი რა ბრძოლებშიც ხარ. შვილები ერთი წუთითაც არ განებებენ თავს. სამყარო ამოტრიალდა შენში, ადამიანები შიგნიდან დაინახე, მათი სულის კედლები დაათვალიერე და იმ კითხვაზე, რომელზეც არასოდეს გქონდა პასუხი, არც შენ, არც მე და არც არავის, პასუხი იპოვე. ამან ამოატრიალა შენში სამყარო. ევასავით გარდაგსახა, თითქოს ცნობადის ხის ნაყოფი შეგეჭამოს და ევასავით აგხელოდეს თვალი, ოღონდ არა ხორციელ, არამედ, სულიერ სიშიშველზე. სულიერი სიშიშველის დასაფარი ლელვის ფოთოლი კი არ არსებობს, ჩემო სიხარულო!

რასაც ეს ჩემი ავადმყოფი გონება არ მოიფიქრებს. სულის ლელვის ფოთოლი... სულ დამნაშავედ ვგრძნობდი თავს. ასე მეგონა, მე დავუნგრეე იმ საცოდავ კაცს ცხოვრება, მე ავუნენე. რომ არ გაგჩენილიყავი ან მალე გარდავცვლილიყავი, ან... ან არ გადაგყროდი, იქნებ ბედნიერი ოჯახი ჰქონოდა. სულ ბოდიშების ხდაში ვარ, შენს ქმარს, პირველ ქმარს ბოდიშებს ვუხდი. რა დასაბადებელი ვიყავი, ვილაცას ბედნიერება ნავართვი, ოჯახური მყუდროება დავურღვიე. სიზმარში ვნახე: ვინეჩი, უფრო სწორად გულალმა ვეგდე ტახტზე, ჭერს ავცქეროდი და ორიოდე დღის წინ გარდაცვლილ ძმაკაცზე ვფიქრობდი.

ერთად დავლიეთ, ერთად დავთვევრით. უუჰ, რა ბიჭი იყო, მგონი იცნობდი, ერთი-ორჯერ გყავდა ნანახი. მაღალი ლუკა... გემახსოვრება. უუჰ, ეხლაც მეტირება. სიკვდილი უფრო ახლოდან დავინახე. ვიგრძენი მისი ნაბიჯები, მისი საშინელი სუნთქვა. ბოლო შეხვედრა იყო ჩვენი, ღარიბული სუფრა გვქონდა, მაგრამ ისეთი რამ იდო იმ სუფრაზე, რაც სხვებს არც დაესიზმრებათ. გული იდო, ლუკას გული იდო და სიყვარულით ფეთქავდა, თითქოს სუფრაზე ითვლიდა ბოლო წუთებს, ფეთქავდა და გვათბობდა.

ბოლო ჭიქები გამოვცალეთ, ძმაკაცობა კიდევ ერთხელ შევფიცეთ და დავიშალეთ. ასალაგებელი დარჩა ჩვენი ღარიბული სუფრა, ერთი-ორი ნაჭერი

ყველი და პურის ნატეხები. იმ ასალაგებელ სუფრაზე ისევ ისე იდო ლუკას გული. შუალამისას წამოვვარდი, ვკანკალებდი, ვიცი, ოფლით დამისველდა სხეული, სიზმრიდან გამოყოლილი ხმები ისმოდა ოთახში, საზარელი ხმები. გოდების ხმა იყო, კვნესის ხმა. არ ვიცი, ვკანკალებდი, ძლივს ვიჭერდი ჩემს სხეულს, თითქოს ვიღაც სხვა მეჭირა, ვიღაც სხვას ვითრევდი რო არ გაქცეულიყო.

იმ ღამეს წავიდა ლუკა. დაიძინა და წავიდა, მშვიდად, სიზმრის ღიმილი დაუტოვა სახეზე საკუთარ ცხედარს.

გულაღმა ვეგდე და ვტიროდი.

კაკუნი გაისმა. ჯერ მეგონა, რომ მომეჩვენა, თვალები გავახილე და ისევ მივლულე. კაკუნი განმეორდა.

წამოვდექი. სხეულში ძალა მქონდა გამოცლილი. კართან მივედი, ნამტირალევი ხმით დავეპასუხე, რომელი ხარ-მეთქი. კარი გამიღეო, თითქოს ნაცნობი ხმა იყო. ვერაფრით ვერ გავიხსენე საიდან მეცნობოდა ეს ხმა. კარი გავაღე და სახეზე ქუდჩამოფხატული საშუალო ტანის მამაკაცი იდგა.

– რომელი ხარ-მეთქი, – მივაჩერდი.

არაფერი არ უთქვამს, შუბლზე მომაბჯინა ნაგანის ცივი ლულა. არ შემშინებია, უფრო გაოცებისაგან დამება ენა. ის იყო უნდა მეთქვა: ვინა ხარ-მეთქი,

რომ აღარ დამაცადა, სასხლეს გამოჰკრა თითი და სიკვდილის ხმით აივსო სახლი. ვიგრძენი, როგორ გაიარა ტყვიამ ტვინის ხვეულები, გაიარა და თან გაიყოლა ტვინში ჩარჩენილი დარდისა და ვისოცკის გაზუთხული მელოდიის ნაფლეთები. ვერაფერს ვხედავდი. ვეგდე ნაქირავები ბინის ნახევრად დამპალიატაკზე და ბარე ათჯერ გადაღებული ძველისძველი ფიცრებს შორის მიედინებოდა ცხელი სისხლი.

ის იდგა და კიდევ მიპირებდა სროლას. ბოლოს გადაიფიქრა. დარწმუნდა, რომ უკვე მკვდარი ვიყავი, ქუდი აიწია, ზიზლით დამხედა, მერე სახეზე დამაფურთხა და წავიდა.

ვმთავრდებოდი და ზამთრის სიცივე ისადგურებდა სხეულში. გავიღვიძე, თვალები გავახილე, არეულ-დარეულ ოთახს მოვაღლე მზერა და იგივე სურათი დამხვდა, როგორც ყოველთვის, აულაგებელი „სუფრა“. მიყრილ-მოყრილი ბოთლები, ჭიქები, კონსერვის ყუთები, პურის ნატეხები, ღვინით დალაქავებული, დაგლეჯილი გაზეთი, ახალი ამბები დაელაქავებინა ღვინოს.

ხომ ვთქვი, ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ვტყუივარ იმ კაცთან.

ვიცი, დაიწყებ, შენ რა შუაში ხარ, სანამ შენ გამოჩნდებოდი, მანამ იყო ბზარი ჩვენ შორისო. ასე მინდა, დავიჯერო, რომ მე ვარ დამნაშავე, რატომ? არ ვიცი.

ცხოვრება თითქოს მე დაფუნგრიე... იქნებ მართლა მომთხოვოს პასუხი, მაგრამ ვერაფრით ვერ დაიჯერებს, რომ ჩემნაირ ლოთსა და არარაობაზე გაცვალე.

\* \* \*

ისევ ვაგრძელებ შენთან საუბარს. ვიცი, როგორ გიჭირს. ვიცი, სამყარო ამოტრიალდა შენთვის. ამიტომ გამომაგდე სახლიდან. მე ვნახე შენი ექიმი და ვესაუბრე. ჯერ კაბინეტიდან გამომაგდო. ბოლოს მეც შეტევაზე გადავედი.

– იცი რას გეტყვი? ეგ შენი პროფესიონალიზმი სულ არ მაინტერესებს, ქმარი ვარ და უნდა ვიცოდე ყველაფერი, რა სჭირს ჩემს ცოლს-მეთქი.

მიყურებდა, მაკვირდებოდა, თითქოს დამცინოდა, მაგრამ მის დაცინვას ყურადღებას არ ვაქცევდი. ერთი სული მქონდა რაიმე მეთქვა, გული დამემშვიდებინა.

– მართლა ქმარი ხარ? – მკითხა ბოლოს და მაგიდას მიუჯდა. გახსნილ კოლოფში თითებიტ მოძებნა სიგარეტი. ერთი-ორი გემრიელი ნაფაზი ამოარტყა, მერე საფერფლეს შეატოვა. კარგა ხანს იწვოდა თავისთვის, მიიკლაკნებოდა საფერფლედან ცისფერი კვამლი.

თითები ლამის დავიმტვრიე. თითქოს ენა გადაყლაპა იმ ჩემისამ, იჯდა მდუმარე და სათქმელს უყრი-

და თავს თუ საერთოდ გადაიფიქრა, რაიმე ეთქვა ჩემთვის, ვერაფერს ვხვდებოდი.

– მოკლედ... კი მიძნელდება თქმა, მაგრამ... – წელანდელი გაურკვეველი ღიმილი სადღაც გადამალა. ცისფერ თვალებში საშინელი სიცივე ჩაუდგა. სახეზე მისი მზერის ყინული ვიგრძენი. – არაფერია ამ ქალის საშველი, – თქვა და ნახევრად ჩამწვარ სიგარეტს მიუბრუნდა. ფერფლი მოაცილა და ღრმად ამოქაჩა.

– როგორ თუ საშველი არ არის?!

ფეხზე წამოვხტი, სხეული ამიკანკალდა.

– ხოო, – რაღაც გაურკვეველად თქვა და თვითონაც ფეხზე წამოდგა. – ასეთი ფსიქიკური აშლილობის შემთხვევები... როგორც ჩანს სიკვდილმისჯილებთან ურთიერთობამ თავისი დალი დაასვა. ეს იოლი საქმე არაა. აბა, წარმოიდგინე. სულ ერთი წუთით წარმოიდგინე – ზიხარ ადამიანთან, რომელსაც ორიოდ დღეა დარჩა. სულ ორიოდ დღე სასიკვდილო განაჩენის აღსრულებამდე. სულ სიკვდილი, სიკვდილი, გაჟღენთილია მისი გონება სიკვდილზე ფიქრით. არანაირი იმედი, არანაირი ხსნა. აბა, დაფიქრდი, ზიხარ და ელოდები – ან ახლა დაგიძახებენ, ან ახლა. წამებს ითვლი, ყოველ ჩქამზე გული გიქანდება, ან ეხლა გაჩხაკუნდება კარის საკეტი, ან ახლა. ნახევრად ბნელ დერეფანში მოდიან, მოემართებიან შენს დასაძახებლად. გაიღება კარი, შემოვლენ. თითქოს ერთმანეთს

ელოდებიან, რომ სიკვდილმისჯილის გვარი ამოკითხოვ. გინდა, რომ მუხლებზე დაემხო, შეეხვეწო, ფეხები დაუკოცნო. იცით, მე ისეთი არაფერი დამიშავებია, გეხვეწებით, ნუ მომკლავთ, გეხვეწებით. მომეცით სიცოცხლის საშუალება, სულ აქ ვიქნები, დარჩენილ სიცოცხლეს აქ გავატარებ, თუ გინდათ, ცოცხლად დავლპები, ოღონდაც... არიან ისეთებიც, გაკერპებული, გაქვავებული უსმენენ გვარის ამოკითხვას, არავითარი ხვეწნა, არავითარი მუდარა, პირიქით, დამცინავი მზერით უყურებენ „პალაჩებს“. „გგონიათ რომ ტირილსა და ვაი-ვუის ავტეხავ? თქვე ლაჩრებო, თქვენი დედა...“ აქ გატარებული ერთი წამიც კი სხვა არსებად აქცევს ადამიანს. თითქოს ცხადად ხედავენ უკვე მეტაფიზიკურ სამყაროს...

შენს ცოლს ბევრ სიკვდილმისჯილთან ჰქონდა საუბარი. სიკვდილმისჯილს, უნდა თუ არ უნდა, ფსიქოლოგი სიკვდილზე ესაუბრება. სიკვდილისთვის ამზადებდა შენი ფსიქოლოგი ცოლი დღეებდათვლილ სიკვდილმისჯილებს.

მათმა თვალებმა, მათმა მზერამ გადაუტრიალა ჭკუა და ის ნამდვილ ადამიანად აქცია.

დავიღრიალე და გამოვიქეცი.

ერთი ბოთლი არაყი სულმოუთქმელად გამოვწაფე. ველარ ვსუნთქავდი, სული შემიგუბდა, გულ-მუცელში თითქოს ნაკვერჩხლები მეყარა და შიშხინი გაუდიოდა შიგნეულს. ვინვოდი. შავი ნისლით დაიფარა გონება.

იატაკზე გავიშლართე. ერთი დღე და ღამე ასე ვეგდე, პირქვე ვეგდე და გონებაზე ვერ მოვდიოდი. ოცდარვა საათიანი ძილის შემდეგ კატის კნავილმა გამომალვინა, ორი დღის მშვიერი ციცაგულო (კატას ჯერ ლესი ერქვა, მერე ეს უცნაური სახელი შევარქვი, ბოლოს ისევ პირველი დავუბრუნე) თავზე დამკნაოდა. თანდათან მოვფხიზლდი, ოთახს ჯერ უაზროდ ვათვალილერებდი, ერთხანს მეგონა, რომ მოვკვდი და ჯოჯოხეთში აღმოვჩნდი. რალაც საშინელი ხმები ჩამესმოდა. დასჯილი ადამიანების გოდება, წივილ-კივილი. კედლებზე ჯოჯოხეთის ცეცხლი გიზგიზებდა.

მერე თანდათან ჩაჩუმდა გოდების ხმა. ცეცხლიც ჩაიბჟუტა, წამოვჯექი. თავი შევანჯღრიე. გულ-გვამი მეწვოდა, თავბრუ მესხმოდა, ტახტზე ჩამოვჯექი. ის ექიმი გამახსენდა, წელან რო ვესაუბრებოდი.

თვალი დავხუჭე, გავირინდე. კატა ისევ კნაოდა, მაგრამ მე მისი კნავილი აღარ მესმოდა.

წარმოვიდგინე შენი შესვლა სიკვდილმისჯილ ბიჭთან.

\* \* \*

– კარგით, ერთი საათი საკმარისია? – ჰკითხა წითურულვაშებიანმა ციხის ზედამხედველმა.

ელიმ საათს დახედა.

– მგონი საკმარისია.

– მე, მაინც გირჩევდით... – ციხის კედლებს შე-

ბერებულმა აფანასიევმა (ასე ეძახდა ყველა) გასაღებების ასხმა ამოიღო ჯიბიდან და ელის თვალებში შეხედა. – მაგ თახსირმა ოჯახი ამოწყვიტა, ცოლქმარი და სამი შვილი. აქედან ერთი მცირეწლოვანი. სავარაუდოდ, ხვალ... და კაცმა არ უნყის... რა ვიცი, – მხრები აიჩეჩა ციხის რეჟიმის უფროსის მოადგილემ.

– გასაგებია, – ჩაილაპარაკა ელიმ.

– ოცდაცხრა წლისაა, – გააგრძელა აფანასიევმა.

– უკვე მეცხრე თქვეა აქა გვყავს.

– ვიცი, გავეცანი მის მონაცემებს. ყვავილებსა და პეპლებზე გიჟდება ეს კაცი, – თქვა ელიმ. – კიდევ... ძალიან უყვარს ბავშვები...

– ჰო, – უღვაშები ნერვიულად ააცმაცუნა ზედამხედველმა. – სიამოვნებით დავლევდი მაგის სისხლს, მე არ მჯერა ამ მაიმუნობების. ეს ყველაფერი უფლებადამცველებისა თუ ვილაც მასხარა ახალგაზრდების შექმნილი ზღაპრებია, – როგორ უნდა დავიჯერო... ხუთი ადამიანის მკვლელს, რომელიც დაჭერის დროს სისხლის ტბაში იდგა და კედელზე ჩამოკიდებულ გალიაში თუთიყუშებს ესაუბრებოდა.

ოთახში დანით დაჯიჯგნილი ცხედრები ეყარა, ის კი... ყვავილები, პეპლები... მიზეზი შურისძიება იყო. ოჯახის უფროსზე იძია შური. მამამისის ვალების გამო... არ ვიცი, არ ვიცი... – მხრები აიჩეჩა აფანასიევმა. სიგარეტი გაირქო ყვითელ კბილებში. – ასე-

თი ადამიანი ცხრა თვე გვყავს შენახული, გაასაჩივრ-  
გამოასაჩივრეს, ახლა კიდევ ფსიქოლოგი...

ელიმ თვალთ ანიშნა კარი გამიღო.

აფანასიევი გასაღებების ასხმულას ახლოს დააც-  
ქერდა, ნომრებს აკვირდებოდა.

– ერთ საათში... – კარის გაღებამდე შეახსენა  
სიკვდილმისჯილთან შემსვლელ ფსიქოლოგს.

– ერთ საათში აქ ვარ მოკლედ. ვიდრე ელი შევი-  
დოდა, აფანასიევს გულმა ველარ მოუთმინა და ჰკითხა:

– ქალბატონო, შეიძლება, რომ გკითხოთ?

ელი ციხის რეჟიმის უფროსის მოადგილეს შეაც-  
ქერდა და მცირე დუმილის შემდეგ თავი დაუქნია.

– ეგ თქვენი პროფესიაა, მე არ მიყვარს სხვის  
საქმეში ცხვირის ჩაყოფა, მაგრამ ვერაფრით ვერ  
ამიხსნია, ვიცი, ყველა ადამიანს აქვს აუხსნელი  
რალაცები და პასუხგაუცემელი კითხვები, მათ შო-  
რის მეც, თუმცა მაინც მინდა, რომ გითხრათ, ასეთ  
რეციდივისტთან ერთი საათით შესვლა, მარტოდმ-  
არტო... ელიმ ერთხანს თავი დახარა, მერე მწვანე  
თვალეები შეანათა წითურულვაშებიანს.

– თქვენ იმიტომ გაჩნდით, რომ ციხის ზედამხედვე-  
ლი ყოფილიყავით. მე იმიტომ გავჩნდი, რომ ხუთი  
ადამიანის მკვლელთან სიკვდილის წინ მესაუბრა. სულ  
ეს არის, – თქვა და კარის გაღებას დაელოდა.

\* \* \*

მშვენიერ ელის ძილმიუკარებელი თვალებით უმზერდა, ჩასისხლიანებული მზერით ათვალიერებდა. ელი მასზე თხუთმეტიოდე წლით უფროსი იქნებოდა, მაგრამ ასაკობრივი ზღვარი ამ საკანში არ არსებობდა, აქ დრო გაჩერებულიყო. აქ იყო სასაფლაო მიწამიუყრელი ცხედრით.

მწვანე თვალებში უმზერდა ელის და ფიქრობდა, ეს არის ქალი, რომელსაც სიკვდილის წინ ვხედავ, ეს არის ბოლო ქალი, რომლითაც ჩემი სიცოცხლის წიგნი დაიხურება.

არადა, ვერასოდეს ვერ ვიფიქრებდი ამას... რამდენი ქალი ჰყოლია, რამდენი ქალის სურნელი და გემო უგრძვნია. ხან ალინა გაახსენდა, ხან მარია, ხან ეკატერინა... თურმე ეს ქალიც არსებობდა ჩემს ცხოვრებაში, რომელიც ერთ დღეს სიკვდილმისჯილს საკანში გამოემცხადებოდა.

უყურებდა ელის, აკვირდებოდა სახის ნაკვეთებზე, მჭრელი თვალებით აკვირდებოდა. ისეთი ბასრი თვალები ჰქონდა, ელიმ ველარ გაუძლო. წინასწარ დაელაგებინა სიტყვები, როგორც უნდა დაეწყო საათებდარჩენილ ავაზაკთან საუბარი სიცოცხლის არარაობაზე, რომ ყველა ადამიანს იგივე დღე მოელოდა, რომ სულ რამდენიმე წელიწადში მისი თანატოლებიც დატოვებდნენ სააქაოს, რომ მეტაფიზიკური სამყარო წინ იყო, რომ

ასეთი სიკვდილი, ჩადენილ ცოდვებს შეუმსუბუქებდა, რომ სიკვდილი არც არსებობდა, ეს იყო მდგომარეობის, უფრო სწორად, განზომილების შეცვლა...

ნარზე ჩამომჯდარი ცისფერთვალემა კაცი ბასრი თვალებით უმზერდა ელის, კითხულობდა მის ფიქრებს და ელიმებოდა გულში.

– თქვენ ელი გქვიათ?

ელი დაიბნა, საიდან იცოდა მისი სახელი სიკვდილმისჯილის საკანში გამოკეტილმა კაცმა? ის ხომ სულ ორი დღეა, რაც ციხეს ესტუმრა.

– სიკვდილმისჯილი საკუთარი თავის ყველაზე დიდი ფსიქოლოგი და მხსნელია. მე შევისწავლე ადამიანი, საკუთარმა თავმა შემასწავლა ადამიანი. ამ საკანს ერთი დადებითი თვისება აქვს, საკუთარი თავი საბოლოოდ აღმომაჩენინა და ღმერთთან მასაუბრა. ჰო, მე ვესაუბრები ღმერთს. ჩვენ გვესმის ერთმანეთის ხმა. ერთგვარ სრულყოფილებამდე მიმიყვანა ამ საკანმა. სიკვდილის შიში საერთოდ არა მაქვს, პირიქით, იმ საუბარს, რომელიც წელან ვახსენე, ხორციელი ყოფა აფერხებს და, არ დაგიმაღავ, ერთი სული მაქვს, როდის დამიძახებენ, ღამლამობით ანგელოზიც მეცხადება, ძალიან კი გააჯანჯლეს, – ჩაელიმა. – მაგათ ჰგონიათ, ყოველ ფეხის ნაბიჯზე გული მიკანკალებს, არადა... ძალიან საინტერესო არსება ყოფილა ადამიანი და ამაში ჩემმა თავმა დამარწმუნა. ადამიანი ათას თავგადასავალს დაე-

ძებს, ათას რამეს სწავლობს, ათას რამეს კითხულობს და ყველაზე დიდი ცოდნის წყარო საკუთარი თავია. აქ არის, (მარჯვენა ხელის სალოკი თითი მიიღო საფეთქელზე), მთავარი საიდუმლო. მე უკვე ვიცი, ძნელია ამის გაგება, ძნელი... ეს რომ გაიგო, ჩემი გზა უნდა გაიარო, ჩემი გზის გავლა კიდე... ან ცხრა თვე აქ ჯდომა და სიკვდილზე ფიქრი... – ჩაიცინა.

მე დიდი ზიარება მივიღე. ზიარება დიდი ბარძიმიდან. ჩემ მიერ დახოცილმა ადამიანებმა, ღმერთმა აცხონოს მათი სულები, ხელი შეუწყეს ამ დიდ ზიარებს. ისინი თითქოს ამისთვის დაიბადნენ, ცხრა თვე რომ მე ამ ფიქრში გამეტარებინა. ადამიანი იმ კუთხიდან შემესწავლა, რომელიც სულ მაინტერესებდა წარმოსახვით, ფიქრით. მეც ჩავსახლებულვარ სიკვდილმისჯილის სხეულში, გარდავსახულვარ, მაგრამ სინამდვილე სულ სხვაა. სიკვდილი დამათრგუნინეს და შიში მომასროლინეს.

თქვენ გინდოდათ, რომ სიკვდილზე გამსაუბრებოდით და უდიდესი გულისაჩუყებისგან გეხსენით. წინასწარ დალაგებული სიტყვებით, ნუგეშით, ფსიქოლოგის დიპლომატიით, მე რად მინდა ფსიქოლოგი...

ჩაიცინა და ელის ღიმილიანი თვალებით შეაცქერდა.

– ძალიან ლამაზი ქალი ხართ. სილამაზით აივსება ჩემი სხეული და სულსაც გაჰყვება ეს სილამაზე, როცა წავა დახვრეტის შემდეგ. ჩემზე მეტად ის ტიპი

ნერვიულობს, ვისაც ეს ხელობა აჰკიდეს, თუ თავის ნებით აირჩია. ხელის კანკალით რომ ამოიღებს იარაღს და უდანაშაულო კაცს კეფაში დამახლის. მისთვის ხომ უდანაშაულო ვარ. მე განვინმინდები სიკვდილის წინ, ის კი ცოდვით აივსება. მკვლელი და მოკლული – ქვიშის საათის ორი მხარე...

ელის ცრემლები აუბრწყინდა თვალებში.

– არ არის რთული სიკვდილი, იმიტომ რომ სიკვდილი არ არსებობს. მე შევხვდები იმ ოჯახის წევრებს, სადაც უბედურება დავატრიალე და ბოდიშს მოვუხდის ყველას.

ცრემლჩამოგორებულ ლოყაზე ნაზად შეახო ხელი.

– შენ უკანასკნელი ქალი ხარ, ვისაც დედამინაზე ვნახავ. არ არის შემთხვევითი, რომ ჩვენ ერთმანეთს შევხვდით. მგონი რაღაცისგან გავთავისუფლდი. ნამდვილად არ მინდა, რომ შეგეცოდო.

თხუთმეტი წლით უმცროსმა პატიმარმა თავი ააწეინა და ცრემლიან თვალებში ჩახედა.

– რამხელა ტკივილი დავინახე შენს მზერაში. დრო რომ მქონდეს, თავიდან ბოლომდე მოგიყვებოდი ცხოვრებას.

ახლოს მიიწია ქალთან პატიმარმა.

– შეიძლება რაღაც გთხოვოთ?

ელიმ ცრემლი შეინმინდა და სიკვდილმისჯილს შეაცქერდა.

– რა უნდა მთხოვოთ?

– მე აქ არავინ არანაირ სურვილს არ შემისრულებს, სიკვდილმისჯილის საკანში ნატვრაც კი აღარ არსებობს.

ერთადერთი რაც შეიძლება, სანამ ჩემნაირების მოკვლაში დახელოვნებული ვანია ტყვიას დამახლიდეს, სიკვდილის წინ პაპიროსი მომანვეინონ და ნახევარი წუთი მომცენ ლოცვისთვის. უკანასკნელად ავხედო ცას და ღრმად ჩავისუნთქო...

ელი... ელინა! – უფრო ახლოს მიიწია, ვნება მოანვა თვალებში, მზერა აემღვრა. ახლოს მიიზიდა ქალი, ბაგეებზე დაენაფა. ელი არ გადალიანებულა, ერთხანს უძრავად იჯდა, თითქო ვერც გრძნობდა გახელებული პატიმრის ალერსს, ბოლოს ქალშიც აიმღვრა სისხლი, საათებდარჩენილ პატიმარს აკანკალებული, გაოფლილი ხელები შეახო წვერაგეჯრილ სახეზე.

პატიმარს აღარც ახსოვდა სიკვდილი, ქალს საკინძე ჩაუხსნა, მკერდი გაუშიშვლა და დაცქვეტილ კერტებს მიაძღა, შემდეგ კი გაშიშვლებული ქალი ნარზე მიანვინა და თვითონაც სწრაფად გაშიშვლდა.

ელი თვალებმილულული კვნესოდა, სიკვდილის საუფლოში საოცარ ნეტარებას გრძნობდა...

– შენ ხარ ქალი, რომელიც უკანასკნელად შევიყვარე, – ლულლულებდა პატიმარი. – ჩემი უკანასკნელი სიყვარული ხარ, ელინა!

\* \* \*

წუხელ პაპაჩემი მესიზმრა, უფრო სწორად გამო-  
მეცხადა... ისეთი სახით იდგა, როგორც ფოტოსუ-  
რათებზეა შემორჩენილი. სანოლზე ჩამოჯდა. ქათქა-  
თა ხელსახოცი ამოიღო უბიდან, ოფლით დაცვარულ  
მელოტ თავზე გადაისვა, მერე ისევ დაკეცა და ვიდრე  
უბეში შეინახავდა, მივხვდი, რო რაღაც სათქმელს  
უყრიდა თავს, ოთხმოცი წლის გარდაცვლილი პაპა,  
რომელიც ჩემს დაბადებამდე წავიდა.

მე ლოგინში ნაცემი ძალღივით ვიყავი მოკუნტული  
და ხმას არ ვიღებდი, მაბაბანებდა, კბილს კბილზე მა-  
ცემინებდა. პაპაჩემი სიბრალულით სავსე თვალებით  
დამცქეროდა, თითქოს არარაობად ქცეულ საკუთარ  
თავს უმზერდა. მიწიერებაში ნახა ჟამი ამაღლებისა  
და ახლა ოთხმოცი წლის სააქაოს განრიდებული სა-  
კუთარი თავის დაცემას ხედავდა. ოთახი სავსე იყო  
არყის ცარიელი ბოთლებით, ობმოკიდებული პურის  
ნატეხებით და გამოლოკილი კონსერვის ყუთებით.  
გულისამრევი სუნი იდგა, რომელსაც მე კარგა ხანია  
ვეღარ ვგრძნობდი. ეს სუნი ჩემთვის რაღაც ბუნებრი-  
ვი იყო. ტარაკანების ფხაჭუნი არღვევდა სასაფლაოს  
მღუმარებას. რას ჩალიჩობდნენ კარადის უკან მიყუ-  
ჯული სიბნელესთან გამიჯნურებული ეს უცნაური არ-  
სებები, რას გაუგებდა კაცი.

მინდოდა, ლოგინიდან თავი ამომეყო, წამოვმ-

ჯდარიყავი და პაპაჩემს მოვხვეოდი. აი, თურმე როგორი ყოფილა სინამდვილეში ჩემი დიდი წინაპარი, რომლის სახელიც ოქროს ასოებით ჩაინერა საზოგადოების ისტორიაში, კაცი რომლის სახელის ხსენებაც დღესაც კრძალვასა და სიყვარულს ბადებდა ხალხში, თუ როგორ ვთქვა, დიდი კაცი, ოპერის ფუძემდებელი, რომლის სახეც მადლიერმა ერმა ფულზე გამოსახა – ქალაქის ფულზე. მე კი იმისი შთამომავალი, არააოზად ვიქეცი და იმის უნარიც არ მაქვს, ლოგინიდან თავი ამოვყო, აცახცახებული სხეული დავიმორჩილო და პაპაჩემს ხელი ჩამოვართვა.

ვხედავ, რომ ვეცოდები, გული უკვდება ჩემს დანახვაზე და ფიქრობს, რა მოხდა ცხოვრებაში ისეთი, რომ მე ასეთ დღეში აღმოვჩნდი. არადა, ხომ შეიძლება, მეც გავმხდარიყავი ცნობილი ადამიანი და პაპაჩემის გზა ღირსეულად გამეგრძელებინა. გაჩახჩახებულ დარბაზში სმოკინგით შემოსილი გამოვსულიყავი და ჩემი მელოდიებით დამეტკბო მსმენელი, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ გავლოთდი, მიუხედავად იმისა, რომ გზას ავცდი, რაღაცებისგან გავთავისუფლდი და ჩემი ცხოვრებით ვიცხოვრე, შეიძლება ასე არ უნდა დამემთავრებინა წუთისოფელი, ლოთობით, ცარიელ არყის ბოთლებსა და ტარაკნების ფხაჭუნში, სხვანაირი გზის პოვნაც შეიძლებოდა, მაგრამ ასეთ ყოფასაც შეიძლება, მოუძებნო გამართლება.

– იცი? ძნელია სხვისი ცხოვრებით იცხოვრო, ჯობია უსახური იყო, ვიდრე სხვისი სახით გიცნობდეს ხალხი. ისევ თავის გამართლება, სულ თავის მართლება. შენი წარმოშობა-წარმომავლობის მძევლობა ადვილი გგონია? არამც და არამც, აბა დაფიქრდი, გაანალიზე. საზოგადოება რას იტყვის შენზე, ვისი შვილიშვილი ხარ, არ დაგავინწყდეს, პაპაშენი ფულზეა გამოსახული, ეს რას ნიშნავს იცი?

მე კიდეც, ლოთობისგან დასუსტებული, პირთუნანლო, მისიკვდილებული ვგდივარ გამჟღერულ ლოგინში, უფრო სწორად ჩემი ძვლები ყრია და თავზე დაგცქერის შარვალ-კოსტუმსა და თეთრ პერანგში გამოკვანთული წინაპარი, რომელსაც იმ კუთხისკენ გაექცა თვალი, სადაც მისი ნაქონი გიტარა იყო მიყუდებული.

წამოდგა. ფეხაკრეფით მივიდა გიტარასთან, აკანაკლებული ხელი შეახო და თავი ველარ შეიკავა, თითქოს თავის მინიერ ცხოვრებას დასტიროდა, სააქაოში დატოვილი დღეების გახსენებამ გული აუდღულა.

– „ისევ ისეთია, ისევ ისეთია“, – ნაზად უსვამდა ხელს...

გამომელვიძა, აქეთ-იქით ვაცეცებდი თვალებს.

– პაპა, პაპა, – ძლივს წამოვნიე სხეული. ნელმონწყვეტილივით გადმოვყარე ფეხები ტახტიდან. ჭერი დატრიალდა, გულისცემა გამიხშირდა. ერთხანს თვალები დავხუჭე, გონება მოვიკრიბე. არასდროს დამ-

სიზმრებია პაპა, არასდროს. მხოლოდ ძველ ფოტოსურათებში მყავდა ნანახი, ცნობილი ადამიანების წრეში ვტრიალებდი ერთ დროს, მეც ხომ ცნობილი ბიჭი ვიყავი, მაგრამ ახლა...

გამახსენდა, სიზმარსა თუ ხილვაში როგორ შეეხო თავის ნაქონ გიტარას პაპაჩემი. თვალი იმ კუთხისკენ გამექცა, სადაც ჩემი ცხოვრების განუყრელი მეგობარი, პაპაჩემის ნაქონი არსება (დიახ არსება!) ეყუდა. მართლა, გამახსენდა: ერთი ჩემი ლოთი ძმაკაცი გადამეკიდა, ორიოდ კვირა იქნება, რაც აქედან დავახვევინე, სახელსა და გვარს რო მნიშვნელობა აქვს. ისე, არაფრით განსხვავდება ფულით დაკავშირებული ძმაკაცი, სასმლით დაკავშირებულ ძმაკაცისაგან. ეგ არის, რომ ფულიანი მოვლილია... ერთი რამ აკავშირებს შენთან პირველს – ფული, მეორეს – არაყი. გელევა ფული, აღარ გყავს ძმაკაცი, თავდება არაყი, ფაფუ ქიქის ძმაკაცი.

წავიდა, უფრო სწორად გავაგდე, ჯანი აღარ მომდევდა, თორე ვცემდი იმ უპატრონოს. გათენებული არ იყო, თავზე დამადგებოდა ხოლმე, ღვიძლი დაშლის პირას ჰქონდა, სიკვდილი სულ თან დასდევდა, მაინც სვამდა. ნათესავის სარდაფში ცხოვრობდა, შვილები ჰყავდა, მაგრამ პურის ფულსაც არავინ აწოდებდა.

– ირაკლიჯან, დავითრიე, – ჩაიქირქილებდა და ნახევარლიტრიან ბოთლს ამოაძვრენდა ხოლმე.

ერთხელაც გიტარაზე წამომცდა:

– პაპაჩემის ნაქონი გიტარაა, რაც ამ ინსტრუმენტზე შედევრები შექმნილა-მეთქი.

– რა ელირებაო, – ჩამაჩერდა.

– რო გავყიდო, ქალაქის ცენტრში სამოთახიანი მომივა და კიდევ იმდენი დამრჩება, ხუთი წელი რომ თითი არ გავანძრიო, შემწვარ-მოხრაკული არ მომაკლდება-მეთქი.

მივიდა, აკვირდებოდა, ხელი შეახო, იტყოდი, რომ ძალიან ერკვეოდა მუსიკალურ ინსტრუმენტებში.

– ჩემი მაინც იყოსო, – ჩაიბუტბუტა.

– რას იზამდი-მეთქი...

შემომხედა და გაიცინა.

– რა კითხვა უნდა ირაკლიჯან. დაასხი, გული მიკანკალებს, ლოთს რა კითხვებს უსვამ, – ჩაეცინა...

ვიდრე ჭიქებს ლარიანი არყით შევავსებდი, ჩემთვის ვფიქრობდი: საიდან გავიცანი ეს კაცი, საიდან გაჩნდა ჩემს ცხოვრებაში. მერე უცბად ამომიტივტივდა მასთან შეხვედრა.

ბუკიას ბაღში ვიჯექი, ვიჯექი და ვაი იმ ჯდომას. სახლიდან წამოვედი, უფრო სწორად გერმა გამომიცხადა, რომ სახლიდან უნდა წავსულიყავი, მათი ცხოვრებიდან უნდა დამეხვია.

– წადი... – ამ სიტყვამ ყინულივით ბგერებისგან რომ იყო აწყობილი, შინაგანად დამბზარა. მკვდარი-

ვით ვიყავი. ეს გოგო, გერად წოდებული, შვილივით გავზარდე თავის ძმასთან ერთად. ნია და ნიკა, ნია და ნიკა – მბოდებდა, იმიტომ რომ იმ ადამიანის წიაღიდან იყვნენ გამოსულნი, ვისაც ვალმერთებდი. ხანდახან ვიჯექი და მათ თვალებს ვაკვირდებოდი, რომ მათ მზერაში დედა დამენახა, ელი დამენახა. უკვირდით ბალებს ჩემი ქცევები, ეს აკვიატებები, გაოცებულები მომჩარდებოდნენ ხოლმე. საკუთარ შვილებად ვთვლიდი ელის შვილებს. ელის სიხარულის თანაზიარი ვხდებოდი. რასაც ის განიცდიდა შვილების დანახვისას, მეც იმავეს განვიცდიდი. შეიძლება, ეგონა, რომ ვთამაშობდი, რომელ მამინაცვალს შეჰყვარებია გერები ასე თავგამეტებით? ეს ორი საშინელი სიტყვა მზარავდა „გერი“ და „მამინაცვალი“. არც ისინი იყვნენ „გერები“ და არც მე – „მამინაცვალი“. ჩვენ ვიყავით ერთი დიდი სიყვარული.

ელის უხაროდა, მის შვილებს ასე თბილად რომ ვექცეოდი, ასე რომ მიყვარდა ნია და ნიკა, მაგრამ გულის კუნჭულში მაინც სტანჯავდა ფიქრი – იქნებ, ჩემს მოსაწონებლად აკეთებსო ამას. იქნებ ერთი სცენაა ეს და მეტი არაფერი. მე მაშინვე მივუხვდი და გულთამხილავივით ვუთხარი:

– არ გჯერა ჩემი? არასოდეს დაექვდე ჩემში, გესმის? შენი შვილები აქ მყავს, – გულზე ხელი დავიდე. – შენი სიყვარული მათშიც გარდაისახა, როგორც გინ-

და გამიგე, ბიოლოგიური რაღაცები არ არის მთავარი ჩემთვის. ზოგისთვის შვილი, ქალთან ორიოდე საათი კოტრიალია. ცნობიერი შვილი შეიძლება, არც იყოს ბიოლოგიური... არ ვიცი, როგორ გამოვთქვა, მიყვარს შენი შვილები, იმიტომ რომ მე განვიცდი შენს სიხარულსა და სიყვარულს.

დაიხარა და მაკოცა.

– მართლა გიყვარს? – თქვა და ჩემს თვალებში ჩაიძირა.

თავი გავიქნიე.

– ერთადერთი ადამიანი მინდა იყო ცხოვრებაში, ვისთანაც თავს არ ვიმართლებ და რაღაცების მტკიცებას არ დავინებ...

აღარაფერი უთქვამს. ცხოვრებას გული გაეზარა მისთვის, საშინელი ეჭვები დაეტოვებინა. ვერ თავისუფლდებოდა იმ საშინელებებისგან, მხოლოდ შიში და ცუდის მოლოდინი... კარგ რაღაცებზე ფიქრის საშუალებასაც კი არ აძლევდა საკუთარ თავს, რომ სიფხიზლე არ დაეკარგა.

– წადი! – გაყინული ბგერებით იყო ნათქვამი. თვალებში ვერ მიყურებდა, თითქოს ვიღაც სხვა მე-საუბრებოდა.

– ნიკა სადაა? – ოთახი მოვათვალიერე.

– არ ვიცი, – ისევ გაყინული ბგერებით იყო შეკონინებული.

მე აღარაფერი მითქვამს.

უხმოდ ჩავილაგე ჩემი ნივთები ჩანთაში და, ვიდრე წამოვიდოდი, ნიას შევხედე, რომელიც კამოდის უჯრაში უაზროდ იქექებოდა, ეს უფრო დროის გაყვანა იყო, ცოტა სინანულიც. უჯრაში ქექვის დროს საკუთარ თავთან თავის მართლება.

„უნდა წავიდეს, უნდა წავიდეს. დედაჩემს არაფერიც არ სჭირდა, სულ მაგის ახირებებმა, სასმელმა და იმ გაუთავებელმა გიტარის ხმამ დამართა, რაც დამართა“.

– დედაშენი მალე გამოჯანმრთელდება, მაგის დარდი არ გქონდეს. იცოდე, რომ ძალიან მიყვარხართ შენც და ნიკაც.

ნიას ყურადღება არ მოუქცევია, ლამის ვეება უჯრაში ჩამძვრალიყო.

ერთი სიტყვით, დავახვიე და დავწანწალებდი ბინის ძიებაში, სანამ ცოლგათხოვილი ვანოს მეზობელი გავხდებოდი. კიდევ კარგი ზაფხული შემესწრო და რამდენიმე ღამე პარკშიც გავათიე (მეთაკილება, როვთქვა, პაპაჩემისეული სახლი ბანკმა გამიყიდა).

მისი ნივთებიდან რა შემომრჩა?

არც არაფერი. ერთი სასანთლე მქონდა, ჩემს ბიჭს ვაჩუქე. ეს გიტარა... ხო, ბრილიანტი გვექონდა საგვარეულო, შავი ბრილიანტი და დაიკარგა. ჩემს პირველ ცოლზე მქონდა ეჭვი, მაგრამ როგორ დავუმტკიცებ. პაპაჩემის ბრილიანტი იყო. რა ეღირებოდა? რა ვიცი,

ძალიან ძვირი იქნებოდა, აღარ მინდა იმ ამბების გახსენება.

ერთადერთი ის სახლი დამენანა, სადაც ბავშვობა გავატარე, რიკულებიანი აივნით. პარტიის ოფისი გახსნეს. ერთხელ სანახავად მივედი, იტყოდნენ, რო ჩემი ცხოვრება უნდა დამეტირა, პაპისეულ სახლში გატარებული წლები, საკუთარი ცხოვრება, საკუთარი წარსული გასაყიდად არ უნდა გაიმეტო ადამიანმა. მივედი და გადასხვაფერებული დამხვდა. ხუთჯვრიანი დროშა ფრიალებდა. ვეება წითელი ბანერები გაეკრათ. ტანში გამაჟრჟოლა. ისეთი შეგრძნება მექონდა, რომ მურმანივით ეშმაკს მივყიდე სული. ფეხები მეკვეთებოდა, ახლოს ველარ მივედი, გამოვბრუნდი.

მოკლედ, ბუკიას ბაღში გავიცანი ეს ჩემი ძმაცაცი, ისიც ჩემსავით სახლ-კარ დანგრეული, კეთილი, მაგრამ მაინც გაურკვეველი თვალები ჰქონდა. მის მზერაში დაინახავდი მის სულს და ამოიკითხავდი მთელ ცხოვრებას. ყველა ტკივილი შენახულიყო მის თვალებში.

სახელი და გვარი არ ვთქვი და თქვენც ნუ დამაძლებთ.

დედისერთა ბიჭი, კალთაში გაზარდეს, ბამბებში გაზარდეს და ვინ წარმოიდგენდა, რომ ასე ნანინანატრად გაზრდილი ვაჟი, ბოლოს ქუჩის მანანწალად გადაიქცეოდა, ნათესავის მიერ სამადლოდ ნათხოვარ სარდაფში იცხოვრებდა და კუჭს ქუჩაში მათხოვრო-

ბით მოგროვილი ხურდა ფულით დაიშოშმინებდა. შეხედავდი და როგორც საგზაო ნიშნებზე აწერია: „სდექ“, თუ „სტოპ“, რა ვიცი, რა მნიშვნელობა აქვს, ეს კაცი ცხოვრების საგზაო ნიშანილა იყო: „უფრთხილდი ცხოვრებას“.

კი არ გათელა ეს კაცი ცხოვრებამ, გატკეპნა, კატოკივით გადაუარა, დედა უტირა. აჰყვა ბამბებში გაზრდილი თავის ამფსონებს, როგორც ხდება ხოლმე. ცოლი ჰყოლია, სურათი მაჩვენა, ანგელოზივით გოგო, მერე გათხოვდა. ორი შვილი გაუჩინა იმ ქალმა – ერთმანეთზე უკეთესები. დედა მოუკვდა, ცოლი გაექცა, შვილებიც თან წაიყვანა და ვილაც კაცს გააზრდევინა. იმ კაცმა მერე ცოლად შეირთო და ორი ბავშვიც გააჩენინა.

ბებერი მამა დარჩა სახლში, ისიც სკლეროზიანი. რასაც მოიხელთებდა, ყველაფერი ფეხის ალაგზე შეჰქონდა თურმე.

ამის ლოთობით ისარგებლა ბიჭმა. ცოლმა გააგულიანა – ერთხელაც იქნება, როგორც ყველაფერი მიაწიავ-მოაწიავა, მაგ სახლსაც კაპიკებში გაჰყიდის და დარჩებით ეგრე, ჭერის გარეშეო. ლოთობამ უყო, რაც უყო, მერე როგორი ლოთობა იცოდა, ერთი თუ გადასცდებოდა ყელში, გიყვარდეს... სანამ არ მისიკვდილდებოდა, „ზაპოის“ ტყვეობაში იყო, მერე ცოტა ხანს ამოჰყოფდა თავს, „ამოძვრებოდა“.

ეძინა, ეძინა, სულ ეძინა. მერე ცოტა გამოიხე-

დავდა. სისხლის კოლტები მოსცილდებოდა თვალის კაკლებიდან. მერე ისევ ისე იწყებოდა. სულ ესე იყო.

წაიყვანეს ის სკლეროზიანი კაცი და სახლი გადაიფორმეს. დატოვეს ეგრე პირში ჩალაგამოვლებული. ამან არც არაფერი იცოდა. მივიდა ერთ მშვენიერ დღეს და სახლში აღარ შეუშვეს, წინ გადაუდგნენ ბიჭები, თავის შვილები, კაცო! არ ვიცი, რას არ ანახვებს ცხოვრება ადამიანს.

– აქ, აღარაფერი გესაქმეობა, აიკრიფე გუდანაბადი და აახვიეო.

ჯერ ეგონა, რომ ეხუმრებოდნენ, ვერ იჯერებდა თურმე. ბრმას ცოლი მოუკვდა და არ ეუბნებოდნენო... ქუჩაში რომ დარჩა, მერე დაიჯერა. ზედ დააღამდა. მარტოდმარტოდ იგრძნო თავი. ეს არის სიკვდილი, სხვა კი არაფერი. სული რომ ამოგივა, ეს წასვლაა. დედამინაზე რომ ერთი ციცქნა ადგილიც არ არსებობს შენი და კაცი არ დააბიჯებს, ვილაცას რომ ებრალებოდე, ეგაა სიკვდილი.

იარა, იარა, ცხრა მთა გადაიარა ამ ჩემსავით სახლკარდაკარგულმა.

ვანუგეშებდი ხოლმე:

– ჩემი სახლი ბანკმა გაყიდა და პარტიის ოფისი გახსნეს (პარტიამ შესანსლა ჩემი ტკბილი მოგონებები). შენი სახლი შენს შვილებს დარჩათ, სანერვიულო არაფერია-მეთქი.

მალ-მალე იტყოდა ხოლმე.

– მამის სიბრალული, ერთი მისხალი სიყვარული როგორ არ დარჩათ, ეგრე როგორ მოუნამლეს გონებაო, – დაჟანგებულ სახეზე ჩამოუგოდებოდა ცრემლი. – ლოთი კაცი არავის უნდა, არც შვილებს უნდათ ლოთი მამა, – თავში ხელს შემოიკრავდა.

მერე ვილაც შორეულმა ნათესავმა შეიკედლა. ცხოვრობდა და ვაი, ამ ცხოვრებას.

ჰო, ის უნდა მეთქვა, ერთხელაც გიტარაზე მოიყვანა ვილაც ტიპები. თავზე დამაყენა ლოგინში. ტანში მამტვრევდა, მახაბანებდა.

– ირაკლიჯან, ირაკლიჯან.

უღიმამოდ ავხედე. საბანი მქონდა ნაფარებული. უაზროდ ვაკვირდებოდი.

– შენა ხარ? – ჯერ ჩემს ძმაცაცს შევხედე, მერე ორი ტიპი შევათვალიერე. მოვალეებივით იბღვირებოდნენ, არადა მე არავის ვალი არა მქონდა.

– ცუდათა ხარ, ირაკლიჯან?

თავი დაუქნიე და თვალებით ვკითხე, რა უნდოდა.

– დაგვხოცა იმ ქალმა, იმ ჩემისამ, – ჯიხურის გამყიდველ ნაზის გადაუკურთხა. – ვასოს მიაქვს მაგასთან არაყი, ვასო აზავებს. გაიგე, რას ასხამს ვასო, მაგრამ „ზაპოი“ რო გაქვს, მაშინ მაგაზე ფიქრობ? ოღონდ გული დაიშოშმინო, – გაიკრიჭა და სტუმრებს მიუბრუნდა. – ეს იცი, ვინ არის? რო გითხრათ,

შეიძლება, არ დაიჯეროთ. ვილაც ბომჟი ლოთბაზარა კი არ გეგონოთ, ამ ცხოვრების დედა ვატირე, ვერასოდეს ვერ წარმოიდგენ კაცი, ასეთ დღეში თუ ჩაგაგდებს... – ისე საუბრობდა ეს კვახივით გასახეთქი, იფიქრებდი, რომ სასმელთან მწყრალად იყო და წყნარი, დალხინებული ცხოვრებით ცხოვრობდა, – რაც ამას ბროდვეიზე კონცერტები უტარებია.

სტუმრები კი უსმენდნენ, მაგრამ ერთი სიტყვაც არ ეჯერათ, ლოგინში ჩაკარგული ლოთი და ბროდვეის მუსიკალური სამყარო? რას დაიჯერებდნენ, არადა, მართალი იყო ეს ოხერი, ანშლაგით ჩამიტარებია კონცერტები ოკეანის გაღმა და იქ დაკრული ტაშის ხმა ახლაც ჩამესმის.

– მოკლედ... – ისევ გააგრძელა, თან თვალებით მეკითხებოდა: „ვუთხრა ვისი შვილიშვილიცა ხარ?“ უარყოფითი პასუხი მიიღო ჩემი მზერიდან და „საქმეზე“ გადავიდა.

– გიტარა უნდათ, ირაკლიჯან.

მეგონა, რომ მომეჩვენა. არაფერი მითქვამს.

– წამომცდა და აღარ დამანებეს თავი, თუ გადაწყვეტ გაყიდვას, მოგირიდებიან.

ისინი ხმას არ იღებდნენ.

თითქოს უფრო ჩავიკარგე ლოგინში.

– აჩვენებ?

ძალა მოვიკრიბე და თავი წამოვწიე.

– კარგად ვერ გავიგე, რა მითხარი?  
– გიტარაზე გეუბნები ირაკლიჯან. მაყუთი არ გინდა?

სტუმრებმა ჩემი ავლა-დიდება მოათვალიერეს. კუთხეში მიყუდებულ შავ გიტარას მისჩერებოდნენ.

– აახვიეთ აქედან, – ძლივს ამოვთქვი.

უძრავად იდგნენ, თითქოს ვერ გაიგეს ჩემი ნათქვამი.

წამოვდექი, საბანი გადავიძრე და მაგიდაზე ცარიელ ბოთლს მივწვდი. მიხვდნენ, რომ ვერ იყო საქმე კარგად. კარებთან დაენიათ დედის გინება და ბოთლი.

– თქვენი დედა მ...ნ, თქვენი, თქვე ბოზებო თქვენა, ამათ უყურე, ამ გოთვერნებს. თვალი აღარ დაგკრათ ჩემთან...

უფრო უარესად ავკანკალდი. თითქოს ჭერიც ირხეოდა. თვალებზე ავიფარე ხელი, მივხვდი, რომ ძალიან მძულდა თავი.

\* \* \*

აი, ასე გავაგდე ჩემი უგვარ-სახელო ლოთი ძმაკაცი. მერე კი ვნანობდი... პურის ნატეხებს დავხედავდი მაგიდაზე და ვნანობდი, იქნებ ძალღივიტ მშიერი გდია. იქნებ ლუკმის მიმწოდებელიც არა ჰყავს. ასე არ უნდა მოვქცეულიყავი. ადამიანი, როგორც ესმის, ცხოვრება, ისე ცხოვრობს. რჩევა-დარიგებამ შეიძლე-

ბა გეზი შეუცვალოს, მაგრამ ტვინსა და მოწყობას ვერ შეუცვლის. მოკლედ, ყველას თავისი სამყარო აქვს. სამყაროს კიდევე, ღმერთის გარდა, ვერავინ შეცვლის. აბა, რომ მომაყენა ვილაც კლიენტები გიტარაზე, რას ფიქრობდა, საბოლოოდ უნდა მოვეკალი? ისევ დავინყე თავის მართლება.

მერე გამექცა კუთხისკენ თვალი და ფაფუ, სადღაა გიტარა. აქეთ ვეცი, იქით ვეცი გადავატრიალე ისედაც გადატრიალებული სახლი, ვერსად ვნახე. საწოლის ქვეშ ვიძრომიალე, ტანსაცმლის კარადა დავიმზე თავზე, არსად არ არის. დავჯექი და დავინყე ღრიალი.

უცბათ გამექცა ჩემი ლოთი ძმაკაცისკენ გული.

– ღორივით დაგკლავ, ყელს გამოგლადრავ, სისხლს დავლევე, ეს როგორ გამიკეთა.

წარმოვიდგინე, როგორ შემოიპარა სახლში. მე მეძინა, ჩემს ლოთურ სიზმრებში ვიყავი გახვეული. ფეხაკრეფით მივიდა ოთახის კუთხეში...

– ეს როგორ გამიბედა, ეს როგორ გაივლო გულში. ვინ იცის, იქნებ, გაყიდა, იქნებ იმ უსახურ კაცებს გაატანა, აქ რომ ჰყავდა.

სხეული ამიცახცახდა, სიმწრის ოფლმა დამასხა. წამოვდექი, იატაკზე მიყრილი ტანსაცმელი ჩავიცვი და ქუჩაში გავედი.

– ველარ შემოგიარე კაცო, ველარ შემოგიარე, ორი

ნემსი დავირტყი, მომკლა ამ ნერვმა, მომკლა, – მებოდიშება ვანო.

– არა უშავს ვანო, არა უშავს, – ჩავილაპარაკე და გზა გავაგრძელე...

\* \* \*

– აქა-იქ... – ენა დამეხა, უფრო სწორად გავეკვავდი. ჩასისხლლიანებული თვალები ლამის გადმომცვივდა. სარდაფისკენ მუნჯი კაცივით გავიშვირე თითი, ხელე-ბი პარკინსონიანივით მიცახცახებდა.

– მირიანს კითხულობ? – მკვახე თვალებით მომამჩერდა ახალგაზრდა, ოცდაათს გადაცილებული კაცი, რომელიც ვიგუჟანე, რომ სახლის პატრონი უნდა ყოფილიყო.

– კი, კი, მირიანს... – ქვადეცეული ენა ცოტა ამოძრავდა, კეფა ლამის გამომასკდა, ყურებმა შხუილი დამიწყო.

– შენნაირების გამო წავიდა ეს კაცი, – მკვახე მზერაში ზიზლი გაერია სახლის პატრონს.

– სად წავიდა? – ვიკითხე სასოწარკვეთილმა.

– აგარაკზე წავიდა, წმინდა მარგალიტას კუნძულებზე აქვს აგარაკი. – დამცინავად ჩაილაპარაკა.

– ორი კვირაა, რაც დავმარხეთ მირიანი და ახლა კითხულობ? ჭიქის ძმაკაცები... თფუი! – გადააფურთხა და სახლში შევიდა.

\* \* \*

– მაპატიოს შენმა სულმა. მართლა შენი წაღებულ იმეგონა. ვიფიქრე სახლში შემოიპარა და ამნაპნა მეთქი. შენ არაფერ შუაში არ ყოფილხარ, ღმერთმა გაცხონოს, მართლა დამენანე. ჭიქის მიმჭახუნებელი მომიკვდა. წახვედი და მინას მიაბარე შენი ტკივილები. მინა გაგიყუჩებს მინა, – ბლავილი დავინყე. – ღმერთმა გაგანათლოს.

არაყი ჩამოვწურე ჭიქაში და პურზე დავანვეთე.

– სამადლოდ დაგმარხავდა ნათესავი. საფლავსაც სამადლოდ გაგიჭრიდნენ. ძალიან დამენანე, ვინ იცის, იქნებ, მშვიერიც წახვედი...

გაგანათლოს ჩვენისთანების ღმერთმა!

\* \* \*

ბევრი ვიფიქრე და ვერაფრით ამოვხსენი... სულ ეს ამბავი მიტრიალებდა თავში. გავხედავდი ცარიელ კუთხეს, მეჩვენებოდა, რომ პაპის ნაქონი შავი გიტარა ისევ თავის ადგილზე იყო. სად გაქრა, სად გაუჩინარდა. არ დაგიმალავთ და ვანოზეც კი ვიფიქრე, იქნებ არც ისეთი ანგელოზია, როგორიც მგონია-მეთქი, იქნებ თამაშობს და ერთი ჩვეულებრივი გოთვერანია, როგორც ყველა. ადამიანებში რომ ანგელოზი გამოერევა, კარგად უნდა დააკვირდე. „ფრთებმა“ არ უნდა მოგატყუოს და არც კეთილმა ღიმილმა. ანგელოზები

დედამინაზე არ ჩამოდიან. ხომ ხედავ რა უნდობლობა გამიჩინა ცხოვრებამ, სული გამიუხეშა. ყველას და ყველაფერს ეჭვით ვუყურებ.

– ვანო... ვითომ ამის გამკეთებელი იყო? არა, – თავიდან მოვიშორე ეს ეჭვი და ისევ სიზმარს, თუ იმ საოცარ ხილვას დავუბრუნდი.

იქ იდგა, მახსოვს, გიტარას დასექცეროდა, ბოლოს ხელითაც შეეხო. ვინ იცის, საიქიოდან ჩამოსულ კაცს რა მოგონებები აუშალა იმ ძველმა ინსტრუმენტმა, ვინ იცის და... საბოლოოდ ვირწმუნე, რომ გიტარა პაპაჩემმა წაიღო. ვირწმუნე და გული დამიმშვიდდა.

\* \* \*

ვანო შემოუძღვა ვილაც უცხო სტუმრებს. ნახევრად ბნელ ოთახში ვერძელი მირეულ-მორეულ მაგიდას უჯდა, აქა-იქ შერჩენილი კბილებით ხმელ პურს ჭამდა და წყალს აყოლებდა.

– სტუმრები არიან ირაკლი, სტუმრები არიან.

ვერძელი წამოდგა. ჯერ ნათურამოცლილი ჭად-ისკენ გაექცა თვალი, მერე სარკმელთან მივიდა, ნახევრად ჩამოდღლეძილი ფარდა გამოსწია და ოთახი დღის ნათელით აივსო.

– შენ გკითხულობენ, ირაკლი.

სამნი იყვნენ. ერთი ორმოცწლამდე ქალი, ქერათმიანი, საშუალო ტანის – ოპერის თეატრის პიარსამ-

სახურის წარმომადგენელი, მეორე – შუახნის ტანმა-  
ლალი, ჭაღარა ბლანჟენი, მელოტი კაცი, თეატრის  
ადმინისტრაციის წარმომადგენელი, მესამე – ოცდ-  
ათხი-ოცდახუთი წლის სიფრიფანა, საშუალოზე  
მაღალი გოგო, თეატრის იურისტი.

ორმოციოდე წლის ქერა ქალმა დაარღვია ღუმილი.

– ჩვენ ოპერის თეატრიდან ვართ და, მე მგონი,  
სწორად მოგვასწავლეს თქვენთან.

ვერძელი ხან ვანოს შეხედავდა, ხან უცხო სტუმრებს.

– რით შემიძლია გემსახუროთ, მაპატიეთ, – დარ-  
ცხვენილმა მიიხედ-მოიხედა აქეთ-იქით, – დიასახლი-  
სი არ მყავს, არეულია ყველაფერი. მაპატიეთ, ველარ  
მოვანესრიგე... – ენა დაება.

– ჩვენ საავტორო უფლებებთან დაკავშირებით  
ვართ მოსული. როგორც გვითხრეს, თქვენ თეატრის  
დამაარსებლის შთამომავალი ბრძანდებით.

– შვილთაშვილი, – გაუსწორა იურისტმა გოგომ.

– გვინდა ამ საკითხებზე გაგესაუბროთ. თქვენი  
პოზიცია გვაინტერესებს, სამომავლო ურთიერთობის  
გეგმები... როგორც გვითხრეს თქვენ ხართ ერთად-  
ერთი მემკვიდრე.

– თქვენს იურიდიულ მისამართზეც მივაკითხეთ,  
მაგრამ, როგორც მეზობლებმა აგვისხნეს... – საუ-  
ბარში თეატრის ადმინისტრაციის წარმომადგენელი  
მამაკაცი ჩაერთო, თუმცა აღარ დაუსრულებია, რომ

თქვენი საცხოვრებელი იქ აღარ არის, გაგიყიდიან და დღეს იქ ერთ-ერთი პარტიაა განთავსებულიო.

ვერძელი იდგა და წონასწორობას კარგავდა. თავ-ბრუ ესხმოდა, გულს აზიდებდა. ჭერი ტრიალებდა.

ვერძელის შთამომავალი, შვილთაშვილი, საავტორო უფლებები, სამომავლო ურთიერთობები.

– შეცდომით... – უნდოდა ეთქვა „შეცდომით მიგვასწავლესო“, მაგრამ ვერ მოახერხა.

– იცით? მე არ ვარ იმის შთამომავალი, ვინც თქვენ ახსენეთ. ის კაცი, ერთი პერიოდი ცხოვრობდა აქ და მერე წავიდა... ხო ეგრეა ვანო?

ვანო ვერაფერს მიხვდა.

– როგორ? – იკითხა ქერათმიანმა ქალმა. – თქვენ ვერძელი არა ხართ?

ირაკლიმ თავი გააქნია უარის ნიშნად.

სტუმრებმა ხან ვანოს შეხედეს ეჭვჩაგუბებული თვალებით, ხან ირაკლის. ეს რამდენჯერმე განმეორდა.

– თქვენ ხომ გვითხარით, რომ ის არისო, – ვანოს მიუტრიალდა ქერათმიანი ქალი.

ვანო ისე იყო დაბნეული, რა ეთქვა არ იცოდა. ირაკლის თვალებს წააწყდა. ირაკლიმ, თვალებით უკარნახა.

ვანომ მხრები აიჩეჩა...

\* \* \*

თითქო უკანასკნელ წუთებს ითვლის ვერძელი. აღარც უძალიანდება სიკვდილს.

– გაჩერდი, გაჩერდი, – დალლილ გულს ეჩურჩულება. გულს მისი ჩახლეჩილი ხმა არ ესმის. გული თავისას აგრძელებს. მძიმედ, ერთფეროვნებით თავმოებურებული მაინც მიერეკება...

– გაჩერდი, გაჩერდი!

ცარიელ ბოთლებში ერთი წვეთიც არ ჩარჩენილა, რო უკანასკნელად გადაჰკრას და გზას გაუდგეს. აქვე, დაბეჭდილი სამოსივით მიაგდებს თავის დამყაყებულ სხეულს.

ფეხზე ნამოდგა. ყველა ბოთლი ამოაყირავა, მაგრამ წვეთი რო წვეთია, ისიც აღარ იყო. ტანსაცმლის კარადა ამოატრიალა. დიდხანს უაზროდ აფათურებდა აცახცახებულ ხელებს.

– დამთავრდა, დამთავრდა... ხანდახან დასასრულიც რა ბედნიერებაა, დასაწყისზე მეტი ბედნიერება. დასაწყისი ტანჯვის კარიბჭეა. კარადის უჯრები გადმოყარა. რას ეძებდა, თვითონაც ვერ იგებდა. ბოლოს ტირილი აუვარდა. არ უნდა ფხიზელი წავიდეს. მთვრალს უფრო გაუადვილდებოდა სხეულის გაძრობა.

ელი! უკანასკნელად მაინც დამენახე, უკანასკნელად მაინც შემეველო შენთვის თვალი, შენი უძირო, ღვთიური მზერა წამყვება თან. ვიცი, რაც დაგემართა,

ის მხოლოდ ჩემი წარმოსახვა არ იყო. სიკვდილმისჯილ კაცთან დაწოლის შემდეგ დაფეხმძიმდი და შვილი გააჩინე. შენ სიკვდილის საუფლოდანაც სიცოცხლის მარცვალი წამოიღე. ჭკუიდან გადახვედი? თუ ადამიანად იშვი? როგორც იმ ექიმმა მითხრა. მეგონა, რომ კიდევ შეგხვდებოდი. იქნებ...

უჯრაში ფული იპოვა ვერძელმა – ქალაღდის ფული. ერთხანს უაზროდ მიშტერებოდა. „ეს რა არის, ეს რა არის“, ფულს ჩემს სახლში რა უნდა? – ვერაფერს მიხვდა, საიდან გაჩნდა მისი ტანსაცმლის კარადის უჯრაში ქალაღდის ფული, რომელზეც პაპის სახე იყო გამოსახული.

დასცქეროდა... დასცქეროდა და ტიროდა.

ფხიზელი აღარ წავა, არაყის საყიდელი ფული იპოვა. ვანოს ეტყვის, ვანოს სთხოვს და მოატანინებს ვასოს გაზავებულ სამსალას. სულმოუთქმელად მოირაკრაკებს, მერე დაწვება გულაღმა, ხელებს დაიკრებს და თვალებს დახუჭავს... ნათელი გამოჩნდება გვირაბის ბოლოს, ლოდინი დასრულდება...

ქალაღდის ფულიდან პაპა უმზერდა ვერძელს. მისი მჭრელი თვალები ბალთავდა გასაფრენად მომზადებულ სულს.

და მიხვდა ვერძელი, რომ...

## კოჭლი ცხვარი

რასაც ეხლა მოგიყვებით, ნალდი ამბავია, ერთი სიტყვაც არ მომიგონია. დავბერდი და ტყული არასოდეს მიკადრია, „კოჭლი ცხვარიც“ მე დავარქევი იმ ოხერ-ტიალს. გამამწარა, ძალიან გამამწარა. ასე არავის გაუუმწარებია. დიდი კაცი გახდა და დამიბრწყვა. დრო მოვა და მოეკითხება, ვის შერჩენია ერთი დრო...

\* \* \*

– დავინწყოთ? – გრძელ მაგიდას ჩაავლო მზერა.  
– გივი არ ჩანს, – ჩასჩურჩულა კალემ, რომელიც ორიოდ დღის წინ დაინიშნა სამხედრო კომისრად.

ქირქილებდნენ კალეზე, რა მაგის საქმე იყო სამხედროებთან მუშაობა, თუ ბიჭების ჯარში განწვევა, აიქ უნდა დაენიშნათ ეგა, სატელეფონო ბიუროში, მაინც მთელი დღე ყბედობს, სიტყვებს ველარ იჭერს, იჯდებოდა და იყბედებდაო.

სამხედრო... ეგეც ეხლა ვლადივასტოკში მსახურობდა დედის მაგისამაო. იმ ცხონებულმა პელომ გიჟის საბუთები გაუკეთა, ავღანეთის ამბები ახალი დაწყებული იყო თურმე, მამალი ქალი იყო პელო. ვასიკოს, თავის ქმარს, თოკგამობმული დანაკული მოზვერევით

დაათრევდა. ვასიკო ისეთი გაუბედავი კაცი იყო, იმის ხმამალალ სიტყვას ვერ გაიგონებდი. ჭკვიანი, ჭკვიანი, არც ეგეთი ჭკვიანი არ ვარგა, დანაკული მოზვერი ხომ გინახიათ, როგორ დაიზუზება, კაი თამამი დეკეულისა რო ეშინია, საარშოცოთაც რო ვერ ეკარება.

პელო მამალი ქალი იყო, გაძვრა-გამოძვრა, კალეს ავლანეთის გზას გაუყენებდნენ, პელოს რო არ ევაჟკაცა, ფსიქიკურად დაავადებულის საბუთები გაუკეთა.

არც ისე იყო ეს ჩვენი კალე დალაგებული, დორბლი და სიტყვა ერთნაირად სცვიოდა პირიდან, უბნელებმა ატრაკუნე კალე დაარქვეს. არ ილღებოდა, ჩართავდა და აღარ გამორთავდა, აინტერესებდათ თუ არ აინტერესებდათ, არც იკითხავდა.

კალეს მაგივრად დარგოს ბიჭი ვახუნა წაიყვანეს ავლანეთში. ვახუნა და კალე ერთად იყვნენ შეზრდილები, ვილაც ხომ უნდა წაეყვანათ კალეს მაგივრად. ვახუნას ნაჰკიდეს ხელი. ორი წლის შემდეგ კი ჩამოაღწია, მაგრამ ვაი იმ ჩამოღწევას. ერთი ბიჭი ჰყავდა დარგოს და ისიც ჭკუაზე შერყეული ჩამოვიდა. ამტვრევდა, ანგრევდა ყველაფერს სახლში. დღე მეველესავით დადიოდა სოფელში – მღეროდა. ერთი სიმღერა ჰქონდა აჩემებული: ასე იწყებდა ხოლმე:

– პაატარა...

კალე სამხედრო კომისრად დანიშნა უფროსმა. სად

კალე, სად ეროვნული გვარდია, მაგრამ ცხოვრებას მაგნაირები აუტანია? კალესაც აიტანდა.

ერთი ახალწვეულის მამა მიუვარდა კალეს... ფული უთხოვია ჯარიდან დახსნის სანაცვლოდ.

– შენა, ქვეყანა ჩალით ხო არ გგონია დახურული, დებილის საბუთი რო გაგიკეთეს და ავლანეთში შენ მაგივრად სხვა გაგზავნეს, შენ ხო არა გგონია, რო არავინ არაფერი არ იცისო...

ბეგო მუშტს უღერებდა.

– სად წაიღე ჩემი ფული, მთლად უფროსთან ჩავალ და იქ გავარკვევ ყველაფერსაო. ფული წინასწარ გამომართვა, ბიჭი ჯარში აღარ უნდა წაეყვანათ, პატარა ბავშვივით მომატყუაო. ვინც შენ მანდ დაგაყენა, მე იმის კარგები და კეთილებიო.

ამოსხა და ამოსხა ბეგომ.

– ნამუსი რო გქონდეს, ემაგ შენობაში არც უნდა შესულიყავიო.

ერთი სიტყვით, გახდა სამხედრო კომისარი ეს ჩვენი კალე.

– რამდენ ხანში მოვა გივიო, – იკითხა უფროსმა. კალემ რალაც ჩასჩურჩულა. უფროსმა – კარგი, კარგიო, – თავი დაუქნია. ცალთვალა გივი, მიტინგებსა და აქციებში ჭიპი რო ჰქონდა მოჭრილი, სახანძროს უფროსად დაუნიშნიათ. მიტინგზე დაძმაკაცებული-

ყვენენ „კოჭლი ცხვარი“ და გივი. თუ ეს ამბები კარგად დამთავრდა, ჩემ გვერდით იქნებიო, დაჰპირებია „კოჭლი ცხვარი“ და, როგორც კი გამგებლად დანიშნეს, სახანძროს უფროსი დააბარებინა შტაბის ბიჭებს, განცხადება დაანერინეს და სახლში გაუშვეს. ულუკმაპუროდ დატოვებული კაცის ცოდვა თითქოს არ შეარჩინა გამჩენმა ამ ჩვენს ნამიტინგარ გივის.

მთელი რაიონის სალიზლიზო და მასხარა გახდა მცირე ხანში სახანძროს უფროსი. იდგა და ხარხარებდა ხალხი.

– კაცო, ეგეთი რამე გაგიგიათ, სახანძროს უფროსს სახლი დაეწვაო.

მართლა დაებუგა იმ უბედურ დღეზე გაჩენილს სახლ-კარი, თუკი რამ ავლა-დიდება ჰქონდა, ცეცხლმა შეუსანსლა. იდგნენ და ხარხარებდნენ, სად გაგონილაო, სახანძროს უფროსს სახლი დაეწვასო...

„კოჭლი ცხვარი“ სათათბირო მაგიდასთან გაყურსულ თანამშრომლებს აკვირდებოდა. თვალეში ვინ უფრო კარგად შესცივინებდა. ყვირილსა და გინებას ისე შესჩვეოდნენ, ამის გარეშე ველარც წარმოედგინათ იმ შენობაში გაჩერება. რო დაიყვირებდა და სამსართულიანს გადაუკურთხავდა, წყნარდებოდნენ, მუშაობის ხასიათზე მოდიოდნენ.

„მართალია, სწავლა-განათლება არა მაქვს ან სად

უნდა მესწავლა, როდის უნდა მესწავლა, წვლებ-წვალეებით ძლივს მოვალწიე აქამდე, მაგრამ ამათ მართვას ბევრი წიგნების კითხვა სულ არ სჭირდება, – ფიქრობდა „კოჭლი ცხვარი“. – ჩემზე ნასწავლები არიან, მაგრამ ამოდენა რამეს ვერ აღწევენ, რასაც მე მივალწიე. რევოლუციას არ უყვარს ნასწავლი ადამიანები. ნასწავლი კაცის გაკეთებული საქმე ვის უნახია ნეტავი...”

იჯდა და ფიქრობდა, როგორ დაეწყო. სიტყვებს ალაგებდა და ვერც ალაგებდა. დაუხტოდნენ სიტყვები, სათათბიროდ მონცვრეული სიტყვები. პეპლებით დასდევდა ეს უპატრონო სიტყვებს. დასდევდა, მაგრამ ვერ იჭერდა. არადა, თათბირი აუცილებელი იყო. თანამშრომლებს სჭირდებოდათ თათბირი, ტუქსვა სჭირდებოდათ. ფიქრობდა, როგორ დაეწყო. აქამდეც ჩაუტარებია, აქამდეც შეხვედრია, მაგრამ ცოტა სხვანაირად უნდოდა დაეწყო მაგ...

სიტყვები გაეზეპირებინა. ჩაახველა და დაიწყო, თან მელიასავით აკვირდებოდა ცუციკებივით რო უსხდნენ...

– რაიონი უნდა ავაშენოთ და დავამშენოთ. აქამდე რო მოვედით, კაბინეტებში რო დავსხედით, ხალხმა მოგვიყვანა, ჩვენი მთავრობა ხალხის მთავრობაა, სანყალ ხალხს ამოსუნთქვის საშუალება უნდა მივცეთო.

კალე თავს უქნევდა უფროსს.

– იმდენი მტერი გყავს, იმდენი... პირში შემოგვ-  
ცინიან, თავს გვიქნევენ, მაგრამ ჩასაფრებულები  
არიან, როგორც კი ხელსაყრელი დრო მიეცემათ, მა-  
შინვე ზურგში ჩაგვკრავენ და სულს ამოგვართმევენ-  
ნო. ჩამოსართმევი აქვს ქონება, უნდა ჩამოვართვათ,  
დასაჭერია – უნდა დავიჭიროთო... თვალებში შეს-  
ციცინებდნენ და თავს უქნევდნენ. იცოდა, რო თავს  
ტყუილა უქნევდნენ, მაგრამ მაინც სიამოვნებდა. თავს  
უქნევდნენ, თან რალაცებს იწერდნენ, ინიშნავდნენ,  
უფროსის დასანახავად.

ჭრიალით გაიღო კარი და გივიც შემოფრატუნდა.

უფროსს გივისკენ გაექცა თვალი, მერე ისევ  
გააგრძელა. გივი ფეხაკრეფით მივიდა გრძელ მაგი-  
დასთან, უფროსს თვალებით მოუხადა ბოდში და  
ცარიელ სკამზე უხმაუროდ დაემგა...

\* \* \*

– მართლა, მე დავარქვი ეგ სახელი, მე შევურჩიე.  
ერთი ანდაზა არი: „ფარა რო მოტრიალდებაო, ცხ-  
ვრის ფარაო, კოჭლი ცხვარი სათავეში მოექცევაო“.   
წარმოიდგინე აბა, მიდის, მიიწნევა თოვლისფერი ღრ-  
უბელივით ათასსულიანი ფარა, ეს საცოდავი კლდეზე  
ჩაჩეხილი და ცალი ფეხით დაკოჭლებული თოხლი,

უნდა დაეკლათ, მაგრამ სალოცავზე ყოფილა შეთქმული, იმ სალოცავის დღეს ელოდნენ და შესწირავდნენ, თვითონაც დაისვენებდნენ და კოჭლი ცხვარიც დაისვენებდა, ფარაც დაისვენებდა. ფარას კოჭლი ცხვარი არ უხდება.

მიდის, მიირწევა თეთრი ღრუბელი, გვერდით ხურჯინგადაკიდებულ ნაზამთრალ ცხენებს მოჰყვებიან ცხრამთავადავლილი მეცხვარეები. ერთი ხურჯინიდან მეცხვარე ძაღლის ლეკვებს ამოუყვიათ თავები. თეთრი დედა-ძაღლი ცხენს გვერდით მისდევს და მალე ლეკვებისკენ გაურბის თვალი.

იქით კიდევ მეორე ნაგაზი მიჰყვება ცხვრის ფარას, როგორც კი რომელიმე ონავარი ბატკანი ფარას გამოეყოფა და წაუნაპირებს, ყეფას იწყებს და ბატკანიც უმალ ფარასკენ ტრიალდება.

– ორშაბათი შაბათია, სამშაბათი შაბათია... – მღერის ახალგაზრდა, უწვერული მეცხვარე ბიჭი.

– ის იმღერე ისა, ის კარგა იცი, – თავისი უფროსი ბიძაშვილი მოუტრიალდება.

– რომელი?

– რომელი და „ჩამოგიქროლებ ცხენითა...“

– „მთაში სალამურსა“? – ელიმება უწვერულს.

– ჰოო, ჰოო.

მიდის, მიირწევა თეთრი ღრუბელი.

– რა კარგია სახლში, – ფიქრობს უწვერული ბიჭის მამა, უფროსი მეცხვარე. – თბილ კერას არაფერი ჯობია. ამოვიდა ეს მთა ყელში, – მისდევს ცხვარს და გზადაგზა აბოლებს პაპიროსს. – მოწყენა იცის ყველაფერმა, მოწყენა. ავიჩემე ეს ცხვარი. ავიჩემე და ესეც ჩემს გზას დაადგა, წიგნი ვერ ავალებინე ხელში.

– ძალღს დაუტიე, თორემ დააფრთხობს მაგ სამგლეს, – ბიჭს გასძახა.

რქები ვაზის ძირებივით ერთმანეთში გადახლართვოდა ვეება ერკემალს, ფარას რო მიუძღვოდა. ხანდახან შეანელებდა ფარის წინამძღოლი ნაბიჯს. ხან ნაგაზებს გახედავდა, ხან ფარას გადაავლებდა თვალს.

მოდოოდნენ, მოსდევდნენ, ეიმედებოდათ. სადაც წავიდოდა, გაჰყვებოდნენ. დაბერდა უკვე, ის ცეცხლი აღარ მოსდევს როგორც ადრე ჰქონდა თვალებიდან რო დააკვესებდა ხოლმე.

რამდენი დარჩა, ვინ იცის, ბოტას. ბუნებრივ სიკვდილს მასთან არავინ მიუშვებდა. ერთ მშვენიერ დღეს წირვას გამოუტანდა ფარის პატრონი. ხო ხედავ დაბერდა, ფეხებს ველარ დაათრევს. წამოაქცევდნენ და გამოუსვამდნენ ყელში მასათზე ალესილ დანას. მერე მის ბებერ ხორცს ორკაპებზე შემოდგმულ კარდალში ჩაუძახებდნენ.

ფარა ისევ გააგრძელებს გზას. ახალგაზრდა ბოტას

ჩააბარებენ წინამძღოლობას. ეგრეა ფარის ცხოვრება. ის ბოტა ბებერი თხის გზას გააგრძელებს. რა რთული საქმე ეს არის. მიდის და მისდევდნენ ბლავილ-ბლავილით ცხვრები. მეცხვარეებიც მისდევენ, ნაგაზებიც მიძუნძულებენ, დიდი გზა აქვს გამოვლილი და არც წინ არის ნაკლები გზა, მაგრამ არ იღლებიან ცხვრები, ასეთია მათი ბედისწერა, ცხვრებად გაჩნდნენ, მორჩილებით უნდა აიტანონ გზადაუსრულებელი, სამაგიეროდ უწყინარი ცხოველები არიან, ღვთის ძღვნად გაჩენილი ოთხფეხები. იმ კოჭლ ცხვარს ყურადღებას არავინ აქცევს, ხანდახან მამა მეცხვარეს გაახსენდება და ფარას ჩამორჩენილ ფეხნატკენ ცხვარს გახედავს.

– სალოცავისაა, მაგრამ... სანამ სადმე მოკვდება, დაკალით ეგა, თორე უსულადო დაეცემა და აფსუსია, – ბიჭებს ეუბნება.

სალამოთი აპირებენ, რო კოჭლი ცხვარი წამოაქციონ. თითქოს სიკვდილის მოახლოებას გრძნობს. უფრო უჭირს სიარული, მიდის, ხანდახან მოგობილ მინაზე დანოლის სურვილი აქვს. სულის მოთქმა უნდა, მაგრამ იცის, რო ეს ამბავი უფრო დაუჩქარებს სიკვდილს. მის წამოყენებას აღარც შეეცდებიან მეცხვარეები, მივლენ და ეგრევე დანას გამოუსვამენ.

მაგრამ ხანდახან ისე არ ხდება, როგორც გგონია. ჯერ მამა მეცხვარემ ახედა ცას.

- ურევს.
- არა მგონია, – ბიჭმა ღრუბელწამოშლილ ზეცას მიაპყრო თაფლისფერი კრიალა თვალები.
- რა არ გგონია, შე შობელძაღლო, ცას მასწავლი?
- გაუნყრა კაცი. – ჰაამოოო, – თან ცხვარს შეუძახა.
- ღრუბლები დანომრილი მაქ, უკვე...
- როგორ თუ დანომრილი, – გაიკვრივა ბიჭმა.
- როგორ და ეგრე. შევხედავ თუ არა, ეგრევე ვკითხულობ. ნახე, თუ სეტყვა არ დასცხოს. მზეს უყურე როგორ იბუზება, იცის, რო დედა აქ ნატირები. აიმ ბოსლებამდე უნდა მივაღწიოთ, – კავიანი ხელი გაიშვირა. – კვარხელების ბოსლებია. უეჭველი დასცხებს.
- ფიდოო! – ძმისწულს გასძახა.
- ავუჩქაროთ, ავუჩქაროთ. ბოსლებამდე მივასწრებთ მგონი, – ბურტყუნებს. – ცხვარი ამასა და... რა ვიცი, საიდან ავიჩემე, ახლა კიდე ესა, – ბიჭზე მოსდის გული. – მოსწონს, რა მოსწონს, რა მოსაწონია ეს საქმე, მაგრამ... რას გაუგებ. მეც ხო ეგრე მომწონდა. „კვიცი გვარზე ხტისო“, შობელძაღლი...
- ბოსლებამდე ვერ მიუწვდნენ, ცა უცბათ გადაშავდა. მზემ მგლოვიარე ქალივით წაიკრა შავი ღრუბლები...
- ერიჰაა!.. დროზე, ბიჭო, დროზე.
- დროზე კაია, – გამოსძახა ფიდომ, თან აქეთ-იქ-

ით ურბენს ქაქანიტ ფარას. ყინულივით ცივი წვეთები დაეცა, ცას აჰხედა, დაიფლანა.

– ბოსლებამდე იქნებ მივასწროთ, – გაჰკივის მამა მეცხვარე.

– ჰამოო, ჰამოო, – აქეთ-იქით ურბენენ ცხვრის ფარას. კოჭლი ცხვრის დარდი ვისა აქვს. უფრო მოუხშირა ყინულივით ცივი წვეთები.

– სეტყვასაც მოაყოლებს, – უწვევრულმა მეცხვარემ ბრეზენტის საწვიმარი წამოიმხო.

ცეცხლიანი ენა გაასავსავა ცის ჯადოქარმა. დაიგრუხუნა, იტყოდი დედამიწა გასკდებო.

– ვიცოდი, ისეთი პირი უჩანდა.

აბლავლდა ცხვარი. ბებერ ბოტას აღარავინ აქცევს ყურადღებას. ბოტა თხაც დაბნეულია, მეცხვარეებს მისჩერებია. არადა, სულ ცოტალა იყო დარჩენილი კვარხელების ბოსლებამდე... აირია ფარა, გრუხუნებს ცა და ბლავიან ცხვრები, რომლებსაც ტყუილა ურბენენ მეცხვარეები, ნაგაზებიც ამაოდ დასდევენ ყეფით.

მცირე ხანში უკან მობრუნდება ფარა და ფარის წინამძღოლი ბოლოში დარჩება. სამაგიეროდ, იმედგადაწურულ, საათებდათვლილ ფეხნატკენ, სალოცავისთვის შეთქმულ კოჭლ ცხვარს დარჩება პირველობა. ელ-ჭექმა უცნაური ძალა შემატა, თავი ასწია, კოჭლი ფეხი ალაც გახსენებია. თავიდან ვერ იჯერებდა, მაგრამ ბოლოს

მიხვდა, რო ცხოვრებაში ერთხელ მასაც მიეცა ფარის წინამძღოლობის შანსი. მცირე ხანს გასტანდა ეს ამბავი, მაგრამ ფარის წინამძღოლობა მაინც შერჩებოდა. სიკვდილზე ფიქრით თვალეზამოღამებული მისდევდა თავის თანაფარეხლებს და წინამძღოლი კი გახდა...

კოჭლი, კოჭლი... უძახე შენ კოჭლი.

– ჰაეე, ჰაეე, ჰაეე!

– სად მიდის ეს ოხერი, ძალივს მოჩანჩალებდა და როგორ აიდგა ფეხი, – მამა მეცხვარე კოჭლ ცხვარს გასცქერის...

მალე გადაიღებდა, მაგრამ კოჭლ ცხვარს სულაც არ უნდოდა გამოდარება.

\* \* \*

– რევოლუცია მაგას და... მაგათთვინ არი რევოლუცია, თორე ჩვენთვინ რა, მაგნაირებისთვინ მოიგონეს.

გაუმართლა, გაუმართლა და მერე როგორ გაუმართლა. ისე გავატარე წუთისოფელი ისე შემომეფლანგა დღეები, ოდნავ არავის არ წაუკრავს ხელი. სულ ხაფანგები მხვდებოდა გზადაგზა, ნაირნაირი ხაფანგები. მოვედი აქამდე და ვაი, ამ მოსვლას. აი, მაგას კიდე... გაიღვიძა ერთ დღესა და უფროსი გახდა. რევოლუციამ წაჰკრა ხელი ამ პირდაუბანელსა, ჯერ ვერ ვიჯერებ-

დი, იქნებ, ეშლებათ, მაგას ვინ დანიშნავდა იმხელა ალაგზე, ვინ ჩააბარებდა ამხელა რაიონსა-მეთქი. ვერ ვიფიქრებდი, მართლა, რა დავიფიცო, ჩემს ღირსებას გეფიცებით, ჩემს სინდისს გეფიცებით.

სულ თვალწინ მედგა მაგის მენახირობა.

ჩემს ჯერზე მაგას ვგზავნიდი ხოლმე, მაგ შობელძალსა. ეგ საქმე კარგად იცოდა, რაც იცის, ის არ უნდა დაუკარგო ადამიანსა. მარტოკინა მიჰყავდა ხოლმე, სულ მარტო იყო, მგლის მუხლი ჰქონდა, დაღლა არ იცოდა, გაუტევდა, ერთი რო გასძახებდა საქონელს, თვინიერად მიუყვებოდნენ ამტვერებულ გზას. ორი ნახირიც შეუერთებია, ჩვენი უბნისა და ბელელაანთი, მაინც აუდიოდა. ერთი სული არ დაჰკლებია არასოდეს. მაგარი იყო, მაგარი. საღამოს ჩემი ცოლი შემოიყვანდა ხოლმე ცხონებული, საჭმელს დაუდგამდა, დააპურებდა. მერე როგორი ჭამა იცოდა. იტყოდი, რო მოსდევენ და მოსწრებაზე იყო. თქაფათქუფითა ჭამდა ხოლმე.

რევოლუციამ ერთი კარგი მენახირე წაგვართვა. არეულობის დროს პარტიის ხალხს დაუმეგობრდა, ნახირის ჯოხი მიაგდო, მიტინგებზე იყო დღე და ღამე. სულ იქ იყო, ტელევიზორშიც გამოჩნდა რამდენჯერმე, მეცინება...

არადა, სასაცილო მე ვარ სინამდვილეში...

დასცინოდნენ ჩვენებურები.

– ბიჯო, რას დასდემ ემაგათა, როდის იყო მიტინგებზე სიარულს რამე ხეირი მოჰქონდაო.

გული უგებდა ამ შობელძაღლსა.

– ვნახოთ, ბოლოს ვინ გაიცინებსო, – იტყოდი, რო სიზმარი ჰქონდა ნანახი.

– ემაგ ჯოხს დაბერე ტკბილი სული, ლუკმას ეგ ჯოხი გაჭმევს, ტყუილა გაქ პარტიის იმედო, – უბნელები ეუბნებოდნენ.

იარა, იარა, მიტინგებზე, სხვებიც აიყოლია და მართლა მოხდა რევოლუცია. კაი, გემრიელი სიზმარივით აუხდა ყველაფერი. გამოიჭიმა კაბინეტში. მარტო მე კი არა, ვერავინ იჯერებდა, მაგრამ შეჩვევა იცის ყველაფერმა, სიკვდილს ერვევა ადამიანი და მაგის დიდკაცობას რო შეჩვეოდნენ, რა გასაკვირი იყო. გამოიჭიმა კაბინეტში, ჩააცვეს შარვალ-კოსტუმი, ხეირიანი არაფერი ღირსებია მაგ უბედურს, ჩემი შვილების ნაქონ ტანსაცმელს ჩუქნიდა ხოლმე ცხონებული ჩემი ცოლი, ღმერთმა გაანათლოს. რო ჩააცმევდა და კარგა მოუვიდოდა ხოლმე, იმაზე მეტად უხაროდა.

ეხლა კიდე ახალი შარვალ-კოსტუმი ეცვა და გაპინკინებულ კაბინეტში იჯდა, შესცივინებდნენ თვალებში. მისი წარსული არც არავის ახსენდებოდა, რევოლუციამ ეგრე იცის. თუ უნდა კაცსა, რიყეზე ისე

ჩაივლის, ქვას არ დაინახავსო. ვერც მის წარსულს ვერ ამჩნევდნენ. დარჩა ეგრე თხილის სახრე ობლად. ნახირიც ეგრე დარჩა. რა იცოდნენ ძროხებმა, როგორი რევოლუციონერი დაჰყვებოდათ.

რა ჩემი საქმე იყო, მაგის გადიდკაცება არც გამხარებია და არცა მწყენია. როგორც გავალე პირი გაკვირვებისაგან, ეგრე დამრჩა, მაგრამ ნამეტანი წაიჭამა თავ-პირი, ისე წაიჭამა, რო ქალაქში ჩამიყვანა და ხათაბალაში გამხვია. ეს საცოდავი კაცი, ყველას რო გვებრალებოდა და ლუემის მიწოდებაზე ერთმანეთს ვეცილებოდით, სხვა ადამიანად გადააქცია იმ ოხერმა რევოლუციამ.

ნახევარი სოფელი იყიდა. მამულები წაართვა ჩვენებურებს, არც ეკითხებოდა, ფეხებზე ეკიდა.

კი შეუთვალეს ბიჭებმა, სულ ეგრე არ იქნები, როცა იქნება, მაინც ჩაგვივარდები ხელში და დედა უნდა გიტყვიროთო.

ჯერ იმისი ეყარა...

მე მაგის ხელში აღებული თოხი და ბარი არ მინახავს. რომელი გამრჯე გლეხი ეგ მყავდა. ღვინოს მე ვატანდი ხოლმე. მომადგებოდა:

– ავთო ძია, ავთო ძია...

ჩამოვუსხამდი, გავატანდი, თან არჩევანი ჰქონდა, ღვინის მეტი რა მქონდა, თეთრი გინდა, შავი, წი-

თელი... ჩემს ცხოვრებაში ღვინო არ გამიკეთებია, იმ დალოცვილს როგორ ვაწყენინებდი, წყალს როგორ მივაკარებდი. ვატანდი და ვატანდი ამ სულწაწყმედილს.

რა ვიცი, განა რა დამართა ამ ოხერმა რევოლუციამ და მიტინგებმა, სისხლი გადაუსხეს, თუ რა უყვეს, მაგრამ, თანა ვფიქრობდი, ხო იტყვიან ხოლმე ფული და თანამდებობა კაცს აფუჭებსო. ფული და თანამდებობა კი არ აფუჭებს, ააშკარავებს.

უფულო კაცმა შეიძლება მთელი ცხოვრება სილატაკეში გაატაროს და არც კი იცოდეს სინამდვილეში ვინ არის. როგორი არსებაა მასში ჩაძინებული. ფული თავის გამოცნობაშიც ეხმარება. აი, ამ ჩემს მეზობელს მთელი ცხოვრება რო ნახირში გაეტარებინა და რევოლუცია არ მომხდარიყო, ვერც ჩვენ გავიგებდით და ვერც თვითონ, სინამდვილეში როგორი კაცი იყო. ეგრე საწყლად დაასრულებდა თავის წილ წუთისოფელს.

არადა, ეს ვინა ყოფილა.

ერთხელ ცხოვრებული მიხა, პაპაჩემის ძმა, მეზობლის კაცზე იყო გულმოსული და იცი რა მითხრა? აი, ამნაირებსა ღმერთი რო გაჭირვებაში ამყოფებსო, შემთხვევით კი არ არისო. როგორც არ უნდა იოცნებონ, რამდენიც არ უნდა შესთხოვონ გამჩენსა, მაინც არ მიეცემათო.

- რატომ-მეთქი.
- გაეცინა. ჩამოძონძილი მამესკენ გამახედა.
- ხო ესეთი საწყალიაო.
- თავი დავუქნიე.
- ხო გეცოდებაო, – ჩამაცვივდა მიხა.
- თავი დავუქნიე.
- ამას რო ცხოვრება და ქონება მისცე, ველარ იცნობ. შეიძლება, მოჯამაგირედ აყვანაზეც კი უარი გითხრასო, იმან, – ხელი ცისკენ აიშვირა მიხამ. – ჩვენზე კარგად იცის ყველაფერიო.
- მაშინ ვერ მივხვდი. ცხონებული მამე, ერთავად ჩამოკონკილი რო დადიოდა, ერთავად რო შიმშილს ებრძოდა, როგორ უნდა ნახდინა ცხოვრებასა და ქონებას.
- მიხა ისე დამაჯერებლად ამბობდა, რო იტყოდი, მამესა და მამესნაირების სულში ძვრებოდა და მათ შესახებ ყველაფერი იცოდა.

\* \* \*

ოთხნი იყვნენ. რაიონიდან გამოუგზავნიათ. ზაქროს ბიჭმა გიგილომ დამიძახა. ავთო ძია, შენა გკითხულობენო.

- გავედი, მივესალმე.
- რაშია საქმე-მეთქი.

ჯერ ხმას არ იღებდნენ, თითქოს ერთმანეთს ელოდნენ – არა შენ უთხარი, არა შენო.

– რა ხდება კაცო, აღარ მეტყვით-მეთქი.

მერე ერთმა აყლაყუდამ ამოიღო ხმა.

თურმე რა ხდება, იმ წუნკლიან რევოლუციონერს, ნახევარი სოფელი რო იყიდა, ჩემი ვენახისთვის დაუდგამს თვალი.

ავხარხარდი. ვიცინე, ვიცინე, გული ლამის წამივიდა, კაცო. მიყურებდნენ ეგრე ლოქოებივით, რა აცინებს ამ უპატრონოსაო, ფიქრობდნენ.

მართლა რა მაცინებდა. ვიფიქრე, მელანდება რალაცეები-მეთქი.

იქნებ შეეშალათ, იქნებ სხვასთან გამოგზავნა, ვფიქრობდი.

ზაქროს ბიჭიც გაშტერებული მიყურებდა.

– მე მგონი სხვასთან უნდა მისულიყავით, რალაც გაუგებრობა იქნება-მეთქი.

ერთმანეთს გადახედეს. მერე ერთი გვერდით გადავა. ჯიბის ტელეფონი ამოიღო, ჩურჩულით ელაპარაკებოდა ვილაცას. ისევ მოიზუზა.

– არა, არ შეგეშლია, თქვენთან გამოგვგზავნაო.

რას ვიზამდი, ეს ჩემი სიცილი უცბად რისხვად გადაიქცა. საცა ერთი გინება ვიცოდი, ყველა ერთიანად მომანვა. დაქოქეს და აახვიეს.

ვიდექი და ამტვერებულ გზას გავცქეროდი. გული გადმოვარდნას მქონდა. სხვა მეზობლებიც მოვიდნენ გინების ხმაზე. ანდრო და ვასიკო მამშვიდებდნენ, მაგრამ დამშვიდება არ გინდოდა?

– ეს როგორ გამიბედა, ეს როგორ მოუვიდა თავში აზრად, ჩემ გვერდით რომ ყოფილიყო, შუაზე გავგლეჯამდი. ვენახი... ჩემს ვენახს საიდან დაადგა თვალი. ხედამ კაცო, ხედავ შენა? ეს ვინა ყოფილა, ვინ მეგონა და ვინა ყოფილა.

\* \* \*

არ მოისვენა. ვფიქრობდი, ვფიქრობდი, თავი მისკდებოდა, ვერა ვხვდებოდი მაინც, ვინ აქეზებდა. ხან ვინ მომიგზავნა, ხან ვინა. ეს ჩემი დონდლო სოფლელები კიდე... კაცო, ამ დროს ვერ უყურებ, მიეცი ის შენი ვენახი, მიაოხრე, ნაკვეთების მეტი რა გაქ, ადექი და სხვაგან გააშენეო.

რა მექნა, რა გამეკეთებინა, ეს ჩემი დოყლაპია ბიჭები ცხრა მთას იქით იყვნენ გადაკარგულები. დარეკვითაც აღარა რეკავდნენ, თორე ჩამოსვლას ვინა ჩიოდა.

ხან მიყიდვაზე, ხან მოცვლაზე... ვინ აღარ მომიგზავნა ამ შეფენცილმა. გული გამისივდა ბოლმით, ღორის ტილი ფეხზე დაისვი, თავზე აგაცოცდებო. კი

არ ამაცოცდა, გადამაცოცდა და ზედაც დამასკორა ჩემმა მენახირემ. აგრა, ეცი პატივი ადამიანს, რასაც აჭმევდა ჩემი ცხონებული ქალი, აჭმევდა, დანარჩენს სახლში ატანდა, მარტო კაცი რო იყო, ებრალებოდა. ესეთი შეცვლა, ესეთი გადასხვაფერება. ისიც კი ვიფიქრე, იქნებ მაგის სახელით სხვები სარგებლობენ და ვილაცას უნდა ჩემი ვენახის დასაკუთრება-მეთქი. ჩემი შამპანურის ზვარზე თვალები სცვიოდათ. ვენახი იყო ისეთი, ისეთი, გოდერძას ფერდას რო ეძახიან, იქ გავაშენე, სულ თავადური ჩინური და შამპანურის მასალა იყო. მზე ჩემ ვენახში ბუდობდა. ისეთი ყურძენი მომყავდა, დალოცვილი.

ვერ ვიჯერებდი. ზუსტად ის უნდა დაიჯერო ხან, რაც დაუჯერებელია, თორემ იმ არდაჯერებაშიც დროს კარგავ და სხვა გჯობნის.

სხვებიც მატყობდნენ.

– ავთო ძია, შენ არ იცი, როგორ შეიცვალა ეგ დედაფეთქებული, იტყვი, რო ძაღლის ძუძუ აქვს ნაწოვიო.

მოდოდნენ და მოდიოდნენ ხან მოცვლაზე, ხან გაყიდვაზე. არა-მეთქი, გავკრიჭე კბილები.

– მაგას ჩემს გულზე როგორ გადავატარებ-მეთქი. მე რო ქვა ვარ, ისეთი ქვა ლიახვის რიყეზე არ იქნება. თუ გავფშოკე ფეხები, მორჩა.

– წაგართმევენ ძია ავთო, წაგართმევენ და ე, ფულს რალაზე კარგავო, ფული მაინც დაგრჩებაო, – ზაქროს გიგილომ.

– მე ამ ფულის სახლში შემეტანი არა ვარ და როგორ წამართმევენ, მაგასაც ვნახავ-მეთქი.

ვიფიქრე, ვიფიქრე... ბევრჯერ გადავქექე ეს ოხერი თავი. თუ გადაქექვა აკლდა, ამ სატიალო ცხოვრების გადამკიდეს.

რა მომეფიქრებინა. რო დავფიქრდებოდი და წარმოვიდგენდი, რო ჩემს ვენახს აემ ჩემი მენახირეს გამოგზავნილი ხელის ბიჭები უვლიდნენ, გული ლამის გამხეთქოდა.

ძილი დავკარგე, მოსვენება დავკარგე.

– ე, ძია ავთო, ტელევიზორს არ უყურებ, რა ხდებაო, გამოართვი ფული, სანამ ეგეც არ გადაუფიქრებიათო, – გიგილოს ხმა ჩამესმოდა.

რაც ჩემი ქალი წავიდა, იმის მერე ტელევიზორი არ ჩამირთავს. იდგა თავისთვის დამუწეხებული, მდუმარე და ამ ჩემი სიჩუმის მონაწილე გამხდარიყო.

– ვენახი კი არა, ცოლები წაართვეს, ცოლები, ხალხს... – ქირქილებდა გიგილო და გული მისივდებოდა უარესად.

– კიდევ კარგი, რო დახვრეტები აღარ არი ან გადასახლებები ციმბირში, თორე მერე გენახათ ამათი

ამბებიო. სად არის მერე სამართალი-მეთქი, – თითქოს გიგილოს ვსაყვედურობდი.

შემომხედა და ჩაილაპარაკა.

– ძია ავთო, ამხელა ცხოვრება გამოგატარა გამ-ჩენმა. რა აღარ გაჩვენა და ასეთი კითხვები აღარც უნდა გიჩნდებოდესო.

როდის ჰქონია სამართალი ცხოვრებას. სამართალი იმათთვის არი, ვინც ზემოთ არი, – ჩაიქირქილა გიგილომ. – დაჩაგრულისთვის სამართალი როდის ყოფილა. ცხოვრებაში კიდე დაჩაგრულს რა გამოლევს. სინდისი ადამიანს ნალოსეფ აქვს გამობმული და გაქცევაში ხელს უშლის. ვისაც ნალო არ აბია კიდე მარდად გარბის, ვერაფრით ვერ დაეწევი.

იყეფებოდა ეს ჩემი ლომა გულმოსული და სა-თოფეზე არ მეკარებოდა ძილი.

გადავწყვიტე, რო ჩავსულიყავი და მენახა.

\* \* \*

რა ვთქვა, როგორ გამოვხატო სათქმელი, თითქოს სიტყვებიც აღარ მყოფნის, ვხავივარ, ვხავივარ, ყელში რო პირუტყვს ბანარს წაუჭერენ. ბოლმა მომკლავს, ბოლმა შემეჭამს. თფუი! ლოპრეს ბიჭო, თუ ეს გაპატიო, თუ ეს შეგარჩინო, მე ავთო არ ვიყო. შხამად შეგარგებ ჩემი ცოლის ამაგს, ძმრად ამოგადენ ჩემს ლუკმას. ვიცი, რო

სულ შენი დრო არ იქნება, სულ შენი არ ეყრება. იცლება ხვამირა, იცლება. დახტის სარეკელა და ჩამოდის შენი საფეკვაი. ჩამოიცლება და გაჩერდება დოლაბი. ეგრე გეგონოს, რო სულ იტრიალებს. მივედი და დამესივნენ. სად მიდიხარ, რო მიდიხარო. მეცნენ, მეტაკნენ, იტყოდი, რო შენობა უნდა ამეფეთქებინა, ასაფეთქებელი კი იყო, მაგნაირებს რო იტანდა. ან საიდან მოიყვანეს, ვინ იყვნენ, მაიმუნისსახიანები. თხილის სახრე მეჭირა ხელში, ახალი გამოთლილი, რისთვისაც ჩავიტანე, რა ჩემს ფეხებს მიხვდებოდნენ, იფიქრეს ჯოხით დადისო.

ავთოს ჯერ ჯოხი არა სჭირდება მაგათ ჯიბრსა და ჯინაზე, რისთვისაც მოვჭერი, რისთვისაც გამოვთალე თხილის სახრე, ეგენი რას მიხვდებოდნენ. თან ელიმება ავთოს.

- სად მიდიხარო?
- ლოპრე ტარიელას ბიჭთანა-მეთქი.
- ეგ ვილაო, აქ ეგეთი არავინ არიო.
- როგორ არ არის, მთლად უფროსად რო დასვით-მეთქი.

ერთმანეთს გადახედეს – ვიზე ლაპარაკობსო.

- თვითონ დამიბარა-მეთქი, – მოვიტყუე ამხელა კაცმა.

ვილაც ქალთან გადარეკეს. ქალმა რაღაც უთხრა, ცოტა დაშოშმინდნენ, მაგრამ მაინც ეჭვით მიცქეროდ-

ნენ. იბღვირებოდნენ რევოლუციონერები, მგლის თვალები ჰქონდათ,

– რომელ კაბინეტში ზის ლოპრე ტარიელას დურომეთი.

– ვიზე ამბობ, ბატონ დურმიშხანზე ამბობო? – უფრო წამოენთოთ სახე.

– ჰოო, ჩვენთვის დუროა-მეთეი, – წავიბუტბუტე.

მოკლედ, ბევრი რო არ ვილაპარაკო, ამ ქალმა ააჭყვიტინა ტელეფონი და ეცნენ რევოლუციონერები. უფროსმა უპასუხა... უფროსი სჩანდა, მაღლიდან უყურებდა ამ მაიმუნისსახიანებს, თვითონაც კი მაიმუნის სახე ჰქონდა.

– არაო, – მაღალ-მაღალმა დადო ტრუბკა და მომაცქერდა.

– რა არაო, – ჩავილაპარაკე.

– აპარატის უფროსმა ქალმა გადმორეკა, ბატონ დურმიშხანს უთქვამს, ეგეთს არავის ვიცნობ და არც არავინ დამიბარებიაო. თან ბევრი საქმეები ჰქონიაო, – ბოლოს დაამატა.

ვიდექი ეგრე გაშეშებული, რა მექნა. გავმწარდი, მაგრამ რას იზამს შენი გამწარება, გინდა გამწარდი, გინდა გამომწარდი, წინ ეს დანყევლილი შენობა და რევოლუციონერები არიან.

– ესე იგი არაო, – ჩავილაპარაკე.

– არაო, ხო გითხარი, კაცო, – გამეორებული სიტყვებიც დამამაძლა.

– კარგი, კარგი-მეთქი.

გამოვბრუნდი და თხილის სახრე მივაყუდე კედელზე.

– ეგ ჯოხი წაიღეო, – მომაძახა ერთმა.

მივუტრიალდი.

– ეგ ჯოხი უფროსს აუტანეთ და ეგრე გადაეცით რო შენი სოფლელი ავთო იყო ჩამოსული, ესე გვითხრა, რო სულ ამ კაბინეტში არ იჯდები. კოჭლი ცხვრები მალე ამთავრებენ ფარის სათავეში ყოფნასა და აეს ჯოხი შეინახე, კარგა შეინახე, ნახირი გელოდება, უბნის ნახირი-თქო, – თან შევაგინე, თან გავიცინე, მივაფურთხე და წამოვედი.

**5 მირკანი, 2017 წელი,  
დიცი**

## ძეგლი

– მე ვინ მკითხა?! ვეუბნებოდი, არ არის აქ ამის ადგილი, შენობას ჩამოეფხატება, აქაურობას დააუშნოვებს-მეთქი, მაგრამ... ფეხებზე არ ეკიდა არტემიჩს? იჯდა თავისთვის თბილად და რბილად, ქლიბით ფრჩხილებს ილამაზებდა და ჩემი საუბარი არც ესმოდა. გაახურეს საქმე. ხან ვინ მოვიდოდა, ხან ვინ. ან საიდან მოაფიქრდათ იმ კაცის ძეგლის დადგმა, დაებერდი ძმაო, ცხვარი მახია ფეხზე, ამოდენა ცხოვრება გავიარე და არც კი გამიგია, ვინ იყო. ჩვენი ქვეყანა მაგან გადაარჩინაო, ეგ რო არ ყოფილიყო, ჩვენი სახსენებელიც არ იქნებოდაო, – გაიძახოდა მაღალ-მაღალი, მელოტი კაცი. ვაა, არც სკოლაში მისწავლია, არც ტექნიკუმში, დიდი სწავლა-განათლება არა მაქვს, მაგრამ გაგონილი ხომ მაინც მექნებოდა, თუ ეგეთი მაგარი კაცი იყო, საიდან ამოაძვრინეს, კაცო.

იცი რა დავასკვენი?

ხანდახან ძეგლებს რო დგამენ, ვითომ გმირებისათვის, სინამდვილეში საკუთარ თავს უდგამენ, საკუთარი თავის გამოსაჩენად უფრო აკეთებენ. მე ძეგლებისა არა მწამს. ძეგლი გულში უნდა დაუდგა კაცსა, გულში უნდა გიყვარდეს, ალალი შესანდობარი წაუქციო, ტკბილად გაიხსენო. არ მომწონს ეს ძეგლები და რა ვქნა. არც ის

ძეგლი მომწონდა, შენობაზე მაღალი რო იყო. მეშინოდა ბავშვობაში რალაცნაირად, ღამე რო გავხედავდი, გული მიღონდებოდა. ყველა ადამიანს თავისებური შიში აქვს. მე ამ ძეგლის მეშინოდა და როცა აიღეს, თან გული მწყდებოდა, თან მიხაროდა. მწყდებოდა იმიტომ, რო ვერ წარმომედგინა უამისოდ ქალაქი. ასე მეგონა, რაც ეს ქალაქი გაჩნდა, უფრო სწორად, რაც ცა და ქვეყანა გაჩნდა, სულ იდგა ის ძეგლი, იდგა და გადმოგვეყურებდა, ზოგს დაცინვით, ზოგს სიბრალუღით, ზოგს მუქარით, ყველას თავისებურად დაგვცქეროდა.

ჩამრჩა მისი თვალები და, რო გავიგე, მისი აღება, თითქოს გამეხარდა, შიში მომეხსნა, გავივლიდი, გამოვივლიდი იმ ადგილს და მაინც იქითკენ გამირბოდა თვალი, შევაცქერდებოდი, ისევ ნაძვები მეჩვენებოდა, აწონილი ნაძვები, ერთიანად რო მოხერხეს ძირში, იტყოდი, რო ნელ-ნელა უახლოვდებოდნენ ძეგლს, ნელა ეპარებოდნენ. ჯერ ნაძვები, ნაძვების მოხერხვაზე ვის რა უნდა ეთქვა. ნახევრად ხმელი ხეები აუშნოვებდა იქაურობას. ადგნენ და მოძალღეს ძირში. დარჩა ძეგლი ეგრე ტიტვლად. გავიდა რამდენიმე წელი და... თქვენც კი იცით, როგორ ჩამოაბრძანეს ვეება კვარცხლბეკიდან უღვაშა კაცი.

ვერ ვეგუებოდი. სულ მეგონა, რო ისევ იდგა ძეგლი. თვალი გამექცეოდა ხოლმე. ჩამრჩა ის შიში, მაინც

ვერ გავთავისუფლდი. რალაც რო ჩაგრჩება, ჩემი კლასელი იყო ცხონებული ჭყეტელა. არაყით მოიღო ბოლო. ბავშვობაში კუკლიას რო დაინახავდა, იმის ცოდვით ქვა იწვოდა. გარბოდა და მისდევდნენ ბიჭები კუკლიით, იტყოდი, რო გადასანსლავდა. ფეთდებოდა ის უბედური. ყველა ადამიანს, სხვა ყველაფერთან ერთად, შიშებიც თავისებური აქვს. მართლა... სხვა ძეგლებსაც რო დავინახავდი, გული მიწუხდებოდა.

ერთი სიტყვით, აიხირეს ძეგლის დადგმა. ჯერ ქალაქის ცენტრში აპირებდნენ. ითათბირეს, ითათბირეს. იმ სათვალთან კაცს ღიმილიანი უარი უთხრეს, ძალიან დიდი კაცი იყო, ჩვენც გვსმენია, მაგის გაკეთებული საქმეების შესახებო, ეს ქალაქი რო არსებობს დღეს, იმ კაცის ღვანლიც არისო, მაგრამ აქ, სხვა რალაცის აშენება იგეგმება და ეგ საქმე არ გამოვაო.

მერე მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის წინ გადანწყიტეს. ჯერ ვითომ დათანხმდნენ, ადგილიც შეურჩიეს, მერე ისევ გადაიფიქრეს. ამ კაცს ყველა პატივსა ვცემთო, დიდი ამაგი აქვს ჩვენი რაიონის წინაშე, მაგრამ აქ გოგებაშვილისა უფრო უპრიანიო.

რო წავიდნენ, ერთმანეთს ეკითხებოდნენ მოსწავლე-ახალგაზრდობის ხალხი, ვინ იყო ის კაცი ან ძეგლს რატომ უდგამენო.

ბოლოს ჩვენ მოგვადგნენ. სასწავლებლის წინ, მარ-

ჯვენა მხარეს ერთი პატარა ძეგლი იდგა, კაციშვილმა არ იცოდა, ვისი ძეგლი იყო, არც წარწერა ჰქონდა, არც არაფერი, ვერც იცნობდი ვინ იყო, სკინტლით ჰქონდა თავ-პირი მოსისული. გავრეცხეთ, გავასუფთავეთ. ბრონზით გადავღებეთ. რექტორსა ვკითხე, ბოლო-ბოლო ვისი ძეგლია, ამდენი ხანია დგას და კაციშვილმა არ იცის-მეთქი.

– არ ვიციო, – მხრები აიჩეჩა. – მე რომ მოვედი, ასე დამხვდა. ვისაც შევეკითხე, ვერავინ გამცა სწორი პასუხი. ზოგი მეუბნებოდა, ახალგაზრდა გიმნაზიელის ძეგლია, ზოგი ამბობდა, ახალგაზრდა სტალინიაო. ერთი პერიოდი ვაპირებდი აღებას, მაგრამ ვერ გავარკვიე ვის ბალანსზე იყო, მერე შევეშვიო.

ეს რო ავიღოთ და ამის ადგილზე დავდგათ ახალი ძეგლი-მეთქი?

თვალეები დამიბრიალა. დაანებე მაგ ძეგლს თავი, ხომ გითხარი გაურკვეველია, ვის ბალანსზეა. ერთ დღესაც რო მოგვადგნენ და მოგვკითხონ, მერე რა პასუხი გავცეთო.

ბოლო-ბოლო მარცხენა მხარეს გადაწყვიტეს იმ უცნობი კაცის ძეგლის აღმართვა.

გული მიგებდა, ვუთხარი, მაგრამ მე ვინ დამიჯერებდა. პატარა კაცის სიტყვას რა ფასი აქვს. სიტყვის ფასს სკამი ზრდის, – არ გააჩერებენ ამ ძეგლსმეთქი.

– რას ჰქვია, არ გააჩერებენო.

– აბა, ამ დამშეულ ქალაქში, ბრინჯაოს ქანდაკებას რო წინ დაუდგამ, ქურდბაცაცებს მეტი რა უნდა- მეთქი. ეჰ, ვინ დამიჯერა. აესე, დადგეს... ხომ ვეუბნებოდი არ გააჩერებენ მეთქი. ქვა მაინცა ყოფილიყო. დიდის ამბით გახსნეს იმ სახელოვანი კაცის ძეგლი, ვინ აღარ იყო მოსული. ერთი სიტყვით, დაიდგა ეს ძეგლი და დაადგეს კიდევაც თვალი აქაურმა ქურდბაცაცებმა. ერთი-ორჯერ მოპარვა სცადეს, მივედი დილით, მოლრეცილი იყო ბრინჯაოს თავი, ცერად იყურებოდა.

შევედი უფროსთან, ავუხსენი, ისევ ფრჩხილებს იქლიბავდა.

შემომხედა მწყრალი თვალებით.

– რას გადამეკიდე, შე შობელძაღლო, მეტი სადარდებელი არა გაქვსო?

მერე გავიგე, მაგის ბიჭს მილიციასთან ჩხუბი მოსვლოდა, შარშ-ხათაბალაში გახვეულიყო და ვერ იყო ხასიათზე.

– მოიპარავენ-მეთქი, – კაბინეტიდან გამოსვლის დროს ნავიზმუკუნე.

– ამ ჩემს კოსტას, თუ არც მოიპარავენ. ვინც დადგა, იმან იდარდოსო, – მომადევნა.

ციმციმ მივხურე კარი. რო დაჯახუნებულიყო, იფიქრებდა, კარი გაიხათქუნაო და ხო იცით, რაც

ემართებათ ხოლმე პატარა კაცებს. მიტოს შევჩივლე, სამნოს მიტოს.

– რა ვუყო, კაცო, მე მაბარია ეს რაღაცები და რო მოიპარონ, ყოფას მიტირებენ. მირჩიე რამე-მეთქი.

მიყურა მიტომ, მიყურა და გაეცინა.

– რა უნდა გირჩიო, ჩემი წილი ჭკუაჯ არა მაქვს და შენ რა უნდა გირჩიო. მოიპარონ და მოიპარონ, მაგის პატრონი დედაც ვატირე, ეხლა ეგ გამიჩინე სადარდებლადო.

– რო მოიპარავენ და ჩვენზე გატეხავენ ჯოხსა, მერე დაიკიდე ეგრე-მეთქი.

ხელი ჩაიქნია.

– ერთი კაცი ქვეყნის დარდმა მოკლა, იცი ეგა თუ არ იციო.

შევხედე და უფრო მომივიდა გული.

– ეგ რა შუაშია-მეთქი.

– კაი, შენ კიდე კაცო, რა გაატრაქტორე საქმე, შუაში კი არ არის, თავშია, თავში. ვინც მოიტანა, ვინც დადგა, იმან იდარდოს, იმან იჯავროს. ჩვენ რა შუაში ვართ. პაპიროსის ფულად არა მყოფნის ხელფასი. ლამის არის საპირფარეშოც მე დამასუფთავებინონო... დაიკიდე კაცო, – უფილტრო პაპიროსი ამოაძვრინა გულის ჯიბიდან.

– მონვე? – მომაჩერდა ღიმილიანი მზერით.

გამოვართვი და ავაბორიალეთ საყარაულო ოთახი მყრალი სუნით.

მანანნალებმა დაადგეს თვალი ძეგლს. უარეს აქეთ-იქიდან. ის მანანნალები ერთი ლოთი დევნილის შვილები იყვნენ. სამი ძმანი, სკოლის მოსწავლეები. ეგრე დადიოდნენ ქუჩა-ქუჩა, ხან მათხოვრობდნენ, ხან ქურდობდნენ. შევატყვე, რო თვალი დაადგეს. ადვილი მოსაპარი იყო, რა უნდოდა ბრინჯაოს თავის მოძრობას.

დაუწყარაულდი. მიტოს რო ვუთხარი, ყური არ მათხოვა.

– შენა, მაგ ძეგლის დარდი გადაგიყოლებსო, – სიცილი დამაყარა.

ვიცოდი, რო იმ ღამეს უნდა მოეპარათ. თვალი არ მომიხუჭავს ერთი-ორი წრე შემოვუარე ფანრით სასწავლებლის შენობას. უმთვარო ღამე იყო, თვალწინ არაფერი ჩანდა. მივიარე, მოვიარე, არაფერი. შევედი საყარულოში. მიტო ისე ხვრინავდა, ისე ხვრინავდა, კუალდა რო ჩაგერტყა, ვერ გააღვიძებდი.

მივწეი ტახტზე. სულ არ მევალებოდა ეს ყარაულობა, მაგრამ, რა მექნა. ჩემ ჭირად დადგეს იმ ცხონებული კაცის ძეგლი.

დაეყენებინათ, თავისთვის იყო. ვითომ დავიწყებას გამოსტაცეს. როდის იყო, ძეგლები დროს ამარ-

ცხებდნენ.

ვიფიქრე, რომც გამაგდოს უფროსმა სამსახურიდან, უნდა მივიღე და ვუთხრა ან ვინმეს დაავალოს ამ ძეგლის დარაჯობა, ან აქედან სულ წავალ-მეთქი.

შუალამისას შემომესმა ხმა. ცოტა ხანს მივუყურადე. ჩურჩული გავიგონე. მივხვდი, ისინი იყვნენ, ის შობელძაღვლები, დევნილის ბავშვები. ფეხაკრეფით გამოვედი, ფანარი ავანთე. ძეგლს ეჯავჯავურებოდნენ. შუქს მოჰკრეს თვალი თუ არა, იპლიტეს. გავეკიდე, გავეკიდე და კაი გაკიდება მომივიდა, ქვის ფილას წამოვკარი ფეხი და ეს ამოტენა კაცი თავ-პირით გავხოხდი. ვინ იყო ჩემი პატრონი, კბილების პროთეზი ძლივს ვიპოვე, ხელისგულები და მუხლისთავეები დაყვლეფილები მქონდა, ტუჩებიდან სისხლი მდიოდა, ვიდექი და ფანრით დავეძებდი კბილებს. იქვე დაეყარათ ურო და ცარიელი ტომარა. ძეგლი კინკრიხოთი იყო გადმოლრეცილი.

გათენდა და მივედი უფროსთან. კაი ხანი ველოდე, დავტორღიალობდი მისაღებში. მდივანმა მაკომ, მგონი პრეფექტურაში გამოიძახეს და დაავიანდებო, მაინც ველოდებოდი.

ბედისწერაა, ალბათ, – ვფიქრობდი ჩემთვის. – საიდან აიკვიატეს ამ ძეგლის დადგმა, ან თუ დადგეს, ქვის ძეგლი მაინც დაედგათ, ქვას ვინ მოიპარავდა-მეთქი.

შუადღით მოვიდა უფროსი.

მდივანს შესვლამდე უთხრა:

– მალე უნდა გავიდე, სამინისტროში დამიძახეს და დღევანდელი შეხვედრები ახალი კვირისთვის გადადეთო. ამ თავპირდანგრეულს რომ შემომხედა, თავი გააქნია, რა ვიცი რა იფიქრა ან თავი რატომ გააქნია, ალბათ, ეგონა, სადმე დალია და წაიქცაო. შევიდა და შევყე. მერიდებოდა, მაგრამ ისე ვიყავი გამწარებული, რო არ მეთქვა, გული გამისკდებოდა.

ერთი ხანობა წყნარად მისმენდა, ვიფიქრე შევეცოდე და, ალბათ, დარაჯებს დაავალებს რო ძეგლს ყურადღება მიაქციონ ან აქედან სხვაგან გადაიტანენ-მეთქი.

წამომიხტა, გული ერთ ადგილას გამეპარა, ესეთი გაბრაზებული არ მახსოვს, მისი მოსვლის პირველივე დღიდან ვიცნობდი, ასეთ გაგიჟებული მართლა არ მახსოვს. თვალები ლამის გადმოსცვივდა. კარგა მაგრად შემამკო. ეტყობოდა პრეფექტურიდან გაბრაზებული მოვიდა და ჩემზე იყარა ჯავრი.

– რით ვერ გაიგე, ეგ ძეგლი ჩემს ბალანსზე არ არის და მე მაგის შენახვა და მოვლა-პატრონობა არ მევალებოდა. პრეფექტურის ბალანსზე არსებული ვილაცის ძეგლზე მე რატომ უნდა ვინერვიულოო.

გამოვიზუზე კაბინეტიდან. ბოლოს ეტყობა შევე-

ცოდე, კართან მომადახა:

– გადადი და პრეფექტურაში აუხსენი ეგ ამბავი, იქნებ თვითონ მიხედონო.

პრეფექტურა მაგათ და...

ვისთან მივსულიყა. ისევ ვთხოვე მიტოს.

– კაცო, მე რაც არ მევალება, რატომ უნდა გავაკეთო, ეგ ძეგლი მე არ მეხება, ვისაც ეკუთვნის, იმან უყარაულოსო.

წაგკინკლავდით. ამდენი ხანია ერთად ვმუშაობთ და თუ ესეთი გაჰკირა კაცი იყო, არ ვიცოდი.

აფუფლიდი და ჩაფუფლიდი ძეგლს, აფუფლიდი და ჩაფუფლიდი. შემომცქეროდა ბრინჯაოსსახიანი კაცი. თითქოს თვალებით მელაპარაკებოდა. „ერთი შენლა დარჩი, ვისაც ჩემზე გული შესტკივდება, სად მიიფანტ-მოიფანტნენ, სად წავიდნენ. ლაპარაკი მაინც შემეძლოს ან სიარული, რომ ამათ ვაჩვენო ერთი ვინ ვიყავი...“

მეცოდებოდა ეს კაცი. ვიცოდი, რო ამ ძეგლს არავინ გააჩერებდა, მოაძრობდნენ მარმარილოთი მოპირკეთებულ კვარცხლბეკს ამ გამოჩენილი კაცის თავს და მერე გაუყენებდნენ თურქეთის გზას. მაგნიტი რო შემოეტარებინა ვინმეს, ლითონისას ვერაფერს იპოვიდა, თურქეთში გაჰქონდათ და გაჰქონდათ.

ერთი სიტყვით, სანამ პრეფექტურაში კეთილმონყობის განყოფილების უფროსს შევხვდებოდი, ისევ მე

მომინია ამ ძეგლის ყარაულობა. ერთ ღამესაც წამილო ძილმა. თითქოს მიტომ გადმომდო. წამომეპარა სიზმარი. წამილო და მერე როგორ. სიზმარში ვნახე, აი, ჩემს სამ შვილს გეფიცები, თუ რაიმეს ვიგონებდე. მე ეგეთი რამეებისა მაინცა და მაინც არა მწამს, დილა-საღამოს პარტიაზე გვაფიცებდნენ, ბელადებზე გვამღერებდნენ, რა სიზმარი, რის სიზმარი, მაგრამ გაოგნებული ვიყავი, კაცო, ვითომ ვილაც მანჯღრევდა მძინარეს, ვერ მალვი-ძებდა: – ადექი, კაცო, ადექი, უნდა დაგემშვიდობო, შენ გარეშე როგორ წავიდეო. – მანჯღრევდა. ბოლო-ბოლო თვალები გამოვახილე, ვაკვიდრები ამ უცხო კაცს, რომელი ხარ-მეთქი, კარგად ვერც ვიყავი გამორკვეული, ძილი მანვა თვალებზე.

დავაკვირდი, დავაკვირდი და... ღმერთო დიდებუ-ლო, შენი სახელის ჭირიმე! ის იყო კაცო, ძეგლი იყო, ვითომ გაცოცხლებულიყო და როგორც ძეგლიდან მი-ყურებდა, ისეთი სახით მომჩერებოდა – მოღუშული, სევდიანი, უიმედო თვალებით.

ვერ ვიჯერებდი.

– მე ვარ, მე ვარ, მადლობის სათქმელად მოვედიო.

ვაკვირდებოდი. ის იყო, ნამდვილად ის იყო.

– უნდა წავიდე აქედან, ველარ გავჩერდები. მინდა, რო მადლობა გადაგიხადოო.

– სად მიდიხარ-მეთქი.

– საიდანაც მოვედი, იქ მივდივარ, იქ უფრო მყუდროდ ვგრძნობდი თავს. იქ უფრო მიცნობს ხალხი. ვატყობ, რო უადგილოდ ვარ. იქ მიირჩევენიაო...

გარეთ ელოდებოდნენ. გასძახა: ეხლავე გამოვალო.

თვალი გამექცა სარკმლისაკენ, მაგრამ ღამე ჩამომფარებოდა, ვერაფერი დავინახე.

ერთი სიტყვით, დამემშვიდობა და წავიდა.

იმის წასვლა და ჩემი გამოღვიძება ერთი იყო. წამოვხტი, ფანარს დავწვდი. მიტოს ოთახში შევიხედე და ერთი გულიანად გადავუკურთხე, ოთახი ზანზარებდა ისე ხვრინავდა. რო ეხმარათ, ვერ გაიგებდა.

– შენი პატრონი დედა მ...ნ შენი, გასაგდები ხარ აქედან, ყარაული შენნაირი უნდა დავიტრაბახოთმეთქი.

ერთი ფეხი წავკარი და მივუჯახუნე კარი. გავედი ეზოში, ფანარი ავანთე. გავაშუქე და... – ჩქარა გავიქცეთო. – ვილაცამ შესძახა და მოფრთხვნენ. ისევ გავეკიდე, მაგრამ დიდ მანძილზე აღარ გავყე, გინება კი მივაყოლე, ცოტა ახალგაზრდა რო ვყოფილიყავი, მე ვიცოდი, მაგრამ... აღარ მომყვებოდა მუხლი. რო აგეტორღიალება სიბერე, ხო იცი. გავანათე... სადღაა ძეგლი, გადავირიე, ნერწყვი უარესად გამიშრა. ფეხები ამიკანკალდა. მივდივარ და ვეღარ მივდივარ. ძლივს გადავდგი ნაბიჯები. ცარიელი კვარცხლბეკია, ცარიელი. ხო არ მეჩვენება-მეთქი.

მივანათე, არ არი... ბოლმამ ლამის გული გამომიხეთქა. ცრემლები მომანვა.

– მიტოო! მიტოო! – ვღრიალებდი. – გამომხედე შე შობელძაღლო.

ვერ გავაგონე მიტოს.

მერე თვითონვე გამოედვიდა და გამოიზლაქნა ეგრე, კუთხეში მიაფსა და მიყურებდა დაელმებული თვალებით.

ეზოში, ნაძვის ძირში გამზადებული დარჩენოდათ ბრინჯაოს თავი, მეშოკში ჩაედოთ და წაღება ველარ მოესწროთ.

ჯერ ვერ მივხვდი. გავხსენი მეშოკი და სევდიანი თვალებით ამომხედა, მერეღა გამახსენდა სიზმარი.

– აი, თურმე რატომ მემშვიდობებოდა-მეთქი, – ჩავილაპარაკე.

მიტო ეგრე დებილივით მიყურებდა, ვერაფერს ვერა ხვდებოდა...

\* \* \*

ძლივს დავიჭირე პრეფექტურის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი. ხან მე მიყურებდა, ხან მეშოკისკენ გაუბოდა თვალი.

– აი, ეს არის რო გეუბნებოდით, – გავხსენი და ბრინჯაოს თავი გამოვაჩინე.

მომეჩვენა, რო მარტო მე მიყურებდა ბრინჯაოდ ქცეული კაცი, თავის ჩვეული, სევდიანი მზერით.

ფეხზე წამოდგა, ახლოს მოვიდა და ბიუსტს დააკვირდა. იდგა, იდგა, ხმას არ იღებდა, მერე ვილაც ქალს დაუძახა, საბუთები მოატანინა, იქექებოდა, ეს ქალიც ეხმარებოდა. შუახნის ქალი იყო, ძეგლს აშტერდებოდა, მეც მიყურებდა, ღიმილს ძლივს იკავებდა.

პრეფექტურა მაგათა და...

– არაო, არ არის ჩვენს ბალანსზე ეს ძეგლი და ჩვენ ვერ ჩავიბარებთო.

– რას ჰქვია, ვერ ჩაიბარებთ-მეთქი.

– აეგრე, ვერ ჩავიბარებთო.

– კაცო, რითი ვერ გაიგეთ, იპარავენ ამ ძეგლს, ორჯერ უკვე გადავარჩინე და თუ მაინცა და მაინც ის გინდათ, რომ წაიღონ და თურქეთში გააპრად-ალონ, მითხარით და ბარემ ეგრევე გადავცემ ქურდბ-აცაცებს-მეთქი.

– ეგ ჩემი საქმე არ არისო, – მხრები აიჩეჩა და ქერა უღვაშები მიისწორ-მოისწორა.

– აჰა, საბუთები, თუ არ გჯერა შენი თვალით ნახე, არ არის პრეფექტურის ბალანსზე და მე რა უფლებით ჩავიბაროო.

ის ქალი იდგა კუთხეში და უკვე ველარ იკავებდა სიცილს.

– რამდენიმე ძეგლი კი გვაქვს ბალანსზე აყვანილი. აჰა, წაიკითხე, – თითო ჩამოაყოლა სარეგისტრაციო ჟურნალს. – ეს ძეგლი არსად არ ჩანს, – თქვა და მერე იმ ქალს შეხედა („მელამ თავისი კუდი მოწმედ მოიყვანა“).

იმ ქალმაც ღიმილი დამალა და თავი დაუქნია.

ალარაფერი მითქვამს, ავითორიე მეშოკი და წამოვედი.

\* \* \*

სასწავლებლის გაყიდვა და ჩემი გამოპანღურება ერთი იყო. ყველაფერი იყიდებოდა და ვიცოდი, რო არც ამ შენობას გაუშვებდნენ ხელიდან. მამაჩემის სიმღერა მახსენდებოდა, აკვიატებული ჰქონდა ცხონებულს: „ყველაფერი იყიდება, შეყვარებულ გულის გარდაო“. იყიდებოდა ყველაფერი, პრეფექტურაც გაუქმდა, ის კაცი კეთილმონყობის სამსახურის უფროსად რო მუშაობდა, ქუჩაში შემხვდა. შევატყვე, რო გვერდის აქცევა უნდოდა, მაგრამ ვერსად წამივიდა. პირისპირ შევხვდით, მომესალმა.

– რა ქენით იმ ძეგლზეო. – ველარაფერი აწამა.

კაი გადაკუროთხების ხასიათზე დავდექი, მაგრამ ნერვები დავიოკე.

– რა ვქნა, არ იყო ჩვენს ბალანსზე და რა მექნაო,

– ისევ იმართლა თავი.

– წადი შენი-მეთქი... – ჩავიბურტყუნე გამწყრალი მღვდელივით და მოვცილდი იქაურობას.

ახლები მოვიდნენ. უცხოები, აქაურები არ იყვნენ. მშვიერი მგლებივით იყურებოდნენ.

– ჩვენო, ძალიან ვაფასებთ თქვენს დამსახურებას. ვიცით, როგორი ოფლითა და შრომით მოიტანეთ აქამდე ეს დანესებულება, მაგრამო...

ჯერ სიგელები დაგვირიგეს, მადლობის სიგელები. დაჰყურებდა მიტო და ცქმუტავდა ბალლივით.

– დავბერდი კაცი და მადლობა არავის გადაუხდია ჯერაო, – უხაროდა.

რა იცოდა, იმ მადლობას რა მოჰყვებოდა, იმ შტერმა კაცმა.

დაგვიბარეს მერე და კარგად იყავითო. ძალიან კი გვიმძიმს ამის თქმა, მაგრამ ხელმძღვანელობას სხვანაირი ხედვა აქვსო. შეგვრჩა ეს მადლობის სიგელები ხელში.

– ვერ გავიგე რა ხდებაო, – მიტომ.

სხვა თანამშრომლებიც ცხვრებივით იდგნენ.

– რა ვერ გაიგეთ, სამსახურიდან გაგიშვეს, აიკრიფეთ გუდა-ნაბადი და აახვიეთ-მეთქი.

ბევრი იცეს თავში, ხან ხვენწა იყო, ხან მუჟარა, მაგრამ...

– თქვენი მადლობაცა და თქვენი დედაცაო, – მიტოს თან ენანებოდა სიგელი, შევატყვე, რო ენანე-

ბოდა, მაგრამ მაინც გადახია და თვალებში მიაყარა ახალგაზრდა ბიჭს, თანამშროლეების გასაშვებად რო გამოგზავნეს და ენას უკიდებდა.

– ამ ლიყიანების გასაყრელები რო გავხდითო, – იგინებოდა მიტო.

სხვებიც იგინებოდნენ. ის ბიჭი იდგა და ილიმე-ბოდა. ეკიდა...

ბოლოს მივედი და ძეგლზე ვუთხარი. მეშოკით მედგა ჩემს ოთახში, მოვუყევი ყველაფერი.

– ეს ძეგლი ვის დავეუტოვო-მეთქი.

მისმინა, მისმინა.

– მივალ და უფროსობას დაველაპარაკებო.

კარგა ხანი მალოდინა. ბოლოს გამოჩნდა. ისეთი შეწუხებული სახე ჰქონდა, იტყოდი, მე კი არა იმას უშვებდნენ სამსახურიდან. მივხვდი, რო კნოპკაზე ჰქონდა სახე. დააჭერდი – გაილიმებდა, დააჭერდი – მოიღუშებოდა.

მოღუშული ჩამოუყვა კიბეს.

– უარი მითხრეს. რაკი ამ სასწავლებლის ბალანსზე არ არის, თანაც ახალ უფროსს სხვა გეგმები აქვს და ძეგლი იმ ადგილზე ველარ დაბრუნდებაო, – უფრო შეუწუხდა სახე, აფერისტულად მოებრიცა.

მოვიკიდე ბრინჯაოს თავი და წამოვედი...

აესე გახდა ეს კაცი ჩემი სახლის ბინადარი. თა-

ვიდან ხო ვთქვი, ბავშვობაში ძეგლებისა მეშინოდა-მეთქი. ეს შიში დიდობაშიც გამომყვა, მაგრამ, მივხვდი, რო ამ კაცმა, რომელიც ჩემი სამოცკვადრადიანი ბინის ერთ-ერთ კუთხეში მომცრო ხის მაგიდაზე დავდგი, ეს შიში დამაძლევინა.

თავიდან ცოტა მიჭირდა, მაგრამ მერე შევეჩვიე, შეჩვევა იცის ყველაფერმა.

ბედისწერამ ჩემს სახლში „მოიყვანა“ ეს კაცი.  
ამჟამად ჩემს ბალანსზეა...

**18 თებერვალი (სურწყუნისი),  
2017 წელი,  
დიცი**

## მუხა

– მეოთხეა, ეს უკვე, მეოთხე, – ჩაილაპარაკა და თეთრი სვანური ქუდი შეისწორა.

გვერდით მჯდომმა ჟღალწვერიანმა, მარჯვენა ხელის ცერა თითზე რო ვეება, გიშრის პოლტივით ბეჭედი ეკეთა და ვერცხლისტარიანი ლომისთავგამოსახული ხელჯოხი გვერდით ჰქონდა მიყუდებული, სვანურქუდიანს შეხედა და ყასიდად ჰკითხა:

– რაზე ამბობდი?

– რაზე ვამბობდი და იმ გაიძვერა არტემაზე ვამბობდი. დგას და ატარებს ამ ფესტივალებს, თუ რა ვიცი რალაც ჯანდაბებს, ჩვენც ვდგავართ და ესე ბოჩოლებით დავდევთ, ფაქტიურად „ვუპრავებთ“. მართლა, მართლა, – თავი დაუქნია დამაჯერებლობისათვის.

– ვიცი მე მაგის ამბები, მაგრამ... – წვერი მოიქექა გიშრიბეჭდიანმა. – სიმართლე გითხრა, ძალიანაც არ მიმიწევს გული, დრო თავისას შვრება. ახალგაზრდობაში, ხან ალთას ვიყავი და ხან ბალთას, ერთი ღონისძიება არ გამომიტოვია. მე მგონი, იმ სულკურთხეული აკაკისთვის არ ჩაუტარებიათ ამდენი შესხედრა, რაც ჩემთვის. კვირა არ გავიდოდა... კიდევ იმ დროს ენდურიან, მონები ვიყავითო, იმპერიის ქვეშ ვგმინავდითო, ვინ გმინავდა, ჩვენ ვგმინავდით? – ჩაი-

ქირქილა. – ამათ არ იციან, მონობა რა არის, მართლა არ იციან, ამათ ერების მდგომარეობა არ იციან. საკუთარი სახელი ავიწყდება ზოგჯერ ხალხს... არიან ესეთი ერები და ისინი არ მიიჩნევენ თავიანთ თავს მონებად. მონები ვიყავითო, იცი როგორი რაღაც იყო? მენველი ძროხა რო გარჩენს მთელი ცხოვრება, სოფლელი კაცი ხარ და იცი ძროხის ფასი, ნველის ფასი ხო იცი, რა არის გაჭირვებული ოჯახისთვის?

– როგორ არ ვიცი კაცო, – თავი დაუქნია.

– ჰოდა, გამოეუსვით ყელში დანა იმ მენველ ძროხას, დაეკალით და შეევეცეცით, ეჰ, ჩემი ნება იყოს... თავისუფლება... გააჩერე ის ნამიტინგარი ხალხი და სათითაოდ ჰკითხე, რა არის თავისუფლება-თქო, – ირონიული ღიმილით შეეჩხვლიტა ჟჭალწვერიანს მარჯვენა ლოყა. – შემოგხედავენ პირდაღებული, თევის თვალებით, ორი კილო ხორცი რო დაანახო, ორი კილო ხორცი, კუსკუსით გამოგყვებიან და ერთ ადგილზე დაიკიდებენ სამშობლოს ან ვოფშემ სამშობლო რა არის, იციან?

უბედურება ის არის, რომ ისე დაანგრის ქვეყანა, ისე გაანიავეს ყველაფერი, აღდგენის პერსპექტივაც აღარ არის. ის დრო აღარასდროს დაგვიბრუნდება, დარწმუნებული ვარ.

– ეეჰ, ჩემო კალე, რა ცხოვრება გამოგვაცალეს

ხელიდან, რა ცხოვრება. მაძლარმა კაცმა ლუკმის ფასი არ იცის. მით უფრო, თუ იმ ლუკმას ოფლის გემო არ გაჰკრავს, მლაშე გემო. საწყალ მამაჩემს რო ნავეყელყელავებოდი ხოლმე, ღმერთმა აცხონოს, ამაზე თუ ამიხდა, წუხელ სიზმარში ვნახე. იშვიათად მესიზმრება. არ უყვარს ჩემი სიზმრები, არეულ-დარეული სიზმრები, ერთმანეთში რო ირევიან ჩემი მოთხრობების უცნაური გმირები. სხვათა შორის, სულ მაგას მეუბნებოდა: ხელობა ისწავლე, რამე ხელობა, ე მაგ ფურცელ-კალამს რო ჩაჰკირკიტებ კაია, მაგრამ ცოლ-შვილს მაგით ვერ დააპურებ. ერთხელაც იქნება, დამშეული ჯალაბი მოგადგება და უყარე მერე კაკალიო. სიზმარი-მეთქი, მეც ავურ-დავურიე, მეორედ ვმარხავდი მამაჩემს და საფლავის ადგილი აღარ იყო. უკვე დამარხულს მეორედ ვმარხავდი. რას არ ნახავს კაცი.

– გიცხონოს ღმერთმა.

– იცოცხლე, კალე! რა ვიცი, შევალიეთ კია ამ სიტყვებთან ჭიდილს ცხოვრება, ვფიქრობ ხოლმე ჩემთვის, იქნება არც კი ღირდა, ვის რაში სჭირდება, მგონი მარტო ჩვენი გულის ჭიას ვიკლავთ, – გიშრისთვლიანი ბეჭედი გაისწორა ცერა თითზე. – ადრე სხვა იყო, რაღაცას წარმოადგენდი, ვილაც გაფასებდა, ვილაც კითხულობდა ჩვენს ნაფიქრს. ახლა თავის ნაფიქრი

რო აღარ უნდათ.

– ექვსზე უნდა გავიდეთ, ხო? – საჭესან მოკალათებულმა ოცდაათიოდე წლის, ნადრევად თმაშეჭალარვებულმა მძღოლმა სარკიდან გამოიხედა და მიკროავტობუსში მყოფ ხუთიოდე მწერლისგან პასუხს დაელოდა.

თითქო ყველა ფიქრობდა, რო მძღოლი უთქმელად მიხვდებოდა.

ნაცრისფერშლიაპიანმა სამოცდაათს მიტანებულმა პოეტესამ კისერი წაიგრძელა და ხრინწიანი ბგერები გამოსცა.

– ექვსზეო, კი, ექვსზეო, სხვებიც მალე მოვლენ, – საათს დახედა. – ოცი წუთი აკლია, მოგროვდებიან, – თქვა და ისევ ჟურნალს მიუბრუნდა. წინა თვის ლიტერატურულ გამოცემაში დაბეჭდილი, მეგობარი პოეტესას ლექსების კითხვა განაგრძო.

– იმის ამქრისაა, ხო იცი, – ჟღალწვერიანს თვალი ჩაუკრა კალემ.

გიშრისბეჭდიანმა ქალს გახედა და თავი დაუქნია.

– ვიცი, ვიცი, ერთი მე ვიცი ასტროფიზიკა და მეორე ამან ლექსი.

კალემ სვანური ქუდი წამიერად მოიხადა, თმაგაძარცვულ თავზე ხელი გადაისვა და ისევ დაიმხო.

– დიდი ოხერი ვინმეა.

- ვიზე ამბობ?
- მაგათი ამქრის უსტაბაშზე.
- უსტაბაში... – ჩაეცინა ჟღალწვერიანს.

– იცინე, იცინე და კი აანყო ცხოვრება. წიგნის გამოცემა მაგას არ უჭირს. ფული მაგას არ აკლია. ისეთი მანქანით ჩამიქროლა იმ დღეს, თვალებს არ ვუჯერებდი, უშველებელი სახლი აუშენებია... მე ერთი სამზარეულო ვერ შემირემონტებია, მეზობლები თავზე მაფსამენ... მეზობლებშიც კი არ გამიმართლა... უსტაბაში... რა მოსწონთ მაგის ლექსებისა, მაინც ვერ ვხვდები, – მხრები აიჩეჩა. – რამდენჯერმე ჩაუფუჯეკი...

– მეტი საქმე არ გქონდა? – ჩაიხითხითა ჟღალწვერიანმა.

– არა, მართლა დამაინტერესდა, იქნებ კარგად ვერ აღვიქვი, იქნებ რალაც გამომრჩა-მეთქი, წავიკითხე, გეფიცები რაა...

– არაფერი, – უკვე რომ იცოდა კალეს პასუხი, ისეთი თვალებით შეხედა.

– არაფერი, წყალი... აზრზე არ არის, რის ლექსი, რა ლექსი, არანაირი რითმა, არანაირი წყობა, სახეებზე ხო ზედმეტია ლაპარაკი. ჩანთით დააქვს ნაქურდალი რითმები. რო ვკითხულობდი ხან ერთი გარდაცვლილი პოეტი გამიელვებდა, ხან მეორე, ასე... ამათ კიდევ ჰგონიათ, რო ამის ნაპოვნია.

- ღირსები არიან?
- ვიზე ამბობ.
- ვიზე და მაგის ფანებსა თუ თაყვანისმცემლებზე. უფრო სწორად, კარგად ვერ ვთქვი, ცოდონი არიან.
- როგორ? – ვერ მიხვდა კალე.
- აბა ეგეთი კაცი რო მოგწონს და აღმერთებ, ცოდო ხარ, აბა, რა ჩემი ფეხები ხარ, – ზიზღი ალებე-ჭდა სახეზე. – თფუი!
- რას დავემსგავსეთ მართლა, ხანდახან არც მინდა რო დავიჯერო. ჩვენც ხო ამათი ნაწილი ვართ.
- ვისი, კაცო? ღმერთმა დაგვიფაროს, – შეიცხადა ჟღალწვერიანმა.
- ვისი და ამათი, ამ ფუნად გადაქცეული ბრბოსი. რას მიყურებ, – თვალებში ჩახედა კალემ, – გინდა არ გინდა, მაინც ასეა. მათი ნაწილი ვართ ჩვენ გვერდით არიან, ჩვენ გვერდით სუნთქავენ, არსებობენ, ერთად დაგვასახლა ღმერთმა და ესე იგი ერთნაირები ვართ. – ჩაეცინა კალეს.
- ღმერთმა დამიფაროს, ამათი ნაწილი ვიყვე, – ჩაიბუტბუტა ჟღალწვერიანმა.
- მცირე ხანს დუმდნენ. ოცდაათიოდე წლის მძლოლმა სიგარეტი გააბოლა და შლაპიანი ქალბატონის წუნუნი მოჰყვა.
- ვაიმე, ძალიან გთხოვთ, რა, ძალიან გთხოვთ, აქ

ნუ მონევთ, ასთმა მაქვს, ცუდად გავხდები... – ჩანთიდან თვალის დახამხამებაში ფარშავანგებიანი მწვანე მარაო ამოაძვრინა.

მძლოლმა ფანჯარას ბოლომდე ჩაუწია და შლაპიან, ხანშიშესულ პოეტ ქალბატონს ბუტბუტით გადაუკურთხა.

– უეჭველი გაიმარჯვებს ფესტივალზე, – ჩაეცინა შლაპიანზე კალეს.

– იმდენი სონეტი დაწერა, უკვე შექსპირს აჯობა.

ჟღალწვერიანმა ქალს გადახედა. ქალი მარაოს ინიავებდა და სარკმლიდან მუზადამფრთხალი შემოქმედის შეწუხებული სახით იმზირებოდა.

– სონეტებს წერს, – ისევ გააგრძელა კალემ.

– სონეტების წერას რაღა უნდა, – თქვა ჟღალწვერიანმა. – გინდა ჯვარედინად დაიწყე და გინდა... რას არ მოიგონებენ ისე ეს პოეტები, – ჩაილაპარაკა და პიესის მეორე მოქმედების პირველ სურათზე გააგრძელა ფიქრი.

\* \* \*

წინა რიგში სცენარისტი კაკო აყაყანდა.

– გახდა ექვსი, ხო გახდა, რა ვალდებული ვარ, რო ასე ვიდგე ჯორივით და ვილაცეებს ველოდო, – მიკროავტობუსში მყოფ მწერლებს გადახედა. – რო

სხედხართ და ხმას არ იღებთ, მარტო მე უნდა ვთქვა? როდისღა უნდა ჩავალწიოთ, ხუთი საათი გვინდა გზაში, – საათზე დაიხედა კაკომ. – თერთმეტ საათზეც ვერ ვიქნებით, ალბათ. ნადი რა, ძმურად, – მძლოლს მიმართა. – რა ვალდებულება გვაქვს...

მძლოლი კაკოსკენ მიტრიალდა და მხრები აიჩეჩა.

– რა გითხრა, უფროსო, ელოდებიან და... მე, რაც მალე გავალ, ჩემი ხეირია.

– წავიდეთ! – თქვა კაკომ და ბელადის სახით გადახედა თანამოკალმეებს.

– სად წავიდეთ, კაცო, გივი არ მოსულა, ჯიმშერიც არ არის.

– არც ნინელია.

– ვახტანგ ჩადუნელმა ეს არის დამირეკა, წუთი-წუთზე მოვალ.

– იცი რას გეტყვით, – აყვირდა სცენარისტი. – მე სულ არ მაინტერესებს. ორი საათია ვდგავართ და ველოდებით, უპასუხისმგებლოები არიან და ეგ არის.

– დაწყნარდი კაკო! – გვერდით მჯდომმა ნაცრისფერკოსტუმიანმა, თავზე თმა ტალავარწამოკეცილმა გურამმა დაამშვიდა.

გურამი ცნობილი ესეისტი იყო. მისი ესეები მწერლობასა და თანამედროვეობას ეხებოდა. ბოლო დროს კავკასიის კონფლიქტებით დაინტერესდა.

– დაწყნარდი, კარგია, – ჩაილაპარაკა კაკომ. – არ გაატრაკეს საქმე? ვაბზე არ მინდოდა წამოსვლა და გამიხურა ამ არტემამ. ღონისძიება ჩამივარდება, ამდენი შრომა წყალში გადამეყრებაო. მუნიციპალიტეტმა დაუფინანსა, ფული მისცეს, ველარ გავუტეხე ხათრი, არადა, „მოსფილმიდან“ იყვნენ ჩამოსულები, ჩემმა ძმაკაცმა მისცა ჩემი „ადრესი“, ათი წელია აქა ცხოვრობს, მაგრად არის. სცენარზე ჩამოვიდნენ.

– რა სცენარზე? – მშვიდად იკითხა გურამმა.

– სცენარზე რა, კინოსცენარზე, ჩემს სცენარებზე გადაღებული ფილმებით დაინტერესდნენ. „მოსფილმი“ განა ის კი არ არის, აქ რო სოროებში გახსნეს რაღაც სტუდიები და მასხარაობენ, სხვა დონეა, სხვა ხალხია. აქ არ იციან ადამიანების ფასი, ნიჭის ფასი, თორემ... ვიღაც უნიჭოებს აწერინებენ რაღაც სისულელეებს, ბლა, ბლა, ბლა!.. მოსწონთ, ხალხსაც მოსწონს. ყველაფერმა მიჩვევა იცის, მეც ეხლა ახალს ვამბობ რამეს.

– მიაჩვიეს და მიეჩვივნენ, – თქვა გურამმა. – ცხრად ვაჩვენე ვითომ რეჟისორებს ჩემი სცენარები, კომუნისტებს ტაციობა ჰქონდათ ტაციობა, შეკვეთა შეკვეთაზე მომდიოდა. იცოდნენ ფასი, მაშ არ იცოდნენ?

გურამმა თავი დაუქნია.

– ყველაფერს რო ხაზი გადაუსვეს ეგრე კი არ არის. ჯერ იმდენი გააკეთე, რაც იმათ აკეთეს და მერე უარყავი. ცინდლიანი გოგო-ბიჭები მასწავლიან ჭკუას. იცი რა მითხრა კინოსტუდიაში ერთმა მაიმუნმა გოგომ?! გამაგიჟა... სცენარი დავუტოვე. ბოლო კრებულშიც არის შესული. მოგეცი შენ ეგ წიგნი, – გურამმა თავი დაუქნია, მაგრამ ვერ გაიხსენა, რომელ წიგნზე საუბრობდა. არადა, იმ სცენარზე გადაირია „მოსფილმის“ ხალხი. ეს რა დაგინერია, ეს რამ მოგაფიქრა, თბილისის ომზე ასეთი რამ არავის არ დაუწერიაო. თან სულ ცნობილები ამბობდნენ, – წარბებზე ხელი გადაისვა კაკომ. – წყალი მაინც მეყიდა, კაცო.

– აგერ მაქვს წყალი, – გურამმა ყავისფერი ტყავის ჩანთა გახსნა და უკვე სიგრილედაკარგული „სნო“ გაუწოდა.

კაკომ წყალი მოირაკრაკა, სული მოითქვა, ბოთლი ფეხებთან მიდო და ისევ გააგრძელა საუბარი.

– მოკლედ, თბილისის ომი ჩემებურად დავხატე ამ ჩემს სცენარში. ვილაცას მოეწონება, ვილაცას არ მოეწონება. სიმართლე ხო უნდა ითქვას, ვილაცამ ხომ უნდა დაწეროს. არც ის ჩვენი პირველი პრეზიდენტი იყო მამა აბრამის ბატკანი. ახლა, ხო ხედავ, რა დროა. ლამის არის, ყველა წმინდანად შერაცხონ. ცოტა ხანში, ჩემო გურამ, მე მგონი, მარტო მე და შენ დავრჩე-

ბით ხორციელი ადამიანები.

გურამმა ჩაიქირქილა.

– შენ რა გითხარი, შენა.

კაკოსაც გაეცინა.

– ხო არა გჯერავს. აი, ნახავ, თუ არ განმინდან-  
დებიან. ესენი ადგენენ აქედან ზეცის ამბებს, მგონი,  
როგორ იცინის ის დალოცვილი, ღმერთს მრჩეველებს  
აქედან უნიშნავენ. მაგას ვამბობდი რა, არც ის იყო  
მამა აბრამის ბატკანი, კი ცუდი აღსასრული ჰქონდა,  
ეგეც ძალით გაუკეთა საკუთარ თავს. მკვდარი თევ-  
ზებოო, მომინდომეს კალმახობა.

თბილისის ომი რუსეთმა მოგვინყოო, კრემლი-  
დან დაიგეგმაო. ესეთი ჩლუნგი ხალხი როგორ არის  
ტოო, – ყმანვილბიჭურად გამოურია სცენარისტმა.  
ყველაფერში როგორ სხვაგან ვეძებთ დამნაშავეს.  
რამე კარგი თუ მოხდა, ყველა იბრალებს, თუ რამე  
ჩათლახობა ჩაიდინეს, ეგრევე თითი... აქეთ-იქით.

– ყველა ხალხი ეგრეა კაკო! – დინჯად ჩაილაპარა-  
კა გურამმა. – მგონია, მარტო ჩვენ ვართ ასე. ყველ-  
გან ასეა. არც მარტო ჩვენ ვართ შურიანები, სხ-  
ვაგანაც არიან, არც ჩვენ არა ვართ ბოროტები და  
ჩათლახები, იმდენი ჰყავთ, იმდენი რო... ერთხელ ჩემს  
თურქ მეგობარს ვკითხე, რედაქციაში მიგვინვიეს,  
შევხედე, კაცო! როგორ შეხმატკბილებულები იყვნენ,

მტრედებივით ღულუნებდნენ თურქები. ვიძახი, აი, ხალხი, ძმაო, აბა, ჩვენ ვართ, ერთმანეთს ვჭამთ-მეთქი. რედაქტორს ვუთხარი მერე, როგორ კარგად, შეწყობილად მუშაობთ, კეთილი შურით მშურს-მეთქი.

– წამოდით, – თვალთ მანიშნა.

მივყე. შევიდა თავის სამუშაო ოთახში. საწერი მაგიდის უჯრა გამოაღო, ერთი დასტა საჩივრები მაჩვენა, რედაქციაში შემოსული საჩივრები, დასმენები, სიბინძურებები. ასე რომ, ეგრეც არ არის საქმე. კაკომ ისევ თავის სცენარზე გააგრძელა საუბარი.

– დავწერე ისე, როგორც მოხდა, რუსებმა კი არ დაგეგმეს ეგ ძმათამკვლელი ომი, ჩვენებმა დაგეგმეს, სკამს მიწებებულებმა დაგეგმეს. ერთმანეთს დაერივნენ. აბა, დაფიქრდი, ჯერ იქამდე ჭირს მიღწევა, პირველკაცობამდე, იმ დიდ სავარძლამდე და მერე იმის დათმობა არ გინდა? რუსეთი, რუსეთი, კრემლი, აჩემებაა, თანაც გიჟური, ყველაფერში სხვა გინდა, რომოძებნო. არა, სწორად ვერ ვთქვი, დამნაშავეს რო...

– განტევების ვაცი... – მიაშველა გურამმა.

– ხო, რაც გინდა დაარქვი, გინდა ვაცი, გინდა თხა და გინდა ციკანი. ამ ჩემს სცენარში თავდაყირა დავაყენე ყველაფერი. ამ განმინდანებულ საზოგადოებას რაღაცები შევახსენე... მეცინება, ისინიც კი, ვინც რუსთაველზე ავტომატით დარბოდნენ, პრეზიდენტის ცხედრის გად-

მოსვენებაზე ცხარე კურცხალი სცვიოდათ.

– მაგნაირებს ნახავთ? – ჩაელიმა გურამს. – ორმოცი წელი ვიმუშავე იმ დასაწვავში და ყველაფერმა ჩემ თვალწინ გაიარა, როგორც ბავშვს დააკვირდები, როგორ იზრდება, როგორ გადის ცხოვრების ასპარეზზე. რაც მე იქ მინახავს, ჩვენისთანა...

– პირდაუბანელი, ცხვირმოუხოცავი გოგო მეუბნება, ჩვენ სხვა ტიპის სცენარები გვჭირდებაო, – ისევ თავისას ამბობს კაკო. – ჩემმა ძმაცაცმა დამირეკა, მერე ისედაც იმის დახმარებით მედგა სული, წამოდიო, სულ მეხვეწებოდა. ცხოვრობს ხალხი, ცხოვრობს. ვერ გაგაცანი, ისე, ჩემი ბრალია, შარშან იყო ჩამოსული, მთელი ცნობილი ხალხი დაპატიჟა. ცარიელ-ტარიელი წავიდა, მიიხედა, მოიხედა, რა ექნა, რა ელონა, აქ რა ეყარა. ჩემსავით საწერ მაგიდას კი არ შესწირა თავი. კი მეუბნებოდა, სანანებელი გაგიხდებაო. ის დრო აღარასოდეს დაბრუნდება, სცენარს რო მიიტანდი კინოსტუდიაში და გულაობდიო. სამშობლო, სამშობლო...

ეგეც შენი სამშობლო.

მაგან გადამატანინა ეს წლები, თორემ ჩემი ძვლებიც აღარ იქნებოდა.

„მოსფილმში“ ჰყოლია ვილაც ახლობელი და გამომიგზავნა „მოსფილმში“. ამათ რო გახსენეს სტუდიები...

შევხვდი, ვესაუბრე, ჭკვიანი ხალხი ჩანს და ვნახოთ...

კიდევ ერთი სვანური ქუდი გამოჩნდა მიკროავტობუსის კართან.

– აი, ესლა გვაკლდა, – ნაიბურტყუნა კალემ.

ჟღალწვერიანი ფიქრებიდან გამოერკვა.

– ვიზე ამბობ?

– პოეზიის ქურუმის ნოდება რო მიანიჭა თავის თავს.

ჟღალწვერიანმა გადაიხარხარა და მიკროავტობუსში ამოსულ ნოშრევან ჯ-ს ცრემლჩამდგარი თვალებით მიაჩერდა.

ნოშრევანი ჯერ კოლეგებს მიესალმა, მერე ცარიელ სკამებს დააკვირდა. კარგა ხანს ფიქრობდა, სად მოკალათებულიყო და ბოლოს მწვანე, ფარშავანგებით მორთულ, მარაოიან, შინაბერა პოეტ ქალს მიუჯდა გვერდით.

– ათი წუთიც და წავიდეთ! – გამოაცხადა მძღოლმა და მცირე ხნით მიკროავტობუსიდან ჩაბტა.

– ეს სადლა ჯანდაბაში მიდის, – შავტუხა მძღოლს გადაუკურთხა კაკომ.

– რა იქნა ეს კაცი, – ყველას გასაგონად იკითხა, მაგრამ, როგორც კაკომ იცოდა იმ მძღოლის ასავალ-დასავალი, ისე სხვებმა.

– ყველა ერთნაირია, ყველა, დიდი და პატარა,

ჭკვიანი და სულელი, მწერალი და მძღოლი. სად მოვდიოდი, რო მოვდიოდი. ვიცი, იქ რა სპექტაკლსაც დადგამენ, წინასწარ ექნებათ განადღებული ადგილები, უკვე ეცოდინებათ, ვის რომელი პრემია შეხვდება.

გურამმა პასუხად თითები აატკაცუნა.

– ტკიცინები, ტკიცინები, ორ ლობიანს მოგვითანენ და... როგორც ხდება ხოლმე.

ნოშრევან ჯ. გვერდით მჯდომ ქალს აცქერდება, თითქო იცნობს, თითქო არა, სადღაც ჰყავს ნანახი, თუ სადღაც დაუმეგობრდა, ველარ იხსენებს პოეზიის ქურუმი. აკვირდება, ხან სახეზე შეავლებს მზერას, ხან ჩამობერტყილ მკერდზე შეაცოცებს ჟინწართმეულ თვალებს, დაჭორფლილი ყელიდან მალვით ჩაჰყვება ღარამდე.

– ეჰ, გავკარი ცხოვრებას, – ბრაზდება ნოშრევან ჯ.

სიბერეში ეროტიული ნაკადი შეიჭრა მის ლექსებში. ლექსებითლა მიათროკიალებს ბებერ, ძალაგამოცლილ ვნებებს.

– სიბერეს დაუდგეს თვალი, ტყუილა კი არ მითხრა ერთხელ ჩემმა ძმაკაცმა, სანამ დროა, სანამ გული გერჩის, ცოტა გაიხედ-გამოიხედე, დატკბი სიცოცხლით, თორემ რო დაბერდები, მერე ფაფა რო აღარ განყენს, ეგეც გაგიხარდებაო, ფაფა, ფაფა... – თითქო ჭვავის ფაფის სურნელმა მოუღიტინა ცხვირთან.

ქალს ლიტერატურული ჟურნალი გაეშალა და საკუთარ ლექსებს უკვე მერამდენედ კითხულობდა ნოშრევან ჯ. ცალი თვალით ჟურნალში იჭყიტებოდა, მაგრამ ასოებს ვერ არჩევდა.

„სად მინახავს, სად მინახავს, სად მინახავს“, – ვერა და ვერ გაიხსენა სად ჰყავდა ეს შინაბერა, შლიაპიანი ქალბატონი ნანახი.

ნოშრევან ჯ.-ს არაფერი უკითხავს, ქალი მიუბრუნდა, ოქროს კბილებით შეჰლიმა და ჟურნალი მიაჩერა.

– „ანძის“ ბოლო ნომერია, ჩემი ლექსებით, თუ გაინტერესებთ, გაეცანით.

„ანძის“ ხსენებაზე იტყოდი, რო ცივი წყალი დაახსეს ნოშრევანს. შეიმშუშნა, თითქო ეხლალა იგრძნო, რო ეკლებზე იჯდა.

– ჩვენ ზელიმხან რ.-ს პოეზიის საღამოზე შევხვდით ერთმანეთს, – თქვა ქალმა და მარაო გაშალა.

– ააა, – ამოიზმუკუნმა. – კი, გიცანით, მე წაკითხული მაქვს თქვენი ლექსები.

ქალს დანაოჭებული შუბლი მარაოსავით გაეხსნა.

– ქალბატონო...

– კლარა, – მიემშველა ქალი.

– კი, კი, გიცანით, გიცანით, თქვენ სიტყვითაც გამოხვედით.

– დიახ, დიახ, მეც მახსოვხართ, წინა რიგში იჯექით.

– კი, ნინა რიგში, – უცბათ ყველაფერი გაიხსენა ნოშრევანმა.

– კარგი საღამო იყო.

– ნამდვილად კარგი საღამო იყო, აკადემიური.

– ზელიმხანი ცუდად გახდა.

– თავიდანვე ვერ იყო კარგად. მერე, ალბათ, ემოციებმა თავისი ქნა.

– კარგი ლექსები ჰქონდა.

– კი, კარგი ლექსები ჰქონდა. ვაჟას კი ბაძავდა, მაგრამ კარგი ლექსები ჰქონდა.

– ყველა ვილაცას ბაძავს, – თქვა ნოშრევანმა. – არ არსებობს პოეტი, რომელიმე სხვა პოეტის გავლენა რომ არ ჰქონდეს. რუსთაველი რო რუსთაველია...

– საცოდავი ზელიმხანი, – ღიმილი გაუქრა ქალს.

– რატოა საცოდავი? – იკითხა ნოშრევანმა.

– ორი თვის წინ გარდაიცვალა.

– უი, რას მეუბნებით!

– კი, ვიყავი დაკრძალვაზე.

– როგორ ვერ გავიგე, – ჩაფიქრდა ნოშრევანი. – როგორ ვერ გავიგე. ვინ რას შეგატყობინებს, ვინ რას გაგატყობინებს. ეჰ, სიცოცხლე მოგბეზრდება ადამიანს.

– პოეზიის საღამოზე იმდენი ხალხი იყო, დაკრძალვაზე კიდევ ამწევი არ ჰყავდა.

– ცოცხალი არ უნდათ ადამიანი ახლა და რა გასაკ-

ვირია, რო მკვდარი არ უნდოდეთ, – რაღაც უხეიროდ თქვა ნოშრევან ჯ.-მ. – ღმერთმა აცხონოს, დამენანა. ნავიდოდი, რომ გამეგო. ბიჭსაც კარგად ვიცნობ, დავ-ბრუნდებით თუ არა, მივალ ოჯახში. სად დაკრძალეს?

ქალი ჯერ ღუმდა, მერე მარაოთი აინიავა სახე, შეყოვნდა და ნოშრევანს შეხედა.

– სადღაც თბილისის ზღვის პირას, გადაკარგულში. პანთეონს კაცი უნდა, კაცი, თუ ვინმე არ გყავს.

ნოშრევან ჯ. ღუმდა, ჟურნალი გადაფურცლა და ერთი თანამოკლამის სურათს მოჰკრა თუ არა თვალი, რომლის ლექსებისთვის ჟურნალში ერთი გვერდი დაეთმოთ, ნიკაპი აუცახცახდა.

თითქო ენას ველარ იმორჩილებდა, ჟურნალი მუხლებზე დაიდო, ფეხები მოწყდა. ენაგადაყლაპულივით იჯდა. ქალი ჯერ მდუმარედ მიშტერებოდა, ბოლოს ხელი შეახო მხარზე და ჰკითხა.

– ცუდად ხართ?

ნოშრევანი ისევ ქანდაკებასავით იჯდა.

– ცუდად ხართ?

ნოშრევანმა პერანგი გაიხსნა.

ქალმა მარაო დაუქნია.

ქალი ის იყო, ფეხზე წამოდგა და დააპირა ეთქვა, მოხედეთ, კაცი ცუდად არისო, ნოშრევანმა ხელი შეახო, ანიშნა, არაფერი თქვაო.

მცირე ხანს ასე მდუმარედ ისხდნენ.

ქალი პოეზიის ქურუმს აკვირდებოდა, რომელსაც თანდათან ფერი მოუვიდა.

– გარენარი, გათახსირებული, წამხდარი, არაკაცი, უნიჭო, უხ, მე მაგის! – ნოშრევანმა ენა ამოიდგა როგორც იქნა. – ამას დამიხედეთ, როგორ გამოუჭიმიათ, მე თქვენ გიჩვენებთ...

– აგენტია ამის რედაქტორი, – ქალს აწითლებული თვალებით ისე შეხედა, იტყოდი, რო ყველაფერში ეს შლაპიანი შინაბერა პოეტი იყო დამნაშავე. – აგენტია და ნახავთ, თუ არ დავუმტკიცებ.

– ვიზე ამბობთ? – გაიკვირვა ქალმა.

– ვიზე ვამბობ და „ანძის“ რედაქტორზე.

– რუსეთის აგენტია, რამდენჯერაც მივუტანე ჩემი ლექსები, რომლებიც 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულ მებრძოლებს ეძღვნებოდა, სადღაც გადაყარა. მაგას ჰგონია... ყველაფერს მივაკლიე მაგის ირგვლივ.

– იოსავაზე ამბობთ? – გაოცდა ქალი.

– დიახ, დიახ იოსავაზე, მამა აბრამის კრავივით რო მოაქვს თავი, მალე დაულაგებენ მაგას შესაბამის მასალებს. შემოგზავნილი აგენტია, შემთხვევით კი არ დაინიშნა მანდ. ჩემი ლექსები, გმირებისადმი მიძღვნილი, სადაც მოთხრილი მყავდა მთელი რუსეთი, სადღაც გადაყარა. პუტინის ლანძღვა ვერ აიტანა. სა-

მაგიეროდ... – პირი გაუშრა ნოშრევან ჯ.-ს. – სამაგიეროდ ეს პლაგიატი ჰყავს გამოჭიმული, კოტიტა სალოკი თითი დაადო „მოსისხლე“ თანამოკლამის ფოტოს. ამნაირებისთვის ამოდის მზე ჩრდილოეთიდან, არც „ვოლგა“ მოჰკლებია თავის დროზე და არც ქვიშხეთი. ცოლ-შვილს აგულავებდა. პიცუნდის პლაჟზე უძღვნიდა ლექსებს ბრეჟნევსა და ანდროპოვს. ჩერნენკო გახსოვს? კონსტანტინ უსტინოვიჩი, ხელით რო დაჰყავდათ. სურათი ჰქონდა ჩერნენკოსთან გადაღებული, მთელი საქართველო მოატარა. რამდენ ენაზე უთარგმნეს კრებული „ყანა“ თუ იცი?

ქალმა თავი გააქნია უარის ნიშნად.

– თერთმეტ ენაზე. მოსდიოდა და მოსდიოდა ჰონორარები, მოსდიოდა და მოსდიოდა. საბჭოთა კავშირი რო დაინგრა, უცბად დისიდენტი გახდა და სამფეროვანი დროშით იდგა მიტინგებზე. მიწასთან გაასწორეს კრიტიკოსებმა. ასეთი პროლეტარი მწერლის ადგილი თავისუფალ ქვეყანაში არ არისო, სავსე იყო, კაცო, საბჭოეთის ხობბა-დიდებით მისი გაურანდავი ლექსი. კაცი რო ლექსში მაცხოვარს მატყუარას უწოდებს, ღმერთო შენ გვიშველე! – პირფვარი გადაინერა ნოშრევანმა. – კარგად წაიკითხეთ ჩემი ლექსები, კარგად წაიკითხეთო, იმ ქებაში ლანძღვა იმალებათ, თფუი! ეს თუ კაცია. კაცის გარდა, ყველაფერია. საქა-

რთველოს პირველ პრეზიდენტს გვერდიდან არ შორდებოდა. დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრემიაც დაირტყა. კრებულს იცი რა დაარქვა? – „დასანყისი“. არადა, მაგის დასასრული უნდა ყოფილიყო.

მოკლედ, თავში ქვა უხლია და მუცელში სამართებული, რაც საზოგადოება... გამოთაყვანებული ხალხი მეტის ღირსია. არ გამიკვირდება, ხვალ რო ტახტრევანზე დასვან და აკაკივით შემოატარონ საქართველოს კუთხე-კუნჭული.

სისხლი გამიშრა, რა კაცის საქმეა ასეთი საუბარი, მაგრამ გული ვეღარ გაუძლებს, ვიცი, ორჯერ გადავიტანე მიკროა, თუ რაღაც ჯანდაბა, ყველა გაზეთში, ყველა ჟურნალში გზა დამიხშო. ჰიპნოზს უკეთებს, მგონია. ჩემი სახელისა და გვარის გაგონებაზე ხასიათი ეცვლება.

ამ ჟურნალში ნახევარი წლის წინ მივიტანე ჩემი რაჭული ციკლის ლექსები, სახელწოდებით „ღამეები შაორზე“. აი, დღეს, აი, ხვალ. მერე როგორი საშინელი შეგრძნებაა – მიხვალ ჟურნალ-გაზეთების ჯიხურთან, აიღებ და სულის ფანცქალით შლი – ან ამ გვერდზე იქნება, ან ამ გვერდზე, შენ შლი, შლი, სად არის? შენც არ მომიკვდე, სადღაც გადაყრიდნენ, უფრო სწორად, ეგ გადაყრევენება, ყველგან ეგ მხვდება. თავიდანვე იგუმანა, რო ჩემს სამწერლო ასპარეზზე გამოჩენა მა-

გას დაჩრდილავდა, მაგის... უკაცრავად თქვენთან.

სახეები ნახე მაგასთან, გადამღერებულნი...

მამის სულს ვფიცავ, თუ შეიძლება დამკვიდრდეს ლიტერატურაში პოეზიის ილუზიონისტი, აეს ტერმინია ზედ გამოჭრილი. თვალსა ხელს შუა გნაპნის სახეებს. მაგის ლექსი სიმღერად რო ააგუგუნეს იებზე, ხომ იცი?

ქალმა თავი დაუქნია.

– ჩემია ეგ იები, ჩემგან მოიპარა.

– იები ყველასია, – ჩაილიმა ნაოჭებდაფარულ ღანვებში ქალმა.

– კი, გეტანხმები ყველასია, იებს კი არ ვიჩემებ, მაგრამ მე სახეზე მაქვს საუბარი. იები ღმერთის გულსაბნევი. ამ უნამუსოს ოდნავ გადაეკეთებინა მაინც, პირდაპირ მოიპარა, წერილი მივწერე, საკმაოდ მკაცრად, ვაპირებდი თავი შევიკავო-მეთქი, მაგრამ ეს ლექსი რაც სიმღერად გადაიქცა, ძალიან გამაღიზიანებელი გახდა, როგორია მღერიან: იები ღმერთის გულსაბნევი... და მერე აცხადებენ ტექსტის ავტორი ესა და ესა. მოითმინე როგორია. მივწერე, მკაცრი ტონით მივწერე, თან ჩემი ლექსიც დავურთე. ვიფიქრე, იქნებ რალაცნაირად ნამუსმა შეაწუხოს-მეთქი. ნამუსი... რა ნამუსი, რის ნამუსი, ნამუსი მაშინ განუხებს, როცა გაქვს. სად აქვს მაგას... რა მომწერა მაგ არაკაცმა და

არაპოეტმა თუ იცი?

ჰმ, გაგიჟდები, ლამის სისხლი ჩამექცა, ჩემს ლექსზე ისევ მე ვინერვიულე, უარესი წერილი მომწერა, საკითხავია, ვინ ვის მოპარა ეგ სახეო, იებს გულისხმობდა. სად იყო შენი ლექსი, როცა ჩემი იები გამოქვეყნდა და ხელიდან ხელში გადადიოდაო. ის კი არა, ჩივილითაც დამემუქრა. პასუხს გაგებინებ, მაგ მითვისება-ქურდობაზე, იქ წარსდგები, სადაც საჭიროაო, აბა, წადი და ელაპარაკე. დავმუნჯდი, ენა ჩამივარდა. ვფიქრობდი, კაცო, მართლა ხო არ დანერა ჩემზე უფრო ადრე-მეთქი. ტვინი გადავიტრიალე, დამაეჭვა, წარმოგიდგენია? აი, ეს არის ნამდვილი თაღლითობა, როცა თვითონაც სჯერათ საკუთარი ტყუილისა. მას შემდეგ, როგორც კი სიმღერად გადაქცეული ვითომ მაგისი ლექსი აჟღერდება ამ ჩემი ცოდვით სავსე ტელევიზორში, მაშინვე წნევა მიწევს...

გაზეთი ზიზლით დაკეცა, თან რაღაცა ჩაილაპარაკა, გაურკვეველად, ტუჩების ცმაცუნით გაუგზავნა სამსართულიანი, იმ კაცს, ვისი ფოტოს დანახვაზეც ხასიათი ერთიანად წაუხდა.

\* \* \*

ბუტბუტით ამოვიდა კიდევ ერთი სვანურქუდიანი. მიათვალიერ-მოათვალიერა მიკროავტობუსი. ჩინწართ-

მეული თვალებით სათითაოდ აკვირდებოდა სავარძლებზე მოკალათებულ თანამოკალმეებს. ფიქრობდა, თუ ის აქ იქნება, უკან უნდა ჩავიდე, იმ არსახსენებლის გვერდით მე არსად წამსვლელი არა ვარო, მცირე ხანში რალაცნაირად მოხალისდა, დარწმუნდა რომ მისი მტერი მიკროავტობუსში არ იჯდა და ბოლოს უკვე ადგილს დაუნყო ძებნა, ვილაცამ ბოლოდან ხელი აუწია და დაუძახა.

– ზებო, აქეთ გადმოდი, ბოლოში გადმოდი.

ვერ მიხვდა, ვინ იყო, დაკუჭული ცხვირსახოცი ამოიღო, ოფლიანი სახე შეიმშრალა.

– ზებო, აქეთ-მეთქი, კაცო!

თვალები მოჭუტა, დააკვირდა და თავისი ძველისძველი თანამშრომელი, კოტე იცნო. რედაქციაში ერთად მუშაობდნენ, კოტე სოფლის საკითხებზე წერდა ხოლმე, ბოლოს ისიც ლექსებზე გადავიდა და სიბერეში ორიოდ კრებულის გამოცემაც მოახერხა.

– ხო არ დამიბერდი კაცო!

– ეეჰ, – ხელი ჩაიქნია ზებომ. – ვადაგასულ პეჩენიასავით ვარ, – ჩაიქირქილა და კოტეს გვერდით ჩაეშვა. – რა პატარა სკამები აქვს ამ ოხერს.

– მირიანი ხომ გახსოვს, ჩვენი ფოტო-კორესპონდენტი.

– როგორ არ მახსოვს, – თავი დაუქნია ზებომ და

აჩეჩილ წარბებზე ხელი გადაისვა, მერე ისევ დაკუჭული ცხვირსახოცი ამოიღო კოსტუმის ჯიბიდან და, წამოხურებული, გაოფლილი სახე შეიმშრალა. – საწყალი მირიანი...

– მირიანის ზომაზე აქვს ამ ოხერს სკამები, – ჩაეცინა კოტეს. – როგორ უცბათ მოკვდა მირიანი, როგორ უცბათ წავიდა. რა საშინელებაა, კაცო...

– შვილები არ უვარგოდა, განსაკუთრებით უმცროსი ვაჟი, ხო გახსოვს, აქ დაატარებდა სულ.

ზებო ჩაფიქრდა.

– რომელზე ამბობ? მოიცა, გავიხსენო.

– მირიანის ასლი იყო, იმნაირი ქორწილიანი.

– ჰოო, – დაუქნია თავი ზებომ, მაგრამ ვერ გაიხსენა და ისევ გააგრძელა ფიქრი.

რედაქციის ამბები ამოტივტივდა, მაგრამ ის ბავშვი არსად ჩანდა.

– რა კარგი ბიჭი იყო, მაგრამ მირიანმა გააფუჭა, ყველა სურვილს რო აუსრულებ შვილს, იმას ცხოვრებას შესაქმელად უგდებ, როგორც ლომს შეუგდებ გალიაში ბაჭიას, ისე გადასანსლავს გაზულუქებულ და ხერხემალ-გაუმადრებელ ადამიანს ცხოვრება. შვილი მტრულად გაზარდე და მოყვრულად გამოგადგებაო. ტყუილად კი არ დაუნერიათ ჩვენს ბრძენ წინაპრებს. გაათავხედა ის პატარა ბიჭი, უფროსი რუსეთში გაიქცა, სამი პირი

ცოლ-შვილი ჰყავს. ხან სად დაწანწალებს, ხან სად. პატარამ დაღევა და თამაში დაიწყო და ეს ჩვენი საცოდავი მირიანი უსახლკაროდ დატოვეს. ნათესავის ბინაში გარდაიცვალა, იქიდან გამოუსვენებიათ, – მცირე ხანს შეყვონდა კოტე. – შემთხვევით გავიგე, გოგია შემხვდა ამას წინათ ბაზარში, სტამბის გოგია.

– ხო, გოგია კარგად მახსოვს, – თავი დაუქნია ზებომ.

– გოგიამ მითხრა, წინა კვირას დამარხეს მირიანო. ისე მენყინა, ისე...

– რატო გაგეხარდებოდა... არ იყო ცუდი კაცი მირიანი.

– არა, რას ამბობ, რა ცუდი... კარგი ადამიანი, ცოტა წაიხიჭიპრიჭებდა ხოლმე, მაგრამ უნაკლო ადამიანი სად გინახავს.

– მართლა... როგორ დამთავრდა ის ამბები, შენი მეზობელი ვანო მიყვებოდა.

ზებო ვერ მიხვდა.

– იმ გოთვერანზე გეკითხები, კაცო, რა მოგივიდა, სიბერის სუნი აგდის რაღაცა.

– ამდის, ამდის, – თავი დაუქნია ზებომ მორჩილად.

– იმაზე, პანთეონის თემაზე რო დავობდით.

ზებოს იმ წამს წამოეშალა სეტყვის ღრუბლები სახეზე.

– ოხ, მე მაგის, ახლა რო მოვდიოდი ლიტერატურული ფესტივალია, თუ რაღაცა, მოსაწვევი მომიტანეს და უარი ვერ ვუთხარი, თორე, აღარ მინდა აღარაფერი, ყელში ამოვიდა ამდენი სიყალბე. სიყალბით ცხოვრობს კაცთა მოდგმა...

– ეგ შენზე ადრე დაწერეს.

– ვიცი, კი არ ვაბრალებ... – ჩანითლებული მარჯვენა თვალი ამოისრისა ზებომ. – მარშუტკაში ვიყურებოდი აქეთ-იქით, ვიფიქრე, თუ ის გარეწარი აქ არის, ჩემი ფეხი არ იქნება, უკან უნდა გავბრუნდეთქი.

– ნეტა კაცო! – ხელი ჩაიქნია კოტემ.

– არა, მართლა ჩავიდოდი. ახლა უზენაესში ვაპირებ რო შევიტანო, მაინც არ მოვეშვები. ის ცხოვრებული ვახტანგი კი მივაბარეთ მიწას, ვამბობ, რო გალაკტიონის მერე ამნაირი პოეტი არა გვყოლია-მეთქი და არ მიჯერებენ ეს ტვინგანყალბელები, ვილაცამ უნდა დაავალოს, რო დამიჯერონ, ისე არ დამიჯერებენ. დარწმუნებული ვარ, რუსთაველი ხელახლა რო მოვიდეს, დიდება მის სახელს, – პირჯვარი გადაიწერა ზებომ. – „ვეფხისტყაოსანი“ ხელახლა რო დაგვიწეროს, მასაც არ აღიარებენ, თუ მაღლიდან ვილაცამ არ დაავალა. დავწერე რამდენჯერმე, გამოვაქვეყნე, ისე კი არა, ზოგიერთები რო ბჟუტურებენ. სერიოზული

არგუმენტებით... – აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა ზებომ და კოტეს ჩასჩურჩულა. – გალაკტიონს თუ არ ალემატება, ნაკლები არ არის. მაპატიოს გალას სულმა, მაგრამ სულ რამდენიმე ლექსია გამორჩეული, დანარჩენი ჩალაბულაა.

კოტეს არაფერი უთქვამს.

– მოვა დრო და მიხვდებიან. სიმართლეს ვერაფერი ვერ დამალავს, ხო იცი, რახან ჩემი მეგობარი იყო, იმიტომ არა. ვახტანგი დიდი პოეტი იყო. დიდი, ეჭვიც არ მეპარება ამაში, გული იმაზე მწყდება, რო ასეთი დაუფასებელი წავიდა, ერთტომეულიც კი არ აღირსეს, სამაგიეროდ უნიჭობმა წაღეკეს ყველაფერი, იმ არამზადა ვასოსნაირებს დარჩა ქვეყანა.

დრო მაგნიარებისთვის არ არსებობს და მთავრობა, ერთი ვაგონი ვაზელინი აქვთ ნაყიდი და შეძრომასაც ისე დაუმულამეს, – კოტეს ჩაეცინა. – მართლა ისე დაუმულამეს, სლიკინით ძვრებიან, სლიკინით, ვაზელინი ბევრი აქვთ, წასმაც არ ეზარებათ, შეძრომა კიდე მაგათი საქმეა. იციან, კარგად იციან და გამოსდით კიდევ. როდის არ იხეირა?

– ვიზე ამბობ?

– ვიზეც დავინყე, იმ სალახანა ვასოზე. შევარდნაძის კალთიდან რო სკუპ-სკუპით მოდის და ყველასთან რო მიცემული აქვს. ერთი ადგილის გამო ატეხა ამხ-

ელა ამბავი, ერთი ადგილის გამო, საფლავის გამო, – ხელი ხელს შემოჰკრა ზებომ. – ასეთი რამე არ მინახავს, საფლავი გენანებოდეს კაცისთვის, მიცვალებული კოლეგისთვის მინა გენანებოდეს.

– ბოლო, ბოლო...

– ბოლო არ ჩანს ჯერ, – არ დაამთავრებინა კოტეს.  
– ბოლოს ვაჩვენებ მაგას. თუ სასამართლოებით ვერ მოვუგებ, მაინც დედას ვუტირებ, ჩემს გულზე არ გადავატარებ.

– მხედრიონშიც ხო იყო ეგა, – კოტემ კიდევ უფრო მიუმარჯვა ნავთი.

– ყაჩაღია, ნამდვილი ყაჩაღია, – ხმას აუწია ზებომ.  
– ნაძარცვი ქონებით გამდიდრდა, ნაალაფარი შეიტანა სახლში და ეხლა ზნეობასა და მორალზე გელაპარაკება, ტექსტებიდან გარიგებს, როგორ უნდა იცხოვრო ნამუსიანად.

– ფოტოს დამპირდნენ და თუ ის ფოტო მომიტანეს...

– რა ფოტოს, – ჩაეძია კოტე.

ისევ აქეთ-იქით გააპრა თვალი ზებომ, ხომ არავინ მისმენსო.

– ავტომატით რო დგას თავის ყაჩაღ მეგობრებთან ერთად. ერთი შემპირდა. ყველაფერს მივცემ, ოღონდ ეგ ფოტო ჩავიგდო ხელში. უკვე ჩამოვწერე

ჟურნალ-გაზეთები, სადაც გამოქვეყნდება, მერე უკ-  
მიონ გუნდრუკი. ლამის არის, ერის მამად შერაცხ-  
ონ, ეგ უნიჭო ეგა. არადა, მოლაპარაკებული ვიყავი  
უკვე ხელმძღვანელობასთან, მთლად უფროსი დავი-  
თანხმე, სიცოცხლეში ვერ ვეცით სათანადო პატივი  
და ახლა მაინც გავაპატიოსნოთ ეს დიდებული პოეტი  
და საზოგადო მოღვაწე-მეთქი. თავს მიქნევდა მთ-  
ლად უფროსი ასკილივით, როგორ არაო, მაგ კაცს  
ნამდვილად ეკუთვნის ღირსეული პატივით დაკრძალ-  
ვაო, მის ლესებზე გაიზარდა ჩემი თაობაო და ერთი-  
ორი ლექსიდან, ვახტანგის ლექსებზე მაქვს საუბარი,  
ნაწყვეტებიც კი მითხრა, დამკრძალავი კომისია შეექმ-  
ნათო. ტელეფონს დასწვდა, ვილაცას უთხრა, ჩემთან  
შემოდიო. დადებული არ ჰქონდა ყურმილი, რო ვილაც  
აყლაყუდა შემოვიდა. იმას დაავალა. დამკრძალავი  
კომისია შექმნეს დიდისამბით. გამიხარდა, ცრემლი  
მერეოდა თვალებზე, პანთეონზეც რო ვუთხარი მთლად  
უფროსს, ორივე ხელი ასწია. თუ ვინმეს ეკუთვნის  
პანთეონის პატივი, სწორედ მაგ კაცს ეკუთვნისო,  
ერთადერთი ადგილიაა დარჩენილი, ვიცი, ვილაცები  
წინააღმდეგეები იქნებიან, მაგრამ როგორმე უნდა გავი-  
ტანოთ ბოლომდე-მეთქი. გაეღიმა, რას ჰქვია წინააღ-  
მდეგეები იქნებიან, პანთეონი მათი მამაპაპური ქონება  
კი არ არის, ვიზეც ჩვენ გადავწყვეტთ, სწორედ ის

მოღვაწე დაიკრძლებაო.

გული მიგებდა, ვიცი მე მაგათი ამბავი და პირად კონტროლზე აიყვანეთ-მეთქი – ვთხოვე. ტელეფონს დასწვდა და თანაშემწეს დაელაპარაკა – სასწრაფოდ პანთეონის დირექტორი მოვიდესო. ათიოდე წუთი არ იყო გასული და ულვაშების ცმაცუნით შემოვიდა ნაბდისქუდიანი ჭაღარა დირექტორი, მთელი ცხოვრება რო გამოჩენილი ადამიანების სასაფლაოს უდგა სათავეში.

მთლად უფროსი რასაც ეუბნებოდა, ყველაფერზე თავს უქნევდა, მაგრამ თვალეზე შევატყვე, რო დიდად არ ესიამოვნა ეს ამბავი, რა გითხრა, შეიძლება, ვილაცისთვის იყო შეპირებული. არ გამიკვირდება, მამის სულს გეფიცები. ჩვეულებრივი საფლავის ადგილი რა ფასებში იყიდება და პანთეონში ხო წარმომიდგენია.

თავს კი უქნევდა, მაგრამ თვალეებს უშნოდ აცეცებდა. რა უნდა გამომეპაროს, ათას ცეცხლოვანზე გადამახტუნა ცხოვრებამ.

– კიო, ამოიზმუკუნა ნაბდისქუდიანმა საიქიოს დირექტორმა, ერთადერთი ადგილია ლოპესთან დარჩენილიო, მაგრამ უფროსს უარი ვეღარ უთხრა.

ერთი სიტყვით დამთანხმდნენ.

მოვდიოდი და ლაპალუპით მომდიოდა ცრემლები, გული ამიდულდა. რაღაცნაირად, თითქოს ვალმოხდი-

ლი ვიყავი იმ ცხონებული ვახტანგის სულის წინაშე.

ოჯახში მივედი, ვუთხარი ჭირისუფლებს ეს ამბავი. უარესად ავიშვიშდა მეუღლე, ხმამაღლა დაატირა – სიცოცხლეში კი არ გაღირსეს პატივისცემა, მაგრამ სიკვდილში მაინც გქონია ილბალი, შე უბედურო, მერე ჩუმად მითხრა, პანთეონში რო დაკრძალავენ საფლავზე ხომ ჩვეულებრივად შეიძლება გასვლაო.

– ვინ დაგიშლით, საფლავი საფლავია-მეთქი.

წამოვედი იმ სალამოს გულდამშვიდებული, მაგრამ მაინც დამიცოცავს ეჭვის ჭია. ბავშვობიდან ეგრე ვარ, გული რო მეტყვის წინასწარ, დამთავრდა. რალაც ცუდი გუმანი მქონდა. როგორც კი ვახტანგის ოჯახიდან ამბავი გაიტანეს, პანთეონში უნდა დაკრძალონო, ტ...კით კაკალი დაუნტვრევია იმ ყაჩაღ ვასოს, რას ჰქვიაო, პანთეონის დირექტორი თურმე მისთვის ყოფილა შეპირებული, ვასოსთვის მიუზომია ეს ადგილი, მთლად უფროსთანაც მივარდნილა, კარალიოკის ჩირივით რო არიგებთ პანთეონის ადგილებს, სხვას არავის უნდა ჰკითხოთო? თავზე დაგამხობთ ყველაფერსო, აიქ ჩავალ მთლად უფროსთან და მე თქვენ გაჩვენებთ, როგორ უნდა საზოგადოების უკითხავად პანთეონის ადგილების გაყიდვაო.

– რა გაყიდვა, რის გაყიდვა, – თვალები ლამის გადმოსცვივდა თურმე მთლად უფროსს.

– ეგ მერე ამტკიცეთო, – უთქვამს ყაჩაღს და გამოტრიალდა.

დილაუთენია დამირეკეს. ერთ-ერთი სამსახურის უფროსი ვარო, თან პირი უშრებოდა. ვისი დავალებით მირეკავ-მეთქი. ვერ მეუბნებოდა, მთლად უფროსმა დაგავალა-მეთქი? გაჩუმდა. მივხვდი, რო ვასოს ოინები იყო. ძალიან კი გვეუხერხულება, მით უმეტეს ოჯახმა უკვე იცოდა, მაგრამ იურისტებმა ითათბირეს ნუხელ, გვიან ღამით დამთავრდა შეხვედრაო. მითხარი ბოლო-ბოლო-მეთქი, ღამის ტელეფონში გავყა თავი.

გაჩუმდა. შევატყვე, რო ჩაიკუკა.

– მითხარი, მითხარი, შე ვასოს მონა-მეთქი.

– ვინ არის, კაცო, ვასო... მე არავის მონა არ ვარ, რაც იურისტებმა მითხრეს, იმას გეუბნებითო.

– რა გითხრეს-მეთქი.

– ვერაფრით ვერ მოხერხდება მაგ კაცის პანთეონში დაკრძალვა. როგორც გაირკვა, ეგ კაცი რაიონში ყოფილა ჩანერილიო.

– მერე-მეთქი.

– კი, სოფელში ყოფილა ჩანერილი და სამართლებრივად არაფრით არ შეიძლება ქალაქის ბალანსზე არსებულ პანთეონში დაკრძალვა, ამაზე რო ვილაცამ იჩივლოსო... ქალაქი და რაიონი ხო გაყოფილია და ქალაქის ბალანსზე... – ენა ებმოდა.

– რა სისულელეებს ლაპარაკობ, შე უპატრონო, – ველარ მოვითმინე და გადავუკურთხე.

ტელეფონი გამითიშა. ყურმილი შემრჩა ხელში და ვიგინებოდი, არ ვიცი, ლამის ჭერი დამემხო თავზე.

– „ბალანსზეო. რო გაესაჩივრებინა ვასოს, შეიძლება ცხონებული უკან ამოეთხარათ, არც ეგ გამიკვირდებოდა“.

წავედი გაცეცხლებული, შევვარდი მთლად უფროსის მისაღებში. წინ გადამიდგა თანაშემწე.

– სად არის-მეთქი.

– ამ დილით გაემგზავრა უცხოეთშიო.

კბილებს ვაკრაჭუნებდი.

– სად უცხოეთში-მეთქი.

– მაგდენი ინფორმაციის მოცემის უფლება არ მაქვსო.

წამოვედი სართულ-სართულიანებით, თქვენი უნამუსო დედა, თქვენი-მეთქი, თან ვასოს სახე მედგა თვალწინ და უარესად ვცოფდებოდი. მივდიოდი და ვასოს ხარხარი მომდევა. დანა რო დაგერტყა, სისხლი არ გამომივიდოდა. ვახტანგის გასვენებაშიც ველარ მივედი, როგორ შემეხედა ჭირისუფლებისათვის, სულში ჩაფურთხებული დავდიოდი. მერე და მერე ყველაფერი გავიგე, რაშიც ყოფილა საქმე. იმ ყაჩაღს ვილაცისთვის დაურეკინებია მაღლიდან მთლად უფროსისთვის,

ეგ ადგილი დაკავებულია და არავინ დაკრძალოთო. ვასო გვერდით უჯდა, რო არეკინებდა და უხაროდა, საფლავი რო იშოვა, ის უხაროდა, საფლავი რო კაცს ასე გაახარებს.

ავდექი და შევიტანე სასამართლოში. ჩემს ცხოვრებაში საჩივარი არ დამიწერია, მაგრამ ისე ვიყავი გამწარებული... ყველაფერს რო თავი დაანებო, თავმოყვარეობის საკითხია.

ადგილობრივმა სასამართლომ მე გამატყუნა, დადგენილებაში იგივე ჩაწერა, რაც იმ კაცმა მითხრა ტელეფონით. ქალაქის ბალანსზეა პანთეონი და უფლება არ ჰქონია, რო სოფელში მცხოვრები კაცი იქ დაკრძალონ და გააპატიოსნონ. კანონი ასეთიაო, თვითმმართველობის კანონის მუხლები იყო ჩამოწიკნიკებული, ყველაფერი ამ ყაჩაღზე როგორ არის მორგებული...

– ილბალიც აქვს, – ჩაილაპარაკა კოტემ.

– უ, მაგის, – თვალეები დააბრიალა ზებომ.

– ერთი-ორჯერ სახლში მივაკითხე, თვალეებში ჩამეხედა და მეთქვა, ასე როგორ დაკარგე სინდის-ნამუსი-მეთქი, მაგრამ დამემალა, არ გამოჩნდა. ასე გასაჩივრება-გასაჩივრებით მივედი უზენაეს სასამართლომდე და სიმართლე გითხრა, აღარც მინდა სასამართლოს კარზე წოწიალი. აბა, საფლავზე რო

ასეთი რამეები მოგიწევს ადამიანს...

\* \* \*

მიკროავტობუსის კარში მელოტი თავი გამოჩნდა და შლიაპიანმა ქალბატონმა იმწამსვე გასძახა:

– ნიკო, ნიკო!

სამოცდაათს გადაცილებული პროზაიკოსი, ბოლო პერიოდში რო რობაიების კრებულიც გამოეცა, წვრილი, ნაცრისფერი თვალებით ეძებდა ნაცნობ ხმას.

– აქეთ გადმოდი, ჩემს წინ არის ადგილი, აქეთ... – ბოლოს ფეხზე წამოდგა ქალი, გვერდით მჯდომს მისი ჩამობერტყილი მკერდისკენ რო გაუბოდა მალ-მალე თვალი, ბოდიში მოუხადა.

ნიკომ როგორც კი ნაცნობი ქალი დაინახა, მუდმივად დაკოპილ სახეზე ღიმილი გამოუჩნდა.

– აკი არ მოვდივარო, – შესცინა ქალმა.

ნიკო ნაცნობი მანდილოსნის გვერდით მოკალათებულ შუახანს გადაცილებულ კაცს თავისი ეჭვიანი თვალებით დააცქერდა.

– რა ვიცი, ოთხჯერ დამირეკა არტემამ. კი ვფიქრობდი, ფეხს ვითრევდი, მაგრამ არ მომეშვა, ჩემი არც ერთი საღამო არ გაუცდენია და რალაც უხერხულად ვიგრძენი თავი, თორემ რა მეფესტივალეა, ცხვარი ბლავილით მომდევს უკვე, გაილია ნუთისოფე-

ლი, ღამდება ჩემო ლოლა, ღამდება. მეგონა, სულ დღე იქნებოდა, სულ მზე იქნებოდა, მაგრამ მზეც მთავრდება, თურმე, სანთელივით ანთია, იწვის, ბოლოს ჩაიბჟუტება და ფაფუ!

– კაი, ეხლა, ნუ დაიწყე შენებურად.

ნიკო ფანჯრისპირა სავარძელში ჩაეშვა, მაგრამ მოხერხებულად ვერ მოკალათდა და დიდხანს ბორგავდა.

– რა პატარა ადგილია, კაცო!

– დაგვემტვრევა ფეხები სანამ იქამდე ჩავალთ. მეტი ვერ გაიმეტეს? – თქვა ქალმა და მარაო გაშალა.

– გუშინ ღამე დავამთავრე ის წიგნი.

– რომელი წიგნი? – კისერი რის ვაი-ვაგლახით მოატრიალა ნიკომ.

– შენს რომანზე გეუბნები, წინანდლის ამბებზე რო გამოეცი. ალექსანდე ჭავჭავაძე და მისი ოჯახი ასე არავის დაუხატავს, ძალიან მომეწონა, დარეკვას ვაპირებდი, მაგრამ ძალიან გვიანი იყო და მომერიდა.

– დაგერეკა.

– სამი იყო ღამის.

– სამი კი არა, საერთოდ არ მძინავს, ძილი აღარ მეკარება. დავნვები ასე და ვარ გაჭოტებული, რაც გულის ოპერაცია გამიკეთეს, მას მერე უფრო დამჩემდა უძილობა. უძილობა კიდევ იცი რაც არის, ჯოჯოხ-

ეთია, საკუთარი ფიქრები ვირთხებივით გძიძგნიან, გჭამენ და შენც ესე ხაფანგში გაბმულივით უყურებ შენი სხეულის ცოცხლად შეჭმას.

– მართლა კარგი ნიგნია. ათას ნაწერში გამოარჩევ შენს ენას, განსხვავებული ხარ, ფერები, მუსიკალობა, წინადადების აგებულება.

– ეეჰ, – ხელი ჩაიქნია ნიკომ, თვალებში სიამოვნების შუქი ჩაუდგა, მაგრამ არ შეიმჩნია და ისევ წუნუნი გააგრძელა. – სიმართლე გითხრა, ლოლა, კალმის გადაგდებას ვაპირებ.

– როგორ კალმის გადაგდებას.

– ჰოო, ეგრე ვაპირებ, ეხლა რაღაც პატარა მოთხრობას ვწერ და ეგ იქნება ჩემი ბოლო ნაწარმოები...

– ოოჰ, – დაიჯღანა ლოლა.

– ეგრეა, აღარ მინდა, მომბეზრდა, წერაც მომბეზრდა, კითხვაც და საერთოდ, წუთისოფელი მომბეზრდა. მთელი ჩემი ცხოვრება დევნასა და შევიწროებაში გავატარე. ხო გახსოვს ჩემი ჟურნალი.

– რას ქვია მახსოვს, ყველა ნომერი შენახული მაქვს.

– სანამ ის ჟურნალი მქონდა, ვსუნთქავდი, ზურგის ქარივით იყო ჩემთვის, ხომ გახსოვს, მთელი რედაქცია როგორ ვიყავით ერთ ოჯახად შეკრული. იმ ჟურნალის

დახურვით დამთავრდა ყველაფერი. მეც დავმთავრდი და რა ვიცი, ახლა მხოლოდ ვარსებობ, ველოდები როდის გამომიძახებენ, – ჩაელიმა ნიკოს, მერე დაიჯღანა და გულზე მიიღო ხელი. – აპარატი ჩამიდგეს, მაგრამ მაინც მანუხებს და ხანდახან მგონია, რო ის არსახსენებელი მებრძვის კიდევ, იქიდან მებრძვის.

– ვიზე ამბობ?

ნიკო ჯერ გაჩუმდა, ლოლას გვერდით მჯდომი კაცისკენ გაექცა თვალი, დააკვირდა და ბოლოს მაინც ვერ დაიტოვა სათქმელი.

– ბაღჩოზე გეუბნები.

ლოლას გაეცინა.

– ეგ მაგარი სახელი დაარქვი ისე.

– ბაღჩოა და მაშ რა უნდა დამერქმია. როგორც ბაღჩოელებმა დააქციეს ქვეყანა ბოლშევიკების დროს, ეგეც ეგრე მებრძოდა, მაგ მეთოდებს იყენებდა და მგონია, ოცდაათიან წლებში რომ ეცხოვრა ქათმებით არ დაგვხოცავდა? მაუზერით და ვარსკვლავიანი ქუდით ირბენდა. ვერაფრით ვერ გაძლა, ვერაფრით ვერ დარწყულდა. მთელი ცხოვრება ჩემს ძიძგნაში გაატარა.

– შენს რომანში ვიცანი ეგა... – ჩაეცინა ლოლას.

– ბრძოლაც არის და ბრძოლაც, ასეთი ბინძური მეთოდებით, ასეთი ბინძური, არაკაცური ხერხებით.

დუელში გამოვინვიე და არ გამომყვა.

– დუელში? ვილამ იცის დუელი, – ჩაიკისკისა ქალმა.

– მართლა გამოვინვიე, ვიფიქრე ან ეგ იქნება, ან მე-მეთქი. ყელში ამომიყვანა, რა დასმენები, რა დანოსები, რა ანონიმკები, სადაც კი მიუდგა, ყველგან თავისი ბინძური ენა ასავსავა.

– ზუსტად გამოძერწე რომანში ისე...

– არ იყო ეგ მაგის ღირსი, ბოლოს კი ვინანე, როცა რომანი გამოვიდა, არ უნდა დამენერა-მეთქი, რალაც სიცოცხლე ვაჩუქე. კი ბინძურია წიგნშიც, მაგრამ მაინც ხო იცოცხლებს რომანის სხვა გმირებთან ერთად? მივქარე. იქნებ გაუხარდა კიდეც. სხვა რით უნდა დარჩენილიყო. მაგის ლექსი ვის ახსოვს, მაგის ბინძური სტრიქონები.

ლოლა, კაცად რო არ ვარგიხარ, არც ლექსი გამოგივა, არც მოთხრობა და არც შვილი. შენი სული ჩანს ყველგან. ვის მოატყუებდა. სიბინძურით ცხოვრობდა და ლექსებში ქრისტესა და სიყვარულზე ლაპარაკობდა, რანაირად უნდა დაიჯერო. მომწამლა, მომშხამა.

– ბაღჩო ისე კარგად დაარქვი.

– უარესი სახელიც შეიძლებოდა. მთელი ცხოვრება ჩემს კბენასა და ღრჯნაში გაატარა.

– ხომ მოკვდა, თუ სწორად მახსოვს.

– მოკვდა, – თავი დააქნია ნიკომ. – მოკვდა, მომწამლა და მოკვდა. მაგის საჩივრები რო მოაგროვო, მრავალტომეული გამოვა. ეგენი სულ ინტრიგანები ყოფილან, მერე გავარკვიე, გაგეცინება და მაგის პაპა, მეფისნაცვალთან უჩიოდა ხოლმე მეზობლებს. ერთმა მითხრა. დავიჯერე. უბედურება ის არის, რო სიკვდილის მერეც არ მასვენებს.

– როგორ? – ჩაელიმა ლოლას.

– გეცინება? ხო არ გჯერა, – ისევ დაიჯლანა ნიკო და გულზე მიიღო მარჯვენა ხელი. – უეჭველი მებრძვის და გულიც მაგიტო მიშვრება ასე ექიმთან მივედი, ვინც ეს აპარატი ჩამიდგა. შეამოწმა, რო შეეჩივლე, ასე მემართება, ტკივილები მაქვს-მეთქი. აპარატი გამართულად მუშაობს, ყველაფერი წესრიგშია, წესით არ უნდა მტკიოდეს. იმ თვალთუხილავი სამყაროდან მიტევეს ის მაჯლაჯუნა ისა. რქებით მანვება, ჯოჯოხეთიდან აქვს ამოყოფილი რქები და მანვება. იმისი რქების მოწოლასა ვგრძნობ. რქიანი ისედაც იყო აქვე და იქ ხო იქნება და იქნება, ჯოჯოხეთში მოხვდებოდა, მაგისთვის ყვავილოვან წალკოტს ვინ გაიმეტებდა, მაგრამ ისეთი უნამუსო იყო, ქრისტე რო დაინახოს, უცოდველი კრავივით გაუგორდება ფეხქვეშ და შეჭლალადებს, მთელი ცხოვრება შენს სამსახურში გავატარეო, სინამდვილეში ქრისტეს დროს რო ეცხოვრა,

უეჭველი რომელი ჯარისკაცი იქნებოდა და პირველი ეგ დააჭედებდა სამსჭვალს. მოკვდაო, რომ მეუბნები, კი მოკვდა, მაგრამ სიკვდილითაც დამცინა. ანდერძი დავუტოვე ჩემს გოგოებს, სოფელში დამასაფლავეთ როცა აღარ ვიქნები-მეთქი, როცა... – ჩაელიმა ნიკოს თავის ნათევამზე. – როცა ეხლა, მეც ათეულობით წლები მაქვს დარჩენილი, ერთი-ორი შემოდგომა თუ გავძელი ეგ არის. აქ არ დამასაფლავოთ-მეთქი.

თედოს დაკრძალვაზე მივდიოდი. გეხსომება თედო აღმასკომში მუშაობდა ხოლმე, ეხლახანს მოკვდა, გასვენებაში დამპატიჟეს თედოს ბიჭებმა, კი ვერ ვიყავი კარგად, ამ აპარატიანი გულის გადამკიდე... ჯერ ვიფიქრე, სადმე არ გავიშოტო გზაში და უპატრონოდ არ მოვკვდე-მეთქი, მაგრამ გვერდიგვერდ ოთახებში ვიყავით მე და თედო, როგორ არ წავსულიყა.

წავედი, მივდიოდი, მივუყვებოდი პროცესიას, ფერდობს ავუყევი, სასაფლაოს გზაზე რო მივდივარ, ჩემი ცხოვრების თითოეული წელი ჩამირბენს ხოლმე თვალწინ. ეს ისეთი გზაა, სულ მაგაზე გაფიქრებს, გავყვებოდი ჭირისუფლებს და ვფიქრობდი სიკვდილზე, რომელიც სინამდვილეში არც ვიცით იქნებ სიცოცხლეზე უკეთესიც არის. თავი ავწნიე კაცო და პირკატა მეცა, ღმერთო შენ მიშველე, ღმერთო შენ მიშველე, ჯერ მეგონა, რო მეჩვენებოდა, გავჩერდი,

მივაშტერდი, რამდენჯერმე დავხუჭე თვალები და ისევ გავახილე, ნაცნობი მომდევდა, ხელი მომკიდა, ეგონა, რო ცუდად გავხდი.

ის იყო... ის არსახსენებელი, შავი ქვიდან მიმზერდა დამცინავი თვალებით, როგორც იცოდა ხოლმე. ლამის ავყვირდი, ლამის ქვეყნის მასხარა გავხდი.

ზედ გზის პირზე დაუკრძალავთ, ზედ გზის პირზე, ყველაზე გამორჩეულ ადგილას. სასაფლაოსკენაც კი გზა მომიჭრა, იქაც ის დამხვდა. გამოვბრუნდი, აღარც თედო მახსოვდა და აღარც არავინ. გინებ-გინებით ჩამოვედი.

იმ სასაფლაოზე ჩემი ადგილი არ არის.

ზედ გზის პირას.

იტყვი, რომ მაგნაირი სახელოვანი მოღვაწე არ ჰყოლია ქვეყანას.

დამცინოდა. საიქიოსკენაც გადამიღობა გზა...

\* \* \*

– ეე, ჯანოს უყურე, – კალემ თავი წამოყო და გვერდით მჯდომს მიკროავტობუსში ამოსულ ჭაღარა პუბლიცისტზე მიანიშნა, ბოლო დროს რო თეთრი ლექსების რამდენიმე კრებული გამოაქვეყნა და პუბლიცისტიკა სულაც მიავიწყდა. ჯანო თავისთვის ბუტბუტებდა, რაღაცის ნერგი ეჭირა, რომლისთვისაც თავი

პოლიეთილენის პარკიდან ამოეყოფინებინა.

– ჯანოო! – კალე ძველ მეგობარს ფეხზე წამოუდგა, ჟღალწვერიანს ბოდიში მოუხადა.

წელში მოხრილ ჯანოს კალეს დანახვაზე სახე გაეზადრა.

– ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ შენ თუ აქ გნახავდი... – კალემ ღონივრად ჩამოართვა ხელი.

– ისევ ისეთი ხარ, ხო იცი.

ჯანო მეორე რიგში, თავისუფალ სკამზე ჩამოჯდა და ნერგიც იქვე დადო. ჯერ ნერგს აკვირდებოდა, მერე კალეს მიუბრუნდა.

– მე არა, მაგრამ შენ მართლა ისევ ისეთი ხარ, არ იცვლები, სიბერე ვერას გაკლებს. მე უკვე დამეშვა საბურავები, – ამოიხვნეშა ჯანომ. – მოწყენა იცის, ჩემო კალე, ყველაფერმა, დიასახლისს რო მობეზრდება ხოლმე სტუმრების ღრეობა, რო აღარ ამთავრებენ, ცხოვრებასაც ეგრე მოვბეზრდით, ეტყობა, ის არის ჩვენი სუფრის გამშლელი და დიასახლისი. ღმერთი-ხატი ახსენე და აახვიეო, მეუბნება. მე კიდე ვზივარ ასე გამოტარანებული და ფეხს არ ვიცვლი, – ისევ ნერგს დასწვდა, გაასწორა, ფესვებზე შემოხვეული პარკი გულის გამანწვრილებლად ააჭრაჭუნა.

– შენი ამბავი გავიგე, ძან განვიცადე, – თქვა კალემ. – ისეთი უნამუსოები ხდება, არც გამკვირვე-

ბია. შურმა დააბრმავა ხალხი, ეშმაკს მიჰყიდეს სული, ბარაბას გზა მოწონთ ჯანო, ავაზაკის გზა, ქრისტე აღარავის ახსოვს. ხომ გაასაჩივრე, – ბოლოს ჰკითხა კალემ.

ჯანომ უარის ნიშნად გააქნია თავი.

– აღარ მაქვს მაგ რალაცების თავი. ცოტა ახალგაზრდა რო ვიყო, მე ვიცი, რასაც უუზამდი, მაგრამ... ჯანი ხო უნდა მოგდევედეს, ჩემმა ბიჭებმაც გადამაფიქრებინეს. არა ღირდა, თუმცა ერთი კია, რო მაგის ბოლმა საფლავეში უნდა წავიყოლო, – ისევ ნერგს დასწვდა, თითქოს ეფერებოდა. – ხო იცი შენ ჩემი უცნაურობების ამბავი. არტემასთან მუხის ნერგი მიმაქვს. აი, – ნერგი დაანახა ძველ მეგობარს ჯანომ.

– რასაც შენ არ მოიფიქრებ, – ჩაელიმა კალეს.

– მე იქ ლექსების წამკითხველი არ ვარ, სიმართლე გითხრა, არც არაფერი წამომიღია. ამ მუხას დავრგავ იქა. გაიზრდება, ჩვენს სახელზე იქნება. ვიფიქრე, ვიფიქრე და ეს მოვიფიქრე, მუხები ძალიან მიყვარს, ერთი ნერგი სოფელში ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი ააშენეს და იქ დავრგე, ეზოში დავრგე... – ჩაელიმა ჯანოს. – რო დაფიქრდე ისე ჰა, – ხელი ნაზად შეავლო კვირტებგამობერილ ნერგს. – ათასი წელი უნდა იცოცხლოს ამ დალოცვილმა და რამდენ ჩვენნაირს მოესწრება, რამდენი თაობა წავა-წამოვა. საოცარ-

ია მუხის წუთისოფელი... აი, ამისთვის მოვდივარ, – ჩაეცინა ჯანოს. – თორემ ლექსები კი არა, სიცოცხლე მომაძულეს. ჯერ გაზეთში დამიწერეს ბინძური წერილი, იმ ბელზებელმა დაიქირავა ვიღაც თავზე ხელაღებული, ვითომ კრიტიკოსი. რედაქტორს ველაპარაკე, ჩემი ბოლო წიგნი ვაჩუქე – ჩანაწერების კრებული. წაიკითხა, დამირეკა, მაქო და მადიდა, ეს რა კარგი რამე დაგინერია, ჩვენი უახლესი ისტორიის მხატვრული მატანია, სარკესავით ჩანს ჩვენი ტკივილები და უბედურებაო. ვის არ სიამოვნებს ქება, მაგრამ, რად მინდოდა მისი აფერისტული ხოტბა ან ვინ დაავალდებულა, ან ვინ სთხოვა. აუცილებლად დავბეჭდავთ რეცენზიას თქვენს წიგნზეო. კაცო, რა უნდა მეფიქრა, ეგ კაცი, სერიოზულ ადამიანად მიმაჩნდა. თურმე იმ ბელზებელთან ჰქონდა კუდები.

– ვისზე ამბობ? – ვერ მიხვდა კალე.

ჯანომ გამომცდელად შეხედა ძველ მეგობარს.

– მართლა ვერ ხვდები, თუ...

კალემ მხრები აიჩეჩა.

– ამირანზე ვამბობ, ბელზებელი დავარქვი. სამთითა კვერთხი აკლია, თორემ რქები და კუდი ისედაც კი აქვს მაგ არაკაცს. სუფრაზე ყოფილან, მერე მომივიდა ამბავი. რედაქტორთან ერთად გდებულა და იქ დაიგეგმა ეგ სიბინძურე. გაზეთის ყოველ ნომერს

ველოდი ან ეხლა დაბეჭდავენ-მეთქი, ან ეხლა. ნეტა სულ არ მეჩუქებინა წიგნი, ეგეც იმ მეტიჩარა ქსოვრელის ბრალია, შემომიჩნდა ეშმაკივით, კაცო, ამ წიგნებს რო წერ და კომბლესავით ჭერში ალაგებ, ხო გინდა, რო ხალხმა გაიგოსო. გული მიგებდა. ყველა მწერალი, ჩვენთვის რო ვთქვათ, თავისთვის წერს წიგნებს, თავის გულის ჭიას იკლავს. რა ვიცი, რა ეშმაკად დავუჯერე, ვაჩუქე და... ბელზებელმა მოსვენება დაკარგა, არ ვიცი, რა შურს, რაც კი რამ სიკეთე არსებობს, ყველაფრით უსარგებლია, დიდებისა და სახელის მოხვეჭისთვის ყველაფერს კადრულობდა, კაცი რო შევარდნაძეს ასეთ ლექსებს მიუძღვნიდა – „შენს სპეტაკ თმებში სასუფეველის იღვრება შუქიო“.

კალემ გადაიხარხარა.

– გეცინება არა? სატირლად კი გვაქვს საქმე. ამ ბინძური სტრიქონების ავტორის ლექსებს რო დედაენაში შეიტან და სკოლაში ქუჩიშვილის ლექსების ნაცვლად ასწავლი.

– „სპეტაკ თმებშიო“, – ხარხარებდა კალე.

– „სასუფეველის შუქიო“, – თვითონაც გაეცინა ჯანოს.

– რომ დაფიქრდე, შეიძლება ჭკუიდან შეიშალო კაცი! – ჩაილაპარაკა კალემ.

ჟღალწვერიანიც გულიანად იცინოდა და ისიც

ჩაერთო საუბარში.

– არ არის გამორიცხული, რომ გულწრფელად დანერა ეს სიტყვები. ვინც ამას წერდა ადრე: „კომუნიზმის მზე დაგვნათის, კაშკაშა მოელვარეო“, მას სჯე-როდა, რო მართლა კომუნიზმის მზე იყო. გულწრფელად წერდა. ამიტომ, შესაძლებელია, ეს თეთრთმიანი კაცი, – გვარი შეგნებულად არ თქვა ჟღალწვერიანმა. – მართლა მამალმერთად ერვენებოდა, ამაზე ნაკლები ლექსები მიუძღვნეს თავის დროზე ლენინსა და სტალინს? თუ გულწრფელად წერს, გამოდის, რომ ასე ხედავს და დასჯილია, ასე რომ ხედავს. თუ მამამებლურია, თავის გადარჩენა და შეძრომა უნდა. ამაზე დიდი საცოდაობა კიდევ...

– მოკლედ, ვილაც ვითომ კრიტიკოსი დაიქირავა ბელზებელმა, – გააგრძელა ჯანომ. – გადავშალე კაცო გაზეთი, მთელი გვერდი გაუმანშალებიათ... ჩემი წიგნის ფოტო იყო. გულში სიამე ჩამელვარა, გამოგიცდით ეს ამბავი და გამიგებთ. დავიწყე კითხვა და ლამის გული გამიჩერდა, ორჯერ დამაღვეინა კორვალოლის წვეთები ცოლმა. მიწასთან მასწორებდა, წიგნის ფორმატიდან დაწყებული, ჩემი სტილით დამთავრებული. შეტევა დამემართა... სალამომდე კუნძივით ვეგდე, ვერ ვინძრეოდი. მეგონა, რო მოვკვდებოდი. აქეთ ჩემი ცოლი მიდგა, იქით – ჩემი რძლები, მერე ბიჭებიც მოვ-

იდნენ. საღამოს ცოტა გონებაზე მოვედი, ქსოვრელს დავურეკე და მკვდარი და ცოცხალი არ შევარჩინე. მეორე დილით თვითონაც დამირეკა ქსოვრელმა. ხმა აღარ მქონდა ნერვიულობით, ხმაც კი დავკარგე.

– ბატონო ჯანო, ეხლა წავიკითხე ის წერილი, თქვენს წიგნზე რო დაიბეჭდაო. სიტყვა-სიტყვით წავიკითხე, საგულდაგულოდ ვათვალიერე, რო არაფერი გამომრჩენოდაო, – ვუსმენ ქსოვრელის ჟღურტულს. – ვერაფერი ისეთი ვერ ვნახე, არ არის ცუდი წერილი, მანდ ისეთი არაფერია, შეურაცხმყოფელი ან დამაკნინებელი, უბრალოდ ანალიზია მოცემულიო.

აღარ დავამთავრებინე, ამ ჩემი ჩანყვეტილი ხმით ისე ამოვუტრიალე მკვდარ-ცოცხალი და კეთილები.

ნაცრის შეყრა გამიგია, მაგრამ ესეთი კაცო? კაცმა რო დედა შეგაგინოს და გითხრას, კი გაგინებ, მაგრამ ეს ცუდი რამე არ გეგონოსო.

იმ აფერისტმა რედაქტორმაც დამირეკა მერე.

– გავიგე, რო ამ წერილის გამო გინერვიულიათ, მაგრამ დამერწმუნეთ, ნამდვილად არ არის ცუდი წერილიო. ყველა წერილი ერთნაირი ხო არ იქნება, რალაცით ხო უნდა განსხვავდებოდესო. ასე რომ, საწერვიულო არაფერი გაქვთო.

გავჩუმდი. კბილებით მეჭირა ნერვები. ბოლოს ესლა ვკითხე:

– კაი, რაც არის, არის. ხდება ასეთი გაუგებრობები, მხოლოდ ერთი თხოვნა მექნება.

– ბრძანეთო.

– ოლონდ, ნუ დამიმაღავთ-მეთქი.

– რა უნდა დაგიმალოთო.

– ეს წერილი ხო ამირანის შეკვეთით დაიწერა-მეთქი.

ვერ მიხვდა ვითომ.

– ვინ არის ამირანო.

მივახვედრე, ვიზეც ვეუბნებოდი.

გაეცინა.

– არა, რას ამბობთ, კომუნისტების დროს არ დამიბეჭდავს შეკვეთილი წერილი და ახლა რა გამაკეთებინებს ამას. ჩემს ლიტერატურულსა თუ კაცურ მორალში მსგავსი რამ არ არსებობსო, – ისევ გაეცინა. – რამ გაფიქრებინათ ესო.

ისე დამაჯერებლად მესაუბრებოდა, არ გამოვრიცხავ, რო ის რქიანი არსებაც გვერდით უჯდა და ის კარნახობდა, რაც უნდა ეთქვა ჩემთვის.

ქსოვრელივით მიიწვია, რო კარგად შემემკო, მაგრამ მოვთოკე წერვები, ეს დაწყვეტილი წერვები მივაბ-მოვაბი დაწყალებული ძაფებივით და დავემშვიდობე, ბოლოს კი ვუთხარი – მძიმე იყოს ჩემი ფეხი და ჩემი კალამი თქვენს გაზეთში-მეთქი...

მაგრამ ეს კიდე არაფერი, ჩემს ცხოვრებაში ერთი პრემია არა მაქვს მიღებული. სიმართლე გითხრა, თუ არ იჩალიჩე, თუ არ გაძვერი და გამოძვერი, პრემიას კი არა, ჩემს ფეხებს მოგცემენ. ესეც კიდე ხო იცი, როგორ არის, შენ რო ჩალიჩობ, საქმეს ჩააწყობ და პრემიას დაირტყამ, ამას პრემიის მაღლი აღარა აქვს. გამოდის, რო შენს თავს შენ აძლევ პრემიას. მოკლედ, არასოდეს არ მექონია ამით დაინტერესება. ილბალიც უნდა, ფხაც უნდა, სხვანაირი ფხა, მე არც ერთი მექონდა და არც მეორე. ნიწილა გურამი ხო იცი?

კალემ თავი დაუქნია.

– ჩემს პარალელურ კლასში იყო, მერე სხვა სკოლაში გადავიდა.

– ბოლო კრებულზე შემომიჩნდა გურამი. რა ვიცი, ან ეს თეთრი ლექსები რაღა ჩემი ბედისწერა იყო.

– მშვენიერი ლექსებია, – თქვა კალემ. – რამდენიმე ისეთია, რო... – მარჯვენა ცერი გაბზიკა მონების ნიშნად. – რაც კარგია, კარგია.

– რა ვიცი... – ჩაილაპარაკა ჯანომ. – ბოლო კრებულის რედაქტორიც ხო გურამია.

– კარგი წინასიტყვაობაა, მომეწონა, აკადემიურია, გურამმა იცის წერა.

– ჰოო, კარგია, მაგის ახირება იყო ამ კრებულის გაკეთება, თორემ არც ვფიქრობდი, ხო იცი, როგორ

დაიწყებენ ხოლმე, გაღავდაო, ღობე-ყორეს მოედოო, ლექსი რა მაგის საქმეაო.

– ყველას რო ყური უგდო...

– ხო, მართალია, თუმცა...

გურამმა ისე წარადგინა პრემიაზე ჩემი წიგნი, კაცობას დავიფიცები, წარმოდგენა არა მქონდა, თვითონ შეუგროვებია საბუთები, თვითონ გაუკეთებია ყველაფერი. მართლა არ ვიცოდი. ერთ საღამოსაც დამირეკა და მითხრა, არ გამიბრაზდეს, თან ეცინებოდა. ვერ მივხვდი, მითხარი-მეთქი.

ჯერ მეუბნება – პირობა მომეცი რო არ გამიბრაზდებიო.

– კარგი-მეთქი.

– შენი კრებული წარვადგინე ამა და ამ პრემიაზე და თითქმის დარწმუნებული ვარ, რო გაიმარჯვებსო.

– შენ რა გითხარი, შენა-მეთქი.

– დარწმუნებული ვარო.

– ბიჭო, ვინ მომცა მე მაგის ილბალი, პრემიების საკითხზე რჩევა ამირანს უნდა ჰკითხო-მეთქი.

– აი, ნახავ, თუ არ მოგანიჭებენო, შენ წარმოდგენაც არ გაქვს, რა დონის თეთრო ლექსები შექმენიო, შეიძლება, შენს პროზას ეგ ლექსები ჯობდესო.

მოკლედ, წარმადგინა ამ ჩვენმა წინილამ.

თავიდანვე ვიცოდი, რო ჩემთვის პრემიას არავინ

გამოიმეტებდა. პრემიებს სხვა რაღაცები სჭირდება.

გურამი ზურგზე არ ეცემოდა.

– ყველა კონკურსანტის ტექსტი გადავიკითხე და ვერც ერთი ვერ გაგინევს კონკურენციასო, – ბალღით ცქმუტავდა.

გავიდა ერთი თვე, ორი...

– დალია ჩაილურის წყალი შენმა პრემიამ-მეთქი.

– ეგრე გეგონოსო. ცოტა ხანი მოითმინეო, – გრძნეულივით, თითქო სიზმარში ჰქონდა ნანახი წინასწარ.

მართლა ამიხდა მაგ შეჩვენებულის ნათქვამი.

ერთ საღამოს სახლის ტელეფონზე დამირეკეს, ცოლმა უპასუხა.

– ბატონო ჯანო გვინდაო.

– ვილაც უცხო გოგოს ხმააო, – მომაჩეჩა ყურმილი ლეილამ.

– ბატონი ჯანო ბრძანდებით?

– კი-მეთქი.

– კარგი ამბავი უნდა გახაროთო.

რაღა დროს ჩემი ეგეებია, მაგრამ თავის წილი ცეცხლი გულს, ხო იცი, რა ასაკშიც არ უნდა იყო, ყოველთვის შემორჩება ხოლმე. ამ გათახსირებულ წუთისოფელში რო ვილაც უცხო ქალი დაგირეკავს და გეტყვის, კარგი ამბავი უნდა გითხრაო, მოდი და ნუ

აგიჩქარდება გული.

– თქვენი ლექსების კრებული, ორ კრებულთან ერთად, ბოლო ეტაპზე გავიდა ნომინაციაში „წლის საუკეთესო პოეტური კრებული“ და მონვეული ხარტ დაჯილდოების ცერემონიალზეო.

მისამართი კი მითხრა, მაგრამ ისე დავიბენი, ალა-რაფერი გამიგია.

– ალოო, ალოო!

ენა რო ჩამივარდა, ეგონა, რო კავშირი შეწყდა.

– დიახ, დიახ-მეთქი.

– ბატონო ჯანო, სამი კრებულიდან პრემიას ერთ-ერთი მათგანი მიიღებს, რომელსაც დაჯილდოების ცერემონიალზე ჟიური გამოაცხადებს, თუმცა თქვენ უკვე გამარჯვებული ხართ, რადგან რჩეულთა შორის მოხვდა თქვენი წიგნიო.

წნევა თუ არ დამარტყამდა, არ მეგონა. სიხარულითაც ხო კვდებიან ადამიანები, ცნობილი ამბავია და ვფიქრობდი, ფეხები არ გავფშიკო-მეთქი. ისევ მაყლაპა გულის წვეთები ლეილამ. თან მიბრაზდებოდა.

– შენ სხვებს არიგებ ჭკუას და რა დღეში იგდებ თავს, რისთვის ნერვიულობო.

ცოტა რო გონებაზე მოვედი, გურამს დავურეკე.

იცინის, იცინის.

– რა გაცინებს-მეთქი.

– ის მაცინებს, ურწმუნო თომა რო ხარ, ხო გეუბნებოდი ეგრე იქნება-მეთქი. მე ვიცი, რასაც ვამბობ, რახან კრიტიკოსი არა ვარ და საზოგადოება არ მიცნობს, ეგ იმას არ ნიშნავს, რო ლიტერატურა არ ვიციო. ძალიან მაგარი თეთრი ლექსებია, მინდა გითხრა, რო თეთრ ლექსს ფართო მკითხველი მაინცდამაინც არა ჰყავს, მაგრამ ნამდვილი თეთრი ლექსი ევროპის ლიტერატურულ წრეებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ის კი არა, მაგ ლექსების თარგმანზეც უნდა დაგზალიჩდეთ.

ვინეკი. არ მეძინება, ვიფიქრე რაღაც მაიმუნობას ხომ არ აქვს ადგილი-მეთქი. ამ დროში, ამის გარდა, სხვა რა არის.

– ეხლა მაგ ამბებით კი არ დაიმართო რაღაცებით, – ჩემმა ცოლმა.

მეტირებოდა, ვილაცას რო შენი ნაწერი მოეწონება, შენს ნააზრევს რო დააფასებს. მერე პრემიაც გაემეტებათ. ამაზე დიდი ბედნიერება შემოქმედისთვის რა არის. მთელი ცხოვრება რო გულგატეხილი ვიყავი, თითქოს გული გამინათდა. ვფიქრობდი, არც ეგრეა საქმე, ობლის კვერი ცხვა, ცხვა და გვიან გამოცხვაო. წარმოვიდგინე დაჯილდოების ცერემონიალი. ჟრუანტელი მივლიდა ტანში.

დღეებს ვითვლიდი. შვიდთვიასავით მოუთმენლო-

ბა შემეყარა.

– დარწმუნებული ვარ, იმ სამ კრებულში გამარჯვებულად შენ დაგასახელებენო, – წინილამ.

ალარაფერს ვეუბნებოდი. მისი ნათქვამი ყველაფერი ამიხდა, თუმცა, მაინც არ ვარგა ხოლმე წინდანინ რაღაცებზე ფიქრი. ჩემი გამოცდილებიდან გეტყვით, რო, როცა კი წინასწარ რაღაც მითქვამს, ისე არ გამოსულა. აი, მგონებია რო უეჭველი ესე იქნება-მეთქი და სხვანაირად წასულა საქმე. ხან კი, როცა არ მოელოდები, მაშინ გამოდის. ეს რამე აკვიატება კი არ არის, ჩემი დაკვირვებაა, პატარა ხო აღარა ვარ, მოვდივარ და ვაკვირდები ცხოვრებას.

რა ვიცოდი, რა მელოდა წინ. ლამის კი გადავყე ამ ამბავს.

რა დამაძინებდა იმ ღამეს, სულ დაჯილდოების ამბები მიტრიალებდა. მართლა რო გადმომცენ პრემია, რა იქნება! აქამდე რო მარტო შენი გულის ჭიას ახარებდი, ეხლა მოგაქცევენ ყურადღებას, გულზე გასკდება ის ბელზებელი. რედაქტორს და იმ დაქირავებულ კრიტიკოსს ყბა ჩამოუვარდებათ და წარმომიდგენია მათი ჩაზმუკუნება. ერთმანეთს რო შეხედავდნენ და ჩაიზმუკუნებდნენ.

– ამას შეხედე ერთი.

ჟურნალისტები რო დამესეოდნენ. ავტოგრაფების

თხოვნას რო დამიწყებდნენ... ჩემი ცოლის ანთებული სახე. თვალეზგაცისკროვნებული ახლობლები და მეგობრები, მცირეოდენი შური რო შერეოდათ სიხარულში.

თვალი არ მომიხუჭავს ის ღამე. ლეილასაც არ მიჰკარებია ძილი, მალ-მალე დამეპასუხებოდა.

– დაიძინე, ადამიანო!

მეც ვეტყოდი:

– დაიძინე კარგია.

გათენდა, როგორც იქნა, მტრედის ფრთა შემოჰყო ცისკარმა, თანდათან ჩაიბჟუტა და ჩაინვა მთვარე.

გურამი გვერდით მიჯდა, მამხნევებდა.

– ცხვირ-პირი ნუ ჩამოგტირის ძმობილო, ყველაფერი კარგად იქნება, ჩემი ხო გჯერაო.

– კი-მეთქი.

– ხო და ნახავ ეხლა შენს გვარს რო გამოაცხადებენ და ფეხზე რო წამოდგები ამ დარბაზში, მერე ნახავ რა შეგრძნებააო, – თვალი ჩამიკრა.

დაბნეული ვიყურებოდი აქეთ-იქით. მთელი ლიტერატურული სამყარო აქ იყო, გრანდები, გრანდები... ორკესტრი ყანჩელის მუსიკას უკრავდა, მე ისევ აქეთ-იქით გამიღებოდა თვალები, ცხვირი მქაოდა ნერვიულობით.

ლეილამ ფეხი წამკრა.

– ცუდად ხო არა ხარო.

– არა-მეთქი, – ამოვიზმუკუნე.  
 – თუ გინდა ვალიდოლს მოგცემო, – ჩუმად გამო-  
 მინოდა.

უხმოდ, მალევით ჩავიდე, ჰაერი მომეცა, ცივი  
 ჰაერი ჩაიჭრა ფილტვებში, ცოტა გამიარა.

ყელზე პეპელანაჭერილი წამყვანი გამოვიდა და  
 დაიწყო.

ლიტერატურული პრემია...

ნომინაციაში „წლის საუკეთესო პოეტური კრებუ-  
 ლი“, წარდგენილნი არიან...

გამარჯვებულს დაასახელებს ჟიურის წევრი ბა-  
 ტონი ოთარ...

გამოვიდა წელში მოხრილი, ცნობილი ლიტერატუ-  
 რათმცოდნე.

ჯერ მიკროფონი შეამოწმა, მარჯვენა სალოკი  
 თითი დაუკაკუნა, მერე კონვენტის გახსნა დაიწყო  
 და ვატყობდი, რო გონება მიბნელებოდა... ყურები  
 მიშხუოდა, გული გამეტებით, სულ გინება-გინებით  
 აწყდებოდა მკერდს.

– კიდე ხო არ გინდა ვალიდოლი, – მომჩერებო-  
 და ლეილა, მაგრამ აღარ ვუსმენდი. იმ ჩემი ცოდვით  
 სავსემ ძლივს გახსნა კონვენტი, ხელები უცახცახებ-  
 და, სათვალე მოირგო, დარბაზს გადახედა და დაიწყო:

„ლიტერატურული პრემია... ოცი... ნომინაციაში

„ნლის საუკეთესო პოეტური კრებული“ გადაეცემა ჯანო.... კრებულისათვის „მინისქვეშა ადამიანები“.

გურამი წამოხტა და ხან ღრიალებდა სიხარულით, ხან უსტვენდა. ჩემი ნაცნობ-მეგობრებიც ანივლდნენ, ტაში აგუგუნდა, ორკესტრმაც არ დააყოვნა, ისევ ყანჩელი. ლამის ჩემზე უნინ ავარდა გურამი სცენაზე.

– ხო გეუბნებოდი, ხო გეუბნებოდიო...

– მოიცა, გურამ!

– რა მოიცა, – გარბის წინილა.

ძლივს დავიოკე. სახელაპლაპებული ავედი სცენაზე. ჯერ ლიტერატურათმცოდნე გადამეხვია, ვინც ჩემი სახელი და გვარი გამოაცხადა, თან ყურში ჩამჩურჩულა:

– პირადად არ გიცნობდი, მაგრამ მხარი დაგიჭირე, კარგი ლექსებია, კონკურენტი ძლიერი გყავდა, მაგრამ ერთი ხმით აჯობეო.

მერე წამყვანი ბიჭი გადამეხვია. ცაში დაფფრინავდი, არ დაგიმაღავთ და ასეთი სიხარული არასოდეს არ განმიცდია, უფალმა ისეთი ბედნიერება მომანიჭა...

ძლივს მივაკონინ-მოვაკონინე სათქმელი, პირი მიშრებოდა, ვლულლულებდი, მადლობა გადავუხადე ყველას, ჟიურის წევრებს, დამსწრე საზოგადოებას, გურამი გამომრჩა სიჩქარეში, წამოვედი და ისევ დაცხო ორკესტრმა. გურამი როგორ უნდა გამომრჩენოდა, მაგან შემაგულიანა, მაგან მომიყვანა ამ სცენამდე,

ისევ ავბრუნდი სცენაზე, მიკროფონთან მივედი, წამყვანმა ხელით ანიშნა ორკესტრს. გაჩუმდნენ, კი მომერიდა, მაგრამ ჩემს თავს ვერაფრით ვაპატიებდი ამ ამბავს.

– ჩემო გურამ, შენით უნდა დამეწყოს, შენ იმხელა ამაგი გაქვს ამ ყველაფერზე, ათასი მადლობაც რო გადაგიხადო, მაინც არაფერი იქნება, რაც შენ გააკეთე ჩემთვის. დღევანდელ დღეს შენ გიძღვნი და მე თუ ვერ შევძელი, მაღალი ღმერთი გადაგიხდის ყველაფერს-მეთქი. გული ამიჩუყდა, ლამის ავტირდი, გურამსაც აუჩუყდა, შევხედე და ლამის იყო სლუკუნე დაეწყო.

მოკლედ, ჩემო კალე გავხდი N პრემიის ლაურეატი, ვითომ გავხდი.

რა მოასვენებდა ბელზებელს, ეშმაკის ნაშიერს, ბოლმამ ლამის გახეთქა, უკვე წარმოდგენილი მქონდა, რა დღემიც იქნებოდა, ალბათ, გლოვას გამოაცხადებდა სახლში, მე რო პრემია მომცეს. შავ ლენტებს ჩამოკიდებდა.

რალაც გამოეპარა, ვერ გაიგო, თორემ კარავს გაშლიდა, იქ იცხოვრებდა და ისე აურევდა ტვინს ჟიურის წევრებს, პრემიას კი არა, იმას მომცემდნენ. გამოეპარა, ვერ გაიგო, თორემ...

გავიდა ერთი კვირა, ორი, სამი. იდგა ეს ძაღლის ძუძუთი გაზრდილი და ანონიმკა შეაგდო პრემიის

დამფინანსებლებთან.

მაგის... გათახსირებული, წამხდარი, მედროვე... რა უნდოდა ჩემგან, რა დავუშავე, რა შეშურდა. ერთი პრემია შეშურდა ჩემი.

ვილაც გოგომ დამირეკა. ახალი გაღვიძებული ვიყავი.

– ბატონო ჯანო თქვენ ბრძანდებითო?

მეგონა ჟურნალისტი იყო.

– რომელი პაოლო კოელიო მე ვიყავი, მაგრამ ამიკლეს იმ პრემიის მერე. მოდიოდნენ და მოდიოდნენ. ყველაზე მეტად ლეილას უხაროდა, საზოგადოების ყურადღების ცენტრში რომ მოვექეცით, ხან სად დაგვპატიჟებდნენ, ხან სად. ვის ვახსოვდით ან მე, ან ჩემი ლეილა... ხანდახან ისე მოტრიალდება ცხოვრება.. წალმაც იცის და უკუღმაც. ორივე გამოვცადე.

– თქვენს პრემიასთან დაკავშირებით პრობლემებია, რალაც საკითხებია გასარკვევია და ამა და ამ მისამართზე უნდა მობრძანდეთო.

ვერაფერს ვერ მივხვდი ან რას უნდა მივმხვდარიყავი.

კალემ თავი გააქნია.

– მაგის უნამუსო დედა ვატირე, მოსისხლე მტერი რო მტერია, ის არ გაგიკეთებს.

წავედი... თავი მისკდებოდა, წონასწორობას ვკარ-

გავდი, რა მექნა, ვაი იმ წასვლას.

ლეილა მტუქსავდა, წინასწარ რა გულს იხეთქავ, იქნებ სულაც ელემენტარული საკითხია გასარკვევიო, თუმცა, ვიცოდი, გული მიგებდა. სულ ის რქიანი არსება მიტრიალებდა თვალწინ.

ვიცოდი, რო არ მომასვენებდა, ჩემმა პრემიამ ძილი და მოსვენება დაუკარგა.

მივედი ოფისში.

– საჩივარი შემოვიდა, კონკურსზე რო წიგნი იყო წარდგენილი, თქვენი წიგნი. ორი ლექსი ისეთია იმ კრებულში შეტანილი, რომელიც ადრეც ყოფილა გამოქვეყნებულიო. დებულების თანახმად კი მხოლოდ გასულ წელს გამოქვეყნებული ლექსები ითვლებაო. ფეხები მეკვეთებოდა. ვუყურებდი ასე განაჩენის მომლოდინე ქურდობაზე ხელნაპარული ბალღით. ვფიქრობდი, ამხელა კაცი იქნებ შემიცოდონ და თავზე ლაფი არ დამასხან-მეთქი.

– არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებაო, – ერთმა თმაშეთხელებულმა ლოყებაბრანულმა ახალგაზრდა ბიჭმა, მკერდზე რო ლადო ეწერა.

– მაშ რა გავაკეთო-მეთქი.

– არ ვიცი ბატონო, კომისია იმსჯელებს და... – თვალებით მითხრა, რო დიდი ალბათობით პრემიას გამოუქმებდნენ.

ლამის გული გამისკდა. გურამს დავურეკე, ნახევარ საათში იქ გაჩნდა. ავუსხენი ასეა და ასე საქმე-მეთქი. შევიდა იმ ყმანვილებთან, დიდხანს უმტკიცებდა, რო ეს ლექსები უფრო სწორად ორი ლექსი ადრე კი იყო დაბეჭდილი, მაგრამ აბსოლუტურად გადამუშავებული ვარიანტები იყო შეტანილი ახალ კრებულში.

– კომისია განიხილავს, კომისია განიხილავს, კომისია განიხილავსო, – მგონი ჩანერილი ჰქონდა იმ ბიჭს ეს სიტყვები, ჩემი მეზობელი ემას თუთიყუშივით იმეორებდა.

ბოლოს გავიგეთ, გურამის ცოლის დისშვილის ამხანაგი ყოფილა. ჩუმად უთხრა გურამს:

– ნუ გამთქვამ, მაგრამ ნაჩივლია, მაღლიდან არიან დაინტერესებულებიო.

– დავსვით ბეჭედი, რო იმ ჩათლახის გაკეთებული იყო. ბევრი ვირბინეთ, ბევრი ვინვალეთ, როგორ დავუკარგო გურამს, პატარა ბიჭივით დამდევდა, ვინ აღარ შეაწუხა, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

იმ ორ ლექსს თურმე, შესაძლოა, ქვეყანა ამოეყირავებინა. ჩამომართვეს პირველი და უკანასკნელი პრემია, პრემიაზე კი არ იყო საუბარი, თავმოყვარეობაზე, კაცო! თავი მომჭრეს სახალხოოდ, არ დაგიმაღავ თავის მოკვლა მინდოდა, მაგრამ ვერ გავრისკე... თითქოს სიზმარივით იყო ყველაფერი, სიზმარივით.

როგორც მოვიდა, ისე წავიდა. ის სალამო მწვავე დალად დამრჩა, სულ ის მუსიკა ჩამესმოდა ყურში, პრემიის გადმოცემის წამებში რო ააჟღერა ორკესტრმა – ყანჩელის მუსიკა.

წარმოიდგინე, რა გამიკეთეს.

ბიჭები დაეძებდნენ ერთი ხანობა, ჩემი ბიჭები, მერე ისევ ჩემი დაჟინებით აიღეს ხელი, თორემ მაგასაც მეტი რა უნდოდა, ეგრევე უჩივლებდა.

– აი, ეგრე გამიკეთა, მაგ ტარტაროზმა.

კალეს თვალები ასწყლიანებოდა.

– რა ვქნა, ასე მეწერა, ალბათ.

– ცხონებული ალბერტის ბიჭი იყო მოსული ამასწინათ, – ნერგს დასწვდა ჯანო. – რამდენიმე ძირი მუხის ნერგი მომიტანა, – კალეს დაანახვა კვირტგამობერილი ჩვილი მუხა ჯანომ. – რა ვიცი, ვიფიქრე, იქ წავიღებ და დავრგავ-მეთქი, ცუდი ხო არ იქნება.

– ცუდი რატო უნდა იყოს?

– რა ვიცი, კაცო, დღეს ყველაფერი უკუღმა ეჩვენებათ. ხალხი ჭკუაზე აღარ არის ან ჩვენ რილასთვის ვწერთ, ეგეც საინტერესოა, მგონი ჩვენლა ვკითხულობთ მარტო. თუ ამ მუხის დარგვაზეც არ მიჩივლეს, – ჩაიქირქილა ჯანომ.

\* \* \*

მძლოლის ხმა გავიგე. საჭეს მიუჯდა, მიკროავტო-

ბუსში მოკალათებულ პოეტებს გადახედა.

– დავიძარით, დავიძარით, – თქვა და დაქოქა.

ან აქ საიდან გავჩნდი? ან ესენი ვინ იყვნენ? იტყო-  
დი, რო რომელიღაც სიზმარში მოვხვდი. არ ვიცი,  
რა დამემართა, ჩემმა მეგობარმა რო რამდენჯერმე  
დამირეკა და ლიტერატურულ ფესტივალზე მთხო-  
ვა ჩასვლა, მახსოვს, არ ვიცი ახალგაზრდა პოეტები  
უნდა ყოფილიყვნენ და ეს ხალხი... ვერაფერს ვერ ვხ-  
ვდებოდი, გაბრუებული ვიჯექი და უაზროდ ვაკვირდ-  
ებოდი ადამიანებს. ვერავინ ვიცანი, უაზროდ ვაშტერ-  
დებოდი.

არ ვიცი... ვერაფრით ამიხსნია ეს ამბავი. ვიფიქრე  
სიზმარში ხომ არ ვარ-მეთქი.

სვანურქუდიანი, შლაპებიანები, გიშრისბეჭდიანები,  
ყველასა და ყველაფერზე განაწყენებული ადამიანები,  
დათრგუნულები, შეშინებულები, გულაყრილები, სულ  
ვიღაცების თავდასხმის მოლოდინში, საკუთარ ნიჭში  
დარწმუნებულები, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერა.

თვალები დაგზუჭე, ნაძინება ვცადე, თუმცა...  
ძილში ვიყავი და რალა ძილი მინდოდა, მაგრამ ეს სხ-  
ვანაირი ძილი იყო, ცხად-ძილი, შენ თვითონ რო ვერ  
გაგირკვევია, ცხადში ხარ თუ სიზმარში. არა მგონია,  
ვინმეს ესეთი რამე დამართნოდა.

– შენც ხო გინდოდა, ჩემო ძმაო, ფესტივალზე წა-

მოსვლა, მახსოვს, როგორ გადაარჩიე ბოლო ლექსები, თან მეუბნებოდა, რაღაცები არ მომწონს და იქნებ, არც ღირდესო.

არა მგონია, რო შენხელა სიყვარულის კაცი კიდევ დაიბადოს. რა ვიცი, რა დავარქვა, მოხვედი, გაგვათბე, იშვიათი სიყვარული დაგვიტოვე და მერე წახვედი. სიცოხლის ბოლო წუთამდე შეყვარებული იყავი, გატყობდი, ვილაც შეგყვარებოდა, თვალებში გატყობდი, შენს მზერას მარტო მე ვკითხულობდი და შენც იცოდი, რო შენი თვალები მესაუბრებოდნენ ხოლმე.

ამას წინათ სუფრაზე მოვხვდი. ერთი ახალგაზრდა წამოდგა და შენი ლექსი თქვა, ბოლოს დაწერილი, შენს შვილს რო მიუძღვენი და მთელი სუფრა ქვითინებდა. ამისთვის ღირს ცხოვრება, თუნდაც რამდენიმე ადამიანი ალალ ტკივილსა და ცრემლს რო გაგატანს.

დავხუჭე თვალები და შენი დაკრძალვის დღე ამოტივტივდა. უკან მოგდევდი, კლასელებს მიჰყავდათ შენი ცხედარი, მიჰყავდათ და არა მიჰქონდათ. ცხედარზე წაღება არ ითქმის და კიდევ მაინტერესებს სამყაროს ბინადრები სულიერ და უსულო არსებებად ვინ დაყო. მეცინება, როდესაც ბავშვობაში ზაირა მასწავლებლის ნასწავლი სიტყვები ამომიტივტივდება: – ვინ? სულიერ არსებას დაესმის ეს კითხვა, რა? – უსულო არსებებს! – ასე არ შეიძლება! ყველა ადამი-

ანს აქვს თავისი აზრის გამოხატვის საშუალება და მე რაღა ვარ ამ დემოკრატიით გაჟღენთილ სამყაროში. მინდა, რო ასე იყოს და მორჩა. გამაკრიტიკებენ და წაიკითხონ „თავისუფლების თეორია“... აინშტაინმა რო ასწავლა ჩემს ერთ-ერთ გმირს. მართლა ასწავლა, სიზმარში გამოეცხადა. მე მჯერა ამ ყველაფრისა.

მოვდიოდი და მოგდევდი, ყუთით მიჰყავდათ ადამიანი ჯერაც უშობელი ლექსებით. ვფიქრობდი, რა იქნება, რო უცბათ მოინდომოს შენი გაცოცხლება უფალმა, წამოდგე, გაგვიღიმო, ციმციმ ჩამოიღებენ მხრებიდან ამ არსახსენებელ ყუთს, რომელსაც ვერასოდეს ვერ ვეხები, ბავშვობიდან აკვიატებული შიშის გამო. წამოდგები, შენებურად ჩაიღიმებ და სასაფლაოს გზიდან ერთად გამოვტრიალდებით.

მიქრის მიკროავტობუსები. თანდათან ბინდი წვება, ტკივილებს მიმატებს ღამე, მონატრებას მიმძაფრებს წარსული ადამიანების გახსენება. მაგრად მომენატრე, არ დაგიმაღავ. გადავწყვიტე, რო შენი ძველი ლექსები წავიკითხო. იქაც სიყვარული აიტანე, სასაფლაოს სჭირდება, თუ სჭირდება დიდი სიყვარული. ნუგეში და სითბო უნდათ იმ საცოდავ, მიწის ლუკმად ქცეულ ადამიანებს. ვიცი, რო გაათბობდი. მზე აიტანე სასაფლაოზე და გაათბე მიცვალებულები.

არ ვიცი, რამდენი საათი ვიარეთ.

ერთი ლექსი ამეკვიატა შენი, სულ იმ ლექსს ვიმეორებდი გულში.

ჩემ გვერდით მსხდომი ადამიანები ერთმანეთს ეკითხებოდნენ

– ეს ვინლაა?

– არ ვიცი.

– ვინმე იქნება, ახალი გამომცხვარი. მაგის მეტი რა არის ახლა.

– ბილწსიტყვაობა ეყვარება.

– ეხლა ასე წერენ ლექსებს. ბილწი სიტყვები მარილივით თუ არ მოაყარეს ლექსებს, აბა ისე... – თან ქირქილებდნენ.

– წალეკეს პირდაპირ.

– ცენზურა ახლა აღარ არის და არაფერი.

– წერე და ბეჭდე, ვინ არის დამშლელი, არც არავინ.

– ხომ გახსოვთ, როგორ იბეჭდებოდა წიგნი? რიგში უნდა ჩამდგარიყავი.

– რიგში და როგორ რიგში, თვეები კი არ ეყოფოდა. რამდენ კომისიას უნდა განეხილა.

– ეეჰ, ფასი დაკარგა ყველაფერმა. თავისუფლება ამ დოზით არც ცხოვრებაში შეიძლება და არც ლიტერატურაში.

– რაც მოვიდა სულ სძინავს, – კისერი წაიგრძელა ერთმა და დამაქცერდა მოჭუტული თვალებით.

– მეც დავაკვირდი, მაგრამ ის ვერ დავინახე, რა დროს ამოვიდა.

– შეიძლება არც სძინავს და ჩვენს საუბარს უსმენს, მაგნაირები იციან?

ექვსის თვალებით მომშტერებოდნენ, ბოლოს ჩურჩულზე გადავიდნენ. მალ-მალე გადმოძხედავდნენ.

– მართლა ვერ დავინახე, როდის ამოვიდა.

– რა ეტყობა, რო პოეტია.

– თავში ქვა უხლია, აქ რა უნდა მოისმინოს ისეთი, თუ მოისმენს და ცოტა რამეს ისწავლის.

თანდათან წყვდიადის ლუკმა გავხდი. ვგრძნობდი როგორ მჭამდა ღამე, დაუნდობლად, ღამის ეშვები, რომელიც მფატრავდა და შიგნეულს მაცლიდა, შემოსული ფიქრები იყო. ფიქრი ღამის ეშვია, ალესილი, წვეტიანი, დაუნდობლად რო გესობა და ბოლო ლუკმამდე უნდა, რო შეგსანსლოს.

მძლოლი რაღაცაზე ბრაზობდა და მგზავრები მძლოლზე ჭორაობდნენ. ისე მიაქროლებდა იჯარით აღებულ მანქანას, თავბრუსხვევა დაენყოთ ცოტა ხანში.

ჯერ ერთმა გაბედა. მანამდე ყველანი გასუსულები იყვნენ.

– ნელა ცოტა, კაცო, ნელა!

მძლოლს ვითომც არაფერი გაუგია.

ცოტა ხანში კიდევ უფრო მოუმატა სიჩქარეს.

თითქო მათ ჯიბრზე იქცეოდა.

– ვინ არის, კაცო, ვინ გამოგზავნეს, ამის სითავხედეს უყურე, – და ვინც თავიდან უთხრა, ისევ ის შეეხმიანა.

– კაცო, ქართული არ გეყურება? ნელა ატარე ცოტა. სხვებმაც აუბეს მხარი.

მოუტრიალდა შავტუხა მძლოლი და კბილები დაუკრაჭუნა.

– მე თქვენს ლექსებში ცხვირს ხომ არ ვყოფ? თქვენც ნუ ჩაერევით ჩემს საქმეში.

– რას ჰქვია ნუ ჩაერევით, რჩევა რომ მოგცეთ, ნელა რომ იარო, ამის თქმის უფლება არ გვაქვს?

მძლოლს თვალებში ცეცხლის ალი უგიზგიზებდა. კარგა ხანს ვიარეთ.

არ ვიცი, რამ მოუარა, რა ქარმა წამოუბერა, რა იფიქრა. გზიდან გადაუხვია. ოღროჩოღრო გზაზე მიხტოდა მიკროავტობუსი.

– რა გზით მივყავართ, კაცო.

– ვკითხოთ, ხო არ შეეშალა ამ შობელძაღლს.

– მიდი, შეეკითხე.

– არა, მე მაგის ნერვები არ მაქვს, ისევ შენა ჰკითხე.

ერთი სიტყვით, შენი სული დიდხანს რო არ შევანუხო, ჩემო ძმაო და მეგობარო. არც ერთი პრე-

მია რო არ გქონდა, მაგრამ ამ დროს ყველაზე დიდი პრემია კი მოგენიჭა – სიყვარულის პრემია, სადღაც დაღმართში მიაგრიხინებდა ჩვენი მძლოლი მიკროავტობუსს.

ნეტა დაგენახა ამათი სახეები, როგორ ისხდნენ დაძაბულები, ხელებგაოფლილები. ვერაფერს ხდებოდნენ ან რას უნდა მიმხვდარიყვნენ ცენტრალური გზიდან გადაუხვია კაცმა და სადღაც ოკრობოკრო გზებზე დაეშვა.

წყვდიადმა გადაყლაპა მიკროავტობუსი...

რალაცნაირად, ისეთი შეგრძნება მქონდა, რო არყით სავსე ჭიქა მეჭირა ხელში, შენთვის შენდობა უნდა მეთქვა. როგორ მიყვარდი, ისეთი ტკივილი დამრჩა, ისეთი... სასაფლავს რო ამოვუყვები ხოლმე, ხმამალლა ვამბობ შენს ლექსებს, თან შენი სიცილის ხმა ჩამესმის. ბგერები ხო არ იკარგება, სამყაროში დაფრინავენ, დანავარდობენ, შენი სიცილიც დაქრის კოსმოსში, ხანდახან მეც მპოულობს...

– სად მიდიხარ, კაცო!

მძლოლი ხმას არ იღებს.

– სად მიდიხარ-მეთქი.

უფრო იმატა რყევამ. მიხტუნავს მიკროავტობუსი რწყილივით. ყვირიან, წივიან, განსაკუთრებით შლაპიანი ქალის ხმა ისმის.

- მგონი გაგვიტაცა.
- გააჩერე, გააჩერე ეხლავე, – ფეხზე წამოხტა ერთი სვანურქუდიანი.
- რო გითხრეს გააჩერეო, არ გესმის? გააჩერე მალე, – ახლა მეორე სვანურქუდიანი წამოხტა.
- ამას უყურე, რამდენს გვიბედავს, ამას უყურე, – ჟღალწვერიანიც წამოხტა, წაბორძიკდა, ლამის თავ-პირი წაიმტვრია.
- შავტუხა მძლოლმა მოიხედა, ჯერ დაიჯღანა, მერე სიცილი დაიწყო, ბოლოს ისეთ ხარხარში გადაუვიდა, სულს ველარ ითქვამდა.
- ფესტივალი, ფესტივალი... – თან ხარხარებდა, თან მალ-მალე ამბობდა. – ფესტივალი, ფესტივალი...
- რა დაემართა? – იკითხა ვილაცამ.
- მცირე ხანში მიკროავტობუსი გაჩერდა. მძლოლმა სინათლე აანთო, ერთი მოგვხედა, ხელი დაგვიქნია, ჩახტა და გაუჩინარდა.

\* \* \*

თითქო არც არავინ ყოფილიყოს, თითქო მე მომ-ლანდებოდეს ეს ყველაფერი, არ ვიცი, ასეთი რამ არასოდეს მომსვლია. შეიძლება ცხადიც იყო, არ გამოვრიცხავ, ყოველ შემთხვევაში, რაც არ ვიცი, არ ვიცი, რა ვთქვა... ძე-ხორციელი არ ჭაჭანებს ბნელ

მიკროავტობუსში, ვზივარ მარტოდმარტო. სიბნელეში უძილო თვალებს უაზროდ ვაცეცებ, ვინ სად არის?

– სად გაქრა ის ხალხი?

– ვინ ხალხი? – მკითხა ვილაცამ.

– რომელი ხარ, – ვაკვირდები სიბნელეში.

ჩუმი ხმით იცინის.

– რომელი ხარ-მეთქი.

– ეს ნერგი გახმება, თუ დროზე არ დარგე. წყალში მაინც ჩადე.

ნერგის ფესვებზე შემოხვეული პარკის ქრაჭუნი საშინელ ხმად ჩამესმა, ტანში დამბურძღლა.

– რომელი ხარ-მეთქი.

ალარაფერი უთქვამს.

მთვარეს ახალი შოთივით იტვლიავენდა ღამე, გემრიელად იღმურძლებოდა.

ხელების ფათურით ვიპოვე მუხის ნერგი.

**22 იგრიკა – 3 ვარდობისთვე,**

**2017 წელი,**

**პორტი, ლისაბონი,**

**სტამბული, დიცი**

## წრფელობითი

დედა

დედა-მ

დედა-ს

დედ-ის...

დედა-ვ...

ყველა ბრუნვაში მაგარია, მაგარი!

– თავზე დაგყნოსავ რა. ხო არ გეწყინება?

– რა უნდა მეწყინოს? – თვალები უფრო გაუმზიანდა. აპრილის მნათობი ჩაუდგა ისედაც გამთბარ მზერაში.

დაყნოსა. იტყოდი, რო, რაც კი სურნელი ჰქონდა, ერთიანად შეისუნთქა და დედის სურნელი სულ თვითონ შეინახა. თან რა გაიფიქრა, ეს სურნელი სულ ჩემთან დარჩება და მთელი ცხოვრება, სანამ პირში სული მიდგას და ცასა და მიწას ვარ მიბარებული, დედის სურნელი მექნებაო. მაშინაც... ფიქრი ეკლიანი მავთულივით წამოედო... რა ვიცი, იქნებ არც დადგეს ეგეთი დღე და სულ ვიყოთ ჰა, სულ, სულ ვიყოთ. ხო, დედა, ხო ვიქნებით, ფიქრებიდან ლაპარაკზე გადავიდა.

– ხო, ვიქნებით-მეთქი.

ჭალარა თმა, წელან რო გაუნენა, შეუსწორა და

თვალეებით მოეფერა.

– შენი თავი პატარა ხო არა გგონია, ჰა!

– პატარა ვარ, მაშ რა ვარ, – წამოიყვირა.

– აბა დაითვალე, წლები დაითვალე, მაიმუნო, – ჩამოუყვავა თითებზე და თოხა კბილები გამოაჩინა.

– თორმეტისა ვარ, თორმეტისა, შენ კიდე სამოცისა ხარ.

– ნეტა მართლა სამოცისა ვიყვე. წავიდა, წავიდააა! ფაფუ ცხოვრება, არაფერი ყოფილა, სახეზე ღრუბლები აეშალა, თვალეებში ცრემლის გუბეები ჩაუდგა. რას იზამ, ბებრები მივდივართ, ახალგაზრდები რჩებით. ეგრეა. ასე დაანესა იმ დალოცვილმა და ჩემზე ხო არ შეცვლის.

– რო შევეხვეწო, რო შევეხვეწო, – ახლოს მიუცუცქდა, როგორც ბავშვობაში სჩვეოდა ხოლმე, დედა რო ჩურჩხელებს ავლებდა და ლამის იყო, ქვაბში ჩაყირავებულიყო. ის დაცაცხანებაც კი ჩაესმა: – გაინი იქით, გაინი. არაფერი დაინვა, ვის დაემგვანე ესეთი ქვისნატეხი.

– ჰა, მიშო, მომაცილე ეს უპატრონო, – უფროს ბიჭს გასძახებდა. მიშოც უმალ გაჩნდებოდა და წაუთაქებდა, რო გეუბნებიან, არ გეყურება? მერე პანჩურსაც ამოუჭერდა და ახლა იმის ტირილ-ღრიალზე ატყდებოდა მოთუხთუხე თათარასთან მიმჯდარი ქალი.

– თქვენ ხელში არაფერი მინდა, არც შემოდგომა მინდა, არც ზამთარი და არც გაზაფხული, – უფრო მოუმატებდა ღრიალს. – ჩაიწყვიტე ენა! – დაუცაცხანებდა მიშო. ამასობაში მამაც გამოჩნდებოდა. ვეება ეზოში „ტრანგალექით“ შემორახრახდებოდა. ბოსლის წინ მიაყენებდა. საქონლისთვის გამოთიბული ძურწის დაცლაში მიშო შეეშველებოდა.

– რა ატირებს ემაგასა.

– ტირილის მეტი რა იცის, – ჩაივინებდა მიშო და მზეზე შემჭვნარ ბალახში სამთითას ღონივრად ჩაასობდა.

– რა გატირებს ბიჯო! – შეუბღვერდა მამა. – ქალი ხო არა ხარ...

კაკლის ძირში იჯდა მობუზული და სლუკუნებდა. ბალახიანი, დაკოჟრილი ხელის შეხებას იგრძნობდა. ხელ-ნელა შეაპარებდა თვალს. მამა ხელს მოუთათუნებდა.

– ადე, მიეშველე, ტირილი არ დამანახო!

თითქო უცბათ დაბრუნდა ბავშვობაში. დედაც გაახალგაზრდავებული ერგენა, კალთაში ჩაუდო თავი, ისეთი სიამოვნება იგრძნო, ჟრუანტელმა აუქროლ-ჩაუქროლა. რამდენი ხანი გაგრძელდებოდა ეს სიამოვნება, სულ რამდენი წელი დარჩენოდათ ერთად ყოფნისა. ჩაეკრო, ჩაეხუტა, იტყოდი, რო

კვლავ დედის წიაღს უნდა დაბრუნებოდა, ისევ იმ სამყაროს უნდა დაბრუნებოდა, საიდანაც მოვიდა. ხომ შეიძლება, რო ისევ დედასთან ერთად ბრუნდებოდე, ისევ ჩასახლდე და, როცა დედა წავა, შენც თან გაჰყვე. სხეული აუკანკალდა. იგრძნო, როგორ მოაწვა ცრემლი.

მთავრდება, ყველაფერი მთავრდება, დედაშვილობაც მთავრდება. სიკვდილს არავინ და არაფერი არ ებრალება. სიკვდილს გული არაფერზე უჩუყდება.

– რა იყო, – თავზე დაადო დამჭენარი ხელი ქალმა.

– არაფერი, – ისე თქვა, თავი არ აუნწევია, ისევ დედის კალთაში ჩაერგო და ძუძუს ბავშვივით გატვრენილიყო.

– როგორ გიკანკალებს გული. განა ვერ მივხვდი.

– ისევ პატარა ბიჭი მგონია თავი. ასე მგონია, ისევ ბავშვობაში ვარ.

– ყველა ეგრეა. მეც არ მგონია, ბებერი რო ვარ, მაგრამ... – ცრემლიან თვალებში ღიმილი გაუკრთა. – მართლა არ მგონია, არადა, მთავრდება.

– რა მთავრდება, – გული ამოუდუღდა და დედის ხელს ბაგეებით მიეწება.

– ცხოვრება მთავრდება, აქ ყოფნა მთავრდება...

– ჰოდა, ნუ დავამთავრებთ.

– ჩვენ ვინ გვეკითხება... – ისე გულიანად გაიცინა

ქალმა, თითქო სულ მიაგინყდა ყველა სადარდებელი.

– თუ მოვინდომებთ, არ დამთავრდება. დედაშვილობა სხვა რამეა. თუ არადა, როგორც მომიყვანე, ისე წამიყვან! თავი ასნია და თვალებში მიაჩერდა.

– სად წაგიყვან? – გულუბრყვილოდ ჰკითხა ქალმა.

– სადაც შენ ნახვალ.

– ოხ, რა სულელი ხარ, მართლა ჩარჩენილხარ ბავშვობაში.

– დიდი ხანი უნდა იყო კიდევ.

– ვინ გამაჩერებს, ყველასთვის მთავრდება და ჩემთვისაც ხომ უნდა დამთავრდეს. ისე ცილდებიან ადამიანები ერთმანეთს, რო გაცნობასაც ვერ ასწრებენ, – თქვა და დაბოლმილმა დახედა ქათმებისგან ნატკეპნ მინას.

– კიდევ კარგი, რო ვერ ასწრებენ, თორემ ასე კი არ დაენანებოდათ ერთმანეთი.

დედის ხმის ნაცვლად, თითქო ვილაცის ხმა ჩაესმა. გარინდულ ქალს შეხედა, თვალები ცისკენ რო გაუბოდა.

– რა უნდა ქნა კაცმა, როცა არაფრის შეცვლა არ შეგიძლია.

– უნდა შეეგუო.

– თუ შეგუებაც არ შეგიძლია!

– უნდა იბრძოლო. – ისევ სხვისი ხმა იყო. შეხედა

და დედა ისევ ცისკენ იყურებოდა.

– ვისთან უნდა იბრძოლო?

– მე მეკითხები?

\* \* \*

დედა

დედა-მ

დედა-ს

დედ-ის...

დედა-ვ...

– ადრე ხო უფრო მეტი ბრუნვა იყო, – თავის თავს ესაუბრება.

– კი.

– ნელი მასწავლებლის გაკვეთილები ახლაც მახსოვს. მართლა ეგრე კი არ გვიღებს ცხოვრება ბოლოს. ინახება ყველაფერი, ასე მგონია, დედამინაზე ვინც კი მოსულა, ვისაც კი უცხოვრია და ეს ვერანი ნუთისოფელი უნახავს, ყველას მოგონებები სადღაც არის შენახული. არაფერი არ ქრება, არაფერი არ მთავრდება. სადღაც ინყება და სულ გრძელდება. როგორც ბგერა მოსწყდება ბაგეებსა და მიფრინავს უსასრულობაში. შენ აღარ გესმის შენი ბგერა, მაგრამ ის მაინც მიფრინავს და ხმიანებს, ვინ იცის, რომელ ვარსკვლავს ჩაუვლის შენი ხმა, მიდის ასე... სად მთავრდე-

ბა ცა. დაუსაბამოა და დაუსრულებელი. გამორიცხავ, რო ერთ მშვენიერ დღეს, ერთ მშვენიერ წამს სამყარო მოვლილი ბგერა ისევ შენ დაგიბრუნდეს? ბავშვობაში ნათქვამმა სიტყვამ მთელი ცხოვრება ინავარდოს ცაში, ათას პლანეტას შემოუაროს და უკვე სიბერეში მყოფს ისევ შენს ბაგეზე დასკუბდეს და შენს ბებრულ, უსიცოცხლო, დღეებდარჩენილ ბაგეებს შეასკდეს შენი ბავშვობის ხმა.

მოგონებებიც, გარდასული დღეები და წუთებიც, ალბათ, ასე ტრიალებენ დაუსაბამო და უსასრულო ცის ირგვლივ და როდის გავცემ ნეტავ ამ ათას კითხვაზე პასუხს, მთელი ცხოვრება რო მთანგავს და მიწვავს ტვინის ლაბირინთებს.

იქნებ ვერც გავცე და ჩემი პასუხგაუცემელი კითხვებიანად არყოფნის ლუკმად გადავიქცე.

რაც არ გინდა, იმას ხომ არ იჯერებ.

დედა

დედა-მ

დედა-ს...

რას ავიკვიატე ეს ბრუნვები. სულაც ბრუნვები არ არის წუთისოფელი?

ნელი მასწავლებელი გამახსენდა და მისი ქართულის გაკვეთილები.

წრფელობითი ბრუნვაც ყოფილა ძველად.

კაცი რო ინწყებოდა ასე: „კაც“.

დედა კი, ალბათ, ასე დაინწყებოდა: „დე“.

დე. აი, ეს ორი ასო-ბგერაა მთელი სამყაროს ფილოსოფია. „დე“ არ შეგეშინდეს სიკვდილის, იმიტომ რო სიკვდილი დედას ვერ კლავს, დედა ბავშვობაში დარჩეული ბგერების მსგავსად ტრიალებს უსასრულობაში.

– გაიკმინდე ხმა, შენ ჩაგინყდეს ეგ ხმა, – მესმის როგორ უჯავრდება საბძლის წინ დატკეპნილ ნაბჯაზე მოკუნტულ ლომას.

– მთელი ღამე არ მაძინებს, ისე გულსაკლავად ტირის ეს სასიკვდილე. რა დაემართა, ამ ძაღლის ყმუილი არ გამიგია, ისე დაბერდა.

უჯავრდები, ტუქსავ ლომას, რომელიც მცირე ხნით ჩაყურდება, თვალებს მილულავს, თავის ძაღლურ საფიქრალში გაეხვევა, იქნებ ისიც თავის წარსულს იხსენებდეს, თავის ლეკვობას, როგორ გაიზარდა ამ სახლში, როგორ უყრიდნენ რძეში გამხმარ პურს და ვერასოდეს წარმოედგინა, რო ერთ დღესაც, როცა ძაღლური ნუთისოფელი შემოაცვდებოდა, საბძლის წინ მოკუნტული ყმუილს დაინწყებდა და სიკვდილის მოგერიებას შეეცდებოდა.

ის ქალი კი, რძეს რო უსხამდა და ნაზად ეფერებოდა, ასე დაბერდებოდა და დატუქსვას დაუნწყებდა. ვერავინ ვერასოდეს ვერ წარმოიდგენს იმას, რასაც

ცხოვრება უმზადებს, ვერც ძალლი და ვერც ადამიანი.

– იცი როდის ყმუის ძალლი? – მიყურებს პერანგში ჩამძვრალი, სხეულჩამობერტყილი, სახეგაფითრებული დედაჩემი.

– როდის ყმუის? – ვეკითხები მიამიტურად, თითქო არც გამიგია, რო იტყვიან ხოლმე, ძალლის ყმუილი სიკვდილის მომასწავებელიაო.

– თავს ნუ გამოიშტერებ ხოლმე, – გამიწყრა და ისევ საბძლისკენ გაექცა თვალი, გამწყრალი მზერით მისჩერებოდა აპრილის წყვდიადს.

ილიკოს კაკლიდან დაჰკიოდა გაზაფხულს მამალი ჭოტი.

– ნუ გეშინია, აქ ვერ მოვა ისა, – ჩავილაპარაკე და გაფითრებულ სახეზე მოვეფერე.

– ვიზე ამბობ? – ამომხედა ძილგამფრთხალი თვალებით.

– არავიზე... ჩვენ სულ ვიქნებით.

მოვეხვიე და ვიგრძენი, რო გაზაფხულის სურნელი ვერც კი შეედრებოდა.

– ყველა ბრუნვაში მიყვარხარ, დე.

წრფელობითით იწყება.

ვერ მიხვდა, არც მკითხა.

21 მირკანი, 2017 წელი,

დიცი

## ჭურჭელი

მამა, არ ვიცი, სულ შენი სული დამყვება, რალაც უცნაურ სიტბოს ვგრძნობ ხოლმე. იტყვი, რო მზის სხივი მომდგომოდეს, აპრილის მნათობის მაცაცარა, მეტიჩარა სხივი მომდევდეს და მათბობდეს. სულ რო უკუნი სიბნელე იყოს, სულ რო უმთვარო ღამე იწვეს, მაინც ეს სხივი დამდევს. დავდივარ და ვთბები. ისეთი შეგრძნება მაქვს, რო სანამ აქ ვარ, სანამ თქვენ გვერდით დავაბიჯებ, ჩემო ძმებო და დებო, ჩემო მეგობრებო და ჩემო ჯიგრებო, სულ ასე გამთბარი მექნება ბეჭები.

სანამ ცოცხალი იყო, კედლად იყო აღმართული ჩემს უკან. ვეება, ქონგურებმოურღვეველი გალავნით მიედგა, მიცავდა. მამის გული რო გაქვს, მაინც სულ სხვაა. ხო გვითამაშია ბავშვობაში, ბიჭები დღედაღამ გარეთ არ ვეყარეთ? ვთამაშობდით, დავრბოდით გიჟებივით, მერე ჩხუბიც მოგვდიოდა. რალაცაზე ავუხირდებოდით ერთმანეთს, ორად გავიყოფოდით, ნავკინკლავდებოდით, ცხვირ-პირის ამონაყვამდეც მიდიოდა ხოლმე ჩვენი შეხლა-შემოხლა. რა ერქვა? – ჩემმა კლასელებმა ეხლა რო თმებჩამოთოვლილები, ოჯახებზე ფიქრით დადარდიანებულები დადიან და მშიერი მგლებივით შეჰყმუიან ცხოვრებას, კრწანისის

ველი შეარქვეს, იმ ცხონებული ანზორას ჩასახვევს. დაბურული ადგილი იყო, გაუჩეხავი ღობე, გზიდან არაფერი ჩანდა, თან სკოლაც ახლოს გვექონდა. სულ ეს იყო ჩვენი გაპარვების „სტრელკებისა“ და ათასგვარი მაიმუნობის ასპარეზი. თითოეული ჩხუბი მახსოვს, კლასი-კლასზე დავეტაკებოდით. არა, ჯერ ყველაზე მაგარი მოლაპარაკე ბიჭები დადგებოდნენ, ვითომ საქმეებს არჩევდნენ. ხმადაბალი საუბარი ყვირილში გადაიზრდებოდა, მერე ლანძღვაში და სანამ უბნის კაცები არ წამოგვადგებოდნენ, ერთმანეთს ვურტყამდით. რას ვერჩოდით, რა გვინდოდა, ვერ ვხვდებოდით. როგორ ძვირფას სამყაროში ვცხოვრობდით, როგორი კარგი ჩანდა ცხოვრება.

სულ რამდენიმე წელი და... დაიწყებოდა დარდი და სევდა დაუსრულებელი. სამარის კარამდე რომ ამ სევდით მივიდოდით და ამ სევდით გაგვაცილებდნენ.

რას გიმზადებს ცხოვრება, თითქო იცი, როგორ უნდა გაიარო წუთისოფელი, თითქო მარტივია ყოველივე, მაგრამ... აბა, რა იცი, ვინ ხარ, სინამდვილეში ისიც არ იცი, რისთვის გაჩნდი ან აქ რისთვის მოხვედი, რას უნდა ემსახურო, ან სად უნდა წახვიდე მერე... მეც ვთქვი რაღაც ახალი, მგონი ვინც კი ამქვეყნად კალმოსანი ყოფილა, ვისაც სიტყვასთან უჭიდავია, ყველა ამ თემას უტრიალებს, ვერაფერიც ვერ გაიგო.

ზარმაცი მოსწავლესავით თავს ვუქნევთ ცხოვრებას ყველაფერზე, თორემ სინამდვილეში არაფერიც არ ვიცით. კითხვის ნიშნები შემოსჯარვია დედამინას.

ყანყალებს ყველაფერი, იტყვი, რო ვარსკვლავთცვენა დაიწყება, ნაქარი ვაშლივით დასცვივა გაშავებულ ცას მნათობები.

კაცთა მხსნელიც ხომ მამას მიმართავს ბოლოს, სევდა მორეული და გულაჩუყებული მიმართავს, რად მიმატოვეო, თითქო ჰგონია რო მხოლოდშობილი ძის ტანჯვით ატირებულ ზეციერს მართლა დაავიწყდა უღვთოდ ნაგვემი და ჯვარზე გაკრული კაცთა მხსნელი. კარგა ხანია არ დამსიზმრებხარ, თითქო გამებუტე, თითქო მიგავიწყდი. მე ხო არ ვიცი, რა ხდება მანდეთ? სად ხარ, როგორ ხარ, თუმცა, როგორც არ უნდა იყო, ერთი რამ ვიცი, რო ბედნიერი ხარ, იმიტომ, რო უფალი უკვე გეყოლება ნანახი. ალბათ, საკუთარ თავთან დარჩენა ძნელი იქნებოდა. მიწიერი ცხოვრების სივარდახეები, როგორც ყველა წასულს, თავს შეგახსენებდნენ. თითქო ვგრძნობ, რა განცდაც გექნებოდა, მაგრამ წუთისოფლის ყულაბაში შენი გაკეთებული კეთილი საქმეები, არა მგონია, სადმე გამქრალიყოს. მხოლოდ უფალს შეუძლია იმ ყულაბის გახსნა და იქ შენახული კეთილი საქმეების ნახვა... არადა, უკვე ველარ ვძლებდი. აი, დღეს,

აი, ხვალ, გათენდებოდა უშენო სიზმარი, დაცლილი, ცარიელი... ვინეჩი ასე ყოველ დილას და ჭერს მივშტერებოდი. რა დაემართა იმ კაცს, რა მოუვიდა, სად გაქრა, რატომ აღარ მოდის. ვიხსენებდი მერე წინა სიზმრებს, მისხალ-მისხალ ვიხსენებდი. იქნებ რამე გამომრჩა, იქნებ მესიზმრა და აღარ მახსოვს-მეთქი, – ვფიქრობდი, მაგრამ უშენო სიზმრებს, როგორც მდინარეში მოსმულ ცარიელ ბადეს, ისე ჩავკირკიტებდი და სწორედ იმ ღამეს გამომეცხადე, დიდ ხუთშაბათ ღამეს, როცა უკანასკნელად იტრაპეზა მაცხოვარმა თავის მონაფეებთან, როცა საკუთარი სისხლი და ხორცი უკურთხა, როცა საკუთარი თავის გაცემა წინასწარ გაანდო თავის რჩეულებს.

ხელს მიქნევდი. თითქო ლიბრი გადამკვროდა თვალებზე.

– ვერ მხედავ, აქეთ ვარ, აქეთ ვარ.

– რომელი ხარ?

თვალებს ვაფახულებდი, იტყოდი, ერთიანად დავკარგე მხედველობა.

– რა დაგემართა? – როგორც უსინათლო, ისე მივუახლოვდი ხელისცეცებით.

უცნაურ სიტბოს ვგრძნობდი, თითქო მზის სხივები მეღვრებოდა სულში. ძვლები გამიბზა, გულ-გვამი მზის სხივებით ამევსო.

მისი სურნელი ვიგრძენი. გარდაცვალების შემდეგ კარგა ხანს რო შერჩენოდა მის ლოგინს, მის სამოსს და მალ-მალე ვცნოსავდი ხოლმე ჩემების ჩუმად. მამა-ჩემის მონატრების ჟინს ამით ვიკლავდი.

მამის სუნი. ახლაც ცხვირში მილიტინებს, შენახული მაქვს ის სუნი და სანამ ვიქნები, ჩემთან იქნება...

მისი ხელის შეხება ვიგრძენი. უცნაურმა ჟრუანტელმა დამიარა. დაახლოებით ის გრძნობა მქონდა, ბავშვობაში რო ხორკლიან ხელს ჩამიყოფდა ხოლმე ბეჭებში.

– რა მოგივიდა, შე დედალო შენა! – გაიცინა, ხელი მომისვა სახეზე და მაშინვე დამიბრუნდა თვალის ჩინი. ხელებზე დაუწყე კოცნა, ცოცხალი ყოფილხარ, ცოცხალი ყოფილხარ, ცოცხალი ყოფილხარ...

– სუუუ, – თითი დამადო ბაგეზე და გამაჩუმა.

– რა გაყვირებს?

ველარ შევიკავე თავი, ცრემლები წამსკდა, სლუკუნით გული ამოვიგდე.

– ხო იცი, როგორ მეჯავრებოდა ესეთი რალაცები.

– ვიცი, – ამოვიზმუკუნე.

– თუ იცი, მაშ რა გატირებს?

– არ მეგონა, თუ ცოცხალი იყავი, სულ მენატრებოდი, შენმა სიკვდილმა დამაპატარავა. ნეტავ იცოდე, რა დღეში ჩამაგდო. ჩემმა ბიჭმა დაგიხუჭა

თვალი, მან შეიტყო შენი წასვლის ამბავი ყველაზე პირველმა, ბიჭები ღამეს გითევდნენ...

– კარგი, კარგი, – მომეხვია, შევეცოდე, თვითონაც ცრემლები მოაწვა, მაგრამ რას დამანახებდა, გულში ინახავდა ცრემლებს, კაცების ცრემლის ალაგი გულშია. იქნებ გუბეები იდგა მამაჩემის გულში ცრემლის გუბეები, მაგრამ ეს მარტო იმ ცხონებულმა იცოდა.

– მართლა სიზმარში მგონია თავი, – მკერდზე მივეხუტე და ამოვიზმუკუნე, ცოტა დავმშვიდდი.

– სიზმარში ხარ და მამ როგორ უნდა გეგონოს, – ჩაიღიმლა, მომწვანე თვალებში შუქი ჩაუდგა, როგორც იცოდა ხოლმე.

– სიზმარში არა! მე უფრო მივეხუტე, გავიყურსე, გავინახე, მამის გულის ძგერა მესმოდა, მამის გული ბორგავდა, მისი ხმაური მოდიოდა ჩემში და სიცოცხლით მავსებდა. მიხაროდა, რო მამის გული არ დუმდა, არ გაჩერებულყო.

– კიდევ კარგი, კიდევ კარგი...

– რა კიდევ კარგი!

– კიდევ კარგი რო...

– თქვი... ჯერ დრო გაქვს, – ცისკენ აიხედა, თითქო ვილაც ელოდა, უფრო სწორად ვილაც უცდიდა და ისე მომეჩვენა, რო თვალებით რაღაც სთხოვა.

მეც ავიხედე, მაგრამ ვერაფერი დავინახე. ცა იყო...

ჩვეულებრივი. მამაჩემი ისევ ცისკენ იყურებოდა.

– მკვდარი მეგონე, ვერ ვეგუებოდი, სულ ტირილი მინდოდა. თითქო პატარა ბავშვად გადამაქცია შენმა ნასვლამ, გულჩვილი გამხდა. არადა, სულ იმ წუთების მეშინოდა ხოლმე, ვერ გეუბნებოდი ბავშვობაში, მაგრამ სულ მეშინოდა, რო... მარტო დარჩენის მეშინოდა, შენ გარეშე ვერ წარმომედგინა ცხოვრება, ვნატრობდი ხოლმე, როცა გავიზრდები, როცა დიდი გავხდები, მერე წამართვას მამის თავი სიკვდილმა თუ წართმევას-მეთქი. მეშინოდა, ხო არსებობს შიშები, აკვიატებები, რალაც უცნაური აჩემებები, მე ეგა მქონდა აჩემებული ბავშვობიდან, მამის სიკვდილის შიში. სულ ამ შიშით დავდიოდი. იმის კი არ მეშინოდა, რო ცხოვრება გამთელავდა, დამამშევდა, გამაპარტახებდა, არა! ჩემთან რო აღარ იქნებოდი. უშენობა წინასწარ მაშინებდა. ვფიქრობდი, რო დავკაცდებოდი, უფრო ადვილად გადავიტანდი ამ ყველაფერს.

მწვანე შუქი სადღაც გაქრა მისი თვალებიდან, თითქო ცას შეერია. ჩაფიქრდა, მინას დასცქეროდა.

– სიკვდილი შენთვის შეიძლება ადვილია, მაგრამ სხვებისთვისაა ძნელი. რამდენი ადამიანის გულის ტკივილს იწვევ, რამდენი ცრემლი მოგაქვს, რამდენი ტკივილი, ის ცრემლი და ტკივილი აუწონავია. ვღირვარ კი ამდენი?

მემატებოდა წლები და თითქო ვმშვიდდებოდი, ვატყობდი ჩემს თავს, რო ისეთი შიში აღარ მექონდა, მაგრამ... იმ საშინელმა ღამემ ისე ჩასერა სული, ისე...

ვიდექი და დავცქეროდი დამარცხებულ მამას, ოთხმა კაცმა ზეწრით რო აასვენა მეორე სართულზე. არასოდეს მინახიხარ დამარცხებული, ცხოვრებაც კი ნაცემი გყავდა, არიან ცხოვრებაზე გამარჯვებული ადამიანები, ასეთი ხარ შენ, ის საშინელი სურათი ჩამ-რჩა და ბოლო მომიღო, სულ ის სცენა მიტრიალებს, ვერაფრით ამოვშალე, ზენარში გახვეული დამარცხებული მამა და ოთხი კაცი... თურმე ვცდებოდი, მადლობა ღმერთს.

\* \* \*

– უნდა წავიდე!

– მოიცა, სად უნდა წახვიდე. ერთად წავიდეთ, – მხარზე ჩამოვეკიდე, მაგრამ ვერ ვეხებოდი.

ისევ ახედა ცას. მომწვანო თვალებით შემომღიმა და ჩაილაპარაკა, ხანდახან სანთელი რად გავიწყდება ხოლმე.

– რა სანთელი, მამა?

თავი გააქნია.

– სადაცაა გარდამოხსნიან, იწვიმებს ეხლა, წადი, ელ-ჭექიც იქნება. თითო ტკივილი და სისხლის წვეთი

ჩვენც გვეკუთვნის.

ცერის სიმსხო, ყინულივით წვეთი დამეცა ლოყაზე, მამასაც დაეცა, ისევ აიხედა ცისკენ.

– აი, იწყება!

– რა იწყება?

ალარაფერი უთქვამს. მიდიოდა, მივდევდი, სწრაფად ვადგამდი ნაბიჯებს, მაგრამ არაფერი გამომდიოდა.

– მამა, მამაა! სადღა მიდიხარ?

იტყოდი, რო კიბის საფეხურებს მიუყვებოდა, ისე ადიოდა მაღლა.

– ახალი ჭურჭელი, ახალი ჭურჭელი მოიტანე სახლში.

– რა ჭურჭელი?

თანდათან ცაში შევიდა და ველარ დავინახე. ზედიზედ კიდევ რამდენჯერმე დამეცა ყინულივით წვეთები. ცამ დაიბუხუნა, ჯერ ოდნავ, მერე მოუმატა და ბოლოს გრგვინვად გადაიქცა ცის ბგერები. ნათლის ძაფი გაიკლანა.

– მამაა!

\* \* \*

– ჭურჭელი, ჭურჭელი... – ვბუტბუტებ. – ახალი ჭურჭელი...

მართლა სიზმარი ყოფილა, სიზმარი ყოფილა, როგორი ბედნიერი ვიყავი, როგორ ცხადად გნახე, ხელითაც შეგეხე. თითქო არც არსებულის სიკვდილი. შენ კი ისევ ცაში წახვედი, ცა ჯობია, ალბათ. არადა, მეგონა, რო შენი წასვლა იყო სიზმარი და ის საშინელი წუთები ჩვენი განშორების სიზმარს მივანერე. ისევ შემჭამს მონატრების სევდა. როდის შემოაღებ ჩემი სიზმრის კარს. რა საშინელებაა ეს ყველაფერი და რატომ ვართ ასე, სხვანაირი არსებობაც ხომ შეიძლებოდა. ვუძლებთ ამ ტკივილებს, ვუძლებთ ამ დიდ სევდას და ვართ ასე, ხან თავს ვინუგეშებთ, რო ისევ შევხვდებით, ისევ დავინახავთ ერთმანეთს, ისევ ჩავეკვრებით და მოვეფერებით, ცაში ყოფნა გვიტივტივებს წარმოსახვაში, წარმოსახვა, რომელიც სინამდვილეზე დიდ სინამდვილედ ვაქციეთ და ისე ცხოვლად არის ჩვენში, თითქო ნამყოფებიც კი ვიყოთ და შემთხვევით ვილაცას გამოვეტრიალებინეთ საიქიოდან. ხან კი, დიდი, უზარმაზარი წერტილი გველანდება, დასასრულის წერტილი. გვგონია, რო სამარეში უკანასკნელი გოროხის ჩაგდებით ვმთავრდებით და სამუდამოდ ვეყრებით ერთმანეთს. ხომ შეიძლება, წუთები და წამები ჩვენი ერთად ყოფნის თაიგულებად შევკრათ და ისე ვუსახსოვროთ ერთმანეთს. ტკივილი და სევდა ჩვენ თვითონვე დავაბედეთ ჩვენს თავს.

ვდგავარ ეზოში და მტირალ ვაზს ავცქერი,

რომელსაც, კაცმა არ უწყის, რისთვის ჩამოსდის ცრემლი. იქნებ, იმიტომ, რო მისი მტევნებიდან გამოწურული ღვინო ლხინთან ერთად ერთმანეთის მოსაგონებლად და შენდობის ჭიქის წასაქცევად გვეჭირდება ადამიანებს.

ტირის ვაზი, ჩვენზე ტირის. მე ასე მგონია და ვიგრძენი ვაზის ცრემლთან ერთად როგორ დამეცა ყინულივით ცივი წვეთი სახეზე. ის სიცივე ვიგრძენი, როგორც სიზმარში, მამაჩემთან განშორებისას.

ცას ავხედე, თაღხით შემოსილიყო, დიდი ხუთშაბათის მზე, კაცთა მხსნელის დიდი ჭირისუფალი ძაძებად ქცეულ ღრუბლებში მიმაღულიყო.

– ჭურჭელი, ახალი ჭურჭელი, – ვბუტბუტებ ჩემთვის.

წარმოსახვაში გაჩნდა ნიქოზის ტაძარი, ამბიონზე გადმომდგარი ლოცვით სახეგაბრწყინებული მეუფე ისაია. კაცთა მხსნელის ნამდვილი მხედარი. წარმოსახვაში გაჩნდა საკურთხევლიდან გამობრძანებული გარდამოხსნის ხატი, ჯვარცმის ტკივილის შეგრძნებით სახედასეტყვილი მრევლი და დატირების ხმა ჩამესმის: „დიდება მოთმინებასა, შენსა უფალო იესო!“

მივხვდი, რასაც მთხოვდა მამაჩემი.

24 ივრიკა (აპრილი),

2017 წელი,

დიცი - პორტო

## თავისუფლების თეორია

აბა, ვინ მოიფიქრებდა, რო ვაკოსთან იმეგობრებდა აინშტაინი. ჰა, ჰა, ჰა, დამცინეთ... ადრეც ხო დამცინოდით, ბავშვობაში, წამოვიზარდე და მაშინაც დამცინოდით. სულ თქვენი ხარხარი და ხორხოცი ჩამესმოდა, მხოლოდ „ხ“ ბგერას იმეტებდით ჩემთვის. დაცინვას კაცი არ მოუკლავს, ვინც ეს ანდაზა დაწერა, იმის სული აცხონოს მაღალმა ღმერთმა, მგონი იმ კაცმა, ანუ ანდაზის ავტორმა ჩემი ამქვეყნად მოსვლის ამბავი წინასწარ იგუშანა და ანდაზა შექმნა ჩემთვის. მე ასე მჯერა, თქვენ არ გჯერათ? მაღარდეთ ახლა. ეგ თქვენი პრობლემაა. მოკლედ, ჩემი ანდაზაა ეგა და შეიძლება, საავტორო უფლებაც კი მოვითხოვო. ვინც ამ ანდაზას ჩემი ნებართვის გარეშე გამოიყენებს, ვაი მისი ბრალი. აბა, თქვას ვინმემ.

დიდობაშიც დამცინოდით, ხომ დამცინოდით. ყველაფერს აიტანს კაცი, სიცოცხესაც, შიმშილსაც, სიშიშვლესაც, დაუფასებლობასაც, რა ვიცი, რაც კი სივარდელზე არსებობს, ყველაფერს აიტანს, დაცინვის ატანა ჭირს ყველაზე მეტად. მაღლიდან ხო დაგცქერიან, ცის ბინადრებივით რო დაგყურებენ, იტყვი, შენზე მეტი რალაცებით მოიყვანა უფალმა. დამცინიან და უხარიათ. სხვას რო შიშველს უყურებენ, ეგ

უხარიათ, სხვისი შიმშილიც უხარიათ და ხანდახან თუ შეიშმუშნებიან ვინმე გასაცოდავებულს, პარტახი კაცის დანახვაზე და სიბრაღულს ძალით გადმოფენენ სახეზე, არ დაიჯეროთ, ისინი სხვისი უბედურებით სუნთქავენ და არსებობენ, სხვა რო მათზე უარესად არის, ეს არის მათი ნუგეში და სიკეთე. თავს ამით დამაჯერებლობას აძლევენ, საკუთარ ძალებში რწმუნდებიან. ვაი, თქვენს პატრონს. კიდეც კარგი, რო გაჭირვებული ადამიანები არსებობენ, თორემ რა გეშველებოდათ, როგორ იარსებებდით. ხან თმა არ მოგწონდათ ჩემი, ხან აღნაგობა, ხან საუბარი... რაც მე თქვენგან პროფესიის არჩევაზე დაცივნა მივიღე.

ფიზიკოსი... ფიზიკოსი... ამანაც ახლა რაღაც ახალი თეორიები არ შექმნას და გადატრიალება არ მოახდინოს, ამანაც ახლა კიური, ბორი და აინშტაინი არ დაავინყოს კაცობრიობას. ამანაც ახლა ცხოვრების გეზი არ შეუცვალოს კაცთა მოდგმას, ესეც ახლა ნობელზე არ წარადგინონ, ფიზიკოსი...

რა უნდა შემექმნა ისეთი, რა თეორია უნდა მომეგონებინა, რო ყველას გელიარებიანთ ჩემი ნიჭიერება, ჩემი ტალანტი. რას აღარ ვფიქრობდი, ერთი ვაშლის ხე არ დამრჩა ცხონებული მამაჩემის გაშენებულ ბაღში. ხან რომელი ხის ქვეშ ავიტრუნჭებოდი, ხან რომელი ხის ქვეშ. ვიდექი ეგრე და ველოდებოდი, რას

ველოდებოდი? ისევ დამცინებთ, ვაშლს ველოდებოდი. რა არ შეიძლება? სულაც არ იყო რაღაცით გამორჩეული ის ჩვენი ნიუტონი ისაკა, იდგა თავისთვის, დაეცა ნაქარი ვაშლი კინკრიხოზე და დააჭყიტა თვალები. აი, ვაშლი რო არ ჩამოვარდნილიყო, უფრო სწორად ქარი არ ამოქროლებულიყო და არ დასძგერებოდა ვაშლებს, ვის ემახსოვრებოდა მისი კანონი, ტვინში რო უჭედავენ სკოლაში ბავშვებს.

მეც ვიდექი ეგრე, ჰო, იცინეთ, იცინეთ. ვიდექი და ველოდი, მაგრამ ის ოხერი ქარიც ჩემს ჯინაზე ჩადგა და ვაშლებიც ისე მიბმულიყვნენ ყუნწებით, ვაკო სულ არ ეკიდათ?

არ გამოვიდა. ჩამოსავარდნი უკვე ჩამოვარდნილიყო. გაუმართლა იმ კაცს და მორჩა. რას მოიფიქრებდა, გაივლიდა მისი ამქვეყნიდან ახვევინების მერე რამდენიმე ასეული წელი, მისი ძვლები მიკირული იქნებოდა მინას, მისი ვაშლის ამბავი კიდე... აბა, რას მოიფიქრებდა, სადღაც რო ღვიბირის სკოლაში, ოცი ბალლი რო დალანდალებს, იქაც კი ეცოდინებოდათ ისაკოს ამბავი, მოფერებით ვეძახი ისაკოს, რა მოხდა, რას ვაშავებ. თვითონაც ესიამოვნებოდა, დარწმუნებული ვარ, ცოცხალი რო იყოს. ღმერთმა გაანათლოს.

მოკლედ, ამ დაცინვა-დაცინვაში შემომალამდა ცხოვრებაში. ხელმოცარულ კაცზე საშინელება რა

არის. არ გინდა ეხლა ვიუხამსო და რაღაცებს შევად-  
არო, კაცები მიმიხვდებიან... იმაზე კიდე საშინელე-  
ბაა, აი, შენი თავი რო გძულს, შენმა თავმა რო არ  
გაგიმართლა, შეგარცხვინა, თავი მოგჭრა. გინდა  
დაამტკიცო რო მაგარი ხარ, მაგრამ არ გამოგდის,  
ამტკიცებ, მაგრამ არ გამოგდის, ვინც გაიგო გაიგო.  
არ მიყვარს ეხლა უზრდელურად მოვყვე რაღაცებს.

ერთი სიტყვით, მე ვაკო პ-ს, დამიმეგობრდა აინ-  
შტაინი, ვინც დამცინოს!

ლამდამობით ვფიქრობდი, რა მაგარია ისეთ რა-  
მეს რო გამოიგონებ, მთელი მსოფლიო რო შენზე  
ალაპარაკდება-მეთქი. მართლა მაგარია, ამაზე კარგი  
შეგრძნება რა არი, სადმეს რო მიგიწვევენ და დაგ-  
დევენ ეგრე ავტოგრაფი-ავტოგრაფიო და სახელდახ-  
ელოდ უწერ ზეზეულა ხელს. მაგარია.

მიოცნებია, მაგრამ მარტო ნატვრა რას გიშვე-  
ლის, მოფიქრება უნდა. აინშტაინმა იფიქრა, იფიქრა  
და ისეთი რამე მოიფიქრა, რო ყველა ჩააფიქრა.

ერთ ღამესაც გამომეცხადა სიზმარში. თმაგანწილი  
იყო, მაგრამ ენა არა ჰქონდა გამოყოფილი.

მივდიოდით, დაცარიელებულ ქუჩას მივუყვებოდით.  
კაციშვილის ჭაჭანება არ იყო, ძეხორციელი არ ჩანდა.  
იტყოდი, რო აპოკალიფსი რამდენიმე წუთის დამთავრე-  
ბული იყო და მხოლოდ მე და აინშტაინი გადავრჩით.

ვიხედებოდი აქეთ-იქით, იქნებ ვინმე გამოჩნდეს, ვინმემ დამინახოს, რო აინშტაინთან ერთად მოვდივარ-მეთქი. ჩემი იღბლის დედა ვატირე, კაციშვილი არ იყო, ქარი ზმუოდა და ხმელ ფოთლებს გვაყრიდა.

შემატყო აინშტაინმა, მხარზე ხელი დამადო და მითხრა:

– ტყუილა იყურები აქეთ-იქით, მარტო მე და შენ დავრჩით დედამინაზე, სხვა აღარავინ არის ცოცხალიო.

– გადავირიე, როგორ-მეთქი.

– როგორ და ეგრეო. არც არავინ აღარ დაიბადებო, მარტო ჩვენ ვიქნებითო.

– მაშინ შენს აინშტაინობას რაღა აზრი ექნება, მე გეყოლები მარტო შემფასებელი და აგშენებია ქოხიმეთქი.

მხრები აიჩეჩა, ცაში აიხედა. მიმახვედრა, იმან ეგრე მოინდომაო.

მივდიოდით, ქარი ხმელ ფოთლებს გვაყრიდა. ჩურჩულებდა აინშტაინი.

– ვის ესაუბრები-მეთქი.

– ერთი ნუთი მაცალეო, – ისევ გააგრძელა, თან ხელით ვილაცას რაღაცას ანიშნებდა. მცირე ხნის შემდეგ მომიბრუნდა. – რაღაცა მკითხა ქარმა და რო არ მეპასუხა, ეწყინებოდაო, – ყბა ჩამომივარდა.

– რა ქარმა-მეთქი... უცებ გამახსენდა მერე ჩემი

მეგობარი ბერიკას ნაამბობი, ბევრი რამე იცოდა ხოლმე და მიყვებოდა, აინშტაინზეც მან მითხრა და ჩამრჩა მეხსიერებაში. ამერიკაში ჰყავდა ვილაცა მეგობარი და მისი მეგობრის ერთი ბებერი მეზობელი იცნობდა თურმე აინშტაინს, აჩემებული ჰქონდათ, ტროტუარზე რო მოდიოდა, მხოლოდ ერთ ზოლში მიაბიჯებდა, ტროტუარის ნაპირზე, არც აქეთ გადადგამდა ნაბიჯს და არც იქით.

მიდიოდა ეგრე, განწილი თმებით და ილიმებოდა. ხან ვილაცას ესაუბრებოდა, სხვა სამყაროებს ხედავდაო, ის ბებერი ამერიკელი ასკვნიდა თურმე. ალბათ, მართლა ხედავდა, აბა, რის აინშტაინი იყო. ეხლაც ეგრე, ქარს ელაპარაკებოდა.

ყბაჩამოვარდნილი მივდევდი. კარგა ხანს ვიარეთ. მცირე ხანს შედგა. იდგა ეგრე, იდგა, ხმას არ იღებდა, ქარიც ჩადგა. ფოთლების შარიშურიც აღარ ისმოდა.

– მოინი ახლოსო, – ხელით მანიშნა.

მივიწიე.

– აი, აქ დაადგი ფეხიო, – თითით მანიშნა.

დავადგი.

– მაგრად დააჭირო.

დავაჭირე, მაგრამ ვერაფერს მივხვდი.

– რა იგრძენიო.

მხრები ავიჩეჩე, რა უნდა მეგრძნო-მეთქი.

– მართლა ვერაფერი იგრძენიო? – მომაჩერდა გამჭოლი, სიბრალულჩამდგარი თვალებით.

უარის ნიშნად თავი გავაქნიე..

– აქ გადის დედამინის ლერძიო. ძალიან სამწუხაროა, მაგრამ მალე გადაიხრება, დედამინა ცენტრავოის დაკარგავს და ისე მალე დაბერდებიან ადამიანები, ვერც კი გაიგებენო.

– ვინ ადამიანები, მარტო მე და შენლა დავრჩით-მეთქი.

კეფა მოიფხანა.

– ოი, სულ დამავიწყდა ეგო.

– ესე იგი მალე დავბერდებით-მეთქი.

გაეცინა.

– ნუ გეშინია, არც ეგრეა საქმეო.

იმ გამოცხადებაში, თუ სიზმარში ქართულად ლაპარაკობდა, ამაზეც გაიცინებო. ის კი არა, ცოტა გორულად უქცევდა და შიგადაშიგ ი-საც აყოლებდა, მაგალითად: დედამინაი, – ასე ამბობდა.

სიზმარი, თუ გამოცხადება ვიდრე დამთავრდებოდა, ვიდრე იმ ცარიელ, ფოთლებმოფენილ ნაპოკალიფსარ ქუჩას ავივლიდით, დავძმაცაცდით მე და აინშტაინი.

ბოლოს მომიბრუნდა და მითხრა:

– ეს კი სიზმარია, მაგრამ დაიმახსოვრე, მსოფლიო გაგიცნობს „ახალი თეორიით“, ახალი აღმოჩენით,

რომელიც ადამიანებს ბედნიერებას და სიხალისეს მიანიჭებს, შენი სახელი დიდსა და პატარას, ყველას პირზე ეკერება, – გაიღიმა და თავი დააქნია. – დიახ, დიახ, შენ ბედნიერი კაცი ხარ. პრომეთე ხომ გაგიგია? – მომანათა თავისი უცნაური შუქი.

– როგორ არ გამიგია „ამირანი“.

– ჰო, ამირანი უფრო სწორად, ცეცხლი ხომ მისცა ხალხს, ხომ გაათბო.

– კი.

– ეგრე გაათბობს და გადაარჩენს ხალხს შენი თეორია, შენი აღმოჩენა.

ამანაც მასხრად აგდება დამინყო. ვხვდები, როდამცინის, რა ვუთხრა ამხელა კაცია, თან ქართულად მელაპარაკება. ეწყინება, თქვას, მოიკლას გულის ჭია, ყველას დაცივნისთვის გამიძლია და აინშტაინი რაღაა.

– აინშტაინს რო ვინმეს აღმოჩენისა შემუშრდება, – თქვა და განენილ თმაზე ხელი გადაისვა, მერე ნაოჭები მიისრის-მოისრისა ვეება შუბლზე, უხილავი ფორმულები რო ეწერა, – ყველას ემახსოვრები...

ქარმა დაუბერა, ხმელი ფოთოლი მომხვდა მარცხენა თვალში და, სანამ ცრემლი ამოვიწმინდე, სადღაც გამქრალიყო ეს ჩემი სიზმარში დამეგობრებული გენიოსი.

გამომელვიძა, თავი მქონდა დამძიმებული, თითქო

განძრევაც მიჭირდა. რა თეორია, რა აინშტაინი, რა პრომეთე-ამირანი, ვფიქრობ. რა კაცობრიობა, რა უკვდავება, მგონი საბანი ვერ მქონდა კარგად ამოგებული და სიზმარშიც იმიტომ ზმუოდა ის ოხერი ქარი, დაცარიელებულ ქუჩაში რო ეხვეტებოდა ხმელ, უსიცოცხლო ფოთლებს...

გამახსენდა ვალები, გამახსენდა ჩემი ყოველდღიური ყოფა, დღედაღამ სამუშაოს ძებნაზე ფიქრი. წამოვინიე, სარკმლიდან გადავხედე ახლადგალვიძებულ ქალაქს, ხმაურიან სუნთქვას რო იწყებდა.

სიგარეტს მივწვდი, ვაფათურე თითები, ცარიელი კოლოფი შემრჩა. წამოვჯექი, ვიყავი ასე და ისევ ის სიზმარი ამეკვიატა, აინშტაინი, რომელიც ეშმაკურად უღიმოდა ცხოვრებას. ცხოვრება ამას და... რაღაცნაირად ამეშალა ნერვები, დაყვირება მომინდა და უცბად ჩამძახა ვილაცამ: – რატომ იშლი ნერვებს, დაიკიდე... დაკიდება, იცი, რა არის, გულზე მოგეშვება. დაიკიდე, აბა, სცადე, თუ არ მოგეშვას. დაიკიდე, დაიკიდე, – ჩამძახის ვილაცა და ზუსტად ის ხმაა, რომელი ხმითაც მესაუბრებოდა სიზმარში თმაგანწნილი გენიოსი. თან ახარხარდა.

– დაკიდების თეორია, – ჩავიბუტბუტე. – დაკიდების თეორია, – გავიმეორე, გამეცინა. – ე, რა კარგია, დაკიდების თეორია, მართლა კარგია. თეორიის ავტორი

მე. მარტივი და გენიალური, დაკიდების თეორია, ბიჯოს! აი, ჩემი სიზმარი, ასეთი თეორია, დარწმუნებული ვარ, არც არავის ექნება დანერგილი. ბოლო-ბოლო აინშტაინმა მიწინასწარმეტყველა, დაკიდების თეორია, აუ, რა მაგარია! ფეხზე წამოვხტი. ამაზე მარტივი და კარგი რა უნდა იყოს, ფორმულები ამას არ უნდა და განტოლებები, გეჩხუბებიან – დაიკიდე, გლანძღავენ – დაიკიდე. ვალი გაქვს – დაიკიდე, გენატრება – დაიკიდე, ყველაფრის წამალია, ავყვირდი. მგონი, მეეზოვეებმაც გაიგეს ჩემი ღრიალი.

– თეორია, თეორია, მარტივი, გასაგები, ყველასთვის მისაღები და ბედნიერებისა და თავისუფლების მომტანი. აჰა, მიდით, დამცინეთ კიდევ, ჩამთვალეთ ხელმოცარულ ადამიანად, გგონიათ ვინერვიულებ? მაგრად მკიდია.

ასე მარტივად იწყება რაღაც-რაღაცები, თვითონაც არ იცოდნენ გენიოსებმა რას ქმნიდნენ, რას ჩუქნიდნენ კაცობრიობას, კაცმა არ უწყის, რა გზას გაიკვლევს მომავალში ჩემი თეორია, სად წავა, რა აღიარება ექნება, იქნებ ნიუტონიც მოგონილი იყოს. ყველას გჭირდებათ თავისუფლების თეორია, რაღაცებისგან გამოსხნა, გამსუბუქება, თავის დაძვრენა, ამოსუნთქვა, გულის მოოხება, თავისუფლება გჭირდებათ და არა გაქვთ, არავინ გასწავლით, არავინ

გამოგინერთ თავისუფლების რეცეპტს, ყველაფერი თქვენშია, თქვენში...

ნეტა ვილაც იწერდეს ეხლა ამ რაღაცებს, ფაქტიურად ახალ აღმოჩენაზე ვსაუბრობ, თან ვხარხარებ, თან ვყვირი. ვილაცას გიჟი ვეგონები, ვილაც განმკიცხავს, ვილაც მომაფურთხებს, ვილაც ქოქოლას მომაცრის, ვილაც დამწყევლის, ვილაც...

მკიდია.

ნამდვილად არა ვარ უზრდელი, მაგრამ ისეთი თეორიაა, სხვა სიტყვა არ მოუხდება.

**24 ივრიკა (აპრილი), 2017 წელი,  
ქ. პორტო (პორტუგალია)**

## სარჩევი

|                                         |     |
|-----------------------------------------|-----|
| ცოტა რამ „ნათლის გვირაბის“ შესახებ..... | 3   |
| უთქმელი სადღეგრძელო.....                | 17  |
| რას გაუგებ ანგელოზებს?.....             | 25  |
| უიღბლო.....                             | 41  |
| ქართველი ილო.....                       | 49  |
| საიდი.....                              | 54  |
| თავისუფალი თემა.....                    | 59  |
| ალალა.....                              | 77  |
| დანიელები.....                          | 82  |
| მამლის წელი.....                        | 92  |
| ბატონი ესტატე.....                      | 102 |
| ნათლის გვირაბი.....                     | 112 |
| კოჭლი ცხვარი.....                       | 166 |
| ძეგლი.....                              | 191 |
| მუხა.....                               | 209 |
| წრფელობითი.....                         | 282 |
| ჭურჭელი.....                            | 291 |
| თავისუფლების თეორია.....                | 302 |



## გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com;